



33. 18

როგორ
დაეხმარა
შალვა
რამიშვილს
ცოლი ახალ
შოუში და
რა შეუზღუდა
მას პოლიტიკაში

33. 14

რაზე ნერვიულობს გოგოლა
კალანდაძე და რა სიურპრიზებს
ახედრებენ მას შვილები სახლში

GINO PARADISE

ჯინო ფარედაძისი 33. 15

33. 2

რატომ გარბის ჭირისუფალი
მისასამიძე მისი მიწის
ნოდარ გურგენაშვილის დანახვისას
და რატომ არის, გარე ქაჯიანს აზრით,
დათო ლაბაძე კულტურული მეთევზე



33. 75

რას შეცვლის ანა ხანალიანის დის,
სოფო თინიკაშვილის ცხოვრებაში
„X-ფაქტორის“ მოგება და ჟიურის
როგორი ნიჭის შეფასების
ეპილოდი მას ყველაზე მეტად



33. 23

რა იყო სოფიკო
ჭიაურელის
გოლო
სიტყვები
და რას
გვჩვენებს
ნიკუშა
შენგელაია
მის შესახებ



33. 19

როდის გრძნობს თავს კალიან
ცუდად გიორგი ბახუტაშვილი
და სად ცხოვრობს ის
გოგოქარი ცხოვრებით



33. 79

სად აქტიურდება
გივი ვანდარი
და აქვს
თუ არა მას
კავშირი სტივ
უანდართან

მარხვის მაღღმა გაგაკლიეროთ!

ს ა რ ჩ ე ვ ი

მათი პატარა ყურებს დიდი ყურადღება სჭირდებათ!

რატომ ურჩევს გურამ ფანჯიკიძის აქტიური მკითხველი ბესლან კობახია მათა ფანჯიკიძეს ნაიკითხოს „აქტიური მზის წელიწადი“ და რატომ ჩამოართმევს საქართველოს მოქალაქეობის მქონე გალელ ქართველებს აფხაზურ პასპორტებს 6

რატომ არის საშიში კუსტარულად დამზადებული კრემიანი ნამცხვრები და რა დაავადებების გამომწვევა შეუძლია იმერულ ყველსა და შებოლილ თევზს 8



ადღგომის რიტუალები და ტრადიციები 9

როგორ დაიღუპა აბვერის რეზიდენტი „კნიაზი“, რომელსაც საქართველოს მეფობის პრეტენზია ჰქონდა 10

რა საფრთხეს შეუქმნის „პანორამა“ 10

თბილისი“ ქალაქის არქიტექტურას და თბილისში მდებარე რომელი შენობა შევა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში.....12



როგორ დააგროვა ბანკის დეპოზიტებზე დეპუტატმა ნაული ჯანაშიამ 2 მილიონზე მეტი აშშ დოლარი 13



რა ინტრიგული წერილი დაწერეს ოდისე დიმიტრაძიზე მისმა აღზრდილმა ორკესტრანტებმა 16

როდის გრძნობს თავს ძალიან ცუდად გიორგი ბახუტაშვილი და სად ცხოვრობს ის ბობოქარი ცხოვრებით 19

რამაქაცია ასაკით უფროს ქალში და რას გრძნობს მის გვერდით 20

როგორ დაკარგეს მეგობრებმა ერთმანეთი და ვინ ეძებს ჯარის მეგობარს უკრაინიდან საქართველოში 21

როგორი ადამიანები მოხვდებიან მაცხოვრის მარჯვნივ და რატომ ჩუქნაინ ქრისტიანები ადღგომის დღეს ერთმანეთს ნითელ კვერცხებს 24

მოძღვარი გვირჩევს 25

2014 წლის „ფორბის“ ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერები 27

ჩივეთელ ეჯიოფორი – „მონობის 12 წლის“ ვარსკვლავი და ჯეიმს ბონდის ახალი მტერი.....27

ექიმის რჩევები.....29

როგორ აღმოჩნდა ვასილ მუჟანაძე ტყავის წარმოებიდან ცენტრალურ კომიტეტში.....30

რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია ქრონიკული პიელონეფრიტისა და ცისტიტის დროს.....31

რა ინვეს აურის დარღვევას, არის თუ არა ის ადამიანის ენერგეტიკული დამცველი და რისგან გვიცავს შესასვლელში დაკიდებული ხახვი.....32

კოსმეტოლოგის რჩევები.....34

წყალი ჩვენი არსობისა 34

რა შეცდომა დაუშვეს ევროპელმა პოლიტიკოსებმა სტალინის შესაძლებლობების შეფასებისას 35

შეკითხვა ასტროლოგს 36

კვირის რომელ დღეს არ ვარგა გრძნობების აფიშირება და ზედმეტი ლაპარაკი 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი 45

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები 46

რატომ იმატა გაზაფხულზე ახალგაზრდების ინფარქტით გარდაცვალების რიცხვმა და რა ინვეს ამ პერიოდში გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადების გამწვავებას 47

როგორ „გადაადგო“ ქართველმა ქურდმა, მეტსახელად „კატამ“, მოხუცი გერმანელი გრაფი 48



როგორ იძია შური მამაკაცმა ყოფილ ცოლსა და მის ქმარზე 49

ადვოკატი გირჩევთ 50

ფლორის სამყაროში 50

ვეტერინარის რჩევები 51

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს 51



ახალშობილები და ბავშვები 3 წლამდე –კვირაში ერთხელ 3-6 წვეთი თითო ყურში



აუდისპრეი

უსაფრთხო

ეფექტური

ნატურალური

შვიცარიული ყურის ჰიგიენური საშუალება

მარტივი გამოყენების წესი:

3 წლიდან
კვირაში 2-3-ჯერ
1-2 შესურება
თითო ყურში.

ყოვნის 6 თვე

მონდიალფარმი მხოლოდ საუკეთესო თქვენი ჯანმრთელობისთვის

იკიბზეთ GPC-ის აფთიაქებში

ქურდული ცხოვრება 64

როგორ ურიგებენ წმიდა მინაზე ბერები უშვილო წყვილებს ლიმონსა და პალმის რტოს და რატომ უნდა დალიონ დასაქონრწინებელმა ადამიანებმა კანას გალილეის შავი ღვინო.....68

ჰყავდა თუ არა შაჰ-აბას პირველს ქართველი ბებია და რატომ მოაკვლევინა მან ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე.....72

განასახიერებს თუ არა ცეცხლის გარდამოსვლის წინ არაბი კობტების მიერ შესრულებული რიტუალი კერპთაყვანისმცემლობას და რა საერთო

ჰქონდათ მათთან უძველეს სვანებს 73

რა შეცვალა სოფო ბედიასა და მიშა მესხის ცხოვრებაში გიჟურმა სიყვარულმა 74

რას შეცვლის ანა ხანჩალაიანის დის, სოფო თინიკაშვილის ცხოვრებაში „X-ფაქტორის“ მოგება

და ყიურის რომელი წვერის შეფასების ემინოდა მას ყველაზე მეტად 75





ჩემი ოქრო - ჩემთან

„მეც მხარედ მომატყუანს“

რაკი კვლავაც არავინ იცის დაზუსტებით, ვისი ავტონომია ვის ფედერაციაში აღმოჩნდება, სახსარწმუნოებები აირია. შესაბამისად, გასულ კვირას ხაკასიის რესპუბლიკის (რფ-ს პირმოსი, სამხრეთ ციმბირის მიმდებარე ტერიტორიიდან) უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვინმე შტიგალევმა განაცხადა, რომ რუსეთის ისტორიული უფლებები აქვს ყაზახეთის აღმოსავლეთ ოლქებზე. მართალია, შემდგომ იდეის ავტორის კოლეგებმა განმარტეს, რომ შურნალისტებს არასწორად გაუგიათ დეპუტატის ნათქვამი (ეჭვი მაქვს, რომ ყველამ ყველაფერი ზედმინეებით ზუსტად გაიგო), მაგრამ ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუს კოლეგებთან წერილი მიიწვ აფრინა.



აფრინა და შეახსენა, რომ რფ-ს და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვარი შეთანხმდა. 2005 წლის 18 იანვრის დადგენილებით, რომელიც

ძალაში 2006 წლის იანვარში შესულა; მსგავსი არაკორექტული განცხადებები კი ძაბავს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას (თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ „ბაიკონურის“ კოსმოდრომი, სწორედაც რომ, ყაზახეთშია, ტერიტორიების ნართმევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყაზახეთის ბედი თითქმის საშუალოდ გადაჯაჭვული რფ-ს).

ასეა თუ ისე, ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ რფ-ის ხელისუფლება ჯერჯერობდა შეაფასებს (რა თქმა უნდა, დამოხმის მიმართულებით), ხაკასიელი დეპუტატის გამოჩნატყუამს, თუმცა ჯერჯერობით მოსკოვი დუმს.

მანამდე კი შეახსენებს, რომ „რესპუბლიკა ყაზახეთისა და რუსეთის ფედერაციის შორის ურთიერთობა ემყარება ღრმა ისტორიულ და სულიერ კავშირს ორი ქვეყნის ხალხებს შორის, რაც არის თანაბარუფლებიანი პარტნიორობის საწინდარი და ემსახურება მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ევრაზიულ სივრცეში (ეპ, უკრაინასაც ასე ეგონა, მაგრამ ისიც მხარედ მოატყუეს).“

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ რფ (აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად), საერთოდაც, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი იყო, მაგრამ ყირიმი - უკვე ფაფუ, სავარაუდოა, რომ მოსკოვმა გადანყობა, ემოქმედა პრინციპით: ყველა „ჩემი ოქრო - ჩემთან“.

მანის დავნავაპ!

ანუ „ერთხელ კატარა ბეკეპას...“

სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე ბ-ნი ვაზდელიანი, თუკი აქამომდე კუნთების თამაშით იყო ცნობილი (ორიოდე წლის წინათ ტელეკამერების წინ ისე დაერია მოქალაქეებს, როგორც ქორი - წინილებს), აღმოჩნდა, რომ ცეცხლთან ლაციციც ჰყვარებია და უცხო სახელმწიფოთა ატრიბუტიკაში ჯანმრთელ სამიანზეც ვერ „ქაჩავს“.

ჰოდა, რაკი ვერ („ქაჩავს“), 9 აპრილის ღამით, პარლამენტის შენობის წინ, დალუპულთა ხსოვნისადმი პატივსაცემად მისულს თვალის დაუხმელა გვირგვინის ფერებმა, რომელსაც, ჩინოვნიკი ვაზდელიანის აზრით, რუსული დროშა ამშვენებდა. ბუნებრივია, ჩინოვნიკის პატივითუღალად მშფოთვარე გულმა ამას ვერ გაუძლო, გვირგვინის სამფეროვანი ლენტის შემოაძარცვა და იქვე სახელდახელოდ გაჩაღებულ მცირე კოცონზე დანვა.



მართალია, მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ჩვენი სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილეს სლოვაკეთის დელეგაციის მიერ მიტანილი გვირგვინის ლენტი დაუნვაეს (იმიტომ

რომ, სლოვაკეთის დროშაც რუსული დროშის ფერებშია), თუმცა ბ-ნი ვაზდელიანს არც ისტინარი გაუტეხავს და არც ბოდიშის მოხდის ხასიათზე მომდგარა (მეტიც, დაგვნი და კიდევ დაგვნივო! ან „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“).

ხოლო, არ ძალუძს, რადგან (მოვიხმობ ციტატას): „უმჯობესი იქნებოდა, სლოვაკეთის დელეგაციას გვირგვინზე არა რუსეთის დროშის ინფენტიური ფერების ლენტე, არამედ მინანური გვეკეთებინა... ბოდიში არავის აქვს მოსახდელი, ეს არის გაუგებრობა და დაუკვირებლობა იმ ჯგუფის, ვინც ეს განახორციელა.“

ჩინოვნიკის ლოგიკა შეუთვარობა, რადგან არავინაა ვალდებული, მუუთანმოს მას საკუთარი სახელმწიფოს დროშის ფერები, თუმცა, როგორც ჩანს, სამგორელმა ჩინოვნიკმა სხვაგვარად, არაკულად განსაჯა (ასეთი ჩინოვნიკი, რომ არ გყავდეს, უნდა გამოიგონოს!): „აღბათ, ძმა იყო ის შენი, მიტომ მიგიგავს დროშა“...

„ღაიბვიანეს, აღარსად ჩანან“

იმის პარალელურად, რომ ვეროსაბჭოს

საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის ხმის უფლება შეუწირა, ოღონდ წლის ბოლომდე და ქართული ევროპარლამენტარების მწვავე გამოსვლებიც მოისმინა, ზედაც, მხარდაჭერა აღუთქვია, თუმცა დაკონკრეტების გარეშე, ცნობილი ვახდა, რომ, შესაძლოა, „ნატოს“, კერძოდ, დასავლეთის სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკურმა ბლოკმა სამხედროები ვაგზავნოს აღმოსავლეთ ევროპაში. სახელდობრ, იმ სახელმწიფოებში, რომლებიც საფრთხეს გრძნობენ უკრაინაში რუსეთის ქმედებების გამო (ჩვენ?!).

„ნატოს“ ჯარების მთავარსარდალმა განაცხადა, რომ საუბარია ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში ღონისძიებების გატარებაზე, „რომლებიც ჩვენი აღმოსავლეთეუროპული პარტნიორობისთვის გარანტია იქნება“.

რაც მთავარია, მოქმედების ვეგმა უკ-

ანუ „აქით ჯარს ხომ არ ჩამოუვლია?“

ვე მიმდინარე კვირის სამშაბათს უნდა იყოს მზად. ხოლო „პროტერი“ ამატებს, რომ მაისიდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (უკრაინაში არსებული ვითარების გამო), აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის გაძლიერების მიზნით, 12-მდე ვაზრდის იმ თვითმფრინავების რაოდენობას, რომლებიც პალტისპირეთის სახელმწიფოების თავზე პატრულირებენ.

ჩვენ, ბუნებრივია, არ ვიცით, რა რეალურ შედეგს მოიტანს უსაფრთხოების თვალსაზრისით დაგეგმილი ღონისძიებები, თუმცა, თუ „ნატოელ“ მთავარსარდალს ვერნმუნებით - ჩვენი აღმოსავლეთეუროპული პარტნიორობისთვის გარანტია იქნებაო - ცოტად მარჯვნივ და სამხრეთისკენაც ხომ არ შემოიფრენენ?!

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახრობაძე მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაპაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზახეთის №47	გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ე ბ ი პოლიტიკა რედაქტორი - ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი - თამუნა საგაძე საზოგადოებრივ და კულტურა: მირა მანუჩიძე, ნინო ნულუკაძე, ნათია შტაინვილი, სლოვე გველსინი, პაპ პატარია, ნინო ღამთაძე, მარია ხიფარიძე, ხატია პარანაძე, ლალი მიქაბაძე, თამუნა ახრობაძე, თამუნა ნინაძე, პაპ სულაზანი, ქაიო დიდგებუძე რელიგია: ნათია შტაინვილი, თამუნა ახრობაძე, რეზა ტომარაძე კრიმინალი და სამართალი: ნინო ლაშაური, პაპ პარანაძე
დაიფუძნა: ლაშა ბაბუღია, შაჰნაზი რუსაძე, ანა თაყაიშვილი მედია: ნინო ღამთაძე, მანა ნულუკაძე სპორტი: ლაშა ბაბუღია, შაჰნაზი რუსაძე სტილისტ-რედაქტორი: თამარიკა ზამთარაძე სტილისტი: ნინო ნაჩიბიძე მთავარი რედაქტორის თანამშემკ: თამუნა ახრობაძე ოპერატორი: მანა პარანაძე ფოტოკორესპონდენტები: თამუნა კვიციანი, ლეკო ხაჩიძე მხატვარი: ზაალ სულაპაური, ჯეჰად უხლაძე	დირექტორი: მუშა ახრობაძე ოფისმენეჯერი: ინგა პარანაძე იურისტი: ქაიო შტაინვილი მთავარი კონომისტი: ნინო პარანაძე კომერციული მენეჯერი: მარინა მანაძე ვებ-გვერდის მოდერატორი: სპაპ პარანაძე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: სარკელაო დარგი: სოფი ლორინი სარეკლამო სახსარები: სოფი ლორინი, მანა ნულუკაძე, ხატია უხლაძე მარკეტინგის მენეჯერი: ლაშა მინთაშვილი
ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52	სარეკლამო სახსარები: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“ იბეჭება გამოცემლობა „თბილისელები“	ვებ-გვერდი: www.tbilisebi.ge ელექტრონული ფოსტა: tbilisebi2001@gmail.com ; tbilisebi2001@yahoo.com



ტურისტული დასახლები - ყირიმში ანუ როგორი სუნი უდის კავიტალიზმს

იმ მარტივი მიზეზით, რომ დასავლეთსა და რუს-სორის შავზე უმავესმა კატამ გაი-რინა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო „დაბეჭდვითი რეკომენდაციას“ აძლევს საკუთარ მოქალაქეებს, რომ არ დატოვონ ქვეყნის საზღვრები და არ არავითარ შემთხვევაში არ გაემგზავრონ უცხოურ ქვეყნებში.



მოტივი კარგად დავიწყებული ძველია: აშშ-ის სამართალდამცველმა ორგანიზებამა მათ, შესაძლოა, პრეტენზიები ნაუყენონ და, არც მეტი, არც ნაკლები, გისოსებს მიღმა ამოაყოფინონ თავები, თანაც - კარგა ხნით. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში მოგზაურობისგან ურჩევნ თავშეკავებას, რომლებსაც აშშ-თან აქვთ შეთანხმება ურთიერთგაცვლის შესახებ (ასეთი კი მსოფლიოში 100-ზე მეტია).

რფ-ის საგარეო უწყება განგაშის ზარებს არისხებს: აშშ-მა ანტირუსული კანონი მიიღო, რის მიხედვითაც, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო, რუსი ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების ნაწილს დასავლურ ქვეყნებში შესვლა აუკრძალა, და მერე რა, რომ, რეალურად, რფ-ის მოქალაქეების მიმართ ვაშინგტონს არანაირი სანქციები არ დაუწესებია და არც არავინ დაუპატიმრებია

(ან რა თავში იხლის მათ დაპატიმრებას?!). თუმცა ეს ხელს ვერ უშლის რუსეთის საგარეო უწყებას, რომ თავისი მოქალაქეები „ამერიკული სასტიკი მართლმსაჯულებით“ დაამინოს.

თუმცა ძალის თავი მთლად კარგად დავინყებულ ძველში არ უნდა იყოს დამარხული: ბოლო წლებში უცხოეთში მოგზაური რუსი ტურისტების რიცხვი მხოლოდ იზრდება. მაგალითად, 2013 წელს რუსეთიდან უცხოეთში 18 მილიონი რუსი ტურისტი გაემგზავრა, ყველაზე პოპულარული ტურისტული მარშრუტების ჩამონათვალი კი შემდეგნაირია: თურქეთი, ეგვიპტე, საბერძნეთი, ჩინეთი, ტაილანდი, ესპანეთი, ფინეთი, გერმანია, იტალია და არაბთა გაერთიანებული საემიროები.

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ ყირიმს შენახვა უნდა, ყირიმელებს კი - შემოსავლის წყარო, საგარეოდ, რფ-ის საგარეო უწყების რეკომენდაცია რუსი ტურისტების ორგანიზებულ ჯგუფებად ყირიმში გადასახმას ისახავს მიზნად (რომ ყირიმელებს აღმოხდეთ: ვიმ, რა კარგი რამ ყოფილა რფ-სთან შეერთება). ჩვენ არ ვიცით, გაითვალისწინებენ თუ არა რუსი მოქალაქეები ამ რჩევას, ოღონდ ისიცაა, თუ არ გაითვალისწინებენ, გაათვალისწინებენ. აქედან გამომდინარე კი, იხადება ლოგიკური კითხვა: როდის გახდება საველდებულო რფ-ის ყველა მოქალაქე მამაკაცისთვის ვლ. პუტინის ვარცხნილობა? თუმცა, მე რომ მკითხოთ, ბოტოქსის ინექციების დაკანონება აჯობებდა, რადგან რუსეთის მოქალაქე ყველაზე სახეგადატყვეილი მოქალაქე უნდა იყოს სამყაროში (ციკლიდან: საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მსოფლიოში)! ☹

„ბეჭდების მბრძანებლები“

„მალა-მალა რას დაფრინავ, დაგლა იარე“

თუკი ჩრდილოეთკორეელი ასტრონავტები მზეზე დასხდნენ პირველად კაცობრიობის ისტორიაში და კორეელებს მტკიცედ სწამთ, რომ ასეც იყო (მზემ კი იმიტომ ვერ დანვა, რომ ასტრონავტები მას ლამით ეწვივნენ - ☹), რფ-ის ვიდე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა რუსეთის წინამე მდგარი სამი კოსმოსური ამოცანა ჩამოყალიბა: მთვარის კოლონიზაციით დაწყებული და მარსისა და სხვა ციური სხეულების ათვისებით დამთავრებული.



ბ-ნი როგოზინი არ გვიმალავს, რომ რუსეთი აპირებს მთვარეზე ერთელ და საბოლოოდ დამკვიდრებას. კერძოდ (მოვიხიბო ციტატას): „მიზანშეწონილი არ არის, მთვარეზე 10-20 გაფრენა და შემდეგ მარსზე გადასაცვლება... მთვარე უმნივწელოვანესი ობიექტია ფუნდამენტური კვლევების ჩასატარებლად და, შეიძლება, იქცეს თანამედროვე კოსმოსური ტექნიკის გამოსაცდელ ადგილად.“

„სამყაროს სიღრმეების შესასწავლად“, ბ-ნი როგოზინის აზრით, მთვარეზე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია უნდა განთავსდეს, თუმცა პირველი ადამიანის გადასმას 2030 წლისთვის ვარაუდობს, რის შემდეგაც მთვარეზე მუდმივი ბაზაც გაიხსნება, საიდანაც რუსი ასტრონავტები არა მხოლოდ მარსზე, მზის სისტემის სხვა ასტრონავტებზეც გადაფრინდ-გადმოფრინდებიან.

მე ვერ გეტყვით, ეყოფა თუ არა რფ-ის რესურსი, დაბლა - დედამიწაზე „მინების შეგროვების“ და იქ, მალა - ციური სხეულების დაუფლების, თუმცა ურიგო არ იქნებოდა, თუკი ერთ დღესაც მთვარეზე გადაბრუნდებოდნენ: ჩვენ, დედამიწაზე დავისვენებდით და ისინიც დაშოშინდებოდნენ - რაკი „სამყაროს მბრძანებლები“ გახდებოდნენ. ☹

გვერდები მოამზადა ნინო ხაჩიკაძე

რომანტიკულად გულდაკოდილება მსიზღავს, მაგრამ მეშინია

მართალია, ქართველი პარლამენტარების მიერ ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, როგორც ოკუპანტები იტყვინდნენ, „რებრომ“ დასმულ შეკითხვაზე, ჩვენ ვრისკავთ და კვლავ გვინდა „ნატოსა“ და ევროკავშირში, მაგრამ თქვენი მხარდაჭერის დოზა გვიანტერესებსო, დასავლელმა კოლეგებმა ასეთივე პირდაპირობით არ გვიპასუხეს, თუმცა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის ქართველ კოლეგას აღუთქვა, რომ „უკრაინის კრიზისის საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს“ და ასოცირების ხელშეკრულებაზეც დაჩქარებულად მოგიწევთ ხელსო.




რეფორმებიც მოგიწინა და მათი განხორციელების ტემპიც, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუკი იმ ნაწინანატრი ხელმოწერის მომენტისთვის მზად ვიქნებით ევროპული სტანდარტების პროდუქციის სანარმოებლად, ჩვენს ღრმად და თავისუფლად

ვაჭრობას ამ ჩვენს ვეროპულ პარტნიორებთან წინ ვერაფერი დაუდგება. ☺

მეტიც, ბ-ნმა შტაინმაიერმა შენიშნა (მომყავს ციტატა): მსურს... დაგარწმუნოთ, რომ თქვენ გეყნებათ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა, ეს ეხება საქართველოს თანამშრომლობის განვითარებას როგორც ევროკავშირთან, ისე „ნატოსთან“. ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცვლებაო.

სამწუხაროდ, მას არ განუმარტავს, რა ფორმის იქნება ეს მხარდაჭერა - რეზოლუციების თუ რაკეტების, თუმცა, თუ ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას გავიხსენებთ, „ნატოს“



კარი ღიაა და საქართველო, ადრე თუ გვიან, ალიანსის წევრი ვახდებოა, ჩვენი და „ნატოს“ ურთიერთობა მეტად რომანტიკულად გულდასაკოდიდა: „წყაროსთან ჩაიყვანს და წყალს არ დაგალევიანბსო.“ ☹

ნომბის ტექნონი ინოვი

0902 200 206

0902 200 244

ზარი ფასიანია

მობილურებიდან



– საქმე ის არის, რომ ფორმირდება ნორმა-ლური, გამჭვირვალე სიტუაცია. ეს არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ ამ გადამწყვეტილების მიღებისთანავე მომენტალურად ჩამოართმევენ ყველას აფხაზურ პასპორტებს. მიღებულია მთავარი გადაწყვეტილება: პროცესები ბრუნდება სამართლებრივ ჩარჩოში, რადგან ის 26 000 პასპორტი, რაც ბოლო წლებში გაიკა გალისა და ტყვარჩელის რაიონებში, გაიკა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. ადგილებზე უკანონოდ შექმნილი კომისიები იღებდნენ ამ გადაწყვეტილებას.

– ეს კორუფციული სქემა იყო თუ პოლიტიკური?

– მე მზად არ ვარ, გიპასუხოთ ამ კითხვაზე. როგორც ჩანს, ყველაფერი: კორუფცია, პოლიტიკა... მთავარია, რომ დაირღვა აფხაზეთის მოქმედი კანონმდებლობა.

– რა თვალსაზრისით, რადგან ის არ იძლევა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას, თუ მეორე მოქალაქეობა არ არის რუსული?

– არის წესები, რის მიხედვითაც ადამიანს შეუძლია, მიიღოს აფხაზეთის მოქალაქეობა, ეს წესები ირღვეოდა და ამიტომაც გამოიწვია ამ საკითხმა ასეთი აჟიოტაჟი.

– კონკრეტულად რა პროცედურა იყო და რეალური ეთნიკური ქართველების შემთხვევაში?

– დავასრულებ აზრს, დაკითხვაზე ხომ არ ვარ!

– არა, რა თქმა უნდა, უბრალოდ საინტერესოა, როგორ მიიღეს მანამდე ქართველებმა აფხაზური პასპორტები.

– ვიმეორებ: პარლამენტის გადაწყვეტილება ამ სიტუაციას სამართლებრივ ჩარჩოში მოაქცევს. ადამიანებს უწინდებათ გამჭვირვალეობის შესაძლებლობა. მათ ეძლევათ არჩევნის თავისუფლება. მათ შეუძლიათ არჩიონ ის მოქალაქეობა, რომელიც უნდათ. ვთქვათ, ადამიანს უნდა, რომ დაიტოვოს საქართველოს მოქალაქეობა, კანონიც აძლევს ამის საშუალებას შესაბამისად, ის ადამიანი ამას გააკეთებს ლეგალურად და არავის მოატყუებს. თუ ადამიანი მუდმივად ცხოვრობს გალის რაიონის ტერიტორიაზე და დაიტოვებს საქართველოს მოქალაქეობას, მას მიეცემა ბინადრობის მიწმობა და ექნება ყველა უფლება, რაც აქვთ აფხაზეთის მოქალაქეებს, გარდა ერთისა – ის ვერ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

– მუშაობის დაწყებას შეძლებს?

– რა თქმა უნდა, სხვა უფლებები რჩება. მთავარია, რომ ადამიანი გაემიღოს ჩრდილიდან და დამალვის აუცილებლობა აღარ იარსებებს. მე ვფიქრობ, რომ ეს არის პარლამენტის გადაწყვეტილების მთავარი შედეგი. ეს ცვლილება არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტული ეროვნების ადამიანების მიმართ.

– ეთნიკური ქართველების გარდა, აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს აქვთ მსგავსი პრობლემა? ქართველების გარდა ვინმეს აღმოუჩინეს დარღვევით გაცემული პასპორტები?

– ზუსტად ასეთი პრობლემა არ აქვთ, თუმცა აფხაზეთის კანონმდებლობა ამბობს, რომ აფხაზეთის მოქალაქეს შეუძლია, ჰქონდეს რუსეთის მოქალაქეობა.

– როგორ გაიგებთ, აქვს თუ არა გალელი ტყვარჩელელ ქართველს საქართველოს მოქალაქეობა?

– იმ პირობებში, როდესაც საქართველოსთან შეჩერებულია ყველაწარმოებული ურთიერთობა, ას-

გასულ კვირას აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება გალში მცხოვრები, ოღონდ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის შესახებ. თუმცა მათ მისცემენ ვერც ნოდებულ ბინადრობის მიწმობას, რაც, გადამწყვეტილების მიმდებარე თქმით, აფხაზეთის ქართველებს დაუტოვებს ყველა უფლებას, გარდა არჩევნებში ხმის მიცემისა. ზემონახსენები გადაწყვეტილება, აფხაზური წყაროების ცნობით, 25 000 ეთნიკურ ქართველს შეეხება. მართალია, ამ გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზად რეალობის კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა სახელდება, თუმცა არაერთხელ დაწერილა აფხაზურ პრესაში, რომ გალელი ქართველებისთვის აფხაზეთის მოქალაქეობის, კერძოდ, საარჩევნო ხმის მიცემა-ჩამორთმევას სწორედ პოლიტიკური კონტექსტი აქვს. ვითარებაში უკეთ გასარკვევად ბუნებრივ კომპანიას დავუკავშირდით.

ჩაგომ უჩივს გუგამ ფაჩვიჩიძის ახიური მითხვალი გუსან კობახია მია ფაჩვიჩიძის ნიკიტოს „ახიური გუს ნელინაი“ და ჩაგომ ჩამორთმევენ საქართველოს მოქალაქეობის მქონე ბელარუსელებს აფხაზურ პასპორტებს

ეთი ინფორმაცია არ გვაქვს, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ნებისმიერი გზით მოვიპოვოთ ინფორმაცია, არამედ, ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავად მიიღოს გადაწყვეტილება მოქალაქეობასთან დაკავშირებით. მოდი, ვიმსჯელოთ: რატომ იღებენ გალელი საქართველოს მოქალაქეობას? ალბათ, იმიტომ რომ ქართველები არიან და უნდათ, რომ ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობა, მეორე – თბილისიდან ისინი იღებენ შედეგაობებს, პენსიებს და, თუ უარს იტყვიან, ამ სოციალურ დახმარებებს დაკარგავენ. მეორე მხრივ, რატომ სჭირდება გალელ ქართველს აფხაზური მოქალაქეობა? იმიტომ არა, რომ ძალიან უნდა საარჩევნო პროცესში მონაწილეობა, თუმცა შესაძლოა, ეს მომენტიც იყოს, მაგრამ, ჯერ ერთი, აქამდე მოქმედი კანონმდებლობით, მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეს შეეძლო განეხორციელებინა ოფიციალური ქმედებები უძრავ ქონებასთან თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, აფხაზეთის მოქალაქეებს აქვთ რუსეთთან უფრო მიმოსვლისა და რუსეთის მოქალაქეობის მიღების უფლებები.



თუ ისტორიულად მივუდგებით ამ საკითხს, დიდია ალბათობა, რომ აფხაზეთი კი არა, საქართველო უნდა იყოს აფხაზეთის ნაწილი

– ეს უფლება ახლა უკვე თითქმის ყველას აქვს პოსტსტატუსითა სივრცეში.

– დახს, „დუმის“ გადაწყვეტილებით, უკვე ლამის ნახევარ მსოფლიოს აქვს რუსეთის მოქალაქეობის მიღების საშუალება. ამიტომ, ჩემი აზრით, აფხაზეთის პარლამენტმა მიიღო კარგი გადაწყვეტილება.

– ქართველებს აფხაზური პასპორტების გარეშე ექნებათ საკუთრების უფლება? ის კარ-მიდამო, სადაც ცხოვრობენ, მათი კერძო საკუთრებაა?

– დღეს ეს მათი საკუთრებაა და არავინ ართმევს ამ უფლებას. თუ ყურადღებით წაკითხეთ აფხაზეთის პარლამენტის გადაწყვეტილება, ერთ-ერთ პუნქტში აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტი სთავაზობს, შეიმუშაოს კანონპროექტი, რომელიც დაარეგულირებს ბინადრობის მიწმობის მოქმედების ნორმებს და, როგორც ჩანს, იქ იქნება განვირედი ეს პროცედურები. დაველოდოთ, რა მოხდება. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღო აფხაზეთის პარლამენტმა და ეს კიდევ ერთი ნაბიჯია აფხაზეთის დემოკრატიზაციისკენ გადადგმული. ამ საკითხს სიმწვავეს სძენს აფხაზეთსა და საქართველოს შორის არსებული, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული მდგომარეობა, ჩვენ, ფაქტობრივად, საო-

მარ მდგომარეობაში ვართ და მოლაპარაკებების პროცესს არანაირი შედეგი არ მოაქვს. მეორე მხრივ, ჩვენ ვაკვირდებით იმ პროცესებს, რაც ხდება საქართველოში.

– რას გულისხმობთ?

– ახალი პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა თუ მინისტრთა კაბინეტის მხრიდან ჩვენ არ მოგვისმენია მკვეთრი განცხადებები აფხაზეთის მისამართით. მათი ზოგიერთი განცხადება ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ აგრესიული განცხადებები არ კეთდება და იმედი მაქვს, რომ ოდესმე მივაღწიოთ ვითარებამდე, როდესაც შევძლებთ, მოვანეროთ ხელი შეთანხმებას მშვიდობაზე, ურთიერთდიალოგზე და ახლებური კუთხით განვავითარებთ ჩვენს ურთიერთობებს. თუ ეს მოხდება, პასპორტების თემაც მოიხსნება. მეტიც, საერთოდ აღარ ექნება მნიშვნელობა, ვინ რომელი ქვეყნის მოქალაქეა. კიდევ ერთხელ მიხდება გაგიმეორა – დავამთავროთ ომი და დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობები.

– შევიძლება გეთანხმებით აბსოლუტურად, ურთიერთდიალოგზე, ბუნებრივია, არა. ითქვას, რომ აფხაზეთის ქართველებისთვის საარჩევნო ხმის ჩამორთმევას აქვს პოლიტიკური სარჩული. ოპოზიციამ მიწმობს, რომ ისინი ხმას მისცემენ არსებულ ხელისუფლებას.

– ვფიქრობ, ასეთი შიში არსებობს.

– რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ქართველების ხმები, იმიტომ რომ აფხაზური საზოგადოების ხმები დაქსაქსულაა?

– არჩევნები არის ბრძოლა ხმებისთვის.

– და ამ გზით მიდის ქართული ხმების ნეიტრალიზაცია, რადგან ისინი, როგორც ნენს, მოქმედ ხელისუფლებას აძლევენ ხმას?

– ნებისმიერი არჩევნები გულისხმობს ბრძოლას ამომრჩევლისთვის და ყველა იბრძვის.

– როგორც ჩანს, აფხაზურმა ოპოზიციამ აჯობა ხელისუფლებას და ქართველების ხმები გაანეიტრალა?

– დღევანდელი ხელისუფლებაც თავის დროზე ოპოზიციას იყო, მაგრამ ბრძოლა ამომრჩევლისთვის ყოველთვის მიმდინარეობდა.

– თქვენ მიესალმებით ყირიმელების თვითგამორკვევის უფლებას და, ზოგადად, თვითგამორკვევის უფლებას აღიარებთ უპირობოდ და მოუკიდებლობისთვის გზაზე, ეს ნიშნავს, რომ ასევე, თანაუგრძობობით, მაგალითად, გალელი ქართველების თვითგამორკვევის უფლებას?

– ძალიან დიდი საკითხია. რაც შეეხება ყირიმს: რა თქმა უნდა, სიმბათით ვუყურებ ნებისმიერ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი უფლებებისა და დამოუკიდებლობისთვის.

– მაშინაც, როცა იმ ხალხს გვერდით უზარმაზარი სახელმწიფო უკვე აქვს თვითგამორკვეული?

– ამ შემთხვევაშიც. მეორე, უკრაინაში მიმ-



დინარე მოვლენებში ძალიან ადვილია რუსეთის დადანიშნულება, მაგრამ პასუხები სხვა სიბრტყეში უნდა ვეძებოთ: თუ როგორ ირღვევა უკრაინაში ადამიანის უფლებები და ასე შემდეგ.

- **თუ თვითგამორკვევის უფლებაზე გკითხვით.**

- აქამდე ითვლებოდა, რომ უკრაინელები და რუსები ერთი ხალხია, ახლა მიმდინარეობს უკრაინელებისა და რუსების თვითიდენტიფიკაციის პროცესი და მადლობა ღმერთს, რომ სისხლიანი არ არის, რადგან, როგორც ნესი, ასეთ პროცესებს დიდი სისხლი ახლავს თან.

- **მე სხვა რამ გკითხვით: თუ მხარს უჭერთ ყირიმსა თუ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლებას, უჭერთ თუ არა მხარს აფხაზეთში ქართველების, სომხების, რუსების თვითგამორკვევის უფლებას? თუ თვითგამორკვევის უფლება მხოლოდ მაშინ არის აქტუალური, თუ ის რუსეთის მიმართ არის?**

- რა თქმა უნდა, თითოეულ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ ამ უფლების დაცვა უნდა შეგეძლოს. თუ რეალურად ირღვევა ადამიანის უფლებები, თუ მათ უშლიან ლაპარაკს მშობლიურ ენაზე, არ აძლევენ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებას, ადამიანებმა უნდა დაიწყონ ამ უფლებებისთვის ბრძოლა. მთავარია, მათ სჯეროდეთ თავიანთი სიმახირის, როგორც ეს იყო აფხაზეთის და ყირიმის შემთხვევაში.

- **ნაკლებად მგონია, ყირიმელები ასე ოპორტიუნულად თვითგამორკვეულყვნენ, იქ რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი არ მდგარიყო.**

- თქვენ ცდებით, ეს პროცესები ყველგან ხდება: მოლდოვანია, ესპანეთი, იტალია, ბელგიაში რთული ვითარებაა.

- **ევროკავშირი დგას კეთილდღეობაზე, მათი თვითგამორკვევის მოტივი არის უფრო**

უკეთეს ცხოვრება, თუკი აღმოჩნდება, რომ ეს თვითგამორკვევა გააუარესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას, ისინი მაშინვე უარს იტყვიან ამაზე. აქ სხვა ვითარებაა.

- როგორც უნდა იყოს, მე მსოფლიო ტენდენციებზე ვამბობ. არ არის აუცილებელი, ვინმე გედავს უკან, მთავარია, საკუთარ სიმახირეს გრძობდე, სხვა დანარჩენი მოიძებნება. როდესაც ჩვენ ერთმანეთთან ვომობდით, აფხაზეთი ცუდ ვითარებაში იყვნენ, რადგან მთელი მხარე დაჭრა იყო ქართველების მხარეს. ომის შემდეგ მოვიდა იმის აღქმა, რომ ჩვენ არ ვართ ტერორისტები და ვცდილობთ, ავაშენოთ ნორმალური, დემოკრატიული საზოგადოება, ამის მეორე მოვიდა აღიარება...

- **რომელიც ხუთიდან ერთ-ერთმა ტუვალუმ უკან წაიღო. თუ ნიკარაგუსა და ვენესუელაში გაიმარჯვა ოპოზიციამ, დიდი ალბათობით, ისინიც უკან წაიღებენ, ნაურუ პრობლემა არ არის, და შეიძლება, დარჩეს ერთ-ერთი ამლიაზებული - რუსეთი. როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

- მშვენიერად. არავის ვთხოვდით აღიარებას, თუ ვინმე ვგაიარა, მადლობა, თუ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს მათი საქმეა. მე არ ვიცი, რატომ უთმობთ ამას ასეთ დიდ ყურადღებას: თითქოს ეს იყო ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვება!

- **არავინ ამბობს, რომ ეს დიდი გამარჯვებაა, უბრალოდ ფაქტი აღვნიშნე.**

- პაატა ზაქარიძე იმეორებს თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ ეს ქართული დიპლომატიის დიდი გამარჯვებაა. მე არ ვიცი, თუ ტუვალუმ ან სხვა ქვეყანა ცდილობს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას, ეს მათი საქმეა. სასაცილოა, თუ ამით ცდილობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაამტკიცოს თავისი მნიშვნელოვნება. მე ძალიან მიყვარს თქვენი საგარეო საქმეთა მინისტრის მამის ნაწარმოებები. ვურჩევ მათ

ფანჯიკიძეს ნაკითხოს მამამისი წიგნები, იქ ადამიანებს შორის სულ სხვანაირი დამოკიდებულებებია. ალბათ, სხვა გამარჯვებები არ აქვს და ამიტომაც აკეთებენ ამაზე აქცენტს.

- **პირადად მე არ მსმენია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ეს გამარჯვებად მოენათლა. ფიქრობთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, აფხაზეთი რუსეთის ნაწილი გახდეს, როგორც ყირიმი?**

- ყირიმის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩართვა ისტორიული სიმახირე იყო, რადგან ყირიმი ყოველთვის ეკუთვნოდა რუსეთს და მათ ამისთვის დიდი ფასი გადაიხადეს. მეორე - იქ არის რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზირების ადგილი, რომლის ყოფნაც იქ ერთ დღესაც არალეგიტიმურმა ადამიანებმა საფრთხის ქვეშ დააყენეს და რუსეთმა ირეაგირა ამ გადამწყვეტილებაზე. ყირიმი და აფხაზეთი არ ჰგავს ერთმანეთს.

- **მე პოლიტიკურ შემადგენელზე ვამბობ.**

- არანაირი აზრი არ აქვს რუსეთისთვის აფხაზეთის თავის შემადგენლობაში ჩართვას. ყირიმში კი აღსრულდა ისტორიული სიმახირე.

- **ისტორიული სიმახირე არაფერს ნიშნავს საერთაშორისო სამართლისთვის, მაგრამ, რადგან ახსენეთ, ისტორიული სიმახირე აფხაზეთი საქართველოა.**

- ნინო, თუ ისტორიულად მივუდგებით ამ საკითხს, დიდია ალბათობა, რომ აფხაზეთი კი არა, საქართველო უნდა იყოს აფხაზეთის ნაწილი.

- **ჩვენ არ ვართ ნინაღმდევნი.**

- **(იცინის)** ვთავაზობთ ფართო ავტონომიას, ანუ ამაზე - პრეზიდენტად.

- **არ გვინდა ფართო ავტონომია, თანამართ ვართ უნიტარულ სახელმწიფოზე.**

6166 ხარისა

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამომხდები 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაიშვილის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საგარეო (ქსაქსის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერი)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური სანარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპემის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნოზაციის ცენტრი 240-52-78
24. ოუსტიციის სამინისტრო 230-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50

ცნობარი

26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კანტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. ანალიზაციის საგარეო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთობის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატროლო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33

- (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლი მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციებისა და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
 47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
 48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
 49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
 50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი - 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი - 230-99-03.
 51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და ნეროლების განყოფილება)
 52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
 53. ქორწინების რეგისტრაცია სილნალო 595 24-77-77
 54. ლეთისმეცნიერ კავშირის ცხელი ხაზი (მეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
 55. „ყავტრანსგაზი“ 220-04-04 (ვაზიფიკაციების სამსახური)
 56. „ყავტრანსგაზის“ სადისპეტჩერი 231-04-04
 57. „ყოფილი პოლიტაქტიმრები - ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
 58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
 59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიეო 241-42-63
 60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიეო 274-62-67
 61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტო-ავტოლი“ 275-34-33
 62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
 63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11



– მთავრობა შეცვალა თუ არა, 2012 წელს, მაშინვე დაიწყო სურსათის უვნებლობის კოდექსის მონესრულება. წინა მთავრობისთვის სურსათის უვნებლობის კოდექსი იყო დროის გაყვანის საშუალება იმისთვის, რომ არავფრთხილ ექვემდებარებოდა მუშაობის ვითარებას ვერაფრის ინტეგრაციის ილუზია, იმიტომ რომ, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობის დადების ერთ-ერთი პირობა, მოგვსენებათ, იყო სურსათის უვნებლობის საკითხის მონესრულება ქვეყანაში. მაგრამ წინა მთავრობის მიზანი იყო, რაც შეიძლება ნელა წარმართულიყო ეს პროცესი და ამისთვის სხვადასხვა საშუალებას იყენებდა. დიდი იმედს გვქონდა, რომ ეს მთავრობა რეალურად დაიწყებდა ახალ სისტემაზე გადასვლას, თუმცა, ფაქტობრივად, იგივე პრაქტიკა გაგრძელდა. წელიწადნახევარი დასჭირდა იმისთვის, რომ ცვლილებები შეეტანათ პარლამენტში და ვერ ვიტყვით, რომ ეს ცვლილებები რაღაცას ცვლიდეს მნიშვნელოვნად. თუმცა ჩვენ მოვახერხებთ ჩადებულ იყო ისეთი ცვლილებები, რომლებიც მომხმარებელს მეტ უფლებას ანიჭებს და გამჭვირვალეს ხდის სურსათის სააგენტოს მუშაობას. კოდექსს წარმოადგინა დრავიონული მოთხოვნები: კერძოდ, მომხმარებელს საჩივრის შესატანად აღარ სჭირდება იმის დამტკიცება, რომ ის მოინამლა, აღარ დასჭირდება ლაბორატორიდან ცნობის მიტანა, რომ სურსათი მართლაც მავნე იყო, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ევროპულ სისტემაზე გადავიდეთ. ყველაზე არასასაიმოვნო ის არის, რომ წელიწად-ნახევარია, მიმდინარეობდა პერიოდული განხილვა, მაგრამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, შეუთანხმებლად შეიცვალა კოდექსი და ისე შეიტანეს პარლამენტში, თან, ჩადეს მუხლი, რის მიხედვით, კუსტარული წარმოება, ცხოველური წარმოების სურსათის წარმოება, მათ შორის, იმერული ყველის, რეგულაციის გარეშე რჩება.

– შეიძლება, ვიყო მწარმოებელი, თუნდაც, კუსტარულად ვამზადებდე პროდუქტს და არ ვიყო დარეგისტრირებული?

– 2020 წლამდე რეგულირებას ექვემდებარებიან მწარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები, ანუ იმავე ყველის მწარმოებელი, თუ ის რეგისტრირებულია მწარმომადგენელი, რა თქმა უნდა, ექვემდებარება ამ კანონის მოთხოვნებს და შემოწმებას. მეორე მხრივ, ბუნებრივია, ყველას შემოწმება წარმოუდგენელია, ამის რესურსი არ არსებობს.

– აქ ალბათ, ივლისს მებრუნების ალბათობა, რაც მწარმომადგენლის პიტიონურ ფორმამ არსებობას აძლევს?

– რა თქმა უნდა, როდესაც არსებობს ალბათობა, რომ ვიღაც ოდესმე შეგამოწმებს, ხარ მობილიზებული და რაღაც წესრიგს იცავ. მაგრამ ისინი, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული ფიზიკური პირები, მწარმომადგენლის მიღმა რჩებიან. სოფლის მეურნეობის სამინისტრო იმით იმართლებს თავს, რომ ფიზიკური პირები, რომლებიც, ფაქტობრივად, ეწევიან მწარმოებას, რეგულაციულად ანარქოებენ ყველს, რომელიც ან თავად გააქვთ, ან სხვას ატანენ ბაზარზე, ეწევიან სამწარმოო საქმიანობას და ისინი უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი, რეგისტრაციაში უნდა გაატარებინო შესაბამისმა სტრუქტურებმა. რეალურად, რომ არ გამოიწვიონ არარეგისტრირებული კუსტარული მწარმოების უკმაყოფილება, თავიდან იშორებენ და სხვა სტრუქტურებს აკისრებენ. ეძებენ იოლ გზას, რომ არჩევნების წინ არ გააღიზიანონ ხალხი.

– მაშინ 2015 წლამდე გადავინათ, რაღა 2020-მდე?

2014 წლის 20 მარტს საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტში წარადგინა „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ ცვლილების პროექტი. კანონპროექტის მომზადებაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2012 წლის დეკემბრიდან მუშაობდა და, თუმცა სამუშაო პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ექსპერტებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც თავიანთი შენიშვნებიც გამოიტყვეს, მთავრობამ მათი შენიშვნების მხოლოდ ნაწილი გაითვალისწინა და აღმოჩნდა, რომ ცვლილებები მაინც ვერ უზრუნველყოფს სურსათის მეტ უვნებლობას. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ბოლოს განხილული კანონპროექტის ვერსიით, კანონში შედიოდა არსებითი ცვლილება, რომელიც სურსათის უვნებლობას საქართველოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა: მკაცრდებოდა და ფართოდებოდა სურსათის უვნებლობის კონტროლი, რასაც უნდა მოეცვა არა მხოლოდ მსხვილი ქარხნები, რესტორნები და სუპერმარკეტები, არამედ სურსათის კუსტარული წარმოებაც. მით უფრო, რომ კუსტარული წარმოების პროდუქციის ნაკლებობას ქართული სამომხმარებლო ბაზარი არ უჩივია. კანონპროექტის პარლამენტში წაყვანილი ვერსიის კუსტარული წარმოების კონტროლი, რატომაც, 2020 წლამდე გადავადებული. რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ განმარტებით, ნიშნავს, რომ 2020 წლამდე კუსტარულ მწარმომადგენელს ელემენტარული ჰიგიენისა და სანიტარული მოთხოვნები დაეცვას კი არავე მოსთხოვს. ეს ელემენტარული პირობები კი, არც მეტი, არც ნაკლები, გულისხმობს: ხელსაბანს, ჭურჭლის რეგულარულად გარეცხვას, სალი ნედლეულის გამოყენებას, სურსათის დაცვას მღრღნელებისა და მწერებისგან და მსგავს ელემენტარულ, მაგრამ აუცილებელ ნებსებს. რაც მთავარია, თუ კუსტარულად წარმოებულ პროდუქციით მომხმარებლები მოინამლებიან ან დაავადდებიან, მწარმოებელს მაინც ვერავინ შეამოწმებს. არასამთავრობო ორგანიზაცია პარლამენტარებს მოუწოდებს, არ დაუჭირონ მხარი კანონპროექტს. მაშინვე კი ცენტრის მომხმარებელთა დაცვის პროგრამის ხელმძღვანელი ლია თოღუა განვითარებებს, რა რისკის წინაშე აყენებს მომხმარებელს ზემონახსენები კანონპროექტი.

რატომ არის საშიში კუსტარულად დაზავებული ქრეიშინი ნამსხვრები და რა დაავადებებს გამოწვევა შეუძლია იმერულ ყველსა და შებოლილ თევზს

– ამას ვითხოვდით ჩვენც, ამოქმედდეს 2015 წლის იანვრიდან, მაგრამ მათ 2020-მდე განელს პროცესი.

– უფრო გასაგები რომ იყოს მკითხველსთვის, ვის აქვს უფლება, აწარმოოს რეგულარულად პროდუქცია და არ იყოს დარეგისტრირებული?

– არავის აქვს ასეთი უფლება, მაგრამ რეალობა სხვაგვარია: პარლამენტში სწორედ ეს ვკითხვთ მინისტრის მოადგილეს, ბაზარზე გამოტანა იმერული ყველის რა ნაწილია რეგისტრირებული და არარეგისტრირებული მწარმოებლის მიერ წარმოებული. ეს ციფრები არ არსებობს, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღიარებს, რომ პროდუქციის დიდი რაოდენობა არარეგისტრირებული პირების მიერაა წარმოებული. იმით იმართლებენ თავს, რომ რაღაც ნაწილი მაინც იყიდება ოფიციალურ მაღაზიებში, ბაზარში არსებულში თუ სუპერმარკეტში და, რადგან მაღაზია, ვალდებულია, უზრუნველყოს იმის მიკვლევა, ვისგანაც აქვს შექმნილი პროდუქტი. ანუ ეს ყველი ვილაცაზე გაფორმდება და მივაგნებთო. მაგრამ ის ვილაც არ არის ის, ვინც რეალურად აწარმოებს ამ ყველს. ესე იგი, იმას, რაც ჩვენ გვიჩვენებს, რომ ელემენტარული ჰიგიენა იყოს დაცული ყველის წარმოების დროს, ვერავინ მიაგნებს. ეს ქალაქები რაღაცნაირად მოკვარახინდებდა და ჰიგიენა დარჩება ჰაერში.

– ცნობილია, მათ შორის, რეკლამებიდანაც, როდესაც ადგილობრივი მწარმოებლები ამბობენ, რომ პროდუქციას, ხორცს, ყველას თუ რძეს, ყიდულობენ ადგილობრივი გლეხებისგან, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული მწარმოებლები. ვინც შეისყიდის, ის ამომწვევებს და იცის, როგორ დაამზადა თუ სიტყვაზე ენდობა გლეხს?

– არ იცის, რა თქმა უნდა. ჩვენ ძალიან მტკივნეული სტადია გვაქვს გასავლენი. ვერ-

ობაში ყველი არ მზადდება კონტროლის გარეშე, განსაკუთრებით, იმერული ყველია საშიში პროდუქტი, რადგან არ გადის თერმულ დამუშავებას და ძალიან საშიში დაავადებები შეიძლება, გადაიტანოს. მაგალითად, ევროპაში, თუ ყველს აწარმოებ, შენთან ნამყოფი უნდა იყოს ინსპექტორი და შემოწმებული უნდა ჰქონდეს ჰიგიენური პირობები. მეორე საკითხია, რატომ არ აბარებს ჩვენთან გლეხი რძეს და აბარებს ყველს, თუმცა მისთვის ხელსაყრელია რძის ჩაბარება. ეს არის შემდეგი ეტაპი, რაც მოსახლეს უნდა იცნოს: რძეს არ იბარებენ, რადგან ძროხები არაა აცრილი და არ არიან დარწმუნებულნი, რომ ის რძე უვნებელია. 10 წელია, არაფერი გაკეთებულა ამ მიმართულებით და ეს მთავრობა მართალია, როდესაც ამბობს, ვინცეზით აცრებით და ნელ-ნელა წინ წავალთო. კი ბატონო, მაგრამ ჩვენ, მომხმარებლებმა, რა ვქნათ, ფაქტობრივად, დაუცველნი ვრჩებით?!

– იმერულ ყველზე გააკეთეთ აქცენტი, მაგრამ გულის ყველი და სულგუნი ან რძის სხვა პროდუქტები, კუსტარულად დაზავებული, უვნებელია?

– გულის ყველში, რადგან ბევრი მარცხი, ბევრი მიკრობიც იხილება; ასევე, სულგუნიც, რადგან ნახარშია. მანრო მთავარი და იქ ბევრი მიკრობი ვერ ვითარდება. ამდენად, ყველაზე საშიში პროდუქტია იმერული ყველი.

– რა დაავადებები შეიძლება, გამოიწვიოს იმერულმა ყველმა?

– მაგალითად, ბრუცელოზი და ტუბერკულოზი შეიძლება, გადადეს ადამიანს ძროხიდან. გვახსოვს, როდესაც 2012 წელს 200-ზე მეტი ბავშვი მოინამლა თბილისში. რეალურად, ისინი დიზინტერიით დაავადდნენ თბილისის ბაღებში. მათ ერთი და იგივე მომწოდებელი ჰყავდათ და ერთადერთი, რაც აღმოაჩინეს, იყო ის, რომ ყველი იყო არაჰიგიენურად ნაწარმოები და გააჩერეს ის მომწოდებელი. თუმცა ყველის მწარმოებელს ვერავინ მიაგნო, მაგრამ დიზინტერიის წყარო იყო ყველი. სადაც ის ყველი მზადდებოდა, ვილაც, რომელიც ხელს არ იბანდა, იყო დაავადებული ან ბინძური წყალს იყენებდნენ – ქის წყალი ყველგან შეიძლება, იყოს დაბინძურებული და არავინ იცის, რით. გადაჭრით ვერ იტყვი, რა დაავადებები შეიძლება, მოიტანოს ამ



მადლობა ღმერთს, რომ დღემდე გვიფარავს, მაგრამ, ფაქტობრივად, ბომბზე ვსხედვართ. არავინ იცის, როდის მოხდება აფეთქება დაბინძურებული პროდუქტის გამოყენების გამო



აღდგომის რიტუალები და ტრადიციები

სააღდგომოდ ჩვენ, ყველანი კვერცხს ნითლად ვლავებთ და ერთმანეთს ვუცვლით ამ სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“. ეს ჩვეულება ძალიან ძველია. არის გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მონაწევრები სხვადასხვა ადგილებზე დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაემუშა მარიამ მადლალენელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ემშაკი განდევნა და რომელმაც პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი. ნმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ, დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ახარა: „ქრისტე აღსდგა!“ იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეძლო მკვდარს, აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუფერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითლდეს“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც განითლდა. ამ დღიდან მოყოლებული, ქრისტიანები ნითელი კვერცხებით ეგებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.


საერთოდ, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება. იესო ქრისტემ სიცოცხლე მოგვანიჭა; ნითელ ფერში კი სისხლი მოიპოვებდა, რადგან ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმინდა და აკურთხა.

არტოსი

აღდგომის ერთ-ერთ ტრადიციას განეკუთვნება არტოსის კურთხევა – პატივად და დიდებლად და მოსახსენებლად დიდებული აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. არტოსი ბერძნული სიტყვაა და პურს ნიშნავს.

არტოსის კურთხევის ტრადიცია მოციქულების ეპოქას უკავშირდება. უფალი იესო ქრისტე აღდგომის შემდეგ თავის მონაწევრებს ეცხა-

დებოდა და მათთან ერთად ტრაპეზობდა (საქმეები 10,41). მისი ზეცად ამაღლების შემდეგ, მოციქულებს მარად ახსოვდათ მაცხოვრის სიტყვები: „აჰა, ესერა, მე თქვენთან ვარ ყოველთა დღეთა“ (მათე 28,20) და თავიანთ შეკრებებზე ცხოველი რწმენით შეიგრძნობდნენ მის სიახლოვეს. მაგრამ, რამდენადაც ხორციელი თვალთ არ შეეძლოთ ეხილათ უფალი, ტრაპეზისას მაგიდასთან ცარიელ ადგილს ტოვებდნენ იქ, სადაც ადრე მაცხოვარი იჯდა. ხოლო მის პირდაპირ, მაგიდის შუაგულში, დებდნენ პურის ნაწილს, რომელიც იესოსთვის იყო განკუთვნილი. აქ უხილავად სუფევდა თავად უფალი. ტრაპეზის დასასრულს მოციქულები მადლობას სწირავდნენ ღმერთს, იღებდნენ ამ პურს, აღამაღლებდნენ და ამბობდნენ: „ქრისტე აღსდგა“. როცა სახარების საქადაგებლად ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ, შეძლებისდაგვარად, ცდილობდნენ ამ ტრადიციის შენარჩუნებას.



ეკლესიის ნმიდა მამებმა ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე, მონაწევთა შორის მისი გამოცხადებების აღსანიშნავად დაადგინეს, რომ ტაძარში პური, ანუ არტოსი დაეღოთ. არტოსზე გამოსახული ჯვარი ეკლესიის გვირგვინით, ოლონ ჯვარცმულის გარეშე – ქრისტეს მიერ სიკვდილზე გამარჯვების ნიშნად. ტაძრებში ეს პური მთელი ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში ღია ტრაპეზის შუაგულში ასვენია. არტოსის მომზადებით ნმიდა ეკლესია მოციქულებს მიემსგავსება და ამ ნმიდა პურით მოგვაკონებს, რომ მკვდრეთით აღდგომილი იესო, გახდა ჩვენთვის ჭეშმარიტი პური ცხოვრებისა, რაც მის

კურთხევის ლოცვებშიც კარგად მოჩანს. ამ ლოცვებში მღვდელი ღვთისგან ლოცვა-კურთხევას გამოითხოვს და შესთხოვს, რომ განკურნოს სწეული და ჯანმრთელობა მიანიჭოს იმთა, ვინც მას რწმენით იგემებს. არტოსის კურთხევა აღდგომის პირველ დღეს, ლიტურგიის შემდეგ სრულდება, მორწმუნეებს კი ის ბრწყინვალე შაბათს, ნორვის შემდეგ ურჩევადება. ქრისტიანები შეიძლება ფიზიკური თუ სულიერი უძღურების შემთხვევაში, მას უზმოზე, ლოცვების წარმოთქმის შემდეგ იღებენ.

ჩვენში წესად დამკვიდრდა სასაფლაოზე ზუსტად აღდგომის დღეს – კვირას გასვლა. ეს მართებული არ არის, რადგან ამ დროს ადამიანს გლოვა არ შეეშინს. ქრისტიანი აუცილებლად ტაძარში უნდა შეეგებოს ამ დღესასწაულს და საფლავზე მთავრად დღეს გავიდეს, რათა მიცვალებულებსაც ახაროს ქრისტეს აღდგომა და ამის აღსანიშნავად საფლავზე ნითელი კვერცხი გადაავროს.

მორწმუნეები ამბობენ, ვინც აღდგომის ან ბრწყინვალე შვიდეულში გარდაიცვლება, პირდაპირ სასუფეველში ხვდება. აღდგომისას დახმულია ჯოჯოხეთის კარი. სამაგიეროდ, ყველასათვის გახსნილია კარი სამოთხისა. თუ უფალი ამ დღეებში ვინმეს გარდაცვალებას ინებებს – გახსნა ოდელი, რადგან მათი არი სასუფეველი ცათა. აღდგომასა და ბრწყინვალე შვიდეულში ეკლესიებში ალავლის კარი არ იკეტება, რათა ყველამ იცოდეს, რომ სასუფეველი არასდროს არ არის ისე ახლოს ჩვენთან, როგორც ამ დღეებში.

მაამზადა რაჰაჰ ტომარაჰამ

ყველმა, იმიტომ რომ, ის არ გადის თერმულ დამუშავებას.

- იგივე ეხება დილაობით ქუჩაში ჩამოტარებულ რძის პროდუქტებსაც.
- რა თქმა უნდა.
- კრემიანი ნამცხვრებიც რისკის ქვეშაა?
- კრემიანი ნამცხვრების სახლში გამოცხობისას, შეიძლება, დარღვეული იყოს ჰიგიენა და ცივი ჯაჭვიც. ანუ მაშინვე არ მოხვედეს მაცივარში პროდუქტი. ეს საშიშია, განსაკუთრებით, ზაფხულში, რადგან ყველანაირი დაავადება შეიძლება, განვითარდეს და სერიოზული ეპიდემიური აფეთქების წყარო გახდეს. მაღლობა ღმერთს, რომ დღემდე გვიფარავს, მაგრამ, ფაქტობრივად, ბოზმზე ვსხედვართ, არავინ იცის, როდის მოხვედა აუეთქება.
- თევზულს არ აქვს იგივე პრობლემა? შებოლილს მათ შორის?
- თევზს ხომ უმად არ მივირთმევთ? თუ შებოლილი თევზი უსტარულადაა დამზადებული, საშიშია, რადგან დღეს შებოლვას უწოდებენ ბოლის სითხეში ამოვლებას, როდესაც, ფაქტობრივად, არაფრის გაუყენებლყოფა არ ხდება.
- და მათაც არავინ შეამონებს 2020 წლამდე?
- დიას, თუ არ არის დარეგისტრირებული პირის მიერ წარმოებული, არავინ ამონებს.
- შემოტანილი გაყინული პროდუქციის ხარისხის შეფასებისას იმ საბუთების იმედზე ვართ, რომლებიც მოჰყვება მათ?
- ახლა საკმაოდ გამკაცრდა წესები, სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლები მითან იმ ქვეყნებში და ადგილებში ამონებენ სანარმოებს. ამდენად, ცოტა უფრო დაცულები ვართ, თუმცა ექსცესები აქაც ხდება. არის შემთხვევები, როდესაც უფარვის პროდუქციას აღმოაჩენს ხოლმე საბაჟო სამსახური.
- დიდი იმედი მაქვს, რომ ასოციაციების ხელშეკრულებას მოვანერო ხელს...
- მეც იმედი მაქვს. ივანისმი ვანერო ხელს და

- მამინეგ უნდა იყოს მონესრიგებული სურსათის უვნებლობის საკითხი.
- იმის თქმა მინდოდა, მთავრობას კუსტარულად წარმოებული პროდუქციის შემოწმების გადავადებით, იმიტომ ხომ არ აქვს, რომ ის პროდუქცია მაინც ვერ მოხვდება ევროპის ბაზარზე და ამიტომ არაფერი დამავდება, თუ ადგილობრივი მომზარებული ისევე რისკის ქვეშ დარჩება?
- ასოციაციების ხელშეკრულება იმას ნიშნავს, რომ, თუ არ შევასრულებთ მათ მოთხოვნებს და არ დავიცავთ მათ წესებს, ისინი ბაზარს არ გახსნიან. სანამ უსაფრთხო პროდუქცია არ გვექნება, არავინ შეუშვებს ევროკავშირის ბაზარზე, ჩვენდამი დამოკიდებულება კი ასეთია: ჩვენ მაინც ყველაფერს მივირთმევთ.
- გენმოდფიცირებული პროდუქციის შემოწმების საშუალება უკვე არსებობს, არის დანერგებული ამ მხრე ბაზარზე თუ ყველა გენმოდფიცირებულ პროდუქტს ანერია, რომ გენმოდფიცირებულია?
- ლაბორატორია გაიხსნა და შევამონეთ რამდენიმე პროდუქტი: ეგრეთ ნოდებული სოიის ფარში და სოიის ფქვილები. აღმოჩნდა, რომ ნაწილი იყო გენმოდფიცირებული, ნაწილი – არა.
- ენერა ეტიკეტზე?
- არ ენერა. აშშ-დან შემოსული იყო გენმოდფიცირებული და არ ენერა, ჩინეთიდან შემოსულს ენერა, რომ არ არის გენმოდფიცირებული, თუმცა ქართულმა ლაბორატორიამ მასში აღმოაჩინა გენმოდფიცირებული შემადგენელი, მაგრამ გერმანიის ლაბორატორიამ შემდეგ ვერ აღმოაჩინა. ამიტომ შეიძლება, ჩათვლიოს, რომ არ არის გენმოდფიცირებული. აშშ გენმოდფიცირებული პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია და არ არის გასაკვირი.
- მე ის გამიკვირდა, რომ არ ენერა, გენმოდფიცირებულია.
- იმიტომ რომ ამერიკული წესები არ ითხოვს ამას.

- შემომტანს არ ევალება, რომ დაანერს?
- იმპორტორს უნდა დაენერა. ჩვენ დაგვიკავშირდა და გაითხრა, რომ მისწერა მწარმოებელს აშშ-ში, მათაც დაუდსატურეს გენმოდფიცირებული შემადგენლის არსებობა პროდუქტში.
- სანქცია მხოლოდ ჯარიმია?
- ჩვენ ეს ინფორმაცია გაფუგზავნეთ სურსათის უვნებლობის სააგენტოს, მათ უნდა გადაამონონ. უკვე ჩაატარეს ტენდერი და 30 პროდუქტის სინჯი უნდა შეამონონ, მათ შორის არის ეს პროდუქტიც. თუ მწარმეს აღმოაჩნდა გენმოდფიცირებული პროდუქტი, რომელსაც ეს არ აწერია ეტიკეტზე, მას პირველ ჯერზე დაჯარიმებენ 400 ლარით, ყოველ მომდევნო ჯერზე – 1 200-1 200 ლარით. სწორედ ეს არის ჩვენი ერთ-ერთი პრეტენზია ამ კოდექსთან: ჯარიმების ოდენობა უნდა იყოს დარღვევის პროპორციული, რომ გადაფაროს ის მოგება, რასაც შემომტანი თუ მწარმოებელი იღებს ამ დარღვევით. რადგან მცირე ჯარიმა ვერ შეასრულებს შემავებლის ფუნქციას.

ინოო ხარია

ნომის სეეფონი

0902200200

SMS - 93094

დარაკვა შაჰიკლიათ ნავისიჰიარ ქსალიდან ზარი ფასიანია



– ვასილ ზაგრატიონ-მუხრანსკი პროფესიონალი ოფიცერი გახლდათ და მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. გამოჩენილი სიმამაცისათვის კი ორდენიც დაიმსახურა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ჯერ დენიკინელთა რიგებში იყო, 1919 წელს კი, ქართული არმიის მხარეს გადავიდა. კნიაზი 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ომშიც იბრძოდა, მონაწილეობდა 1921 წლის ტაბახმელის ბრძოლაში. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ, ემიგრაციაში წასვლაზე უარი განაცხადა, საქართველოში დარჩა და პარტიზანებს შეუერთდა.

– ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი იყო?

– არა, კნიაზი ჭიათურის მახლობლად მოქმედ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა. მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში, ხოლო მისი ჩახშობის შემდეგ, ემიგრაციაში წასვლაზე უარი განაცხადა. ერთხანს ქუთაისში არალეგალურად ცხოვრობდა და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის გარძელებას ცდილობდა. დარწმუნდა რა, რომ ეს შეუძლებელი იყო, საზღვარი არალეგალურად გადალახა და თურქეთში გადავიდა. იქიდან კი 1927 წელს გერმანიას გაემგზავრა.

– ზაგრატიონ-მუხრანსკი ქართველი ემიგრანტების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდა?

– მიხეილ ახმეტელი, რომელიც მას ახლოს იცნობდა, კნიაზს ახასიათებდა როგორც პატრიოტ, მამაც, მაგრამ ძალზე ამბიციურ მოღვაწეს. „მეფური სისხლისა იყო და მეფეობის პრეტენზია ჰქონდა,“ – წერს ახმეტელი. შესაძლოა, ამიტომ კნიაზმა ვერც ერთ ქართულ ორგანიზაციასთან საერთო ენა ვერ გამოიხატა. ეს თანაბრად ეხება როგორც მენშევიკებს,

ისე ეროვნულ-დემოკრატიებსა და „თეთრ გიორგის“. ამავე დროს მას ახლო ურთიერთობები ჰქონდა უკრაინელ ნაციონალისტებთან, ხორვატ უსტაშებთან, მაკედონიელ ჩეტიკებთან. კნიაზზე ფრიად საინტერესო ცნობებს იძლევა უკრაინელ ნაციონალისტთა ერთ-ერთი ლიდერი – რომან სუშკო. ის ამტკიცებს, რომ კნიაზი ყველა მაშინდელი ქართული ორგანიზაციის საქმიანობას უარყოფითად აფასებდა და ცდილობდა, საკუთარი ორგანიზაცია შეექმნა. სუშკო წერს, რომ ზაგრატიონ-მუხრანსკიმ რაღაც ჯგუფი მართლაც შექმნა. როცა კოლექტივიდან დაიხსნა, საქართველოში შემოიპარა, რათა პარტიზანული მოძრაობა გაეშალა. თუმცა, ეს მხოლოდ სუშკოს სიტყვებია და ფაქტებით არ მტკიცდება. ფაქტია მხოლოდ ის, რომ კნიაზმა საკუთარი ორგანიზაციის შექმნა მართლაც სცადა, მაგრამ უსახსრობის გამო, ეს ჯგუფი მალე დაიშალა. კნიაზი იძულებული გახდა უცხოურ ლეგიონში ჩაწერილიყო. ის აფრიკაში გადაიყვანეს, სადაც იქაურ აჯანყებულთა წინააღმდეგ იბრძოდა. ამ დროს მან გაიცნო გერმანელი ოფიცერი ბერნ ფრანკე. ისინი დაამეგობრდნენ. ფრანკე თავის მემუარებში წერს, რომ, როცა ერთ-ერთი ბრძოლის დროს მიიმედ დაიჭრა, კნიაზმა ის ზურგზე მოიგდო და სიკვდილს გადაარჩინა. ამან ისინი დაახლოვა. ფრანკეც გამოუტყ-

ქართველები მეორე მსოფლიო ომში – ეს თემა დღემდე არაა შესწავლილი. მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ აბვერის რეზიდენტი ლენინგრადში (1941-1943 წლები) ქართველი თავადი ვასილ ზაგრატიონ-მუხრანსკი იყო. ამ საოცარ კაცზე გვსაუბრება მწერალი და ისტორიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ნიკა თაყაიძე.

როგორ ღიილუაა აბვერის რეზიდენტი „კნიაზი“, როგორსაა საქართველოს მეფობის პრეზენზია ჰქონდა

და, რომ აბვერის აგენტი იყო და აფრიკაში სპეციალურ დავალებას ასრულებდა. გერმანიაში ისინი ერთად დაბრუნდნენ. ფრანკემ მიაღწია იმას, რომ კნიაზი თავად აღმირალმა კანარისმა მიიღო.

– ამის შემდეგ კნიაზი აბვერში მიიღეს?

– აბვერი სერიოზული სტრუქტურა იყო, ასე უბრალოდ, იქ ხალხს არ იღებდნენ. კნიაზსაც დიდხანს გულმოდგინედ აკვირდებოდნენ. ზაგრატიონ-მუხრანსკის ცხოვრების ამ პერიოდზე საინტერესო ცნობებს გვანდის ცნობილი საბჭოთა მწერალი ვასილი არდამატსკი. მას სურდა, ზაგრატიონ-მუხრანსკი თავის ნაწარმოებში გამოეყვანა, მაგრამ ცენზურამ ნება არ მისცა. არდამატსკიც, როგორც დისციპლინირებულ ჩეკისტს შემუშავდა, ბრძანებას დაემორჩილა – კნიაზი რომანიდან ამოიღო. თუმცა, მის შესახებ მართლაც უნიკალური მასალები შეაგროვა, კერძოდ, დაადგინა, თუ როგორ გახდა ის აბვერის თანამშრომელი. არდამატსკის ცნობით, კნიაზს გამოცდა მოუწყვეს. ის გერმანიის კრიმინალურმა პოლიციამ დააპატიმრა და საკანში სისხლის სამართლის დამაშავეებთან ჩასვა. აბვერის ოფიცრები კნიაზს გულდასმით აკვირ-



ის მანამდე ისროდა, სანამ ვაზნები არ გამოეღია, უკანასკნელი ტყვია კი პირში დაიხალა

დებოდნენ. ადამიანის ხასიათი ხომ ექსტრემალურ ვითარებაში ვლინდება. ახლაც ასე მოხდა.

– ანუ კნიაზმა გამოცდა ჩააბარა?

– არდამატსკი ამტკიცებს, რომ კნიაზსა და მის თანამოსაკნებებს შორის ჩხუბი მოხდა. ზაგრატიონ-მუხრანსკიმ ერთ-ერთს თავი გაუტყუა, მეორეს კი კბილებით გაუფსო პირი. ამის შემდეგ კნიაზს კარცერში ათავსებენ, სადაც თითქმის ორი კვირა დაჰყო. იქიდან ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს. მიუხედავად ამისა, როცა პოლიციელმა შესთავაზა „ხულიგნური“ საქციელისათვის ბოდიში მოეხადა, უარი განაცხადა.

სპეცმომზადების შემდეგ, კნიაზს საცდელი დავალება მისცეს და საფრანგეთში გაგზავნეს. ზაგრატიონ-მუხრანსკიმ ის ბრწინვალედ შეასრულა. ამის შემდეგ კნიაზს იუგოსლავიაში აგზავნიან. აბვერს გააჩნდა ინფორმაცია, რომ ბელგრადში მოქმედ თეთრი ემიგრანტების წრეში საბჭოთა აგენტი ტრიალებდა. აბვერის სპეცგუგუშმა, რომლის შემადგენლობაში ზაგრატიონ-მუხრანსკიც შედიოდა, პროვოკატორი გაშიფრა. ამის შემდეგ ის აბვერში ჩარიცხეს. მისი აგენტურული მეტსახელი „კნიაზი“ გახდა.

– და ის რუსეთში გადმოიხროლეს?

– მანამდე კნიაზმა აბვერის სხვადასხვა სპეც-დავალება შეასრულა. როგორც მზვერავი, ის იყო ლიტვაში, შემდეგ რუმინეთში.

სამწუხაროდ, კნიაზის ლიტვაში ყოფნის დეტალების გარკვევა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება მის რუმინულ თავადასავლებს, ამაზე საინტერესო ცნობებს გვანდის ცნობილი რუმინელი კინორეჟისორი სერჟიუ ნიკოლაესკუ. მისი ფილმები კომისარ მიკლოვანის შესახებ თავის დროზე თბილისში ძალზე პოპულარული იყო. ნიკოლაესკუ წერს, რომ სურდა მიკლოვანზე გადაღებულ პირველ ფილმში „პოლიციის კომისარი ბრალს სდებს“, კნიაზიც გამოეყვანა. ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი ქართველი თავადი მყავანაძე უნდა ყოფილიყო და კნიაზი მისი პროტოტიპი გახლდათ. ეს ნიკოლაესკუს კინოდასაბუთებდა საბუღალტროდ დამთავრდა. რეჟისორით სეკურიტატე (ასე ეწევა კომუნისტური რუმინეთის უშიშროებას) დაინტერესდა.

– რატომ?

– ნიკოლაესკუ ამბობს, რომ ეს მწერალ ჰარლამ ზინკეს გამო მოხდა, რომლის ერთ-ერთი რომანის ეკრანიზაციაზე ნიკოლაესკუმ უარი თქვა. როგორც ცნობილია, ზინკე როგორც საბჭოთა სუტთან, ისე სეკურიტატესთანაც აქტიურად თანამშრომლობდა. ამის გამო კი ყველას სძულდა. ზინკემ ნიკოლაესკუს სამაგიერო გადაუხადა. ფილმის „პოლიციის კომისარი ბრალს სდებს“ სცენარში ასეთი ფრაზა ყოფილა: „ო, რა მატყუარაა ეს მყავანაძე!“ ზინკემ ეს თურმე დროშასავით ააფრიალა. აქაოდა, რეჟისორი ნიკოლაესკუ ანტისაბჭოთა დივერსიას აწყობდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ხომ მაშინ მყავანაძე იყო. ამას გარდა, სცენარში სხვა ფრაზებიც ყოფილა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობდა: „ზაგრატიონ ტყვემალაქი, უკაცრავად მყავანაძე, ისე, მყავე კიტრს უფრო ჰგავხარ.“ ზინკემ ეს ზემდგომ ორგანოებს აცნობა. განსაკუთრებით კი იმას გაუხვია ხაზი, რომ აბვერის ჯაშუში იკვებ ვაგარს ატარებს, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნიკოლაესკუ სეკურიტატეში გამოიძახეს. დაიწყო დაკითხვები.

დაპატიმრებისგან მისმა საყვარელმა, ცნობილმა მსახიობმა, მარგა ბარბუმ იხსნა, რომლის თაყვანისმცემელთა შორის თავად ჩაუშესკუც იყო. ქალმა თავის კავალერს საქმე ჩაუწყო და სეკურიტატემ ნიკოლაესკუს კირკიტს თავი დაანება, თუმცა მყავანაძე და მასთან დაკავშირებული ფრაზები სცენარიდან ამოიღეს. პრობლემებმა, რომლებიც ნიკოლაესკუს ამ ფილმთან დაკავშირებით შეემთხვა, განაპირობა ის, რომ სურათი ეკრანზე მხოლოდ 1973 წელს გამოვიდა. თუმცა, რეჟისორმა მასზე მუშაობა 1967-ში დაიწყო.

ნიკოლაესკუ ამტკიცებს, რომ ზაგრატიონ-მუხრანსკი აბვერის სპეციალურ ჯგუფში შედიოდა, რომელმაც 1941 წელს რუმინეთში პრო-რუსული გადატრიალება ჩაშალა.


თუკი ნიკოლაესკუს დაეუჯერებთ, გენერალმა ანტონესკუმ, რიმელიც ამ პუტჩის ჩახშობის შემდეგ რუმინეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა, კნიაზი ორდენითაც



გიბა ბატიანიშვილი: ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალურია თბილისისთვის. არქიტექტორები, სამშენობლო, არ ვიცნობთ „პანორამა თბილისის“ არქიტექტურულ პროექტს, რომ უფრო დეტალურად გვესაუბრა მის შესახებ. თუ ჩვენ პატენტ ვცემთ ისტორიულ მემკვიდრეობას, კულტურას, ყოფილი სოლოლაკის ტერიტორიაზე ოდითგან არსებული ეგრეთ წოდებული „სოლოლაკის ბაღების“ ნაგვისისკენ გაგრძელებაზე პანორამის თემაში ჩასმული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის ჩასმა, რაც ფოტოზე კარგად მოჩანს, იდეის დონეზე თავისთავად კარგია. ქედის თავზე, იმ ადგილას ქალაქის ინფრასტრუქტურა, პრაქტიკულად, აღარ არსებობს – დომინირებული, ძალიან ლამაზი ადგილია, რაც საუცხოო იქნება იმ ობიექტისთვის. ეს ჩემთვის მისაღებია, რადგან ის არ გამოიყოფა ლანდშაფტიდან და არის მცდელობა, რაც შეიძლება, ჩაჯდეს მასში. რაც შეეხება პანორამად მონიშნულ დანარჩენ მასალას, რომელიც უკავშირდება თავისუფლებას და ერეკლეს მოედანს, ვფიქრობ, ჩვენ არ უნდა მივცეთ თავს უფლება ქალაქში სამშენობლო ღონისძიებები ჩატარდეს, ვიდრე არ გაკეთდება ქალაქის გენერალური გეგმა. ჩვენ დღეს იმდენი ამოცანის წინაშე ვდგავართ, მათი გადაწყვეტა ერთი ხელის მოხმით არ ხდება. დღეს ქალაქის ცენტრში რაიმე დაწესებულების პირდაპირ, მექანიკურად ჩასმა, რაც არ უნდა ლამაზი შენობა იყოს, გამოიწვევს ქალაქის უფრო მეტ ტრაგედიას. მეჩვენებ რომ არ დადგეს დღის წესრიგში, რა ვუყოთ ამ შენობასო, თავიდანვე უნდა განდევნოს ეს საკითხები. თბილისს იმდენი პრობლემა აქვს, რიგითობას ვერ დავანსებთ, მაგრამ უპირველესად, გენერალური გეგმა უნდა გაკეთდეს.

რა განსაზღვრავს გენერალური გეგმა. ახალი ხელისუფლებისგან მაინც არის გენერალური გეგმის შექმნის მცდელობა?

– არაფერიც არ განსაზღვრავს. ეს იყო სრულიად ნორმალური მოვლენა, გამოდინარე იმ პოლიტიკიდან, რასაც ადგა წინა ხელისუფლება. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ახალი ხელისუფლება ამას ვეცდები არ აკეთებს. გენერალური გეგმა ერთ დღეში არ კეთდება. მის გარეშე სამშენობლო ღონისძიებების ჩატარება კი, ძალიან სახიფათოა. გენგეგმა ქალაქის ხელმძღვანელობისთვის არის ბოკალი, რომელიც აიძულებს მას, რომ თავის ტყუალზე არ დაიწყოს მშენებლობა. წინა ხელისუფლებამ თავს მისცა უფლება, რომ შეეცქნა მინისტრატორების გეგმა, რომელსაც მიერ სახელი შეეცვალა, მაგრამ, პრაქტიკულად, იგივე დარჩა. ამ გეგმის მიხედვით კეთდებოდა უამრავი მანიპულაცია, მათ შორის, მინის გაყიდვა და ასე შემდეგ. შენობის ასაშენებლად მუშაობას იწყებდა კოფიცინტი, რაც ცალკე უბედურებაა. რომ არსებობდეს გენგეგმა, ალარ იარსებებს კოფიცინტი, რომელიც დაშვებული იყო, როგორც დროებითი მოვლენა. თუმცა, მისი დროებითობა ხელისუფლებას არ აწყობდა. კოფიცინტი ძალიან მარტივად განსაზღვრავს „ვაჭრობის“ საგანი. გენგეგმაში არ არსებობს სუბიექტური ხედვა, ყველა საკითხი დაბალანსებულია. გენგეგმა კეთდება არქიტექტორის ფილოსოფიით, ხედვით და მასში თავმოყრილი უნდა იყოს ყველა მიმართულების ამოცანა, რაც ქალაქის წინაშე დგას. გენგეგმა არის უამრავი მეცნიერული მიმართულების შეჯამების შედეგი, რაც არ არის საბუდამო. ის 10, 15-წლიან პერიოდებზეა გათვლილი და პერმანენტულად მოითხოვს უკან დაბრუნებას, რადგან ცხოვრებას მასში თავისი კორექტივები შეაქვს. რაც ახალი ქვეყნის მშენებლობის ახალ რელსებზე შევდებით, ჩვენ არ გვქონია გენგეგმა. ის კი არა, უკვე ათი წელია, ჩვენ არ გვინახავს არც ერთი პროექტი.



ნარიალაზე გაკეთებული საბაგირო დასანგრევი გახდება, რადგან ის ადგილი დაიკავა, რაც რიყის განვითარებისთვისაა საჭირო

თანინვესტირების მიერ წარმოდგენილი პროექტის, „პანორამა თბილისის“ შესახებ დაწყებული აუცილებელი გრძელდება. მართალია, არქიტექტორებს, დაანონსებული იდეის არქიტექტურულ პროექტზე ჯერ ხელი არ მუხუნდებათ, მაგრამ მათი განცხადებით, იქამდე, სანამ არ შეიქმნება თბილისის გენერალური გეგმა, ასეთი გრანდიოზული პროექტების დაწყების უფლება, არავის აქვს. რა საფრთხე შეიძლება, შეუქმნას „პანორამა თბილისმა“ თბილისის არქიტექტურულ იერსახეს და ძველ თბილისს, რომელსაც ცნობილი არქიტექტორი – გიბა ბატიანიშვილი თბილისის არქიტექტურული განვითარების მთავარ რესურსად მიიჩნევს, ამის შესახებ „თბილისელები“ ბატონ გივას გაესაუბრა.

რა საფრთხეს შეუქმნის „პანორამა თბილისი“ ქალაქის არქიტექტურას და თბილისში გზაბარე რომელი შენობა უნდა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში

პირდაპირ მშენებლობებს გავჩვენებენ, ან უკეთეს შემთხვევაში, ვხედავთ ბანერს, რომელზე გამოსახული ფოტოც, რა თქმა უნდა, არ არის პროექტი. პროექტი ნიშნავს გარემოსთან ურთიერთობას, ფუნქციურ სრულყოფას და კულტურულ ღირებულებას. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ოთხმოცდაათიან წლებამდე გვეკონცა, იქ სწორედ კულტურული ღირებულებები არ ფიგურირებდა. საბჭოთა კავშირის 15 შემადგენელ ნაწილს ჰქონდა თავისი ამოცანა – წინ ნამონეულიყო შიდა პოლიტიკური ამოცანა, სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მცდელობა, რაც ერთი მხრივ, ქმნიდა საბჭოთა მოქალაქის მოდელს და მეორეს მხრივ, უშლიდა მას ფესვებს. საქარხნო წარმოები არქიტექტურისთვის თითქოს უკეთესი პირობები იყო. იქმნებოდა სკოლები, საბავშვო ბაღები, პირველადი მომსახურების ობიექტები, მაგრამ არ იყო მთავარი – ეროვნული ღირებულებების პლატფორმის შექმნა შედგომში ადამიანის ფორმირებისთვის და ეროვნული ღირებულებების გამოუმუხურება. თბილისში იყო არქიტექტურულად გამორჩეული შენობები, რომლებიც იმ ეპოქისთვის არ იყო „მოდური“, მაგრამ დღემდე არ დაუკარგავს თავისი არქიტექტურული მნიშვნელობა. ამ შენობებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ ერთი შენობა დაემატა – გოგი ჩახავას და ზურაბ ჯალალაიანის დაპროექტებული ყოფილი მანქანების სამინისტროს შენობა სანაპიროზე, რომელმაც ძალიან დიდი სიტყვა თქვა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში. ეს იყო იმ პერიოდისთვის მოვლენა, რომელიც მთავრებდა მავალი მანქანის შექმნას შეიძლება, შევადაროთ. 70-იან წლებში უფრო მნიშვნელოვანი პროექტი არც შექმნილა, არა თუ საბჭოთა კავშირში, მთელ მსოფლიოში. თბილისის საუკეთესო შენობებზედ ყოველთვის ჩათვლება ფუნქციონალირის ზედა სადგური, რომელიც ბატონმა ზაქარია ქურდიანმა შექმნა, ბატონი მიხაკო შანიშვილის მიერ დაპროექტებული უნივერსიტეტის მეორე კორპუსი და ბატონი ვანო ჩხენკელის მიერ დაპროექტებული კინო-საკონცერტო დარბაზი. სასტუმრო „თბილისი“, რომელმაც განსაზღვრა მთელი რუსთაველის პროსპექტის ღირებულება. ამ სასტუმროს მშენებლობისთან დაკავშირებით, ერთ ისტორიას მოგახსენებთ, რაც ჩემი პედაგოგიკისგან გამიგია. ამ სასტუმროს აშენება ტერ-მიქლოვი ერთ-ერთმა სოფდაგარმა დაუკვეთა. ტერ-მიქლოვი თბილისელი კაცი გახლდათ, ბაქოშიც მუშაობდა, რადგან იქ იყო ფული და ბევრი სანტერესო შენობა კეთდებოდა. დამკვეთმა ტერ-მიქლოვი ხუთი წელი აცხოვრა საფრანგეთსა და გერმანიაში, იხიდა მის ყველა ხარჯს. ხელშეკრულების პირობის მიხედვით, ევროპიდან დაბრუნებულ ტერ-მიქ-

ლოვს უნდა ჩამოეტანა სასტუმროს დამთავრებული, „მაქსტიკის“ ტიპის პროექტი. ამას გარდა, ტერ მიქლოვს უნდა ეხელმძღვანელა მშენებლობისთვის და მოეწყო სასტუმრო, დანა-ჩანგლიდან დაწყებული ფარდებით დამთავრებული. ტერ-მიქლოვმა სასტუმროს მშენებლობა დაიწყო, პატრონმა ხელშეკრულების მიხედვით უფლება არ ჰქონდა რაიმე შეეცვალა მშენებლობის პროცესში. მისი დასრულების შემდეგ კი დამკვეთმა სოფდაგარმა ტერ-მიქლოვს უთხრა: ერთი შეცდომა დაფუძი, ამას შენ ვერ დაგაბრალებ. ახლა ევროპაში მოდამი სინგმა ყოფილა და როგორ ვერ გავითვალისწინე, რომ პროექტში ესეც ჩაგედო. ტერ მიქლოვმა ჯორჯიაშივლის ქუჩიდან ქვემოთ ჩაიყვანა, სადაც მას ეზოს ქვევით დატრეხილ სივცემი კედლები ამოყვანეს და თქვა: აი, კინოთეატრი აქ იქნებაო. მადლიერმა სოფდაგარმა გასცა განკარგულება და ტერ მიქლოვს კინოთეატრის სანახევრო პატრონობა უბოძა. თუმცა, მალე რეგულაცია მოხდა და ტერ-მიქლოვი კინოთეატრის გარეშე დარჩა. ამ ისტორიით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთან არსებობდა დამკვეთის ინსტიტუტი, რაც კარგი შედეგით მუშაობდა.

– ისევ ახალ პროექტს დაფურუნდეთ. რა პრობლემებს უქმნის ის სოლოლაკს და ზოგადედ ძველ თბილისს?

– ის, რაც კეთდება ზევით, ქედის თავზე, ძველ თბილისს და სოლოლაკს პრობლემას არ უქმნის, ქვემოთ დაგვემილი შენობები, რა თქმა უნდა, შეუქმნის. მოგვხსენებთ, ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რაც თავისთავად, მარტო ქუჩას და ესტაკადას არ ნიშნავს. ავტომანქანების ამ უზარმაზარ პარკს ვხიბუმი ხომ ვერ ჩაივლებთ? ამ თემას იმდენივე მოვალე-პატრონობა სჭირდება, როგორც ადამიანს. დღეს ბინას რომ აპროექტებ, როგორც საძინებელს აღნიშნავ, ისევე უნდა აღნიშნო ავტოსადგომი. როცა დანესებულებას აშენებ, უნდა გაითვალისწინო ავტოსადგომი. დღეს მერის ძველი შენობა არ ფუნქციონირებს, მაგრამ მის წინ სამ რიგად დგას მანქანები. სასტუმრო „ქორთიარდ მარიკოთან“ მანქანას ვერ მიიყვანთ. როცა გეგმაში ახალი შენობები აშენება, მას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალებები. ამიტომაც, თავისუფლების მოედანზე სხვა ამოცანებია გადასატრედი. მანდ მოედნის ქვედა, მინისქვეშა სივცის ათვისება უნდა მოხდეს. ეს პრობლემები ერთმანეთზეა გადაბმული. რაც შეეხება, მრავალჯერ ნახსენებ საბაგირო გზებს, მე მიმანია, რომ ამაზე საუბარი სირცხვილიც კია. საბაგირო რისთვის არის საჭირო? – რომ ერთი ობიექტიდან მეორე ობიექტზე მივიდეთ. ის საბაგირო არ გვეყოფა, რაც აშენდა ნარიალაზე? ეგ საბაგირო დასანგრევი გახდება, რადგან დაიკავა ის ადგილი, რაც რიყის განვითარებისთვისაა საჭირო. როცა საუბრობენ ტურისტებზე, ტურისტები რისი ტურისტია: რომ ზურგანთა მოიცილოს და ფეხით იაროს. რად უნდა მას ამდენი საბაგირო გზა? იგივე პრობლემის წინაშე ვდგავართ დღეს ვარდების მოედანზე, სადაც საბაგირო გზის სადგურის აშენებაა დაგეგმილი იქ,

(გაგრძელება 46-ე გვერდზე)



როგორ დააბროჟა ბანკის დაოზიზებაჟე დაუზაზება ნაული ჯანაშიაჟე 2 მილიონჟე მუჟი აჟე დოლარი

მარტვილის მაჟორიტარი დეპუტატი ნაული ჯანაშია 1947 წელსაა დაბადებული მარტვილში. ის ორი (მეშვიდე და მერვე) მონვევის პარლამენტის წევრია. ამჟამად ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა – მაჟორიტარებშია“. უმაღლესი განათლება ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში მიიღო, კვალიფიკაციით სამთო ინჟინერ-ეკონომისტი-ია, მისი სპეციალობა კი სამთო მრეწველობის ეკონომიკის ორგანიზებაა. ბ-ნი ჯანაშიას სამუშაო ბიოგრაფია ქალაქ შეჟენკოში ინება 1965 წელს, სადაც მან 1967 წლამდე სამთო სამრეწველო კომბინატის კავშირგაბმულობის ხელოსნად იმუშავა. 1967 წელს იმავე კომბინატის სამმართველოს დისპეტჩერად გადაიყვანეს 1971 წლამდე, სანამ ლენინგრადის სამთო სამრეწველო ინსტიტუტის სტუდენტი გახდებოდა. 1976 წელს სატრანსპორტო სამმართველოს ინჟინერ-ეკონომისტად დაინიშნა, თუმცა 1977-ში სამთო სამრეწველო კომბინატის გამოთვლითი ცენტრის განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. 1981 წელს გამოთვლითი ცენტრის დირექტორის მოადგილეც გახდა, 1986 წელს კი სოხუმის ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის უფროს ინჟინრად დაინიშნა. 1990-1993 წლებში სამეცნიერო განყოფილების დირექტორის მოადგილეც იყო. 1995 წლიდან 2008 წლამდე ელექტრომოძრავე ქარხანაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე: დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, გენდირექტორის მოადგილე კომერციულ დარგში, კომერციული დირექტორი.

რტივლში (528 კვ. მ. ფართობი); ბინა თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე (130 კვ. მ. ფართობი) და მინის ნაკვეთი მარტვილში (15 500 კვ.მ. ფართობი). ასევე, იმხანად ჰყავდა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგო“. რაც შეეხება მის საბანკო დანაზოგებს: „თი-ბი-სი ბანკში“ 120 000 ევროსა და 970 000 აშშ დოლარს ინახავდა, ხოლო „რესპუბლიკა ბანკში“ – 250 000 ევროს, ხელზე კი, დეკლარაციის შევსების დროს, სულ რაღაც, 10 000 ლარი ჰქონდა. 2009 წლის განმავლობაში ნაული ჯანაშიას სადეპუტატო შემო-

აზღაურებას 2010 წლის განმავლობაში 27 600 ლარი შეუდგენია, თავად ნაული ჯანაშიას სადეპუტატო წლიურ ხელფასს კი – 49 172 ლარი. დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი არც დეპუტატის დეპოზიტებზე და არც მათგან მიღებულ შემოსავლებსა თუ გასაველებზე.

2012 წლის დეკლარაციაში ნაული ჯანაშია ოჯახის წევრებად მიუთითებს მხოლოდ 1978 წელს დაბადებულ მუღლესა და 2009 წელს დაბადებულ ქალიშვილს, უძრავი ქონების ნაწილში კი მხოლოდ – მინის ნაკვეთს დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (3 000 კვ. მ.), მინის ნაკვეთს მარტვილში (528 კვ. მ.) და ბინას ნუცუბიძის ქუჩაზე (130 კვ. მ.). ასევე, ავტომანქანა „ვოლგოს“ და ორ მოტოსატრასპორტო საშუალებას: 2010 წლის „ტოიოტას“ და 2007 წლის „მერსედეს-ბენცს“. „თი ბი სი ბანკის“ დეპოზიტებზე კი 129 700 ევრო და 1 925 200 აშშ დოლარი აქვს განთავსებული. დეკლარაციაში არ არის მითითებული დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა ნათქვამია, რომ, როგორც პარლამენტის წევრმა, ნაული ჯანაშიამ 2011 წლის განმავლობაში 49 206 ლარი მიიღო.

2013 წელს, სულ ბოლოს შევსებული დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ დეპუტატ ნაული ჯანაშიას 2012 წელს შეუქენია მინის ნაკვეთი მოსკოვის (1 200 კვ. მ. ფართობის), ასევე, საცხოვრებელი სახლი იმავე მისამართზე (200 კვ. მ. ფართობის) და კიდევ ერთი, 71 კვ. მ. ფართობის ბინა, ავტომანქანა და მოტოსატრანსპორტო საშუალებები იგივე აქვს. „თი ბი სი ბანკშიც“ იმავე თანხებს ინახავს დეპოზიტებზე – 129 700 ევროსა და 1 925 200 აშშ დოლარს. ხოლო, როგორც დეპუტატმა, 2012 წლის განმავლობაში, წლიური ხელფასის სახით, 53 776 ლარი აიღო. დეკლარაციაში კვლავ არაფერია ნათქვამი მის მიერ დეპოზიტებიდან მიღებულ შემოსავალზე და არც რუსეთის ფედერაციაში ახალი უძრავი ქონების შეძენის წყაროზე.

ენოზ სარიჟა



სავალს 46 401 ლარი შეუდგენია, ხოლო ანაბრებიდან კი 116 400 აშშ დოლარი და 41 900 ევრო მიუღია, ქველმოქმედებაზე 170 000 ლარი დაუხარჯავს, სარემონტო სამუშაოებზე – 35 000 ლარი.

2011 წელს შევსებულ დეკლარაციაში ნაული ჯანაშია ოჯახის წევრებად მიუთითებს: შვილებს – ნადიასა და მამიას, 1978 წელს კიშინიოვში დაბადებულ მეუღლეს – ლილიას და 2009 წელს, ასევე კიშინიოვში დაბადებულ ქალიშვილს – დიანას. რაც შეეხება დეპუტატის უძრავ ქონებას, ზემომოყვანილი ქონებისთვის მას დაუმატებია: ბინა ვუჟა-ფშაველაზე (151 კვ.მ. ფართობი) და საცხოვრებელი სახლი დიღმის საცდელ მეურნეობაში (300 კვ.მ. ფართობი). ასევე, ჰყავს ორი ავტომანქანა: „ვოლგო X90“ და „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“. მისი ქალიშვილი ნადია ეკონომიკური განვითარების სამინისტროში დასაქმებულია ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის მოადგილედ და მის სახელფასო ან-

ნაული ჯანაშიას მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2009 წლით თარიღდება, რომელიც მან საქართველოს მეშვიდე მონვევის პარლამენტის წევრის ამბულაში შეავსო. დეკლარაციის მიხედვით, ის არანაირ ქონებას არ ფლობდა, თუმცა ჰქონდა შთამბეჭდავი დანაზოგები. კერძოდ, იმხანად „ინვესტბანკში“ გახსნილ ორ დეპოზიტზე 445 600 აშშ დოლარსა და 115 830 ევროს ინახავდა, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე 29 250 აშშ დოლარი და 5 544 ევრო ერიცხებოდა. „თი ბი სი ბანკში“ გახსნილ ანაბრებზე 783 500 აშშ დოლარი და 93 700 ევრო ჰქონდა შეტანილი. მოსკოვის სამი სხვადასხვა ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე კი 32 000 ევრო, 15 000 და 400 000 აშშ დოლარი ერიცხებოდა. მისი წლიური სადეპუტატო შემოსავალი 2008 წელს 27 000 ლარი იყო. დეკლარაციის თანახმად, ნაული ჯანაშია 1996 წლიდან იყო ს/ს მოსკოვის ვაგონშემკეთებელი ქარხნის აქციონერი (8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების აქციებს ფლობდა) და ამ საქმიანობას მისთვის 12 წლის განმავლობაში მხოლოდ 50 000 ლარი მოუტანია. ანაბრებზე განთავსებული თანხის პროცენტების სახით კი მისმა შემოსავალმა 2008 წლის განმავლობაში 190 000-ლარამდე შეადგინა.

2010 წელს შევსებულ დეკლარაციაში ოჯახის წევრებად დეპუტატი მიუთითებს ორ შვილს: 1980 წელს დაბადებულ ნადიას და 1981 წელს დაბადებულ მამიას. უძრავი ქონების ნაწილში ვკითხულობთ, რომ ნაული ჯანაშიას საკუთრებაა: მინის ნაკვეთი დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (3 000 კვ.მ. ფართობი); მინის ნაკვეთი მა-

გამოინერეთ ჟურნალი „თბილისელები“
ზინიდან გაუსვალად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
 „მაცნე“ – 214-39-06;
 „პლანეტა“ – 251-75-21;
 „ელვასერვისი“ – 238-80-02;
 „ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
 „ჯეოქედია“ – 295-51-70;
 ქ. ბათუმი, „სალუქვაქი და კომპანია“ – 294-32-32



- შალვა, რატომ გადანწყვით დაბრუნება „დიდ ავიაციამ“?

- ტელევიზია ჩემი სახლია, ამიტომაც დაბრუნდი სახლში. გააკეთებ იმას, რასაც ვაკეთებდი დიდხანს. 1991 წლიდან ვარ ტელევიზიაში. ეს, ვილაციისთვის რეკორდი სულაც არ არის, უფრო მეტი დრო აქვს გატარებული ხალხს ამ საქმეში, თუმცა, ალბათ, არც ცოტა დროა. ცხადია, მონატრებული მქონდა ეს საქმე ამ რვათვიანი ტაიმაუტის დროს. ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში წასვლით გააკეთე ჩემი საქმე, ახლა კი მოვიდა დრო, დავუბრუნდე იმას, რაც ყველაზე კარგად გამომიდის.

- პოლიტიკა არ გამოგივიდათ კარგად?

- ასე ვერ ვიტყვი, მიხელო საკავშირის მმართველობის დროს ქვეყანა დიდი საფრთხის წინაშე იდგა და მეც შევიტანე მცირე წვლილი ამ მმართველობის დასრულებასა და საბოლოო გამარჯვებაში - ვგულისხმობ გიორგი მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას. მას შემდეგ, რაც დინყო ჩემი ჩინოვიკური ცხოვრება, მიხვდი, რომ ეს არ არის „ჩემი“ და წამოვედი კიდევ. ძალიან რთულია, გქონდეს თავისუფლება, როდესაც მუშაობ სახელმწიფო სამსახურში. რა პოზიციაზეც არ უნდა იყო, უნდა დაექვემდებარო მკაცრ წესებს, უნდა აკონტროლო შენი ცხოვრება, გამოინათქვამები, საქციელი. როცა ფულს გინდის ხალხი და ხარ მათ მიერ დაქირავებული, შესაბამისად, უნდა იზრუნო იმაზე, რომ დაექვემდებარო მაღალ სტანდარტს, რაც ძალიან რთულია. სახელმწიფო სამსახურში მუშაობა ჩემთვის იყო დიდი გამოცდილება, პასუხისმგებლობა, მაგრამ, იქ ყოფნა ნიშნავდა თავისუფლების ნაკლებ ხარისხს. მშურს იმ ადამიანებს, ვისაც შეუძლიათ, შეეფუონ ამას, ჩემთვის ეს რთული აღმოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმე რამეში მზღუდავდა - ეს გამორიცხული იყო, მაგრამ, თავად სამსახური მოითხოვდა ამ შეზღუდვებს, მაგალითად, იმას, რომ „ფეისბუქში“ თავისუფლად ვერ ვდებდი პოსტებს, ვერ ვწერდი იმას, რასაც ვფიქრობდი.

- ბევრმა არასწორად შეგიფასათ გიორგი მარგველაშვილის „მიტოვება“ ზუსტად იმ დროს, როცა პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილის კრიტიკის ობიექტი გახდა. იმასაც ამბობენ, რომ მთავარი მიზეზი იყო ის პრესკონფერენცია, რომელიც პრეზიდენტის კრიტიკას მოჰყვა მეორე დღესვე.

- ეს გადანწყვითობა ბიძინა ივანიშვილის მიერ გიორგი მარგველაშვილის მიმართ გამოთქმულ კრიტიკამდე ერთი თვით ადრე მივიღე, შესაბამისად, ეს კრიტიკა ჩემს წამოსვლასთან არანაირ კავშირში არ არის. სხვა საქმეა, დაიჯერებენ თუ არა ამას ადამიანები, მაგრამ ეს მართლაც ასეა. ქართველი ხალხი ყოველთვის უშვებს დიდ შეცდომას, როცა პოლიტიკური ლიდერების მართულობაზე საუბრობს, რომ ვითომ ვილაცქები მართავენ ბიძინა ივანიშვილს; რომ თურმე მარგველაშვილს მე მოვწყობინე პრესკონფერენცია... რა თქმა უნდა, არ არის ასე. ისინი თვითონ წყვეტენ, როდის უნდა მოახდინო პრესკონფერენცია და რა უნდა თქვან.

- ითვალისწინებდა პრეზიდენტი ჰაირის უფროსის რჩევებს, დამჯერდი იყო?

- გიორგი მარგველაშვილმა თავადაც ბევრი რამ იცის ამ სფეროში და, შესაბამისად, ჩვენ არ ვუქონია იმ ყაიდის ურთიერთობა, რომ ვინმე უნდა ყოფილიყო დამჯერდი. მე შემოძლია, გითხრა, რომ გიორგისთან მუშაობა იყო ძალიან სასიამოვნო, ჩვენ ვართ თანამოაზრეები, თუმცა, ჩვენ შორის ჩამოყალიბდა მეგობრობაც.

- როგორ შეხვდა ის გუნდიდან თქვენს წასვლას?

- გაგებით მოეკიდა. ამაზე მეტი საუბარი არ მინდა, ბევრი არც არაფერი ყოფილა. მე მას ვუთხარი ჩემი გადანწყვითლების შესახებ, მან თქვა, რომ იქ ვარ ნიჭიერი ადამიანი და კარგად გამოივსა ეს საქმე.

- დღეს გაქვთ ურთიერთობა პრეზიდენტთან?

შალვა რამიშვილი პოლიტიკიდან ტელევიზიაში დაბრუნდა - 26 აპრილიდან, ყოველ შაბათს, „იმედის“ ეთერში გავა „შალვა რამიშვილის შოუ“ სოციალურ ქსელში უკვე ტრიალებს გადაცემის ორიგინალური პრომო, სადაც შალვა რამიშვილი ცეკვა-სიმღერაზეა გადასული. რა ქნას მეტი? პოლიტიკიდან უკან, „დიდ ავიაციაში“ დაბრუნებულ პრეზიდენტის ექსპიარს ახალ შოუში დიდი გეგმები აქვს. ვის მოაჯადოებს დაპირებული ფეერიული შოუთი, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, იმას დაუბრუნდა, რაც ძალიან უყვარს და რაც ყველაზე კარგად გამოხდის.

როგორ დახმარა შალვა რამიშვილს სოლი ახალ შოუში და რა შეუზღუდა მას პოლიტიკა

- არა, მე ჩემი საქმე მაქვს, მას - თავისი. მე დავერე განცხადება და წამოვედი, მაგრამ, ვრჩები მის გულშემბატვირად. მე მომხონს პრეზიდენტი მარგველაშვილი და ვარ მშვიდად, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ასეთი პრეზიდენტი.

- რა ფორმალის გადაცემა იქნება „შალვა რამიშვილის შოუ“ და რატომ - ტელეკომპანია „იმედი“?

- „იმედი“ დღეს კარგი ტელევიზიაა, ეს არის აბსოლუტურად განსხვავებული იმ „იმედისგან“, რომელშიც მე ვმუშაობდი. აქ არის ხალხი, რომლებმაც შემომთავაზეს შოუს გაკეთება და მე დავთანხმდი მათ. საქართველოში არ არის ისეთი ტელევიზიების დიდი არჩევანი,

ცვლას არ ვაპირებ, ისე იმას მივანოდებ მაყურებელს, რამაც მომიტანა წარმატება ამდენი ხნის განმავლობაში.

- ანუ, ისევ ეპატაური იმიჯი?

- რა თქმა უნდა. პოლიტიკაში ყოფნას არაფერი შეუცვლია - ადამიანები ხომ მნიშვნელოვნად არასდროს იცვლებიან. მე ვიქცევი ისე, როგორც შეეფერებოდა სახელმწიფო მოხელეს, მაგრამ, არ შემიცვლია არც აზროვნების სტილი, არც შეხედულებები და არც გემოვნება. ერთადერთი, რაც შეიცვალა, იყო ცხოვრების წესი, მაგრამ მე არ ვარ იმ ასაკში, რომ ცხოვრების წესის ცვლილებამ მენტალურადაც შემცვალა. გადაცემაში მაყურებელს ელის სოუარბიტები; გადაცემის ყურებისას მას სულ ექნება შეგრძობა, რომ ნებისმიერ მომენტში რაღაც უცნაური შეიძლება მოხდეს. თუ ვინმე ცუდად მოიქცევა, შეიძლება, შეეჭამოთ კიდევ, თუ თეთრი ხორცი ექნება (იციხის).

- თქვენ მიმართ საზოგადოების აზრი ხშირად ძალიან მწვავეა. როგორ ფიქრობთ, ეს იმიჯი რომელი „ბანაკიდან“ მოიყვანა მაყურებელს?

- საზოგადოების დამოკიდებულება ჩემ მიმართ მრავალნაირია და ეს ძალიან კარგია. მე ვფიქრობ, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც მეც მოეწონება ჩემი ნახევლატე მისონის, გაცილებით მეტია ჩაიბე, ვინც საერთოდ სათვალავში არ მაგდებს, ასე რომ, მაყურებელი აუცილებლად ბევრი გვეყოლება და კარგი შოუ გამოვა.

- ჩვენ უკვე ვნახეთ თქვენი გადაცემის პრომო, რომელშიც „სუხიშვილები“ გაყავთ ჩართული. ეს, ალბათ, თქვენი მეუღლის, ხატია ექისაშვილის დამსახურება?

- რა თქმა უნდა, ხატია ძალიან დამეხმარა ამ პრომოს გაკეთებაში. ის „სუხიშვილებში“ მუშაობს, არის ნინო სუხიშვილის მოადგილე და, შესაბამისად, კარგად იცის ეს საქმე. ხატია დამეხმარა ქსათინგში, მსახიობების ორგანიზებაში. მისი რჩევა და აზრი ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია და, ვფიქრობ, ნებისმიერმა მამაკაცმა უნდა გაითვალისწინოს ცოლის რჩევა ისე, რომ ამას არ ჰქონდეს ატროფირებული ხასიათი.

- ოჯახშიც ასე ხართ?

- გადანწყვითლების მიმღები მამაკაცია, ცხადია, მაგრამ, რად გინდა ცოლი, რომლის აზრიც არ გაინტერესებს? ჩემთვის მნიშვნელოვანია ხატის რჩევა ბევრ საკითხში, რაც, მეგონა, რომ კარგად იცის. ერთადერთი თქმა, რაზეც ჩვენ ნაკლებს ვსაუბრობდით, იყო ჩემი საქმიანობა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. მე ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო ოჯახში განხილვის საგანი.

- პირველი ქორწინებიდან სამი შვილი გაყავთ. აქტიური მამა ხართ?

- ჩემი შვილები პირველ მეუღლესთან ცხოვრობენ. ჩვენ ურთიერთობა ძირითადად უქმე დღეებში გვინევს. ჩემი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, აქტიური მამა მაშინაც არ ვიყავი, როცა ერთად ვცხოვრობდით - არც მამის მქონდა ნაკლებს ვსაუბრობდით. ეს ცუდია, მაგრამ, ასე გამოვიდა და ახლაც ასეა.



აქტიური მამის როლში მაშინაც არ ვიყავი, როცა ბავშვებთან ერთად ვცხოვრობდი

სადაც შეიძლება ასეთი დიდი შოუს გაკეთება. ჩემი შოუ იქნება ფეერიული, ექსტრავაგანტური, მოულოდნელობებით აღსავსე. მაყურებელი ვერ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება მოხდეს მეორე წუთში. ეს არის გასართობი ღამის შოუ, რომელიც გადის მსოფლიოს ყველა დიდ არხზე. ვართობა ხალხს ყოველთვის სჭირდება. ესაა აპრობირებული ფორმატი, იქნება სკეჩი, ბევრი ცეკვა და სიმღერა, ოღონდ, პრომოსგან განსხვავებით, სადაც მე ვმღერი და ვცეკვავ, სხვა ადამიანები იცეკვებენ და იმღერებენ. შოუს ექნება სატირული ელემენტებიც; მათ შორის იქნება პოლიტიკური სატირაც მონოლოგის ან სტუმრებთან დიალოგის დროს.

- ხელისუფლების მოქმედ ჩინოვნიკებზეც იხურობთ?

- რა თქმა უნდა, ბუნებრივია. ჩვენ შევძლებთ და ეს აუცილებელიც არის, არ ვიყით მიკერძოებული და ვიხუმროთ ყველაზე. არ შეიძლება, იხუმრო ერთ პოლიტიკოს ძალაზე და არ იხუმრო მეორეზე, აქ ბალანსია დასაცავი. ჩემს გუნდში არიან ჩემი მეგობრები - ზვიად ლიაძე, დავით ფორჩხიძე - საქმეში, ცხოვრებაში გამოცდილი ხალხი. მე ვიცი, რისი გაკეთება შეუძლიათ ამ ადამიანებს, შესაბამისად, ვენდებ ჩემს გამოცდილებას. დათო იქნება ბენდის ხელმძღვანელი, გვეყოლება რამდენიმე პერსონაჟი, მაგალითად, მარგო ლუჩკო ნაიყავის ერთ-ერთი რურბიკას. მთავარი მოქმედი გმირი, რა თქმა უნდა, მე ვიქნები. ჩემი იმიჯი იქნება ისეთი, როგორც არის პრომოში. არ შეცმევა იმიჯის ფორმა, არც მუმიის ტანსაცმელში ვიქნები გახვეული.

- ასეთი ტაიმაუტის შემდეგ წამყვანის როლს იოლად მორგებთ?

- არ ვფიქრობ, რომ, ის დრო, რაც მე ეთერში არ ვიყავი, რაიმე დაბრკოლებას შემქმნის. 22 წელია, ტელევიზიაში ვარ, კარგად მიცნობს მაყურებელი. იმიჯის რადიკალურად შე-



Gino Paradise Tbilisi – ღაუზინყარი უბრძნებლის სამყარო

გასულ კვირას Gino Paradise Tbilisi-ში შობამბექდავი პრეზენტაცია გაიმართა. მოწვეული სტუმრები აღმოსავლეთ ევროპაში უპრეცედენტო და გრანდიოზული აკვაპარკის სამყაროში ნითელი ხალხის გავლის შემდეგ მოხვდნენ. ცერემონილის დაწყებამდე სტუმრებს Gino Paradise Tbilisi-ის თანამშრომლები მეგზურობას უწევდნენ დაუფინყარი შობაბექდილებების ზღაპრულ სამყაროში. სტუმრებს შორის კი ყველა ასაკისა და სფეროს წარმომადგენლებს ნახავდით: საქართველოს მთავრობისა თუ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წევრებს, ყოფილია თუ მოქმედ ქართველ პოლიტიკოსებს, ბიზნესსექტორის, საექსპერტო წრეების, შოუ-ბიზნესისა თუ სახელოვნებო სფეროების წარმომადგენლებს და, რაც მთავარია, სტუმრებს სლოვაკეთიდან. სლოვაკეთი იმითაა აღსანიშნავი, რომ Gino Paradise Tbilisi-ს ინვესტორი ნოდარ გიორგაძე სწორედ სლოვაკეთში მოღვაწე, თუმცა ეროვნებით ქართველი ინვესტორია, რომლის ძალისხმევითაც თბილისისა და მისი სტუმრებისთვის უპრეცედენტო აკვაპარკის მშენებლობისთვის 27-მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა.

პრეზენტაციის ცერემონიას ესწრებოდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანიძე და სამინისტროს თანამშრომლები; დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი კონსტანტინე სურგულაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ლევან ყიფიანი, ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვიციანი და სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები; სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და ვიცე-პრემიერი მიროსლავ ლაიჩაკი. ასევე, სლოვაკეთის ჯანდაცვის მინისტრი, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები, მთავარი კი ის არის, რომ Gino Paradise Tbilisi-ის სამყარო ნებისმიერი ასაკის, სქესის, პროფესიის, თანამდებობის და, რაც მთავარია, ნებისმიერი შედეგების მქონე მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი.

სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაეთვალთვინებინათ აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე გრანდიოზული აკვაპარკის სრული ტერიტორია როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი. ინვესტორმა ნითელი ლენტეცი გაჭრა და დამსწრე საზოგადოებას უკვე განხორციელებული და სამომავლო გეგმების შესახებაც ესაუბრა. ფოიერვერკიც გაიმართა და გასართობი შოუც, რასაც ფონად ცოცხალი მუსიკა უზღვევდა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, სწეოდნენ Gino Paradise Tbilisi-ის ნებისმიერ ზონას და ამომწურავი ინფორმაცია მიეღ-

ობ ყველა ტიპის მომსახურებაზე. დასასვენებელი ზონა კი Gino Paradise Tbilisi-ში ზუთია: ეკონომი, სტანდარტი, ბიზნესი, VIP და ექსელენტი.

ბიზნესზონაში შეგიძლიათ, ისარგებლოთ როგორც ღია, ისე დახურული აუზებით (აქვე გეტყვით, რომ ღია აუზში ტალღების ეფექტი გელით). დიდი სარელაქსაციო აუზი გაგაოცებთ სვაროვსკის თვლების მათებით, სხვადასხვა ატრაქციით (ჩანჩქერითა და წყალზედა მასაჟორით), ასევე, წყალქვეშა სვარძლებით ჯაკუზის ეფექტით; სხვათა შორის, შეგიძლიათ, ისარგებლოთ ღია ჯაკუზითაც. იქვეა ბავშვთა წყლის პარკი ზღაპრის პერსონაჟებით გაფორმებული სასრიალოებითა და უამრავი გასართობი, სადაც თქვენი პატარა თავს ცოცხალი ზღაპრის ნამდვილ გმირად წარმოიდგენს. ექსტრემ-

ლება, ამ შეგრძნებებს ვეღვს და სპა ცენტრში გაგიმძაფრებთ შხაპი გაზაფხულის წვიმისა და ჭექა-ქუხილის ეფექტით, ყინულოვანი ხის ჯამი, ცივი აუზი, ცივი და თბილი წყლებით სავსე ქეიანი სავალი ბლიკი. მოსადღეუნებლად კი ტეპიდარიუმი გელოდებთ თბილი, მოსასვენებელი სავარძლებით, კომფორტული განათებითა და წყნარი მუსიკალური გარემოთი. თუმცა მოდუნებას სხვადასხვა სახის ჰიდრომასაჟორიანი ჯაკუზოშიც შეძლებთ. რაც მთავარია, სწორედ VIP-ზონაშია განთქმული – ალექსანდრე მაკედონელის 24-კარატის ოქროს ტახტის ზუსტი ასლი – ოქროს აუზით ის ორგანიზმს რეგენერაციაში ეხმარება.

აი, ექსელენტი-ზონაში კი განსაკუთრებული ვეღვს და სპა ცენტრია ნამდვილი სამოთხე დედამიწაზე! აქვე გეტყვით, რომ ექსელენტი-პაკეტი სარგებლობისას თქვენ შეგიძლიათ, მიიღოთ ბიზნეს და VIP-ზონების ყველა ზემოჩამოთვლილი მომსახურება.

რაც შეეხება უშუალოდ ექსელენტი-ზონას (გამოგიტყვებით, ეს ჩემი ყველაზე საყვარელი ადგილია Gino Paradise Tbilisi-ში): თბილი, სურნელოვანი ჯაკუზი წყალქვეშა კომფორტული სავარძლებით, პრივატული „ფინური საუნა“ (განმარტობისთვის), „მცენარეული საუნა“ (ჯერ რომ არ შეგიგრძენით, ისეთი არი-მატით), „ყინულისა და თოვლცეცხლის ოთახი“ (რომელშიც ტემპერატურა უფლს ქვემოთაა). კლიმატრას, ოქროთი მოპირკეთებული აბაზანებში კი, სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მიიღოთ შამპანური, ღვინის, ყვავილების, შო-



ალებს კი ადრენალინის უხვად გამომუშავებში 6 სხვადასხვა ტიპის სასრიალო მილი დაეხმარება – მათგან ერთ-ერთი საათში 60 კილომეტრ სიჩქარეს ვადავითარებინებთ.

VIP- ზონა სრულად მოიცავს ზემოაღწერილი ბიზნესზონას და ვეღვს და სპა ცენტრს – სამყარო, რომლის უნიკალური გარემო და შეგრძნებები არასდროს დაგავიწყდებათ. VIP-ზონაში თქვენს განკარგულებაშია ვეღვს ცენტრის სრული სერვისი, რაც გულისხმობს სხვადასხვა საუნას: მცენარეების საუნას (გაზაფხულისა და მზის საუცხოო არომატით), რომულ საუნას (ძველი ელინების მომჯადოდებული სურნელით), საუნა „მელიის სირისი“ (ეგზოტიკური და უცნაური განცდებისთვის), ფინურ მშრალ ულასკურ საუნას, მარილის ორთქლის საუნას (მლაკებისა და უარყოფითი მუხტისგან თქვენი ორგანიზმის დასაცლელად); ინფრარითული საუნა (თან ირუჯებით, თან თქვენი ორგანიზმი იწმინდება); მენთოლის საუნას (სასუნთქი გზების გასაწმენდად); ვირბულ სრულიად განსხვავებული მასაჟორებით. საუნის მიღების შემდეგ ორგანიზმისთვის აუცილებელია გავრი-

კოლადისა თუ რძის სარელაქსაციო აბაზანები. ლუდის მოყვარულებისთვისაა ჯაკუზი „ლუდის კასი“ – შემობარ ლუდში ნებივრობისას შეგიძლიათ დააგემოვნოთ ცივი, ჩამოსასხმელი ლუდი. გასაგრილებლად ყინულის ბორცვიც დაგეხმარებათ და შხაპუნა წვიმის ეფექტით შხაპიც, ფეხის აბაზანასაც მიიღებთ და წყლის ძლიერი ჭავლით ზურვის მასაჟაც ჩაიტარებთ. ბოლოს კი მოიქრულ სავარძლებზე შეგიძლიათ, მოისვენოთ – ექსელენტი-ზონის ტეპიდარიუმი. გაითვალისწინეთ, რომ Gino Paradise Tbilisi-ს ინსტრუქტორები გაგიწევენ რეკომენდაციას, რა თანმიმდევრობით არის უმჯობესი საუნებისა და სარელაქსაციო საშუალებების გამოყენება მაქსიმალური რელაქსაციისა და ეფექტისთვის, ანიმატორების გუნდი კი სპეციალურად თქვენთვის იმუშავებს ხალისიანი და მხიარული გარემოს შესაქმნელად. და, რა თქმა უნდა, Gino Paradise Tbilisi-ს მასაჟის კაბინეტში მასაჟის იმდენი ნაირსახეობაა, რომ მათ აღსაწერად ჟურნალის ფორმატი არ გვეყოფა. ერთი სიტყვით, ეს უნდა შეიგრძნოთ!

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარკაეთ: +995 599-88-09-89, +995 322 15-85-85
 ანაწვრილი რეკონს ვებ-საიტი www.ginoparadise.ge და „ფინისპაისი“ ბჰირღს Gino Paradise




ცნობილი ქართველ პიანისტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის ნანა დიმიტრიადის ინტერვიუებით არ არის განეხილებული ჩვენი საზოგადოება – არ უყვარს სხამალა საუბარი, განსაკუთრებით კი პირად ცხოვრებაზე, მაგრამ, დიდი თხოვნის შემდეგ მაინც დაგვთანხმდა. ქალბატონმა ნანამ თავის ცნობილ ოჯახზე გვიამბო საინტერესო ამბები და, რა თქმა უნდა, მამაზე, რომელმაც 90 წლის ასაკშიც მშვენივრად უღირიყორა ჩაიკოვსკის „მეხუთე სიმფონიას“.

რა ინტრიგული წერილი დანერგა ოლისი დიმიტრიადიზა მისა ალზრდილა ორკანსტრანტაბა

– ქალბატონო ნანა, ყველას ერთნაირად გვინტერესებს, როგორ მოხდა და დამკვიდრდა მამა, ბერძენი წარმოშობის ადამიანი საქართველოში, რომლის სახელიც შემდგომში მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა?

– მამას მშობლები ბერძენი იყვნენ და კონსტანტინოპოლში დაოჯახდნენ. რვა შვილი ჰყავდათ. მამა ნაბოლარა იყო, ის ბათუმში დაიბადა. ბათუმში 1931 წლამდე ცხოვრობდნენ. შვილები უკვე დიდები იყვნენ, სამშობლოში რომ დაბრუნდნენ. საქართველოში მხოლოდ მამაჩემი და ბიძაჩემი დარჩნენ. ოჯახში ყველა ბერძენულად ლაპარაკობდა, მაგრამ, ბავშვები რუსულ გიმნაზიაში სწავლობდნენ, რადგან იმ დროს ქართული გიმნაზიები არ იყო. მამას მუსიკის ნიჭი ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა და კონსერვატორიაში ჩააბარა საკომპოზიტორო ფაკულტეტზე. საკომპოზიტორო დაამთავრა, მაგრამ, ძალიან უნდოდა დირიჟორობა, ამიტომ, პეტერბურგში წავიდა და იქ ჩააბარა სადირიჟოროზე. მასთან ერთად სწავლობდნენ ანდრია ბალანჩივაძე და ევგენი მიქელაძე, რომლებიც მამაზე ცოტა უფროები იყვნენ. ისინი ძალიან მეგობრობდნენ. მამამ კონსერვატორია რომ დაამთავრა, ევგენი მიქელაძე უკვე თბილისის ოპერის მთავარი დირიჟორი იყო. მან მიიწვია მამა თეატრში და თავისი რამდენიმე ნაწარმოები მას მისცა სადირიჟოროდ.



5 წლამდე მამას არ ვიცნობდი. ის ჯერ სოხუმში იყო, შემდეგ – პეტერბურგში, სადაც ოთხი წელი სწავლობდა. მასხოვს, პირველად რომ მოვიდა და ჩამიკრა გულში

აქმებს ორკესტრში, ვილაციები ჩამოჰყავსო. მართალია, იყო ასე. როდესაც ხედავდა რომ მუსიკოსი რომელიმე ინსტრუმენტზე ისე ვერ უკრავდა, როგორც საჭირო იყო, ძლიერი ორკესტრანტები ჩამოჰყავდა. ბუნებრივია, უნდოდა ორკესტრი ძალიან კარგი ყოფილიყო, მაგრამ, ეს არ იყო იმით განპირობებული, რომ რომელიმე ვინაა პატივს არ სცემდა. სხვათა შორის, რაღაც პერიოდის შემდეგ მოვიდნენ და ბოდიში მოუხადეს. მე რომ მხედებოდი, არ ვესალმებოდი. მერე მამას უთხრეს, თქვენ გვაპატიეთ და ნანამ არ გვაპატიო.

– ამის შემდეგ როგორ გაგრძელდა ოლისი დიმიტრიადის ცხოვრება მუსიკაში?

– 1946 წელს, დირიჟორმა მელიქ-ფაშაევმა, რომელსაც უნინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრშიც უმაჰეია, მამა მიიწვია საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ – მოსკოვის დიდ თეატრში. არაჩვეულებრივად მიიღეს თეატრის სოლისტებმა, ორკესტრმაც და მსმენელმაც. დებოუ-ფაშაევმა მამას ოპერისა და ბალეტის თეატრშიც უმაჰეია, მამა მიიწვია საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ – მოსკოვის დიდ თეატრში. არაჩვეულებრივად მიიღეს თეატრის სოლისტებმა, ორკესტრმაც და მსმენელმაც. დებოუ-ფაშაევმა მამას ოპერისა და ბალეტის თეატრშიც უმაჰეია, მამა მიიწვია საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ – მოსკოვის დიდ თეატრში.

ტიტისთვის შესთავაზეს რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცლავი“. დებოუ-ფაშაევმა მამას უთხრა, ყველაფერი კარგად არის, დღეიდან დიდი თეატრის დირიჟორი ხარო, მაგრამ, სამუნახაროდ, რამდენიმე დღეში ყველაფერი სხვანაირად წარიმართა. ომი ახალი დამთავრებული იყო და, ყველა უცხოელს, ვინც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, უნდა დაეტოვებინა ქვეყანა და თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო. ანკეტის მეხუთე გრაფში ებრაელებმა უნდა ჩანერილიყო და ამან შეუშალა ხელი, თორემ, მამაჩემის კარიერა უფრო გაბრწყინებული იქნებოდა, თუმცა, საბჭოთა კავშირის გარდა, მან ისედაც მოიარა მსოფლიო და ყველგან უდიდესი წარმატებით მიიღოდა მისი გასტროლები. მაგრამ, ეს არ ყოფილა უკანასკნელი შემოთავაზება მოსკოვის დიდი თეატრისგან – მამა კვლავ მიიწვიეს მთავარ დირიჟორად, სადაც რვა წელი იმუშავა სწორედ იმ ამბის შემდეგ, რაც მოხდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მან უცებ მიიღო ეს გადწყვეტილება და წავიდა. იქ პედაგოგობასაც ეწეოდა და ხშირად ჩამოდიოდა თბილისში – ერთდროულად ასწავლიდა მოსკოვის და თბილისის კონსერვატორიებში. აქაური დირიჟორები თითქმის ყველა მისი აღზრდილია, მათ შორის ჯანსუღ კახიძე, რომელთანაც მამას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ერთმანეთის ოჯახებში დადიოდნენ სტუმრად. მამა ჯანოს მშობლებს ძალიან უყვარდათ.

– როგორი იყო ბატონი ოლისი ჩვეულ-

ებიც ყოფაში?

– თავისუფალი დროის გატარება აზარტული თამაშებით უყვარდა. კარტს თამაშობდა, ნარდს... ნარდის თამაში ილიკო სუხიშვილთან უყვარდა.

– დედა, ნაფეჟა ხარაძე, ცნობილი საოპერო მომღერალი იყო. როგორ გაიცნეს ერთმანეთი თქვენმა მშობლებმა?

– დედა კონსერვატორიაში სწავლობდა. მამა მასზე სამი წლით უფროსი იყო. ერთმანეთი რომ გაიცნეს, მალევე დაქორწინდნენ. პირველი შვილი, ჩემი და, ორი წლის იყო, რომ გარდაიცვალათ. მერე მამა სოხუმში მოღვაწეობდა, სამუსიკო სკოლის დირექტორად. დედა აქ დარჩა – ჩემზე იყო ფეხმძიმედ. მოხდა ისე, რომ ერთმანეთს დაშორდნენ, თუმცა, ბოლომდე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. 5 წლამდე მამას არ ვიცნობდი. ის ჯერ სოხუმში იყო, შემდეგ – პეტერბურგში, სადაც ოთხი წელი სწავლობდა. მასხოვს, პირველად რომ მოვიდა და ჩამიკრა გულში.

მამის ძეგლ მეუღლე იყო მუსიკის პედაგოგი, რუსი ქალბატონი, გვარად სერბინა, მაგრამ, გათხოვების შემდეგ დიმიტრიადის გვარს ატარებდა. ჩვენთან თავიდანვე კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ყოველ დაბადების დღეს ერთად აღვნიშნავდით და ისეც ხშირი მიმოსვლა გვქონდა. პატარა რომ ვიყავი, მამას მივყავი, ხოლო, როცა წამოვიზარდე, დამოუკიდებლად დავდიოდი მათთან. მამაც მოდიოდა ჩვენთან, მისი ცოლიც ნაყოფია. მამიდაჩემი რომ ჩამოვიდა საბერძნეთიდან, დიდი ოჯახური სადილი გავმართეთ.

– ამ სიტუაციამ არ შექმნა უხერხული განცდა ოჯახის წევრებს შორის?

– არავითარი დაძაბულობა და უხერხული სიტუაცია არ ყოფილა. ჩემი უფროსი ძმა, პარისი რომ გარდაიცვალა (არაჩვეულებრივი მუსიკოსი იყო) დედაჩემმა ძალიან განიცადა. იმ დღეებში, ჩემს ძმას უბედურება რომ შეემთხვა, მამა მექსიკაში იმყოფებოდა. 12 დღე თხოვრად მამას და ვერაფრით ვერ დაუუკავშირდით. ბოლოს, რომ გარდაიცვალა, როგორც იქნა დაუუკავშირდნენ, მაგრამ, გარდაცვლილი რომ იყო, არ უთხრეს. თვითმფრინვაში რომ ჩავადა, ვილაცას სამიზმარი უთქვამს და ასე გაიგო... ერთ-ერთი კონცერტი მას მიუძღვნა, ჩაიკოვსკის მეექვსე, ტრაგიკული სიმფონია იდირიჟორა. მერე მთელი თავისი სიყვარული ჩემს შვილზე გადაიტანა – გაგიჟებით უყვარდა.

– გვიამბო რა შეემთხვა თქვენს ძმას?

– ახალ ათონში იყო დასასვენებლად. შეხინდებულზე ექსკურსიაზე წავიდნენ. გაბზული თოქი ვერ შეაჩინა, რადგან, ახლომხედველი იყო, ფეხი წამოჰკრა და გაგორდა, ამ დროს ხელები მალა ასწია – პიანისტი იყო და, უფიქრია, ხელები არ დამიზიანდესო. რომ გადმოვარდა, თირკმელები ძალიან დაუზიანდა. სულ 12 დღე იცოცხლა.

– მუსიკის მოყვარულთა წრეში დიდ მანქანას ახეხებდნენ: „თბილისურ მუსიკალურ შემოდგომაზე“ სადირიჟორო პულტთან 90 წელს მიტანებული ოლისი დიმიტრიადი იჯდა, ზეპირად, თითების ძუნწი მოძრაობით დირიჟორობდა და თვალებით ნუსხავდა ორკესტრს. კულმინაციის დროს დირიჟორმა ემოციები ვერ დაიოვა და სიმფონია ფეხზე ადგარა და დასრულა. ემოციებმა დარბაზიც ფეხზე წამოაყენა და მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.“ თურმე, ამ ფაქტმა მთელი რუსეთი გააოცა.

– ეს იყო მისი ბოლო დირიჟორობა. სხვათა შორის, პირველადაც საქართველოში იდირიჟორა, თუმცა, იმ პერიოდში არ იყო დირიჟორი, ჯერ კიდევ კომპოზიტორობდა, მაგრამ, დირიჟორობა უყვარდა. ერთხელ მითხრა, პირველად რომ ვიდირიჟორე, ისე ვლელავდი, ჩავედი და კონიაკი ვაღვლიო.

კაკა პატარაია



**ელექტრონებშია ჩვენს სოფელში
შეყვარებულნი დაშორა**

შეიძლება, გავცინოთ, ამ წერილს რომ ნაიკითხავთ, მაგრამ, სიმაღლე ვითხრათ, ჩემს ძმას სასაცილოდ ნამდვილად არ აქვს საქმე.

ვცხოვრობთ, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ პატარა სოფელში – სულ ოცდაათი კომლი ვართ. სოფლის პირობაზე გუჯა მართლაც რომ სასურველი სასიძოა სახლ-კარიც აქვს, მიწის ნაკვეთიც; გარეგნობითაც არა უმავს რა, თანაც, ძალიან მშრომელი ბიჭია, კარგად ერკვევა მანქანებში და, რაიონულ ცენტრში, რომლამდეც სულ რაღაც ნახევარი საათის სავალია, პატარა ავტოპროფლაქტიკა გახსნა. ამიტომ, სულ გზაზეა გაკრული. მოკლედ, საქმიანი და ჩუმი ბიჭია – არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და, მით უმეტეს – ლამაზი სიტყვები. გუჯას შეუყვარდა ჩვენი თანასოფელი გოგო, რომელსაც მთელი წელია, ხვდება და შემოდგომისთვის ქორწილზე დაგეგმეს, მაგრამ, უკვე ეჭვი მეპარება, რომ ეს ქორწილი შედგება. საქმე ისაა, რომ ყველაფერი კარგად იყო გასული წლის ოქტომბრამდე, ანუ მანამდე, სანამ სოფელში დენს მოგვცემდნენ. პრინციპში, კარგად როგორ იყო, ძალიან გვიჭირდა ელექტროენერჯის გარეშე ცხოვრება, მაგრამ, ასე თუ ისე, რაღაცნაირად შეჩვეულები და აწყობილები ვიყავით უშუქო რეჟიმზე. ცხადია, ტელევიზორის ყურების საშუალება არ გვქონდა და ხალხს უფრო მეტად ეცალა ერთმანეთთან საურთიერთობოდ, ხოლო ახალგაზრდებს – პაემნებზე სასიარულოდ. მას შემდეგ კი, რაც დენი მოგვცეს, ყველა სახლში ჩაიკეტა, ტელევიზორს მიუჯდა და, ძირითადად, სურიალებზე გადაერთო (მით უმეტეს, რომ სოფელში კინოთეატრი უკვე ოც წელზე მეტია, აღარ გაქვს). ამ ყველაფერმა კი ბევრი ცუდი რამ გამოიწვია: პირველ ყოვლისა, ჩვენმა გოგობმა ბრაზილიელი თუ ვენესუელი ტურფებივით დაიწყეს ჩაცმა (ახლა თურქული სურიალებიც დაემატა), მაგრამ, ეს კიდევ არაფერი. მთავარი უბედურება ისაა, რომ, როგორც გაიკვია, ძალიან მოსწონთ სურიალის შეყვარებულ წყვილებსა და ცოლ-ქმრებს შორის „რომანტიკული“ მიმართულები – „საყვარელო“, „ძვირფასო“ და ასე შემდეგ და, გაუთხოვარი გოგონების უმრავლესობა სწორედ ასეთ მიმართულებს ითხოვს თავიანთი სატრფოებისგან (გათხოვილები მაინც ვერ ბედავენ ამის მოთხოვნას ქმრებისგან, თუმცა გულში ნამდვილად ოცნებობენ), ბიჭებს კი ეს სასაცილოდაც არ აწყობიათ. ჩვენი კაცები, მოგვსენებთ, სა-

ინტიმური საუბრები

კმაოდ უხეშები (და ხეპრებიც კი) არიან და ამ ორი სიტყვის თქმა („საყვარელო“ და „ძვირფასო“) მათთვის ანეკდოტის მოყოლას უდრის. სწორედ ამ მოთხოვნით დაიწყო ჩემი ძმის უბედურება – მანამა უთხრა, მეც მიწადა, ასე მომართო ხოლმე, ყვავილები მომართვა, სიურპრიზები მომიწყო და ჩემ გამო ბიჭებს ეჩხუბო. ამის გაგონებაზე გუჯას ნამოუძახია: ეგრე რომ მოვიქცე, ბიჭები გამოს...ებულის დამიძახებენ და, გინდა, გამოს...ებულის ცოლი გახდეთ? ამაზე მანამა მიახალა – ამისთანა რა გთხოვეთ და გაებუტა, მეორე დღეს კი თავისი უმცროსი დის პირით შემოუთვალა, ცოლად აღარ მოგყვებითო. ჰოდა, ზის ახლა ჩემი ძმა და თავის გულს ასკვება. მართალია, მანამა სერიოზულად უყვარს, მაგრამ, ბიჭების (და მთელი სოფლის) დაცინვისა ეშინია და ამ თხოვნას ვერ უსრულებს, არადა, დნება ბიჭი თვალსა და ხელს შუა და ვერაფერს ვშველით. ის გოგოც გაკერპებულია, ცოცხალი თავით არ უთმობს. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ელექტროენერჯია ჩავკრთეს. თან, მარტო გუჯა არაა ამ დღეში, რადგან, სხვა გოგოებსაც „დაერია“ სურიალების რომანტიკა. არ ჯობდა, ისე უშუქოდ ვყოფილიყავით?!

ლია, 32 წლის.

ნიკა მაისი დაბრუნებაზე მოწეოვს

ჩვენს კარის მეზობლად ცხოვრობს ასაკოვანი ცოლ-ქმარი. ძალიან კარგი ადამიანები არიან. ორივე პენსიონერია, თან, კაცი ინვალიდია – ორი წლის წინ მანქანა დაეჯახა და ახლა ყვავარჯნებით დადის. პენსიის მეტი არანაირი შემოსავალი არ აქვთ, გარდა იმისა, რომ ცოლი ძალიან კარგად ქსოვს და კერავს და ხანდახან კლიენტებს უგზავნიან მეზობლები. ძალიან მოხუცები არ არიან, მაგრამ, გაჭირვებამ და დარდმა ორივე ძალიან მოტეხა, თუმცა მაინც ზრდიან შვილიშვილს, 11 წლის ნიკას, რომელთანაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე და ჩემს დაზე ოთხი-ხუთი წლით უმცროსია, ძალიან ვმეგობრობთ, რადგან, საოცრად ჭკვიანი და კარგი ბიჭია. სწორედ მისმა მდგომარეობამ გადაგვანყვეტინა მე და ჩემს დას, სოფოს, ამ წერილის მოწერა – იქნებ ვინმემ ნაიკითხოს და მის დედ-მამას მიაწვდინოს ხმა.

საქმე ისაა, რომ ნიკას ორივე მშობელი ცოცხალი ჰყავს, მაგრამ, უკვე ხუთი-ექვსი

წელი იქნება, არც ერთი არ უნახავს, რასაც კატასტროფულად განიცდის. ბებია და ბაბუა კი ჰყვებიან თან, რაც შეუძლიათ, მაგრამ ყველა ბავშვს თავის დედ-მამასთან უნდა ცხოვრება. ნიკას დედა ნახევრად რუსია – დედა ჰყავს რუსი, რომელიც რუსეთში ცხოვრობს და შვილიშვილი სულ ერთხელ ჰყავს ნანახი, 1 წლის რომ იყო, მაშინ. მას შემდეგ ტელეფონითაც კი არ მოუკითხავს ბავშვი. ნიკას მამამ ნიკას დედა რომ შეერთო ცოლად, ოჯახი წინააღმდეგე წასულა, რადგან ამ ქალს (რომელიც რამდენიმე წლით უფროსიც იყო ქმარზე) ცოტა საეჭვო წარსული ჰქონია, მაგრამ ნიკას მამამ, ლევანმა, აიჩემა, მიყვარსო და მშობლების პროტესტს ყურადღება არ მიაქცია. თუმცა, მალე იწინა: სანამ ბავშვი 5 წლის გახდებოდა, ორჯერ თუ სამჯერ გაიქცა სახლიდან ვიღაც კაცთან ერთად. მეგრე კი ისევე უკან დაბრუნდა და ქმარმა ბავშვის გამო ყველაფერი აპატია, მაგრამ, ერთ დღეს (ნიკა მაშინ 5 წლის იქნებოდა) ბავშვი საბავშვო ბაღში მიიყვანა, თვითონ კი სამუდამოდ წავიდა სახლიდან და რაც კი დედა-მთელ-მამამთილს ფული და ოქროსულობა ჰქონდა სახლში, ყველაფერი თან წაიღო. ნიკას მამამ ამას ვეღარ გაუძლო და რამდენიმე თვეში თვითონაც წავიდა სახლიდან. ბავშვი მშობლებს დაუტოვა და უთხრა, მე აქ ვეღარ ვიცხოვრებ, სადმე სამსახურს ვიშოვი და ფულს გამოგიგზავნი. ორი-სამი წელი მართლაც უგზავნიდა ფულს, მაგრამ მეგრე შეწყვიტა – სამსახური დაკარგო. არც ამხელს, სად იმყოფება. მხოლოდ თვეში ერთხელ რეკავს მოსაკითხად და დაპირებებით ავსებს შვილსაც და დედ-მამასაც. ეტყობა, მართლა ძალიან უჭირს, თორემ ასე არ მოიქცეოდა. ნიკას კი ის ძალიან ენატრება და ამის გამო რაღაცნაირად დაითრგუნა. სულ იმაზე ოცნებობს, მამაწეში როდის დაბრუნდება.

მე და ჩემს დას გვინდა, ამ წერილით მივანვინოთ ხმა ნიკას მამას, რომ დაბრუნდეს შვილთან და მოხუც მშობლებთან. მისი ფული არავის უნდა, ბავშვს მამა სჭირდება, მშობლებს კი ერთადერთი შვილი ენატრებათ.

ალექსი, 15 წლის; სოფო, 16 წლის.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.





გოგოლა კალანდაძე: ნოემ რომ დამირეკა, ძალიან ცუდი პერიოდი მქონდა. არ ვიყავი კარგად და გადაწყვეტილება სწრაფად მივიღე, რისკზე წავედი, ფაქტობრივად. ოღონდ რალაც ყოფილიყო და რამე გამეკეთებინა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი. თან, რომ გავიგე, საქმე სიმღერას ეხებოდა, უფრო გამიხარდა. „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობის სურვილი მქონდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, რიგი მიზეზების გამო. რადგან ეს პროექტი გამოჩნდა და შემოთავაზება მივიღე, ეგრევე დავთანხმდი. არც ყოფილა სხვა მეწყვილეზე საუბარი. ნოემ მითხრა, ნოდისთან ერთად იქნებო. ამან კიდევ უფრო გამახარა და თამამად მივიღე გადაწყვეტილება.

– ასეთ მკაცრ შეფასებას და დამოკიდებულებას, ალბათ, არ ელოდით?

– არა, ნამდვილად. მგონია, რომ „ჯეოსტარის“ თუ „ვიისის“ სცენაზე გავდივარ. საშინლად ვნერვიულობ. სკოლის პერიოდი მახსენდება, გამოცდას რომ აბარებ და მუცელში რალაცეები დადიან, ისე ვნერვიულობ... ნიშანს რომ ელოდები (*იცინის*). ეს ვნერვიულობა ვერ მოვიშორე. ქართველები ძალიან კრიტიკულები ვართ, მესმის მათიც, მაქსიმუმს ითხოვენ ყველასგან, მაგრამ რთულია. ჩვენც ამ ვნერვიულობას ვერ ვიხსნით და მერე უფრო ვუშვებთ შეცდომებს. თუმცა ეს პერიოდი უკვე გავიარეთ. მივეჩვიეთ ამ განწყობას, მაყურებელიც უფრო დანაწარმდა.

ნოდის თატიშვილი:

სიმართლე ვითხრა, მაყურებელის ეს განწყობა ჩვენ დიდად არ გვიგონია. ჩვენ მიმართ ნეგატიური ტყვე ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენი მეგობრები სულ ათვალისწინებენ პროექტის ფენისბუქ-გვერდებს, ფორუმებს და არასდროს უთქვამთ ჩვენზე საშინელებები.

– ჩემი აზრით, შოუს პრინციპი თავიდანვე არ იყო სწორად განმარტებული.

– შეიძლება, ესეც იყო მიზეზი. მაყურებელმა სასიმღერო კონკურსად აღიქვა და რეალურად, ასე არ არის. არაპროფესიონალები მონაწილეობენ და ისინი ერთ დღეში მომღერალივით ვერ იმღერებენ.

გოგოლა: ცეკვა კიდევ სხვა რალაცაა. მაყურებლის დიდ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, მონაწილეს თვლა ერევა თუ რა მოსდის. ამას მხოლოდ პროფესიონალები ხვდებიან, ხმა კი ყველას ცუდად ხვდება ყურში. იოლად იკითხება შეცდომები.

ნოდის თატიშვილი: პირველ კონცერტზე გოგოლამ საშინლად ინერვიულა. იმ ერთხელ სრულყოფილად არ გამოუვიდა ნამღერი და ცდილობს ისეთი რალაცეები გააკეთოს, რომ ის ნამღერი აღარავის გაახსენდეს და ეს გამოისდის.

გოგოლა: ღმერთო, ნეტავ, არავის ახსოვდეს. მინდა, როგორმე ყველა საიტთან გავაქრო და ხალხმა დაივიწყოს საერთოდ, ასეთი რამ მოხდა (*იცინის*).

ნოდის თატიშვილი: ეგეთი საშინელებაც არ იყო, ნუ იგონებ. ნორმალური ნამღერი იყო და თან, პირიქით, ზრდა არის და მაყურებელი ხედავს, რამდენს შრომობ და როგორ იზრდება.

– არიან მონაწილეები, რომლებიც მგონია, რომ ცოტა ავადებულად ეკიდებიან ამ საქმეს...

გოგოლა: არადა, ასე არ არის. რატომ ჩანს



გოგოლა: „ამით მინდოდა, მეჩვენებინა, რომ ისევ ფორმაში ვარ“

პროექტი „ორი ვარსკვლავი“ ყოველკვირეულად ხურდება და კრიტიკის ქარიშხალი, რომელმაც მას პირველ კონცერტებზე გადაუარა, დროთა განმავლობაში მინელდა. ქართულმა ტურმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. სოციალურ ქსელებში წერდნენ, რომ ქართველი კომპოზიტორების ტურში გენეტიკამ მაინც იყვარა და მთლიანობაში ტურში შედგა. ჟიურის წევრებიც ვაცდილობთ ღმობიერი და კეთილგანწყობილი იყვნენ. ის, ვინც დასაწყისიდანვე „გადაურჩა“ კრიტიკას, გოგოლა კალანდაძისა და ნოდის თატიშვილის დუეტია. მიუხედავად ამ თუ იმ შეცდომისა, მათი ნომერი ყოველთვის განსაკუთრებული, ხალისიანი და პოზიტიური. მართალია, გასულ ორშაბათს წყვილი აუტსაიდერებში მოხვდა, მაგრამ ისინი მაინც მაქსიმალურს აკეთებენ. მაყურებლებო, დაუმესიჯეთ ნომერზე 95 211.

რაზე ნერვიულობს გოგოლა კალანდაძე და რა სიურპრიზებს ახვედრებენ მას შვილები სახლში

ასე, არ ვიცი. პირიქით, ყველა ძალიან ბევრს შრომობს. რეპეტიციებზე ვცხოვრობთ, ფაქტობრივად.

– დიდი ხანი არ ჩანდი ეკრანზე. გამოჩნდი და პირველივე ისეთი პროექტი იყო, რომელსაც უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ხომ არ იფიქრე, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღე?

– არ ვნანობ, ნამდვილად. პირიქით, რასაც გადაწყვეტ, მერე იმის გამო სინანული, აღარ მახსიათებს. პირიქით, მაქსიმალურად ვცდილობ, ეს გადაწყვეტილება გამართლებული და სწორი იყოს. ძალიან მომწონს, რასაც ვაკეთებ, ვერთობი. ეს, რაც ახლა ხდება, შემოქმედებითად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია – ვიზრდები. რასაც ვაკეთებ მსიამოვნებს და ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო. ამდენი წლის განმავლობაში რა ენერჯიაც დამიგროვდა, ახლა ვხარჯავ. ბევრი ბავშვის გაჩენამ, ფორმაში არ ყოფნამ განაპირობა ის, რომ დიდხანს დავჯექი სახლში. ბავშვის გაჩენის შემდეგ მოშვებული ხარ, სამსახური რომ არ გაქვს დუნდები. აუცილებელია, რომ საკუთარ თავზე იმუშაო, ეცადო საკუთარი თავის რეალიზებას. შენ უნდა ეცადო, რომ ის გააკეთო, რაც ძალიან გიყვარს, სხვაგვარად არაფერი გამოვა. კონკრეტული მიზანი უნდა დაისახო და ამ მიზნისკენ მიხვიდე. ამიტომ კმაყოფილი ვარ ამ შოუში მონაწილეობის მიღებით.

– გინდა, რომ ეს შენ დაბრუნებად იქცეს?

– არც არსად წავსულვარ, მაგრამ ზუსტად ეგ არის მიზეზი. ამით მინდოდა მეჩვენებინა რომ მე ისევ ფორმაში ვარ.

– მითხარი, როგორ თავსდება ეს ამბავი - „ბავშვი ბავშვის“ დედობა და პროექტი, რომელიც მთელ დროს მოითხოვს?

– ოჯახი ძალიან მიწყობს ხელს. ხომ იცით, მთავარი სურვილია და მერე ყველაფერი გამოდის. ყველაფერს ვასწავნი. მაგრამ ამ ეტაპზე მეტ დროს აქ ყოფნას ვუთმობ. ელენე უკვე დიდი გოგია. მაინც მგონია, რომ დათუკას და ანა-მარიას უფრო აკლიათ დედის ყურადღება. ბავშვები დამსდევენ სახლიდან რომ გამოვიდვი ვარ და მეხვეწებინა, დროზე მივიღე სახლში.

მეუბნებიან, რომ ძალიან ვენატრები. მე ამაზე გული მიჩუყდება. ორი დღის წინ აღმოვაჩინე, რომ ანა-მარია, რომელიც წლის და შეიდი თვისაა, ლაპარაკი დაუწყია და ამ დროს არ ვიყავი. ამანაც ისე იმოქმედა ჩემზე. თან, გამიხარდა, რომ ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ მე რომ მასთან ერთად ვიყავი ამ დროს...

ნოდის თატიშვილი: იმ დღეს ამბობდა, ჩემს შვილს ლაპარაკი, სიარული დაუწყია, სკოლაში წასულა და მე აზრზე არ ვარო (*იცინიან*).

გოგოლა: სახლში რომ მივდივარ, სულ ახალ-ახალ ინფორმაციებს მახვედრებენ. ღამით გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა (*იცინის*). ხმაურის მიღებები გვაქვს ხოლმე. ეკრანზეც ვერ აღიქვამს ანა-მარია რომ მე ვარ, შტერი გოგია. დათუკა კი, ყველაფერს ხვდება, უკვე ოთხი წლისაა.

– ოჯახი გვულშემატკივრობს?

– რომ ვთქვა, ძალიან-შეუთქი, არც ასეა. მაგრამ, მაინც, ჩემ გვერდით არიან ყოველ ორშაბათს, მოდიან და მამხმევენ.

ნოდის თატიშვილი: ეგ ყველაზე მაგარია. ოჯახის გულშემატკივრობა და თანაგანცდა, ყველაზე მთავარია. გოგოლას ქმარი გველშემატკივრობს. დანერვილებით მიყვება ხოლმე გოგოლა, ეს მოეწონა, ის მომეწონი არაო. ჩემს შემთხვევაში, ჩემი ოჯახი გოგოლას უფრო გულშემატკივრობს, ვიდრე მე. ჩემ გამო დაილაღენ უკვე ამდენი ნერვიულობით – იმდენი კონკურსი იყო (*იცინიან*). სახლში რომ მივდივარ ჩემთან დაკავშირებით კითხვები არ არის, გოგოლას ქება-დიდება.

– არ შემიძლია, არ აღვნიშნო შენი მოქნილობა ნილაშში, ნინა ტურზე.

გოგოლა: ნოდის თატიშვილი ახალ ამბულაში წარდგა მაყურებლის წინაშე. საკუთარ თავზე სულ ზუმრობდა, საშინლად მოუქნელი ვარო და საერთოდ არ არის ასე. ვეხვეწები, „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გადი-მეთქი. ყველაფერს ნიჭი აქვს ამ ადამიანს, ასხივებს.

– შეიძლება, ორივე პროექტში ერთდროულად იყო?

ნოდის თატიშვილი: შეიძლება. უკვე ორი წელია, უარს ვამბობ, რადგან მრცხვენია. მაგრამ, გოგოლამ ისეთი რალაცეები გააკეთებინა, მისმა სიყვარულმა სასწაულები გამაქეთებინა.

გოგოლა: დამიჯერე, ძალიან კარგი იქნები „ცეკვავენ ვარსკვლავებში“. მეხდე. რალაცნაირი ბრჭყვიალა და შარმიანი ბიჭი ხარ.

ნოდის თატიშვილი: კარგად გავერებ ამ პროექტში. ისეთ რალაცეებს ვაკეთებ, რაზეც წარმოდგენა არ მქონდა, თუ შემეძლო. ცეკვის კომპლექსი მოვიხსენი.

გოგოლა: ამან ცეკვის, მე სიმღერის.

ნოდის თატიშვილი: ვცდილობთ, ნომრები იყოს დაუვინყარი. ეს არის ჩვენი მიზანი. აქცენტს ერთიან ნომერზე ვაკეთებთ და არა მხოლოდ სიმღერაზე.



ქართულ ტელევიზორცემი ყველაზე პოპულარული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ უკვე სეზონია, მაყურებელს ახალ-ახალი სერიებითა და ისტორიებით ანებივრებს. ახალი სეზონში რამდენიმე ახალი პერსონაჟიც გამოჩნდა, მათ შორის არის ჩვენი რესპონდენტიც, ცოტნეს როლის შემსრულებელი, გიორგი ბახუტაშვილი. გიორგი 24 წლის არის, მისი სიყვარული კი არჩეული პროფესიის მიმართ ბავშვობიდან, სტუდია „ბერიკებიდან“ დაიწყო. მართალია, პირველ წელს ვერ მოეწყო თეატრალურ უნივერსიტეტში, მაგრამ მომდევნო წელს მიზანს მაინც მიაღწია. როგორია მისი პირადი ცხოვრება და მიიჩნევს თუ არა თავს იღბლიან ადამიანად ამაზე უკვე ინტერვიუდან შეიტყობთ.

როლის ბრძოლს თავს კალიან სულა გიორგი ბახუტაშვილი და სარ სმოვროვს ის ბოხოქარი სმოვრაბით

– მართალია, შენი სამსახირო კარიერა გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ, ტელევიზიისა და წარმატებული სერიალის პლუსი სწორედ ის არის, რომ მსახიობი გამოჩენისთანავე პოპულარული ხდება და მის მიმართ ინტერესი ყოველდღიურად იზრდება. როგორია შენი შეფასება შენივე პერსონაჟის მიმართ და ადვილად გაითავისე თუ არა ეს როლი?

– ჩემთვის, როგორც მსახიობისთვის, ძალიან საინტერესოა ამ როლზე მუშაობა და, ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა დამირეკეს და მიითხრეს, რომ ჩემი შეყვანა უნდოდათ სერიალის მესხეთე სეზონში. ძალიან საინტერესო საშუალებაა და, ასევე, პოლიტიკოსის სახეც საინტერესო უნდა იყოს მაყურებლისთვის. ჩვენ ხშირად ვხედავთ დეპუტატებს სხვადასხვა თოქ-შოუში, ასევე, პარლამენტის სხდომებზე, მაგრამ, არ ვიციტ მათი მეორე მხარე, მაგალითად, პირადი ცხოვრება, სადაც ისინი სხვანაირად თავდაჯერებულები არიან და ბოხოქარი ცხოვრება აქვთ – პოლიტიკა ხომ ტყუილებისა და ინტრიგების სამყაროა! ამასთან ერთად, როგორც ვხედავთ, ჩემი გმირი პირად ცხოვრებაშიც არ იკლებს ინტრიგებს და საკმაოდ „მჩქეფარედ“ ცხოვრობს. ამ მხრივ ჩემთვის ძალიან საინტერესოა ცოტნეს პიროვნება და შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ვთხზავ ამ პერსონაჟს. საინტერესოა, როცა სახლში მიდიან და საჯაროებში ჩასხდებიან, მერე რა ხდება, იცვლებიან თუ არა ისინი რადიკალურად.

– ამ როლის შემდეგ ხომ არ დანიყ რეალურ ცხოვრებაში პოლიტიკოსებზე დაკვირვება?

– არა, განსაკუთრებულ ყურადღებას არც ადრე ვაქცევდი მათ და არც ახლა ვაქცევ. მართალია, ძალიან შორს ვარ პოლიტიკოსიდან, მაგრამ, არ მიმანია სწორად ბოლომდე გულგრილობა და მიზნად-არმიზნა, მაინც მოვლენების განვითარების საქმის კურსში ვარ. ბოლო-ბოლო, ყველაფერს რომ თავი დაანებო, ყველგან პოლიტიკაა ჩართული. ასე რომ, ჩემში მაინც რაღაცნაირად „მოიხანია“ ახალგაზრდა პოლიტიკოსების სახე. ნელ-ნელა ითხზება ეს პერსონაჟი და, იმედი მაქვს, მაყურებლისთვის საინტერესო იქნება.

– მაყურებელმა, პრაქტიკულად, ამ სერიალით გაიცინო. შენს ცხოვრებაში კი მანამდე თეატრი და სხვადასხვა როლი იყო – ხარ მუსკომედიის მსახიობი და პარალელურად სხვა თეატრების რეპერტუარშიც ხარ დაკავებული.

– თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მუსკომედიის თეატრში მოვხვდი. ასევე ვთამაშობ თავისუფალ თეატრში და ვაკის სარდაფში. წელს უკვე მიწოდდა, კინოშიც მეცადა თავი და ასეც მოხდა. მონაწილეობა მივიღე ფილმში „ჩემი ცოლის დაქალი კინოში“, სადაც მემონტაჟის როლი შევასრულე. მერე კი სრულიად მოულოდნელად დამირეკეს სერიალიდან და ცოტნეს როლზე დამამტკიცეს.

– რამე საერთო თუ დინახე შენსა და ცოტნეს შორის?

– შემიძლია, ვთქვა, რომ აბსოლუტურად სხვა პოლუსი ვარ და ბოლომდე განვსხვავდები ჩემი გმირისგან, თუმცა, ცოტა საერთოც გვაქვს, თუნდაც, საქმის მიმართ დამოკიდებულება. ისე, მე, როგორც გიორგი ბახუტაშვილი, ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს ტყუილებისა და ინტრიგების გარემოცვაში, ცოტნე კი, პირიქით – კომფორტულად. პირადი ცხოვრებითაც განვსხვავდებით, რადგან, ის ორმაგ თამაშს თამაშობს, მე კი ასეთ მდგომარეობაში თავს კარგად ნამდვილად ვერ ვიგრძნობდი.

– შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება, დაოჯახებული ხარ?

– არა.
– სად უფრო კომფორტულად გრძნობ თავს გადასალბ მოედანზე თუ სცენაზე?

– დედა უფრო გიყვარს თუ მამაო, რომ იციან კითხვა, ასეა ესეც. ვერ გამოვარჩევ ერთმანეთისგან, რადგან, ორივეს თავისი პლუსები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ცოტნე ჩემი პირველი საყვარლო როლია, მაინც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს კამერასთან. ფორმულა „კრეატივის“ შემოქმედებითი ჯგუფი აბსოლუტურ კომფორტს გიქმნის იმისთვის, რომ ბოლომდე მობოლიზებული იყო და შენი საქმე ხარისხიანად აკეთო. ძალიან სასიამოვნოა მათთან მუშაობა. რაც შეეხება თეატრს, ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს – მუდმივად განახლებადი პროცესია და, ის უხილავი იმპულსებია, რომლებსაც გამუდმებით ცვლი მაყურებელთან, ყოველდღე შეგიძლია, თავიდან გაიარო.

– როგორია შენი შინაგანი სამყარო რეალურ ცხოვრებაში?



ემოციური ვარ, თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი თავი ვაკონტროლო. ალბათ, ყველაზე საშინელებაა, როცა ადამიანი საკუთარ სახეს კარგავს და უკონტროლო ხდება

– გამოიჭრდება საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ, ვიტყვი, რომ პასუხისმგებლობის მქონე, მშვიდი, საქმეზე შეყვარებული ადამიანი ვარ.

– რა გაძლევს ცხოვრებაში სტიმულს?

– საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდ სტიმულს მაძლევს ცხოვრებაში. მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობა ტვინში კიდევ გიხსნის სხვა „პლანებს“, უფრო მეტის კეთების ძალას გმატებს და გაფიქრებინებს, რომ მარტივად ცხოვრება არ არის სწორი და ადამიანებს უფრო მეტი პასუხისმგებლობები უნდა ჰქონდეთ.

– რაც არ უნდა ნიჭიერი იყო, მთავარი მაინც გამართლებაა. ამ სამი წლის განმავლობაში, რაც თეატრალური უნივერსიტეტი დაამთავრე, მიგაჩნია, რომ კარიერაში გაგიმართლა?

– გეთანხმები, რომ გამართლება და იღბალი აუცილებელია ცხოვრებაში, ამისთვის კი ძალიან დიდი მადლობელი ვარ ღმერთის. შემიძლია, თამაშად ვთქვა, რომ საკვანძო მომენტებში ყოველთვის მიმართლებდა ხოლმე და დიდი ბაზიერები არ მხვდებოდა წინ. ამ ყველაფერს მაინც იმ ოთხ წელს ვუკავშირებ, რომლებიც თეატრალურ უნივერსიტეტში გავატარე. მიხარია, რომ არჩევანი მსახიობის პროფესიაზე გავაკეთე. ვალაირებ, რომ ვერც ერთ სფეროს ვერ ვხედავ, რომელიც შეძლებდა, იმის მესავედი სხარაული და ბედნიერება მოეწიჭებინა, რასაც ეს საქმე მანიჭებს.

– პრინციპული ადამიანი ხარ?

– დიახ. არაფრის გამო არ გავაკეთებ ისეთ რამეს, რაც ჩემს მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

– რაზე არ იტყვი არასდროს უარს?

– უარს არასდროს არ ვიტყვი ოჯახზე. თავიდანვე ჩემს ბედნიერებას იმაში ვხედავდი, რომ, თუ ბოლომდე რეალიზებული ვიქნებოდი პროფესიასა და ოჯახში, ანუ, ერთნაირად წარმატებული ვიქნებოდი ორივეგან, მაშინ შემეძლებოდა, მეთქვა, რომ მიზანს მივაღწეე. ასე ვფიქრობდი და დღესაც ამ აზრზე ვარ.

– მიზანს, როგორც ვხედავ, ხშირად აღწევ?

– შეიძლება ასეც ითქვას. ჩემი კრედაა: რაღაცის გაკეთება თუ გინდა, აუცილებლად უნდა სცადო.

– ფოტობადი ხასიათი გაქვს?

– ემოციური ვარ, თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი თავი ვაკონტროლო. ალბათ, ყველაზე საშინელება ისაა, როცა ადამიანი საკუთარ სახეს კარგავს და უკონტროლო ხდება...

– და ამის შემდეგ ემოციების ფიორვერსები ემართება. შენ თუ დაგმართნია ასეთი რამ?

– კი, მაგრამ, დიდი იმედი მაქვს, აღარ განმეორდება.

მარიკა ხილურაძე

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი
გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; ნარსულის, ანმოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.
ყოველივე ამას უძველესი და მეგვიდრეობით მესხეთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გათავაზობთ ნინო ჯანელიძე.
ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.



ნა ლინსაზუხს ხელაჰს მამაქასი ასაკით უფროს ქალში და ნას მინროზს მის გვერდით

ქალსა და კაცს შორის ურთიერთობა ძალიან ინტიმური და ინდივიდუალურია. მხოლოდ იმ ორმა იცის, რა სურთ ერთმანეთისგან. რა უნდათ, რომ მიიღონ ამ ურთიერთობით. ამიტომ, სტერეოტიპს ვერ დაუდგენ, ვერც ვერავის მიუთითებ, როგორ უნდა იცხოვროს. ყველა თვითონ არის საკუთარი თავის ბაჭონ-პატრონი. ბედისაც - რა თქმა უნდა. მხოლოდ ჩვენ გვაქვს უფლება, გადავწყვიტოთ, ვისთან ერთად გვინდა ცხოვრება. საზოგადოებას არ უნდა აინტერესებდეს, რა მონაცემებით შეარჩევნე წყვილები ერთმანეთს. მაგრამ, ინტერესი მაინც არსებობს და საკმაოდ გაცხოველებულიც... სხვის ცხოვრებაში ქექვა ბევრს უქმნის სერიოზულ პრობლემას და შეიძლება, ძალიან კარგ ურთიერთობაზეც კი უარყოფითად აისახოს...

ჰანსო (33 წლის): იცით, რატომ დაგთანხმდით ამ საუბარზე? მინდა, ჩვენმა საზოგადოებამ ბოლოს და ბოლოს შეიგნოს, რომ სხვისი ცხოვრება მათი გასარჩევ-გასაქექი არ არის. რა უბედურებაა, რატომ აინტერესებთ, ვინ ვისი შესაფერისია, ვინ ვისი საყვარელია. ვინ ვისთან იცხოვრებს და ბედნიერი იქნება თუ უბედური, მათი გადასანყვეტია.

- თქვენს ცხოვრებაში იქექებიან?

- ცდილობენ. ძალიან უნდათ, რომ სტერეოტიპის მონა გამხადონ, როგორც თავად არიან. მე თავს ბედნიერად ვგრძნობ. ძალიან კარგია, რომ სწორედ ის გახდა ჩემი მეორე ნახევარი. დიახ, მე ყოველთვის ასაკით უფროსი ქალები მომწონდა. ვისი რა საქმეა და კიდევ, მითხარით, ვინ დაადგინა, ვინ რამდენი წლის უნდა იყოს?! ასაკით უფროსმა ქალებმა ძალიან კარგად იციან, რა უნდათ. ისინი ქარაფშუტულად არ ცანცარებენ. არც უკიდურესობაში ვარდებიან. ჭკვიანები და რეალიზებული არიან, თავისუფლები საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებში. მე მეყო ჭკუა და ამ ქალებს შორის საუკეთესო შევიყვარე.

- ასაკით უფროს ქალზე შეაჩერეთ არჩევანი?

- დიახ. ეს ნამდვილად ჩემი არჩევანი იყო. ჩემი საყვარელი ქალი ჩემზე უფროსია თოთხმეტი წლით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ალფონსი ვარ და არც მისი „შვილიკო“. ზოგადად, ასე აფასებენ მსგავს ურთიერთობებს და მაგრად მეცივება ამაზე.

- თქვენ ფიქრობთ, მათ ეჭვი ეპარებათ, რომ გულწრფელად გიყვართ ერთმანეთი?

- სულ არ მაინტერესებს, ვის რაში ეპარება ეჭვი. მთავარია, მე ვიყო კარგად. ძალიან კარგი წყვილი ვართ - ლამაზი და ეფექტური. ზოგჯერ მეჩვენება, რომ შურთ ჩვენი. ჩემს მეუღლეს არც ერთ ნორჩ ლამაზმანზე არ გავცვლი. ზუსტად ვიცი, რასაც ვამბობ და რაც მინდა ცხოვრებისგან. ერთად ძალიან ბედნიერები ვართ. არავის აუფგადივარ და არავის „შეუფთხავარ“, როგორც ამას ხშირად ამბობენ ჩემზე.

- ასაკით თქვენზე უმცროსი შეყვარებული გყავდათ?

- კი. სანამ ცოლს შევირთავდი და მას გავიცნობდი, მყავდა რამდენიმე შეყვარებული. ეს ბუნებრივია. კი ვთქვი, რომ ყოველთვის ასაკით უფროსი ქალები მომწონდა, მაგრამ შეყვარება-მონონება მთლად ასე შეკვეთითაც არ არის. მოკლედ, ლამაზიც იყო, მხიარულიც, არცთუ სულელი... ჩემს ცხოვრებაში ქარიშხალივით შემოიჭრა... ძალიან რთული იყო ჩვენი ურთიერთობა. საერთოდ არ მეკითხებოდა, მე რა მინდოდა. თვითონაც მუდმივად ეცვლებოდა გუნება-განწყობა. ხან მეფერებ-

ოდა და ბავშვივით დაუცველი იყო. ხან ისეთ კლანჭებს გამოაჩენდა, თავვედს ვინცევილიდი. წინააღმდეგობას ვინ ჩივის, ჩემი აზრის გამოთქმაც კი, ისეთ ისტერიკას ტეხდა, შშით ხმას ვერ ვცემდი. მაგიუებდა და თავგზას მირევდა მისი გარეგნობა, მაგრამ ვეღარ გავუძელი. მივხვდი, რომ მასთან ერთად ცხოვრებას ვერ შევძლებდი, დავმორდი... დიდად არც ეს უნერვიულია. მაგრად გამომლანძლა და ნაშმალა თავისი ცხოვრებიდან. ძალიან მალე ვილატ ფულიანზე გათხოვდა.

- მამაკაცები ფულიანობას კაცს ნაკლად რატომ უთვლით?

- ვინ ვითხარათ, რომ ნაკლად ვუთვლი. უბრალოდ, ძალიან ხშირად ქალები პრობრეტებს სწორედ ფულს ანიჭებენ.

- ასაკით უმცროს ქალებს გულისხმობთ?

- ბუნებრივია, რომ არშემედგარ ქალს უფრო სჭირდება გვერდით ფულიანი და ფეხზე მყარად მდგარი მამაკაცი. ეს ხომ ფაქტია?! მე არაფერი მაქვს ამის საწინააღმდეგო. რა

შეგს, თუმცა ვერ ვხვდებოდი, რატომ... ძალიან დამალა მუდმივად დაძაბულ რეჟიმში ცხოვრებამ. წარმოვიდგინე, რა ჯოჯოხეთი მელოდა მისი ცოლად შერთვით. ვიოსტად კი „მომნათლავთ“, მაგრამ ძალიან მინდოდა, ქალს გავენებოვებინე ყურადღებით და ეზრუნა ჩემზე... საკმაოდ დიდხანს ვიყავი მარტო, ამ ურთიერთობის შემდეგ. ვხვდებოდი, რომ თუ ახალ ურთიერთობას დავიწყებდი, ის უკვე ოჯახის შექმნით უნდა დამემთავრებინა.

- მამაკაცების უმეტესობა, პირობით, ცდილობს, ურთიერთობა ქალთან ყოველგვარი პასუხისმგებლობების გარეშე დაიწყოს.

- ხომ ვთქვი, რომ მე „ყველას“ არ ვგავარ და ჩემი ხასიათი მაქვს. სხვათა შორის, მამაკაცების უმრავლესობა, სწორედ რომ, ჩემნაირია. შეიძლება, ყველა არ აღიარებს ამას, მაგრამ სურვილი იმისა, რომ ქალის ყურადღებით იყენენ განებივრებულები, ნამდვილად აქვთ.

როცა ჩემი მომავალი ცოლი გავიცანი, ეგრევე მივხვდი, რომ ასაკით ჩემზე უფროსი იყო. თუმცა, რამდენით, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდ.

- ანუ, შესაძენვია თქვენ შორის ასაკის დიდი სხვაობა?

- როგორ ვითხარათ, ვისაც ამ სხვაობის დანახვა უნდა, იმისთვის, ალბათ, შესაძენვია. თუმცა, მე ეს ნაკლებად მალეღევეს. მამინევე დამაინტერესა: მშვიდი, ლომილანი, დახვეწილი, ჭკვიანური გამოხედვით... რალაცნაირად შარმინია... საკმაოდ დიდხანს ვუვლიდი გარშემო... რალაცნაირი რიდი მქონდა. ჩემი ერთი-ორი მეგობარი დამცინოდა - რა იყო, დეიდებისკენ გავიწია გულმა? იცი, რამდენი წლის არის?

- ესე იგი, თავიდანვე იყო ნეგატიური დამოკიდებულება.

- იყო. არ უარყოფ. თუმცა, ვერ ვხვდები, რატომ ნერვიულობდა ეს ხალხი ჩემ მაგიერად. დღესაც ვერ ვხვდები. ჩემთვის თავიდანვე სულერთი იყო იმ ქალის ასაკი, რომელიც ძალიან მალე „ჩემიანი“ გახდა. ისე ტაქტიანად მიმახვედრა, რომ ადვილად ვერ მივიღებდი მასთან საიხლოვეს, მოვიხიბლუე. ამ მინიშნებით ძალიან ბევრი რამ მითხრა... სანამ არ დარწმუნდა, რომ ჩემი გრძნობა სერიოზული და გულწრფელი იყო, კინოშიც არ გამომიყვანა. თავიდანვე გულწრფელი ვიყავით ერთმანეთთან და დღესაც ასეა. მის გვერდით თამაში არ მჭირდება. ვარ ის, რაც ვარ. ამაზე კომფორტული მდგომარეობა, ვერც წარმომიდგენია.

- ოჯახის წევრებს, მშობლებს რეაქცია

მოველთვის ასაკით უფროსი ქალები მომწონდა. ვინ დააღვიძა, ვინ რამდენი წლის უნდა იყოს

სისულელეა! ყველას თავისი არჩევანი აქვს. მაგრამ, რატომ „ეჩენებიან“ ჩემს ცხოვრებაში, რატომ ცდილობენ დამაჯერონ, რომ სწორად არ ვცხოვრობ. რა ექნა, არ მიყვარს ლამის კლუბებში გათენებამდე ხტუნაობა და დროის უაზროდ ფლანგვა. მყუდრო და მშვიდი გარემო მიყვარს. მჭირდებოდა ქალი, რომელიც ჩემით აღფრთოვანდებოდა, მომეფერებოდა და გამანებივრებდა თავისი ყურადღებით. ოღონდ „განებივრება“ ცუდად არ გამოგოთ. აბსოლუტურად ჯანსაღ ურთიერთობას ვგულისხმობ. ყველა ადამიანი სხვადასხვანაირია. არასოდეს ვყოფილვარ გიჟური, არაფრისმომცემი გართობების მოყვარული. ვაფასებ სტაბილურობას და ერთგულებას. მიყვარს კარგად გამოძინება, დალაგებული, მყუდრო და კომფორტული სახლი... სიმშვიდე და ის, რომ ვილატ ჩემს სიმშვიდეზე ზრუნავს... ჩემს ნორჩ შეყვარებულთან ყველაფერი პირობით იყო. ისეთ წვრილმანზე იბუტებოდა და ტირილს იწყებდა, რომ შოკში მაგებდა. ვისდელი ბოდი-



55 წლის ლეონიდი ივანეს ძე კორენი ეძებს 54 წლის ნოდარ ვალერიანის ძე სიხუაშვილს.

ისტორია: ვიქტორ ჯარის მეგობარს - 54 წლის ნოდარ ვალერიანის ძე სიხუაშვილს. მე და ნოდარი ერთად ვმსახურობდით გერმანიაში და ჯარშივე დავმეგობრდით. მთელი ამ წლების განმავლობაში, ვცდილობდი, მომეტებნა ჩემი მეგობარი, მაგრამ დამოუკიდებლად ეს ვერ შევძელი. მაქვს ნოდარისა და ჩემი ერთი ფოტო. დიდი იმედი მაქვს, რომ მეგობარს ვიპოვი. სამწუხაროდ, ნოდარის შესახებ მწირი ინფორმაცია მაქვს, არც მისი ძველი მისამართი ვიცი. თავად უკრაინაში ვცხოვრობ და თქვენი რუბრიკის იმედილა დამრჩა.



- როგორ დაკარგეთ მეგობრებმა ერთმანეთი, მოგვიყვით ყველაფერი, რაც ნოდარის შესახებ იცით.

- მეც და ნოდარსაც სამხედრო სამსახურის გავლა ყოფილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგვინია. კერძოდ, ქალაქ პარხემში ვმსახურობდით. ეს იყო 1978-1980 წლებში. ჯარშივე დავმეგობრდით და ისე გავუგეთ ერთმანეთს, ყველას ეგონა, ჩვენ მანამდეც ნაცნობები ვიყავით. ერთი სიტყვით, უამრავი კარგი მოგონება გვაკავშირებს ერთმანეთთან. ისეთი დრო გვაქვს გატარებული, რომლის დაგინებაც შეუძლებელია. ნოდარი საქართველოდან იყო, ქალაქ თბილისიდან. ადრე სულ მეუბნებოდა, რომ აუცილებლად დამპატივებდა თავის სამშობლოში. საქართველოზე ბევრ კარგ რამეს მიყვებოდა. მე საქართველოში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ

როგორ დაკარგეს მეგობრებმა ერთმანეთი და ვინ ეძებს ჯარის მეგობარს უკრაინიდან საქართველოში

რამ ამ ქვეყანაზე ყოველთვის კარგი წარმოდგენა მქონდა. ჯარის დამთავრების შემდეგ, ჩვენ შორის კავშირიც განცდა. რალაცნაირად ვერ მოვიფიქრე ნოდარისთვის მისამართის გამორთმევა. მე კი ჩემი მისამართი ჩავანერინე, მაგრამ ისე მოხდა, რომ მისამართი შევიცვალე. ასე დაკარგეთ ერთმანეთი.

- ნოდარს დედამამიშვილი თუ ჰყავს, ან რაიმე სხვა ინფორმაცია თუ გაქვთ დაკარგული მეგობრის შესახებ?

- ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, მეუბნებოდა, უმცროსი ძმა მყავსო. სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს. ვიცი, რომ თბილისში მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. საკმაოდ კარგი ხასიათის ადამიანი და დარწმუნებული ვარ, უამრავი მეგობარი და ახლობელი ეყოლება, იქნებ ვინმეს მაინც ეცნოს ეს ისტორია და გადასცეს, რომ მე ვიქებ.

- აქამდე თუ ეძებდით მეგობარს.

- მას შემდეგ, რაც ჯარიდან დაბრუნდი, სულ მინდოდა ნოდართან დაკავშირება. მაგრამ, მისი არანაირი კოორდინატი არ მქონდა და ამის გამო, ვერ დავეუკავშირდი. მერე გადავწყვიტე, სამძებრო სამსახურებისთვის მიმემართა. მიემართე კიდევ. გავიდა დრო, ჩემს განაცხადს კი, არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მაშინ თავადაც ვცადე, გამეკრევა, ვისთვის შეიძლება მიმემართა დახმარება.



ეპისტოვის, რომ საქართველოში მეგობარი მომეტებნა. სრულიად შემთხვევით გავიგე თქვენი რუბრიკის შესახებ. ჩემს ახლობელს უკვე დაეხმარეთ ნათესავების პოვნაში. გადავწყვიტე, მეც ბედი მეცადა და მოგწერეთ. მაღლობელი ვარ, რომ გამოემხმებოდა.

- როგორ ფიქრობთ, ნოდარს თუ ახლობართა და ერთმანეთის პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა შეხვედრას?

- რატომღაც მგონია, რომ ნოდარს ვახსოვარ და ჩემი პოვნა მასაც უნდა. უბრალოდ, როგორც ვითხარით, მან ჩემი ამჟამინდელი კოორდინატები არ იცის და შესაძლებელია, ამიტომაც ვერ მიკავშირდება. თანაც, ახლა მთელი მსოფლიო უკრაინაში მომხდარ ამბებზე ლაპარაკობს. ნოდარმა კი კარგად იცის, რომ უკრაინელი ვარ და ეს ამბავიც გაახსენებდა ჩემს თავს. მისი პოვნის შემთხვევაში, აუცილებლად ვიფიქრებთ ერთმანეთის ნახვას. მაგრამ, როდის ან როგორ მოხერხდება ეს, წინასწარ არ ვიცი. მთავარია, მეგობარი ვიპოვო და ის კარგად, ჯანმრთელად იყოს.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგინიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com. ნატალია მახარაშვილი

ჰქონდათ თქვენზე უფროსი ქალზე რომ დაქორწინდით?

- ბუნებრივია, ჰქონდათ. აბა, უამისოდ როგორ იქნებოდა?! მე მზად ვიყავი ამისთვის და საკმაოდ მშვიდად გადავიტანე. თან ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემს საყვარელ ქალს დისკომფორტი არ შეჰქმნოდა. მისი ხასიათიც დამეხმარა. იმასაც ხომ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რაზე მივდიოდით. ამიტომ, შედარებით ადვილად გადავიტანეთ. ჩვენ ერთმანეთის გარ-

ლებს. ჩემმა საყვარელმა ცოლმა იცის, რა უნდა. ამას ყველაფერში ავლენს. ინტიმშიც და ეს ძალიან მაგარია. კიდევ, არ მზღუდავს. თავისი ინტერესები მასაც აქვს - თავისი საქმე. რეალიზებული და დაკავებულია. ისიც იცის, რომ სახლში, ოჯახში ჩვეულებრივი ქალი უნდა იყოს. შემოხედვას და უკვე იცის, რა გამაბედნიერებს. ყოველ ზუთ ზუთში არ მაკონტროლებს. არც იმას მოითხოვს, სულ ვუმეორო, როგორ მიყვარს. ქალების უმრავლესობა ითხოვს ამას კაცისგან და ძალიან დამძლეულია, მერწმუნეთ.

სულ ვამბობ, ორმოც წელს მიტანებული და ამ ასაკს გადაბიჯებული ქალი ნამდვილად აღმასია, რომელსაც ოქროს ფუტლარი აღარ სჭირდება, ისედაც ბრწყინავს და კამუკაშებს. მიხარია, რომ ის ჩემ გვერდით არის. ვიცი, რაც უნდა მოხდეს, ყველაფერში მხარს დამიჭერს და მიერთგულებს. თანამაზრეა ისეთი, ყველა ძმაკაცს სჯობია. ყველაფერს ერთად ვწყვეტთ და ძალიან კმაყოფილი ვართ ამით. კიდევ ერთს ვეტყვით, შემეძლია, ვიყო სუსტი ჩემი ცოლის გვერდით და არ შემრცხვეს. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია.

დალი მიქაელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

გამომწვევი და აქტიური ქალი ნამდვილად არ ვარ. არც აცტებულები და კაცზე გაგიჟებული. 31 წლის კი ვხდები, მაგრამ იმისთვის, რომ გვერდით ვილაღ მყავდეს, პირველივე შემხვედრის კისერზე ვერ ჩამოვკვიდები. ჩემი ცოლიანი კოლეგა ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა. ხან კანფეტები მოაქვს, ხან ყავასა და ლანჩზე მემპატივება. გულახდილად გეტყვით, ყურადღება მსიამოვნებს... მაგრამ მეტი არაფერი. ცოლი ჩემთვის ის ბარიერია, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გადავლახავ. როგორ ვუთხრა, რასაც ვფიქრობ ჩვენს ურთიერთობაზე ან რა ურთიერთობაა ეს.

ბამონმაშურაბა: პირდაპირ უნდა უთხრათ. ეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. იყავით გულახდილი. არც იკეკლუცოთ და არც შანსი დაუტოვოთ. მით უმეტეს, რომ კოლეგები ხართ და ნორმის ფარგლებში ურთიერთობა უნდა გააგრძელოთ. გააკეთეთ ეს მალე. მართო ნუ გაჰყვებით ლანჩზე, „კეთილის მსურველებს“ რა დალევს. შეიძლება, ვინმემ მის ცოლს მიუტანოს ენა და არაფრის გულისთვის პრობლემები შეგექმნებათ.

ფსიქოლოგი
მადონა რობაქიაძე

მინდოდა, ძალს ვხრადვებოდი გაგონებობაში და ჩემს პიროვნებას. ნაბოძობი, რა ჯოჯოხობი მალადა მისი ცოლად შეტოვო

და არავინ გვინდა და არავინ გვჭირდება. ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ. მხოლოდ მეტიმება მათ შემოფოთებებზე - ვითომ ჩემზე რომ დარდობენ და ზრუნავენ. მაგათ რა იციან, რას ვერძნობ მე და ვისთან ვიქნები ბედნიერი. ჩემს ცოლთან შემეძლია, მთელი დღე ჩუმად ვიყო და ეს მას შეკითხვებს არ გაუჩენს. არაფერს მაძალებს და მაძიულებს. სრული თავისუფლება მაქვს. თუ ვეტყვი: მოდი, დღეს ერთმანეთისგან დავისვენოთ-მეთქი, ეს მას არ გაანერვიუ-



ნიტა ლომიძე: 57-ე საჯარო სკოლაში ესწავლები, მეტუთე კლასში ვარ. ძალიან კარგი კლასი მყავს, ყველასთან ვემეგობრობ. სკოლის გარდა, დავდივარ ტანვარჯიშზე, ლათინურ-ამერიკულ ცეკვებზე, კიდევ - მათემატიკაზე. ეს საგანი ყველაზე მეტად მიყვარს სკოლის საგნებთან, მეზურხება კიდევ, უბრალოდ, ბევრი ვაცდენა მქონდა და პროგრამას უნდა დავწვდი.

ჩვენ რომ მოვედით, რალაც სცენარს კითხულობდი.

- ახალ ფილმს ვიღებთ, უფრო სწორად, «ცელქი ბავშვების» გაგრძელება იქნება - «ცელქი ბავშვები 2» და იმის სცენარს ვსწავლობდი. ისეთი სასაცილო და სახალისოა, მგონი, ეს უფრო საინტერესო იქნება. ვინც მთავარ როლებში იყვნენ, ისინი ისევ რჩებიან ფილმში და ახალი პერსონაჟებიც შემოგვიერთდებიან.

როდის გამოვა «ცელქი ბავშვები 2»?

- ამბობენ, დეკემბერში უნდა გამოვიდესო.

თემატურად, ისევ ახალ წელზე იქნება მეორე ფილმი?

- არა, «ცელქი ბავშვები 2» ზაფხულის პერიოდს ასახავს, მაგრამ, გამოვა და პრემიერა შედგება ზამთარში.

მუსკომდიის თეატრში რამე ახალ როლზე ხომ არ მუშაობ?

- ახლა ვადის „ლურჯი ფრინველი“. სხვა სპექტაკლზე ჯერჯერობით არ ვმუშაობ.

„ლურჯი ფრინველის“ ტელევერსიაც საკმაოდ პოპულარულია.

- დაბ. „ლურჯი ფრინველი“ რომ ვიღებდით, იყო სცენა, როდესაც ჩამავდეს წყალში, დელფინებთან. თან, ძალიან მძიმე კაბა მეცვა და წყალში რომ დასველდა, საერთოდ განძრევაც გამიჭირდა. ეს სცენა დღეობაში გადავიღე. ერთი გაცეცურე თუ არა, შემოუშვეს დელფინები. მემჩნობდა, ერთი საათი სჭირდება ადამიანს მათთან მისაჩვენებლად, ჩვენ კი სულ ყველაფრისთვის გვეჩვენა ერთი საათი. ვერ ვეჩვენოდი, ამიტომ, ძალიან ბევრი ვიტყვი. თან ვწერ ვიულობდი, თან მემჩნობდა, თან კაბა სულ უფრო და უფრო ქვემოთ მითრმავდა... ორი მეტრი იყო თითო დელფინი და ამბობდნენ, ესენი პატარები არიანო. ძლივს გადავიდეთ, მაგრამ, მაინც ვერ შევიჩვიე დელფინებს.

ფილმში გადაღების გამოცდილება გქვს და სპექტაკლზეც გიმუშავია. რომელი უფრო მოგწონს?

- ორივეზე ვგიჟდები. ყველაზე მეტად მომწონს მსახიობებთან ერთად ფუსფუსი. «ცელქი ბავშვები» ან „არა და ვანოს თავგადასავალს“ რომ ვიღებდით, გადაღებები დიდხანს გრძელდებოდა და ყველანი ვიღლებოდით. ვაიძე, ცოტა მაინც დამაძინა-მეთქი, - ვფიქრობდი ხოლმე, მაგრამ, როგორც კი დაიძახებდნენ - მოწესრიგდით, ვიღებთო, მაშინვე მაინყვებოდა დაღლა და ყველაფერიც. კედლისკენ მეტრიალდებოდი, თვალეხს დაფუჭავდი, ტექტს გავყოლიდი გონებაში, მერე შევამჩნებდი, არაფერი ხომ არ მაგინყვდება: ეს მეცვს, ის მეცვს, ისიც მეცვს... მხოლოდ ამის შემდეგ გავდიოდი გადასაღებ მოედანზე. თეატრშიც ასე ვემზავდით ხოლმე სცენაზე გასასვლელად.

რომელ ფილმებშიც კი ვიყავი, ყველაზე ბიჭი მყავდა მეწყვილე, და-ძმას ვთამაშობდით; «ცელქი ბავშვები»-ში ზუკა დარჯანიძე იყო, „ლურჯი ფრინველი“-ში - ანდრია გაბრიჩიძე. ორივესთან ვმეგობრობ. როგორც კი დროს ვიხელოვებთ, მაშინვე გავრბივართ კულისებში და ხან ჩამოხრჩობანას ვთამაშობთ, ხან დამალობანას და ასე ვერთობით.

დიდები არ თამაშობენ ხოლმე თქვენთან ერთად?

- არა, დიდები ხუმრობენ. მაგალითად, აჩიკო სოლოლაშვილი ხუმარა კაცია და ძალიან მომწონს, როცა დამინახავს ხოლმე და მიხეებს ფისოს ხმაზე ლაპარაკს, რის ხასიათზეცაა, იმის

„არასდროს რჩება იმის დრო, დაბადების დღეზე ნავიდეს, თიამაშოს, დაისვენოს, მაგრამ, მიჩვეულია და არ აქვს პროტესტი, იმიტომ რომ, სხვანაირად როგორ არიან მისი თანატოლები, არ იცის. ალბათ, ეს რომ იცოდეს, ასე მარტივად არ დაგვთანხმდებოდა ასეთ რეჟიმზე. მეორე მხარეცაა - ის, რასაც აკეთებს, ძალიან უყვარს და ამით ბედნიერია. ბევრჯერ შემითავაზებია, ვთქვათ, დავანებოთ ტანვარჯიშს თავი-მეთქი, მაგრამ, კატეგორიული წინააღმდეგია. ასევე იქცევა იმ შემთხვევაშიც, როცა რამე როლს გვთავაზობენ. ძალიან გვიჭირს, ყველაფერს მოვერიოთ. ეს ყველაფერი კეთდება იმის ხარჯზე, რომ მას უნდა, უყვარს კამერის წინ დგომა, გიჟდება თეატრზეც და, ალბათ, ეს უნაზღაურებს თამაშს,“ - ასე დაახასიათა თეა გობჯეიშვილმა, რამდენიმე სიტყვით თავისი ქალიშვილი - ნიტა ლომიძე - ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ქართველი ბავშვი. ნიტა დღეს ჩვენი რესპონდენტია.

როგორ აღმოჩნდნენ ნიტა ლომიძის მამობრების სიახლე აჩიკო სოლოლაშვილი, ლუბა სნიკილაძე, ლიო და სხვები და ვინ ანაზღაურებს მას ყველაზე მეტად

მიხედვით, ხან ზღვის, ხან ძაღლის ხმაზე მელაპარაკება. ეს, რაც შეეხება თეატრს; ფილმებში არის ძალიან ბევრი დეკორაცია, ესე იგი, ძალიან ბევრი საინტერესო ადგილები დასამალად (*იცინის*). ხანდახან რომელიც ითახშიც ვადაღება არ მიმდინარეობდა, იქ ვაგვს ვანყობი. უფროსები რომ მწუხრიდნენ მოკოლაღებს და პუქნიებს ვინახავდი და მერე ამ კავშირს ვანყობდი და მივითმევედი ჩემს მენეჯერსთან ერთად. ამის გამო გადაღების პერიოდში, ვაგვსუქდი.

ვინ აღმოაჩინა, რომ გასუქდი?

- დედა (*იცინის*) და არამხოლოდ მან...

ფილმებსა და სპექტაკლებზე მუშაობისას, ახალ როლებზე შეიძლება ვინ არიან ისინი?

- ჩემი მეგობრები არიან: დიო, ნანიკო ხაზარაძე, ანა ქურთუბაძე, დუტა სხირტლაძე, აჩიკო სოლოლაშვილი.

დღი მუშავებ?

- არა. რალაც მომენტებში, შეიძლება, იყოს მკაცრი, მაგრამ, უმეტესად - არა.

ნერვიულობს სად უფრო გინევს, ფილმის გადაღების დროს თუ სპექტაკლზე მუშაობისას?

- ფილმში უფრო არ ვნერვიულობ, ვიდრე სპექტაკლში, იმიტომ რომ, ფილმისთვის შეიძლება რამდენიმე დღეობა გადავიღო, სპექტაკლში კი ასე არ არის, მაყურებელს უნდა მოეწონოს; რასაც აკეთებ, ყველაფერი პირველივე ცდაზე უნდა გამოვიდეს. ძალიან მიყვარს ფილმის ეფექტები.

მაგალითად, გრიგოლის რომ ასხამდი რალაცას თავზე არა?

- (*იცინის*) ეგ მე არ გამოიკეთებია. მხატვრები მუშაობდნენ ცალკე, ვინც ამ მხეებს დებდნენ და შემდეგ ფილმში ის ჩანდა, თითქოს მე ვაკეთებ. ამაზე ძალიან ვიხალისე, განსაკუთრებით, ფილმი რომ ვნახე, მაშინ.

რაც შეეხება მსახიობებს, რომელია, შენი აზრით, შენი ჭკუის და რომელია - უფრო ჭკვიანი?

- „ლურჯი ფრინველი“ თითქმის იგივე მსახიობები არიან დაკავებული, რომლებიც იყვნენ „მუსიკის ჰანგებში“. მე ძალიან მომწონს მათთან ერთად საგრიმირებო ყოფნა და სცენაზე გასასვლელად მზადება. კიდევ ის მომწონს, თეატრში რომ შევდივარ და საგრიმიროს კარს ჩავუყლი თუ არა, იქიდან სიმღერები რომ მესმის.

როგორ ხარ და მღერობ... მეც ვნატრობ ხოლმე, მათსავით ვიყო.

არ დადიხარ სიმღერაზე?

- ნატო მეტრნიძესთან დავდიოდი, მაგრამ, ახლა ვეღარ ვასწრებ, მერე აუცილებლად გავაგრძელებ. ამის გარდა, მინდა, მევისწავლო ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრა - ეს ორი ინსტრუმენტი, რომელიც ძალიან მომწონს.

მომწონს მსახიობების გარემოცვაში ყოფნა და მინდა გავაგრძელო მათთან ერთად საქმიანობა სულ! სულ! სულ!

ბებო ძალიან მესხმარებო, ამბობდი.

- ბებო ყველაფერი მესხმარება. მაგალითად, მაქვს რამე მევიზირება ტანვარჯიშში. კართან რომ მივალთ, მარიგებს: ეს არ გამოგჩერს, აუცილებლად დაიმახსოვრე; ეს და ეს არ ქნაო. მისი დარიგებები მშველს.

როგორც მსახიობი, წარმატებული გოგონა ხარ, ტანვარჯიშსა და ცეკვაში როგორ შედეგები გაქვს?

- მხატვრულ ტანვარჯიშში გავდივარ საერთაშორისო ტურნირებზე. ბოლო მევიზირება ასტანაში გვექონდა, თითქმის პირველი ადგილზე გავდიოდი და ერთი პატარა შეცდომის გამო აღმოვჩნდი მეორე ადგილზე - ბურთი გამივარდა და ახლა სულ ვნახებ ამას.

არა უშავს, ჯერ 10 წლის ხარ, მეორე ადგილიც კარგი შედეგია. მით უმეტეს, შენმა დედიკომ გვიხარა, ვოცნებობდი, ათეულში მაინც შესულიყო. მომიყვი ამ შევიზირების დეტალები?

- 14 ქვეყნიდან 38 ბავშვს ვევიზირებოდი. უკვე მესამე დღეს დედას დაუფურეკე, ძალიან ძლიერი კონკურენტები მყავს და, არ ვიცი, მოვიგებ თუ არა-მეთქი. თურმე, მერე დედა მერე-ივლიობდა და ბებოს ეუბნებოდა, ისეთი ძლიერი ბავშვები ყოფიან, ისეთი „რაზტაჟუკა“ აქვთ - გადახვლილები არიან და, ნეტავი ნიტა რას იზამსო.

შენი გამარჯვების ამბავი ტელეფონით აცნობდა?

- არა, სიურპრიზი მინდოდა გამეკეთებინა, ამიტომ, სანამ არ ჩამოვედი არაფერი მითქვამს.

ცეკვაში როგორი შედეგები გაქვს?

- მშაბოს გვექონდა შევიზირება „ჩიკაგო“ ჯგუფურში, ჰიპ-ჰოპ ჯგუფურში... რამდენიმე ცეკვაში გამოვიდით, ბევრი მონაწილეც იყო, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან... ჩვენ სულ 8 პირველი ადგილი ავიღეთ.

წარმოიდგენია, როგორი პოპულარული ბავშვი იქნები სკოლაში, ალბათ, ყველას უნდა, რომ შენი საუკეთესო მეგობარი იყოს

- მგონი, ყველა მიცნობს სკოლაში. თავიდან, რომ გაიგეს, რომ მე მათ სკოლაში ვსწავლობდი გავიფიქრებ სიხარულით; რა მაგარი გოგო ხარ, რა კარგად თამაშობოდი, - მაქვსდენენ. შემდეგ ჩვენი სკოლის დირექტორი იყო მოსული სპექტაკლზე და მითხრა: ვამაყობ, რომ გიცნობ და ჩვენს სკოლაში სწავლობ. ისე ვამინახავ... ახლა ვაპირებ კლასელები დაეპატიყო „ლურჯი ფრინველი“.

რაზე ოცნებობ?

- ადრე საიდუმლო ოცნება მქონდა, მაგრამ ახლა უკვე გავანზოვანე. ძალიან ადრე, როდესაც პირველად მიმინივეს სპექტაკლში, ვოცნებობდი, ნეტა ისე მოხდეს, რომ ამ პროფესიას გავყვე-მეთქი. ახლა ისე ხდება, რომ როლებს ერთმანეთის მიყოლებით მადლოვენ და ჩემი ოცნებაც სულ ხდება და ხდება.

ყველაზე მეტად ვინ განებივრებს?

- მამიკო. ჩემი მამიკო განსაკუთრებულია, ის ძალიან კარგი კაცია. რასაც ვთხოვ, ყველაფერს მისრულებს.



ადრე საიდუმლო ოცნება მქონდა, მაგრამ ახლა უკვე გავანზოვანე



იყო თბილისში ერთ-ერთი ცნობილი და საყვარელი ოჯახის შვილი, ეს სასიამოვნოცაა და დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს - ასე მიაჩნია ნიკუშა შინგაქალიანს. ჩვენი საუბრის თემაქი მისი ოჯახის წევრებია, იმ ადამიანებს, თავისი კვალს რომ დატოვეს ქართულ კულტურაში. ისინი უყვართ, ახსოვთ, აკლიათ...

რა იყო სოფიკო ჭიაურელი ოჯახის ბოლო სიზმრები და რას გვიჩვენებს ნიკუშა შინგაქალიანის მის შესახებ

ნიკუშა შინგაქალიანი: ალბათ, ახალს არავფერს ვიტყვი: რაც უფრო დამსახურებული და ცნობილი ოჯახის წევრი ხარ, მით უფრო დიდია პასუხისმგებლობა. იცხოვრო ისე, რომ არ შეარცხვინო შენი წინაპრები, შენი ხალხი და რაც მთავარია, შენი ქვეყანა. მეორე მხარეც აქვს ამას, იმდენად უყვარს ხალხს ჩემი მშობლები, ჩემი ბებია-პაპა, რომ ფაქტობრივად, მთელი თბილისი ჩემი სახლივითაა - ყველა მცნობს, პატივს მცემს, ყველას თვალბეჭდი სიყვარული იკითხება. რაც დედა ნავიდა, მე ამას ხალხისგან განსაკუთრებულად ვგრძნობ. იცით, თითქოს მთელმა ქვეყანამ განიცადა ჩემთან ერთად სოფიკოს გარდაცვალება.

სოფიკო ჭიაურელი ძალიან უშუალო იყო, გულწრფელი...

- ერთხელ ჟურნალისტი იყო ჩამოსული უცხოეთიდან და ჰკითხა: თქვენ ამხელა არტისტი ხართ, როგორია თქვენი დღის განრიგი, დილა როგორ გენწყებათო? დედად გაამაყირა: აბაზანას ვიღებ, მერე მასაჟს ვიკეთებ, მერე ისაო, ესაო... ეს ჟურნალისტიც ინერდა. მერე დედა გაჩერდა და ჰკითხა: მართლა გვერა რასაც გუფუნებ? ახლა გაჩვენებ როგორ ინყება დღეო. ჩასვა მანქანაში და რომ დაიწყო: ჯერ ბაზარზე მოაგვარა საქმე, მერე ბაზარში გა-მოიარა, მერე - იქ, მერე... ვეგით იყო, სამინლად ენერგიული, მოუსვენარი. პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა დიდი და ყველაფერს ახერხებდა, მიუხედავად იმისა, რომ თვატრსა და კინოში დაკავებული იყო, სახლის საქმეებზეც უყვარდა. მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩვენს მიმართ დედასაც, მამასაც. მე რომ გაგზინდი, ისინი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ - 21 წელი. ძალიან მოუცვლელი იყვნენ და მაინც სულ ჩვენთან ერთად იყო სოფიკო. ბავშვობიდან სულ დაყვავდით გადაღებულზე.

სახლებით მიმართავდით?

- არა, დედას და მამას ვეძახდი ყოველთვის. საქმე დამოკიდებულხდას და აღზრდის სტილით. ისინი ბუნებრივად, თავის გამოცდილებას და სურვილებს დებდნენ, რომ მე უკეთესი ყოფილიყავი. ისინი ამას გამოხატავდნენ მეგობრულ ფორმაში.

გაბრაზებულები როგორები იყვნენ?

- გაბრაზება სოფიკომ იცოდა გაბუტვით. არავინც არ ხმაზავდა არ ბრაზდებოდა. მამა - პირიქით, უფრო ემოციური იყო, დაიყვარებდა და მეორე ნუთმი გაუფლიდა სიბრძნე, ავიწყდებოდა. დედა, თუ გაიბუტებოდა, ეს იყო... ჯობდა, ეყვირა და დავესაჯეთ. იმ ნუთმი იგრძნობდი, რომ რაღაცა არ გააკეთებ სათანადოდ. რამდენი შეცდომა მოგდის ბავშვობაში ადამიანს.

შემორიგება, როგორ ხდებოდა ქალბატონი სოფიკოს, დიდხანს იყო გაბუტული?

- საქმაოდ. სანამ არ დაინახავდა, რომ მართლა ვიგრძენით ჩვენი შეცდომა - მანამდე.

შექება იცოდა?

- ნაკლებად.

ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი სოფიკო თავის შობილბეს ახასიათებდა და ამბობდა: მამაჩემს სულ ყველაფერი მოსწონდა ჩემი გაკეთებული, დედა კი - სულ მაკრიტიკებდა. თვითონ ვის ჰგავდა ამ ხრო?

- თვითონ ამ მხრივ უფრო ვერვიკის ჰგავდა. ქება არ უყვარა მაინცდამაინც არც თავის თავის, არც შვილების, არც მშობლების, ოჯახის... ხანდახან მეტყობა, უფრო ისეთი ტონით, ვთქვათ: მეტი დრო უნდა დაუთმო მებს საქმეს. დროს რატომ კარგავ, მენ თვითონ არ გვსმის, რა მხატვარი ხარ? ხომ ხვდავ, როგორ მოსწონთ შენი მამუშეურები, უფრო მეტი იმუშავე, - ეს იყო ქების ფორმა.

ხშირად ხდებოდა ოჯახში, რომ ბებიები

შვილიშვილების ადვოკატები არიან. თქვენთან?

- ბებია ნაკლებად, მაგრამ პაპაჩემი სულ ასე იყო. გაიფიქრებდა, აი, სოფიკოც ხომ ამბობდა, სულ მაქებდაო. მიმა ჩვეთიანაც ასეთი იყო - ჩვენი დამცველი. თუმცა, ჩემი უმცროსი ძმის, სანდრიკას - ვერიკოც იყო ხოლმე. ზოგადად, შვილიშვილების დამცველი პაპა ვახლდათ.

თქვენს პროფესიულ არჩევანში ოჯახმა თუ მიიღო რაიმე სახით მონაწილეობა?

- როგორ არა. როცა შეამჩნიეს, რომ ხატვის

ნიჭი მქონდა, ძალიან შემინყვეს ხელი. მერვე კლასიდან ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმში გადამიყვანეს. ხშირად მითქვამს, ოჯახში ყველა თეატრისა და კინოს მუშაი იყო და რაკი ჩემში მხატვრის ნიჭი აღმოაჩინეს, მირჩიეს, მხატვრობა ბევრად თავისუფალი პროფესიააო. რეჟისორიც და მხატობაც უამრავ რამეზე ხარ დამოკიდებული: ეს არის ნარმოება, უნდა მოიპოვო ფული - დამოკიდებული ხარ! შენი იდეის ნახევარიც რომ განახორციელო კინოში, ძალიან დიდი ნარმატებაა. მხატვრობა ბევრად თავისუფალი პროფესიაა და მირჩიეს, ჩემივე ბედნიერებისთვის: შენ ხარ, შენი ფუნჯები და ტილო, დამატებით არაფერი გჭირდება, რომ საკუთარი თავი გამოხატო. შემდგომში ეს ჩემი ცხოვრების ნეის გახდა. სიღრმეში იცის მთერევა მხატვრობაში. თუმცა, მეცხარა სურვილი კინოშიც მემუშავა... მაგრამ, მაშინ აწყობილი იყო კინონიღუსტრია. დღეს, რთულია, უფრო კომერციულ სურათებზე მოიპოვება თანხები, სხვა სისტემა მუშაობს. სახელმწიფო დაფინანსება მინიმალურია, უნდა მოიპოვო თანხები. ამიტომ, ყველას უნდა ისეთი ფილმი გადაიღო, მერე ეს თანხა ამოიღოს. ანუ, საავტორო ფილმები ნაკლებად კეთდება. უფრო კეთდება - კომერციული, რაც ექ არ მაინტერესებს.

მამ, რომელ პროექტს განახორციელებდით?

- ნაწილობრივ მხატვრობას ვუბრუნდები. ახლა ძალიან საინტერესო პროექტია წინანდალში. იქ, სადაც ღვინის ქარხანა იყო, კეთდება კულტურულ-შემეცნიერებითი ცენტრი, რომელიც საინტერესო იქნება სამხარეო ეთნოგრაფიული კუთხითაც. მოწყობა კლასიკური მუსიკის საღამოები. გაკეთდება ვაზისა და ღვინის ერთგავრი მუზეუმი. ამ ყველაფრის არტდირექტორობა მე შემომთავაზეს. ვფიქრობ, საინტერესო იდეაა. ადრე, ალექსანდრე ჭავჭავაძის დროსაც, ეს ადგილი ერთ-ერთი კულტურული ცენტრი იყო. ახლაც ამის აღდგენას ვფიქრობთ იქ. ამისთვის ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. მოიხატოს, გაფორმდეს, ბიბლიოთეკები შეიქმნას. მინდა, ამ ბიბლიოთეკაში შედოიდეს კახური ტაძრებისა და არქიტექტურის ისტორია, სადაც ცალკე იქნება პოლიფონიური კაბინეტი. აღდგება ძველი, ნამდვილი სიმღერების არქივი, ფოტოგალერეა... კულტურის ძალიან საინტერესო ცენტრი უნდა გაკეთდეს სადაც ადამიანები ეზიარებიან მართლა ნამდვილ ისტორიას და არა კონსერვაციას, რასაც მიჩვეულები ვართ. ყველაფერი უნდა იყოს იქ ნამდვილი, თანმიმდევრული და საინტერესო.



პატრიარქი რომ აპირებდა სოფიკოს მოსანახულებლად მოხვლას, უარი უთხრა. მე თქვენს უნდინდესობას სანოლში როგორ დავხვდები, გამოვჯანმრთელდები და მე თვითონ გავხვდებითო. თქვენ არ შენუხდეთო

- დარწმუნებული ვარ, შესანიშნავად გაართმევთ თავს. კარგად იცნობთ ამ კუთხეს და გენეტიკურად ფესვებიც გაქვთ ამ მხარე-დან.

- დედა და ბებია კახელები მყავს: ნატო ვაჩნაძე და სოფიკო. ასე რომ, მირეგია კახური სისხლიც.

გაისხენით ფრაზა, რომელსაც ხშირად ამბობდა და რომელიც სოფიკოს გაგონებო.

- ძალიან მოქმედი ადამიანი იყო სოფიკო და ამიტომ ხშირად ამბობდა: დროს ნუ კარგავ! ღმერთმა მოგცა სიცოცხლე იმისთვის, რომ შენი თავი და შესაძლებლობები ბოლომდე ამოურო. მერე ასაკში, ჩემსავით ვერაფერს ვე-ლარ მოასწრებო. სოფიკო რომ ამას იტყვოდა, იმდენ რამეს აკეთებდა... მოკლედ, დაგვიბარა, რომ დრო არ დაგვეკარგა უქმად.

ვის ჰგავხართ?

- მე ორივეს ვგავარ, დედასაც მამასაც. დედას, ბევრ რამეში - ენერგიით, თუმცა ბევრად ენერგიული იყო სოფიკო. უფრო მოქმედების ხალხი იყვნენ, „ხარები“ არინ ჰოროსკოპით დედაც და მამაც. მშრომელები უსაქმოდ უფრო ცუდად გრძნობდნენ თავს. გაბრაზებისას გაბუტვა არ ვი-ცი. ემოციურად გავბრაზდები და მერე გამი-ივლის. ამაში მამას ვგავარ.

თქვენს გარეგნობაში ნატოს გენებიც იგრძნობა, ვეროპული ვენები. ამაზე არასდროს არ საუბრობდით ხოლმე.

- რა თქმა უნდა. მე მაქვს ნატოს ბაბუის ფოტო, პოლონელი ქი-ახია - სოფიკოც. ძალიან მამგავსებენ (იცი-ინის). გენები ისეთი რა-მეა, რომ თაობებში უც-ბად გამოვარდება.

დედაზე თუ გეკითხებოდნენ ბავშვობაში?

- მე არ მიყვარდა... ახლაც იმდენს მესაუბრებიან... ხშირად მაჩერებენ, ქალაქშიც და ქა-ლაქგარეთაც. სოფიკო ძალიან უბრალო იყო, ყველაფერი გულთან მიჰქონდა, ძალიან ბევრ ხალხს ენაბრებოდა, შეძლებიდაგვარად, რა თქმა უნდა. ეს ყველას ახსოვს. მარტში 5 წელი გავ-იდა მისი გარდაცვალებიდან. ძალიან მაკლია.

სიზარბში ნახულობთ ხოლმე?

- ხშირად.

ადამიანი რომ ავად არის, ძალიან ხშირად უთმედობა იპყრობს. ზოგი იკვებდა და არ სურს, ვინმემ ნახოს ასეთი, უძლური...

- ასეთი იყო სოფიკოც. ახლობლების გარ-და, არავისთან არ ჰქონდა ურთიერთობა, მა-გრამ იბრძოდა, ბოლო ნუთამდე იმედი არ და-უკარგავს. ვერ ნარმოიდგენთ, პიესას კითხუ-ლობდა, რომლის გამოც ელოდებოდნენ. სულ დებდნენ მარჯანიშვილის თეატრში ამ სპექტ-აკლს... იმედი ჰქონდა! ის კი არა, პატრიარქი რომ აპირებდა მოხვლას, უარი უთხრა. მე თქვენს უნდინდესობას სანოლში როგორ დავ-ხვდები, გამოვჯანმრთელდები და თვითონ გე-ახლებით. თქვენ არ შენუხდეთო. ამ საუბრის შემდეგ პატრიარქმა მოძღვარი გამოუგზავნა. დედას, არ უნდოდა რომ ამ მდგომარეობაში ვინმეს ენახა, განსაკუთრებით პატრიარქს.

შეღარიტონ სენტმენტალურიც ხომ არ გახდა ავადმყოფობის პერიოდში?

- არა, სულ მაყრობდა: მე რომ ნავალ თქვენ რა გემეცვლებათო. ჩემი იმედი ჰქონდა ყოველთვის. მით ბოლო სიტყვები იყო: ხომ აქა ხარ, ხომ სახლში ხარო? შო, რა იყო დედა-მეთქი? არაფერი, მაშინ გამიშვი, მე ნავალი. არც გვეგონა... ეს იყო მისი ბოლო სიტყვები.

ქაპ სალანია



- მამაო, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ყოველ წელს სხვადასხვა დღეს აღინიშნება, შესაბამისად, სხვადასხვა დროს იწყება დიდმარხვა, რომელიც აღდგომით გვირგვინდება. როგორ ხდება ამ დღესასწაულის თარიღის გამოთვლა?

- აღდგომის დღესასწაული, ყველა მოძრავი პერიოდის შესაბამისად, სამივე ციკლთან თანხმობაში განისაზღვრება: მზესთან, მთვარესთან და შეიდეულთან. აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია. მართლმადიდებლური ეკლესია, იოანე დამასკელის სიტყვებით, სააღდგომო კანონში გალობს: „დღესასწაული დღესასწაულია“. მეოთხე საუკუნის წმიდა მამათა ცნობიერებაში გაზაფხულის ბუნიობა აღდგომის დღესასწაულის თარიღის დადგენის ამოსავალ ნერტილად გვევლინება. მოციქულთა მეექვსე კანონი გვამცნობს: „თუ ვინმე უბისკობისა, ვინდა მოძღვარი ან დიაკვანი აღდგომის ბრწყინვალე დღეს გაზაფხულის ბუნიობამდე აღნიშნავს, ოუდგევეთთან ერთად, განკვეთილ იქნას სამღვდლო პატივისგან.“ ასე რომ, გაზაფხულის ბუნიობის პერიოდს განსაზღვრავს სასვემთვარეობა, რომლის მომდევნო პირველ კვირასაც უნდა ვიდღესასწაული აღდგომა. ძველი აღთქმისეული პასეჟი, მოსეს კანონის თანახმად, დაკავშირებულია გაზაფხულის სასვემთვარეობასთან, რომელიც, მეოთხე საუკუნის ავტორის მტკიცებით, ქრისტიანობამდელ ეპოქაში ყოველთვის გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ აღინიშნებოდა. ქრისტიანობის გავრცელებისთანავე ეს მდგომარეობა შეიცვალა, ესე იგი, ებრაული პასეჟი, შეიძლება, გაზაფხულის ბუნიობამდე აღნიშნულიყო, რაც გახდა კიდევ საბაბი, ადრეულ ეპოქაშივე აღმოცენებულიყო უკვე სხენებული წესი. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია, გაირჩეს ძველი აღთქმისეული პასეჟი და ოუდგევეთა პასეჟი ახალი აღთქმის ხანაში. პირველმა მიიყვანა ისრაელი ქრისტემდე, რომელმაც გადააქცია ის ქრისტიანულ აღდგომაზე, ხოლო მეორე - ქრისტესკენ არ არის მიმართული. ამიტომ, მან დაკარგა ყოველგვარი არსი და, არ შეიძლება, ჰქონდეს რაიმე საერთო ქრისტეს აღდგომასთან. ასე რომ, ქრისტიანული აღდგომა აღინიშნება ძველი აღთქმის სასვემთვარეობის შემდეგ, მაგრამ, არსადროს დაემთხვევა და გაუხსნარებს მას. პირველი კაცის - ადამის შექმნას მოჰყვა მისი დაცემა და ამით მთელი სამყაროს შერცხვენა. ქრისტე - ახალი ადამი - გამოისყიდა ის პირველი კაცის ცოდვებს და ხელახლა აღადგინა ახალ ქმნილებას. ამ საღვთისმეტყველო კონტექსტში კოსმოსური მოვლენები (გაზაფხულის ბუნიობა და მისი მომდევნო სასვემთვარეობა) შეესაბამება იმ პირველ დროს, როდესაც ღმერთი ქმნიდა სამყაროს. შეიდეულის ციკლში ეს დღე შეესაბამება კვირას. ამას მოსდევს სასვემთვარეობა, რომელიც შესაქმნის მეოთხე დღის სახეა, როცა უფალმა, შექმნილ ზეციურ მნათობათა მეშვეობით, გაანაწილა სინათლე მთელ დედამიწაზე. ბნელი ნელ-ნელა განიდევნება, მთვარის მეშვეობით კი ნათელი აღწევს ბნელში, როგორც მაუწყებელი საბოლოო გამარჯვებისა. პარასკევს, შესაქმნის მეექვსე დღეს, უფალი ქმნის კაცს - ადამს, რომელიც უფალს განემორჩა. ამიტომ, ახალი ადამი - ქრისტე, იმავე დღეს, ნითელ პარასკევს, გამოისყიდა ადამის ცოდვებს ჯვარზე და მეშვიდე დღეს, დიდ შაბათს, ხორციელად მკვდარი, სამარეში ამსხვრევს სიბნელის მუფუფას. მეორე დღეს კი - კვირის პირველ დღეს, თანახმად „დედ ერთისა“, როდესაც უფალმა მოავლინა ნათელი - აღდგომილი ქრისტე

20 აპრილს მართლმადიდებლური ეკლესია მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს, რომელსაც, როგორც წესი, წინ დიდმარხვა და სხვა დღესასწაულები უძღვრება. როგორ ხდება აღდგომის მარხვის გამოთვლა, როგორ უნდა გაატაროთ ქრისტიანებმა მძიმე შვიდეული და შეხვედნა ალგომას, ამის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თაყვორაშვილი).

როგორი აღმიაწები მოხვდებიან მასხოვრის მარჯვნივ და რატომ ჩუქნიან ქრისტიანები აღდგომის დღეს ერთმანეთს ნითელ კვირსხვას

სამყაროს აღდგომის დაუღამებელ ნათელს გამოუცხადებს.

- ეს არის პირველი ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც უკვე მოციქულთა დროიდან აღინიშნება.

- ეს დღე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ კვირის ის დღე, როცა ქრისტეს აღდგომა მოხდა, სამუდამოდ აღიბეჭდა ქართულ ენაში: ერთშაბათს ეწოდა კვირა, ესე იგი, უფლის დღე, ვინაიდან ბერძნულ ენაში უფალს „კვიროს“ ეწოდებდა. საეკლესიო წლის განმავლობაში ის თითქოს მუდმივი, ყოველკვირეული გამოძახილი თავად აღდგომის დღესასწაულია. ის თანხმობაშია მზის, მთვარისა და დედამიწის განსაკუთრებულ კოსმოსურ მდგომარეობასთან, სადაც ეს უკანასკნელი ირავლივ არსებული მნათობებისგან მაქსიმალურად არის გაბრწყინებული. მართლმადიდებლურ ლიტურგიაში სინათლის გაგებას უარესად მნიშვნელოვანი განმარტება აქვს. სიტყვა „ნათელი“ ან მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები, განუწყვეტლოვ გაზაფხულში რეგ ვგვხვდება ლიტურგიულ ტექსტებში. თავად ქრისტე იყო წყარო



პირველი კაცის - ადამის შექმნას მოჰყვა მისი დაცემა და ამით მთელი სამყაროს შერცხვენა. ქრისტე - ახალი ადამი გამოისყიდა ის პირველი კაცის ცოდვებს და ხელახლა აღადგინა ახალ ქმნილებას

ქემარტივი ნათლისა. ქრისტიანულ ეკლესიაში აღდგომის დღე (კვირა) მოციქულთა ხანიდან უკვე შორდება ნათელს. აღდგომის განსაზღვრაში მთვარეც გარკვეულ როლს თამაშობს. ასტრონომიული თვალსაზრისით, გაზაფხულის ბუნიობა წლის იმ მონაკვეთს შეესაბამება, როდესაც მთელ დედამიწაზე (ორივე ნახევარსფეროში) დღე-ღამის ხანგრძლივობა თანაბრია და იმით აისხნება, რომ წელიწადის ამ დროს დედამიწაზე არ არის აგვილი, სადაც მზე არ აღწევს. ამგვარად, აღდგომის ბრწყინვალე დღე კოსმოსურ სივრცეში დედამიწის მანათობელ ზეციურ მნათობათა განსაკუთრებული მდგომარეობით განისაზღვრება.

- აღდგომის დღესასწაულს წინ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა უხსრებს, რომელთა სწორი გახსნებაც ყველა ქრისტიანისთვის მნიშვნელოვანია.

- ბზობის შემდეგ მაცხოვრის გზაზე ხვდება უნაყოფო ლეღვის ხე, რომელზეც ის ვერ იპოვის ნაყოფს და შერისხავს, დაწყევლის, გაახშობს. დიდ სამშაბათს კი მაცხოვარი ფარისევლებსა და მწიგნობრებს კიდევ ერთხელ შეაგონებს, უქადაგებს ქემარტივებს, თუ რატომ არის მესია მოსული. ამ დღეს მაცხოვარმა კიდევ ერთხელ ამხილა ფარისევლები და ისინი საბოლოოდ განიზრახავენ, შეიპყრონ და გამოასალმონ იგი სიცოცხლეს. თთშმაბათი არის ქრისტეს გაცემის დღე და ამ დღეს, პარასკევთან ერთად, ვმარხოლობთ ქრისტიანები. დიდი ხუთშაბათი არის საიდუმლო სერობის დანესების, დიდი სულიერების ისტორიული დღე, როდესაც იესო ქრისტემ ინება, პასეჟი მოეზადებინა მისთვის. ხუთშაბათ დღეს დანესდა ექვარ-

ისტია, ანუ სამადლობელო, უსისხლო მსხვერპლი ზიარების სახით და დღესამომდე და მეორედ მოსვლის ჟამამდე, ეკლესია აღასრულებს ექვარისტისა და მორწმუნეები ეზიარებიან მაცხოვრის სისხლსა და ხორცს. ამის შემდეგ მაცხოვარმა კიდევ ერთხელ უთხრა მოციქულებს, რომ ერთ-ერთი თქვენგანი გამცემსო. ბევრი ფიქრობს, ქრისტემ რატომ არ მისცა ოუდას მონანიების საშუალება, რატომ არ უთხრა, შენ გამცემსო. სინამდვილეში, უთხრა და მისცა შესაძლებლობა, რომ მოენანიებინა თავისი დანაშაული. ღმერთი მას მიუტყებდა, მაგრამ, როგორც წერია, მასში ამ დროს შევიდა სატანა, ანუ, ოუდა უღირსად, არასწორად ეზიარა და შესცოდა. იმავე დღეს მაცხოვარი შედის ვეთსამანიის ბაღში, ლოცულობს და ღმერთს ევედრება, რომ მას ეს სასმისი აარიდოს, არა ისე, როგორც მას არადამიანური ბუნებით სურს, არამედ, ისე იყოს ყველაფერი, როგორც არის ღვთაებრივი ნება. ამ დროს ეკლესიაში იკითხება 12 სახარება და მორწმუნეები სანთლებით ხელში ისმენენ წმიდა სახარებას, რაც შეგვახსენებს მაცხოვრის ლოცვას ვეთსამანიის ბაღში. დიდი პარასკევი - ეს არის მაცხოვრის ჯვარცმის დღე. ჯვარი, გოლგოთათზე სიარული, გოდება, ტირილი - ეს არის კიდევ ერთი შესხენება, დიდი ზრუნვა უფლისა ჩვენზე. ის აღსრულდა ორ ავაზაკს შორის - ეს არის სიმბოლო კაცობრიობისა: ერთნი, რომლებიც ნანობენ საკუთარ დანაშაულს, უფალს მოიხსენიებენ და ცოდვების შენდობას სთხოვენ, დგანან მარჯვნივ; მეორენი კი, რომლებიც ყველდინან უფალს - შენ თუ ღმერთი ხარ, გადაგვარჩინე, რატომ გვიჭირს, გვშია და გვეყურიაო, - მარცხნივ დგებიან. მარჯვნივ დგომა, ეს არის უფალთან ყოფნა, დარწმუნება, ხოლო მარცხნივ - ეშმაკთან ყოფნა, წარწყმედა, საუკუნო სატანჯველი. დიდ შაბათს მაცხოვარი ადამიანური ბუნებით ჩადის საყვარბილეში, ჯოჯოხეთში. მან მართალთა სულებს უქადაგა თავისი გამარჯვება ეშმაკსა და სიკვდილზე და იქიდან ამოიყვანა მართალი სულები.

- აღდგომის დღეს ადამიანები 40 დღის განმავლობაში ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“, ასევე, ჩუქნიან ნითელ კვერცხებს.

- აღდგომის სასიხარულო მოკითხვა მოგვაგონებს მოციქულთა ისეთ მდგომარეობას, როცა, მოულოდნელად გაისმა რა ცნობა ქრისტეს აღდგომის შესახებ, ისინი განცვიფრებითა და სასიხარულო ალტყინებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა?“ და ერთმანეთს პასუხობდნენ: „ქემარტივად აღსდგა!“ ამბორისა და მისალმების დროს მორწმუნენი ოდიტგანვე ერთმანეთს ჩუქნიდნენ ნითელ კვერცხებს. მსგავსად იმისა, რომ კვერცხიდან, მისი მკვდარი ნაჭურვიდან, იბადება სიცოცხლე, რომელიც იყო მთლიანად დამალული, ასევე, საფლავში მდებარე მოკვდავი იესო ქრისტეც აღსდგა მკვდრებითა და ხრწნილების საუფლოდან. ამასთან, კვერცხით არის ჩვენი განახლებისა და მომავალი ცხოვრების საუკეთესო სიმბოლო. კვერცხების ურთიერთეცვლის წესი, მართლმადიდებელ ეკლესიაში შემოინახული წესის მიხედვით, მიეკუთვნება წმიდა მარიამ მაგდალენოს, რომელიც წარდგა იმპერატორ ტიბერიუსის წინაშე, მიანოდა მას ნითელი კვერცხი და აუწყა: „ქრისტე აღსდგა!“

ნათია უტიანაშვილი



მირონდენა ჯვარცმადან ავსტრალიაში

1994 წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, ავსტრალიაში, მაცხოვრის ჯვარცმაზე (სიმაღლით დაახლოებით 4 მეტრი) მირონდენის სასწაული დაიწყო: წვეთებმა გამოჟონა სახეზე, ხელეხა და მკერდზე, უფრო მსხვილი წვეთები კი ფეხებსა და ფეხის თითებზე ჩანდა. მირონი იატაკზეც საკმაო რაოდენობით იყო. ტაძრის ერთ-ერთმა მსახურმა, ანატოლი კამპოსმა, ეს სასწაული შეამჩნია და მღვდელს დაუძახა. გადწყვიტეს, მმართველი მღვდელმთავრის, ავსტრალიის მთავარეპისკოპოსისთვის (გიბრონი, ანტი-ოქის საპატრიარქო) შეეტყობინებინათ. მან განკარგულა ვასცა, არაფერს შეხებოდნენ და მომხდარი სასწაულის შესახებ არ ელაპარაკათ. მაგრამ, მომსვლელებმა თავი ვერ შეიკავეს და თავიანთ ნათესავეებს და მეგობრებს სასწაულის შესახებ უამბეს.

მეორე დღეს მთავარეპისკოპოსმა გიბრონმა იატაკიდან და ზვრიდან ზამბაზე სითხე მოავრთო და ბრძანა, ის ლაბორატორიაში გამოეკვლიათ.

ლაბორატორიამ ანალიზი ინფრანითელი სპექტროსკოპით გამოიკვლია და მიღებული შედეგები არსებულ ეტალონებს შეადარა. გამოკვლევის შედეგად, ამ სითხის შემადგენლობა ზეითუნის ზეთისაგან შემდგომად. მაგრამ, ამავე დროს, ლაბორატორია ვერ ამტკიცებდა, რომ ეს სითხე სწორედ ზეითუნის ზეთი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მირონი რთული შემადგენლობისაა, ის მცენარეული ზეთისგან მზადდება და მცენარეთა კეთილსურნელება ემატება.

მთავარეპისკოპოსმა „ზეითი“ გამოსაკვლევად ახალი ჩრდილო უელსის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტსაც გაუგზავნა, სადაც ლაბორატორიის გამოკვლევა დადასტურდა. გარდა ამისა, მთავარეპისკოპოსმა სთხოვა ქიმიის ფაკულტეტს, დაედგინა, შესაძლებელი იყო თუ არა სითხის გაჩენა ხატზე ხის, საღებავის, ლაკის კონცენტრაციის, ან რამე მსგავსი გზით, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. ერთ-ერთმა სწავლულმა ქიმიკოსმა კი დაადასტურა, რომ ამ-

ის პასუხი მხოლოდ ღმერთთანაა საძიებელი. უცილობლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლაბორატორიამ ამ ქიმიური გამოკვლევის ჩატარების ანაზღაურებასა და ანგარიშის წარდგენაზე უარი განაცხადა – ამის სანაცვლოდ ლაბორატორიის მეპატრონემ ლოცვა ითხოვა.

როდესაც მთელი გამონადენი მირონი ბამბით მოავრთვეს, ჯვარცმა ყველას თვალწინ კვლავ დაიფარა მირონით. მას მორწმუნეებს აცხებდნენ და ასობით ადამიანი იკურნებოდა. მირონი დასველებულ ბამბის ფთილებს კი სახლში ატანდნენ ავადმყოფებისთვის. ამის მიუხედავად, მირონი კი არ მცირდებოდა, პირიქით, მატულობდა. ბევრი ცოდეებს აღიარებდა და ღმერთს მიმართავდა.

მირონდენის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ მღვდელმონაზონი ბენიამინი ტაძარში ერთ თავის მრევლთან ერთად მოვიდა. იგი მოგვითხრობს:

„ტაძარში მისულმა სითხის წვეთები დავინახე, რომლებიც ჯვარცმაზე ძალიან ნელა მოედინებოდა. ბევრი მსხვილი წვეთი მოდიოდა მაცხოვრის სხეულის ზემო ნაწილზე. ზეთის არანაირი წყარო არ ჩანდა, ის, უბრალოდ, ჯვარცმის ზედაპირზე ჩამოდიოდა. ამახსენებდა ბუნებრივად ახსნა არ აქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია, ვთქვა, არის ის, რომ ეს სასწაული და ღვთის წყალობაა.“

ავსტრალიის მთავარეპისკოპოსმა ალსრულეული სასწაულის შესახებ „არაბეთის ახალ ამბებში“ განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს მოხდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე ძველ სტილით. იმ დროს ბევრს აღწუხებდა კითხვა, გადადის თუ არა ეკლესია ახალ სტილზე, როგორც ეს კათოლიკეებმა და პროტესტანტებმა გააკეთეს.

მირონი დღემდე გამუდმებით ჩნდება ხატზე და უკვე 2 ლიტრზე მეტი მოგროვდა ბოთლში, როგორც ამბობენ, მირონდენა ძლიერდება, როცა მართლმადიდებელი ქრისტიანები უფალს გულთბილი ლოცვით მიმართავენ.

მირონდენი ჯვარცმა დაწერილია საბერძნეთში, ბერძნულ დედათა მონასტერში.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

უფალს „არა ნებაჲს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქმევა და სინაული“

ერთმა კონსტანტინოპოლმა მღვდელმა, ემ-მაკის ცელენებით, სიძვით შესცოდა. რამდენიმე დღის შემდეგ სინანულში ჩავარდა და მოთქმა დაიწყო: რა მეშველება მე, სულია და ხორცის ნაშბილნავს, რა უნდა ვიღონო უბადრუკმა, რომ ცოდვათა შენდობა მივიღო. ადგა და ნაჲდა ულუმბოს მთაზე, ნახა იქ მოხუცი ბერი, აღიარა მის სინაზე ყველა ცოდვა და მეძავობის ამბავიც გაუშხილა. ბერმა უთხრა: შეილო, იმ საშინელი ცოდვის შემდეგ ჩინრებს ჩატარება ხომ არ გავიბედავსო. მან უპასუხა: ჰე, წმიდა მამო, გავკადნიერებულვარო. ბერმა მოუგო: მაშინ იცოდე, შეილო, მღვდელი რომ ასეთ ცოდვებში ჩავარდება, მისი ვაჟურებისთვის მარტო ერთი გზა არსებობს – დიდი სინანული უნდა მიეგებოს უფლის კაცთმოყვარებას. ამიერიდან აღარ გაბედო წირვა და სინაიდის მსახურება, აღიკვეცე მონაზვნობის წესით და ქეშმარილად შეინანე. ჩვენი უფლის, იესუ ქრისტეს მადლის იმედი მაქვს, რომ შეგინცალებს, როგორც ყოველ მონანულსო.

ეს რომ მოისმინა მღვდელმა, ფეხებში ჩაუვარდა ბერს და სთხოვა, რადგან ღმერთმა შენს ხელქვეშ მომიყვანა, წმიდა მამო, ნუ გამიმორეებ მე, ცოდვილსო. ბერმა მისი მხურვალე ცრემლები რომ ნახა, უთხრა: თუ შენ ასე გინდა, დაგტოვებ ჩემთან, რადგან უფალი ბრძანებს: „რომელი მოვდეს ჩემდა, არა განვიძო ვარ“ (იოანე 6,37).

რამდენიმე დღის შემდეგ აღკვეცა ბერმა ის მღვდელი წმიდა მონაზვნობის წესისამებრ და დატოვა თავისთან. ის მარხვით, ლოცვითა და სინანულით ევედრებოდა ღმერთს.

ბერს სენაკის ქვეშ სამოღვაწეო სამყოფელი ჰქონდა. ერთი წლის შემდეგ მღვდელი შევედრა, რომ იქ დადგომის კურთხევა მიეცა მისთვის. ისიც დათანხმდა. მღვდელი წავიდა, მოიტანა ჯაჭვი, კისერზე მოიბა, შემოიხვია, ჯაჭვის მეორე ბოლო კი კლდეს გამოაბა.

სამი დღე რომ გამოვიდა და ბერთან აღარ მივიდა, თვით ბერმა მიაკითხა. ნახა ასე ჯაჭვით შეკრული და უთხრა: შეილო, ეს რა გიქნია? მან მოუგო, ასეთი ტანჯვის ღირსი ვარ ჩემი ურჯულეობისთვის. ერთს გთხოვ, წმიდა მამო, ორსამ დღეში ერთხელ მცირეოდენი საზრდო – პური და წყალი მომიტანონ ხოლმე და ღმერთი მიძოდეს შენი წმიდა ლოცვითო.

ბერმა ევედრა შეუსრულა, მიჰქონდა პური და წყალი ყოველ ორ დღეში ერთხელ. ის ცრემლებით ალბობდა მას და ისე ჭამდა. ასეთ ღვაწლსა და სინანულში გაატარა სამი წელი. შემდეგ ბერს ღმერთმა ამცნო ანგელოსის პირით. შეეჩინარე მისი სინანული, მალე აღესრულება, შედი და გახსნიო.

შევიდა ბერი, რომ მისთვის ჯაჭვი მოეხსნა და უთხრა: მამო, აღსასრული მოგიახლოვდარო. ის ევედრებოდა, რომ არ გაეხსნა და ჯაჭვით აღსრულებულიყო, მაგრამ ბერმა უთხრა: არა, შეილო, აღარ არის შენთვის საჭირო ამგვარი ტანჯვა. რადგან მღვდელი ხარ, გთხოვ, ჩემთვისაც ილოცეო. მღვდელს ლოცვა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, ისე მიაბარა თავისი განწმენდილი სული უფალს, რომელსაც „არა ნებაჲს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მოქმევა და სინანული“, რადგან მისია დიდება უკუნითი უკუნისამდე.

მოამზადა რაჲჲს ტომარაჲჲმ

მოძვარი გვირჩევეს

კითხვა: ვინ შთავაგონებს ცოდვიან აზრებსა და სურვილებს?

პასუხი: ცოდვისგან გვიბიძგებს და შთავაგონებს უპირველესად ბოროტი ძალა – ეშმაკი, შემდეგ – ცუდი, უკეთური, ცოდვილი ადამიანები და ბოლოს – ჩვენი საკუთარი მიდრეკილება ცოდვებისკენ. ამიტომ უნდა ვიყოთ მუდამ ფხიზლად.

კითხვა: ჩემმა ახლობელმა ძალიან მანყინა და დავფიცე, რომ აღარასოდეს შევურიგდებოდი. ცოტა ხნის შემდეგ ის მიხვდა თავის დანაშაულს, მოვიდა და ტირილით მოხოვა პატივბა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ან ფიცს რა ვყო, ან როგორ არ შევუწოდო მონანიეს?

პასუხი: როდესაც დაიფიცეთ, თქვენ ცო-

დვა ჩაიდინეთ და თუ ახლა მოყვას არ შეუნდობთ, მეორე ცოდვასაც დაუმატებთ. მიუტყვევით თქვენს ახლობელს, შეურიგდით და პირობაც დადეთ, რომ მომავალში აღარ დადებთ ამგვარ ფიცს და არ დაემდურებთ მოყვასს.

კითხვა: მანუხებს სახსრები და დიდმარხვაში მიჭირს მუხლმორყა და მტანაიების სრულყოფილად შესრულება. ჩამეთვლება თუ არა ის ცოდვა?

პასუხი: უფალი ჩვენგან არ ითხოვს ჩვენი ძალების ზომამზე მეტად, გადაჭარბებულად დაძაბვას. ამიტომ ცოდვად არ ჩავთვლებათ, თუ მტანაიას შესრულებთ თქვენი ჯანმრთელობის შესაბამისად.

კითხვა: ხანდახან სურვილი მაქვს, რომ ღამით ხმამაღლა ვილოცო. შეიძლება თუ არა ასე მოქცევა?

პასუხი: ღამით ლოცვების ხმამაღლა ნაკითხვა შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, სხვა ადამიანს არ შეაზღუბებთ თქვენი ხმამაღლობით.

კითხვა: არსებობს თუ არა მისაღების წესი?

პასუხი: ნუ დაელოდებით, რომ შემვედრი ადამიანი პირველი მოგესალმებათ და შემდეგ უპასუხით თქვენ – ეს ქედმაღლობისა და პატივმოყვარეობის ნიშანია. ეცადეთ, პირველი მიესალმეთ მტერსაც და მოყვარესაც.





კლანების უპილირანი ფეხბურთელების გოკათეული

2013 წლამდე პლანეტის უმდიდრესი ფეხბურთელად ინგლისელი დევიდ ბექჰემი ითვლებოდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც მან პროფესიული კარიერა დაასრულა, ასპარეზი სხვა ფეხბურთელებს გადაეცა. ვთავაზობთ პლანეტის უმდიდრესი ფეხბურთელების ტოპ-ათეულს 2014 წლის მონაცემებით.

კრიშტიანუ რონალდუ – 122 მილიონი ბირვანაა სტარლინი

მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი და 2013 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი კრიშტიანუ რონალდუ პლანეტის უმდიდრესი ფეხბურთელია, თუმცა ბექჰემის მონაცემებს ვერჯერობით ჩამორჩება. რონალდუს კვირაში 460 ათასი დოლარი შემოსავალი აქვს ხელფასის სახით; გარდა ამისა, მას უამრავი სასპონსორო ხელშეკრულება აკავშირებს სხვადასხვა ცნობილ ფირმასთან. რონალდუ, ასევე, ქვემოქმედებითაც არის ცნობილი – იგი მიიმე სენით დაავადებული ბავშვების ოპერაციის ხარჯებს ანაზღაურებს.

ლიონელ მესი – 120,5 მილიონი ბირვანაა სტარლინი

ლიონელ მესის ხელფასი ბარსელონაში 412 ათას დოლარს შეადგენს და ის მცირედით ჩამორჩება რონალდუს ხელფასს მადრიდში. მესის უამრავი სარეკლამო კონტრაქტი აქვს გაფორმებული და დამატებით შემოსავალსაც იღებს – „ადიდასი“, „აუესი“, „დოლჩე და გაბანა“ და სხვა ცნობილი ბრენდები მესის დამქირაველები არიან.

სამუელ ეტო'ო – 70 მილიონი ბირვანაა სტარლინი

კამერუნელი ლონდონის „ჩელსის“ ლირსებას იცავს. ის ლონდონში მასაჩკალის „ანჟიდან“ ჩავიდა, სადაც ზღაპრულ ხელფასს იღებდა. ხელფასის გარდა, ეტო'ოს სასპონსორო კონტრაქტები აკავშირებს „აუმასთან“ და „ფორდთან“. სამუელ ეტო'ო უმდიდრესი აფრიკელი ფეხბურთელია.

უაინ რუნე – 69 მილიონი ბირვანაა სტარლინი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ლიდერი უეინ რუნე ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე მაღალშემოსავლიან ფეხბურთელად ითვლება, გარდა ამისა, მას ცნობილ კომპანიებთან სასპონსორო კონტრაქტები აკავშირებს. რუნე უძრავ ქონებაში ფულის ჩადებით არის დაინტერესებული და საკუთარ კომპანიას ფლობს.

რიკარდუ კაკა – 67,5 მილიონი ბირვანაა სტარლინი

კაკას „მილანს“ რთული პერიოდი უდგას,

თუმცა ფეხბურთელის შემოსავალზე ეს ფაქტი ნაკლებად მოქმედებს. თავისი ვარსკვლავური სტატუსით კაკა დღემდე ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელად სარეკლამო კუთხით – „ადიდასი“ და „არმანი“ სიაშიონებით თანამშრომლობენ მასთან.

ნეიმარი – 66 მილიონი ბირვანაა სტარლინი

ახალგაზრდა და ნიჭიერი ბრაზილიელი „ბარსელონაში“ გადასვლის შემდეგ ფინანსურად მოძლიერდა. მას კონტრაქტი აკავშირებს „ნაიკთან“, ხოლო, ის ფაქტი, რომ მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ის ბრაზილიის მთავარი იმედად ითვლება, სარეკლამო კუთხით მას კიდევ უფრო მეტად მიმზიდველ ფეხბურთელად აქცევს.

რონალდინიო – 64 მილიონი ბირვანაა სტარლინი

2005 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ამჟამად ბრაზილიაში თამაშობს და მისი კარიერა დასასრულს უახლოვდება. „დანონი“, „ლენოვო“, „ნაიკი“ და სხვა კომპანიები რონალდინოსთან თანამშრომლობით კმაყოფილები არიან და არც ფეხბურთელი უჩივის კონტრაქტების ნაკლებობას.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი – 57 მილიონი ბირვანაა სტარლინი

ზლატან იბრაჰიმოვიჩი პარიზული „პარი სენ-ჟერმენის“ ლირსებას იცავს, სადაც კვირაში 360 ათას დოლარზედ ხელფასს იღებს. გარდა ამისა, იბრა ფლობს უძრავ ქონებას მთელი ევროპის მასშტაბით, მას აქვს საკუთარი ტანსაცმლის ხაზი და, ასევე, სარეკლამო კონტრაქტი „ნაიკთან“.

ჯანლუიჯი ბუფონი – 52 ბირვანაა სტარლინი

იტალიური ფეხბურთის ვეტირანი 36 წლის ასაკში მშვენიერ სპორტულ ფორმასა და თავისი „ოუვენტუსი“ მორიგი „სკუადეტოს“ მოსაგებად მიჰყავს. ხელფასისა და ბონუსების გარდა, ბუფონს სარეკლამო კონტრაქტები აკავშირებს „პეპსისთან“, „ფიატთან“ და „აუმასთან“.

ტიარი ანრი – 47 მილიონი ბირვანაა სტარლინი

ლეგენდარული ფრანგი თავდასხმელი კარიერის ბოლო წლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ატარებს, კერძოდ, ნიუ-იორკის „რედ ბულზში“, სადაც მისი წლიური ხელფასი 5 მილიონ დოლარს შეადგენს, ამას ემატება სასპონსორო კონტრაქტები და შემოსავლების მხრივ ანრი მსოფლიოს უმდიდრესი ფეხბურთელების ტოპ-ათეულში მეთავე ადგილზეა.



აღას ფინანსონის ახალი საქმე

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ლეგენდარული ალექს ფერგუსონი პედაგოგიური საქმიანობისთვის ემზადება. ბრიტანული პრესის ცნობით, სერ ალექსი ჰარვარდის უნივერსიტეტში ლექციების კურსს ნაიკითხავს. ფეხბურთის შოტლანდიელი სპეციალისტი უნივერსიტეტის ახალი პროგრამის – „ბიზნესი სპორტში, მედიასა და გაერთობაში“ – მონაწილე გახდა და ლექციებს მაისიდან დაიწყებს. ფერგუსონი 1986-2013 წლებში ედგა სათავეში მანჩესტერულ კლუბს და ამჟამად თავისუფალი დროით ტკბება.

ირინა შეიკა ზნაზილიურ პოლიუზა

რუსმა სუპერმოდელმა და კრიშტიანუ რონალდუს საცოლემ, ირინა შეიკამ, ბრაზილიაში, სან-პაულოს მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა და პოდოუმზე „ტრიტონის“ ბრენდის საზაფხულო კაბებში გამოწყობილმა გაიარა. ბრაზილიურმა პრესამ ირინა შეიკის გამოსვლა კვირეულის მთავარ მოვლენად დასახელა. სამოდელო საქმიანობასთან ერთად, ახლო მომავალში შედგება ირინა შეიკის კინოდებიუტი ჰოლივუდურ ბლოკბასტერში „ჰერაკლე“, სადაც ირინა ბერძნული მითოლოგიის გმირის, ჰერაკლეს მითური მეუღლის – მეგარას როლში მოგვევლინება.



„პეპსის“ ახალი სანაქამო ჩოლი

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გამაგროლებელმა სასმელმა „პეპსი“ შეკრიბა და ახალ სარეკლამო რგოლში გადაიღო. ლიონელ მესი, რობინ ვან პერსი, სერხიო აგუერო, დავიდ ლუიზი, სერხიო რამოსე და ჯეკ უილშირი „პეპსის“ ბრენდის ქვეშ გაერთიანდნენ და სახალისო რგოლში კიზობოდურ როლებში გამოჩნდნენ, სიუჟეტი კი, სავარაუდოდ, ბრაზილიაში ვითარდება და მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებას გვაუწყებს.

მარია შარაპოვა კანკუნო სკანეას

მომხიბლავი ჩოგბურთელი მარია შარაპოვა მექსიკის ერთ-ერთ საუკეთესო კურორტზე, კანკუნის სანაპიროზე დააფიქსირეს ფოტოგრაფებმა. ჩოგბურთის ვარსკვლავი წარუმატებელი სპორტული პერიოდის დაფიქსებას მზისა და ზღვის საშუალებით ცდილობს. შარაპოვა კანკუნში დაცვის გარეშე, მეგობრებთან ერთად არის ჩასული. კანკუნ მექსიკის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ კურორტად ითვლება, სადაც დასასვენებლად მსოფლიო დონის ვარსკვლავები ჩადიან. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ კანკუნში კრიშტიანუ რონალდუს საცოლე – ირინა შეიკი იყო ჩასული.

ვერდი მოაზნადა უშანგი რუსაკაძე

ევა ბრაუნი – ეზნაენი!

ბრიტანელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ადოლფ ჰიტლერის მეუღლის დნმ და მასში ებრაული ფესვები იპოვეს. ანალიზის ჩასატარებლად მათ ევა ბრაუნის სავარცხელზე აღმოჩენილი თმის ბუნჯი გამოიყენეს, რომელიც 1945 წლის ბერგჰოფის რეზიდენციაში – ჰიტლერის სახლში, ბავარიის ალპებში აღმოაჩინეს.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ დედის მხრიდან ევა ბრაუნი აშკენაზების – გერმანელი ებრაელების შთამომავალია. ამას მონიშნავს გენთა თანმიმდევრობა – ჰალოფუგუი N1b1, რომელიც უცვლელად გადადის დედის ხაზით.

თავის დროზე ბრაუნის ოჯახსა და მის ნათესავებს მარტინ ბორმანი ამონებდა და დარწმუნდა კიდევ მის არიულ წარმომავლობაში. ევა მკაცრ კათოლიკურ ოჯახში აღიზარდა, გათხოვებამდე კი მკვრავად მუშაობდა. ის თავდაპირველად, მრავალი წლის განმავლობაში, ჰიტლერის საყვარელი იყო. ოფიციალურად ისინი 1945 წლის 30 აპრილს, თვითმკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე დაქორწინდნენ. მონუმენტი მარტინ ბორმანი და იოზეფ გეტელსი იყენდა. როგორც ცნობილია, ევა არ ეყოდა გერმანიის ლიდერის პოლიტიკურ საქმეებში.



2014 წლის „ფორბსის“ ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერები

2014 წლის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერების რეიტინგში, რომელთა ასაკი არ აღემატება 40 წელს, 31 მილიარდერი მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ამ რეიტინგიდან წელს პირველად ამოვარდნენ „გუგლის“ მფლობელები – სერგეი ბრინი და ლარი პეიჯი, რადგან, ორივეს 40 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ ახალგაზრდა მილიარდერების ტოპ-ხუთეულს.

პარანა კეი – ასაკი: 24 წლის; კაპიტალი: 1,3 მილიარდი დოლარი



2014 წლის „ფორბსის“ მილიარდერების რეიტინგის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი ჩინელი პერენა კეია, რომელსაც კომპანია „ლოგან ფროფერტი ჰოლდინგსის“ აქციების 85 პროცენტი ეკუთვნის. პერენას მამა, ცზი ჰაიპენი, კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და გენერალური დირექტორია. პერენა კეი ჩინეთში ცზი ჰაიპენის სახელით არის ცნობილი. მას ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ფინანსების ბაკალავრის დიპლომი აქვს და საოჯახო ბიზნესშია ჩართული.

დასტინ მოსკოვიცი – ასაკი: 29 წლის; კაპიტალი: 6,8 მილიარდი დოლარი

დასტინ მოსკოვიცი 2013 წელს სათავეში ედგა ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერების რეიტინგს. ის მარკ ცუკერბერგის მეგობარი და „ფეისბუქის“ ერთ-ერთი თანაფუძრავი, რომელმაც კომპანია 2008 წელს დატოვა. ამჟამად მოსკოვიცი საკუთარი პროექტის – „ასანას“ სოფლით არის დაკავებული. გასულ წელს მოსკოვიცი დაქორწინდა, მისი რჩეული ვახდა „უოლ-სთრით ჯორნალის“ ექსპერტის კარიერის ტუნე.

მარკ ცუკერბერგი – ასაკი: 29 წლის; კაპიტალი: 28,5 მილიარდი დოლარი

წელი მარკ ცუკერბერგის 30 წელი შეუსრულდება, „ფეისბუქს“ კი გახსნიდან 10 წელი ამჟამად მის კომპანიას აღმავლობის პერიოდი აქვს – გასულ წელთან შედარებით აქციების ფასმა 130 პროცენტით მოიმატა. ცუკერბერგი ყველაზე მდიდარი და ყველაზე ცნობილი მილიარდერია ახალგაზრდა მილიარდერებს შორის.



ანტონ კატრინი – ასაკი: 29 წლის; კაპიტალი: 1,35 მილიარდი დოლარი

ანტონ კატრინი მესამე თაობის ნარმომადგენელია. ის აკონტროლებს კომპანია „კატრინი-ვერკს“ – უძველეს და უმსხვილეს კომპანიას, რომელიც ანტენებს აწარმოებს და პიონერად ითვლება საავტომობილო ანტენების წარმოებაში. ამჟამად კომპანია აწარმოებს რადიო და სატელევიზიო ანტენებს, თანამგზავრულ სისტემებს, ელექტრონულ კომპონენტებს ფიჭური კავშირგაბმულობისთვის და მალაქსირჩარის გადამცემებისთვის აუცილებელ მონაცემებს. ის აერთიანებს მსოფლიოში 18 საწარმოს და დასაქმებული ჰყავს 6 800 თანამშრომელი. კომპანია 1919 წელს ანტონის ბაბუამ დააფუძნა.

დრიუ ჰიუსტონი – ასაკი: 30 წლის; კაპიტალი: 1,2 მილიარდი დოლარი

„დროფობოქსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი დრიუ ჰიუსტონი „ფორბსის“ რეიტინგის ახალწვეულია. მისმა კომპანიამ 2014 წლის დასაწყისში ინვესტიციების ახალი ნაკადი მიიღო და საერთო ჯამში 10 მილიარდ დოლარად შეფასდა. „დროფობოქსი“ მონაცემების „დროფობოქსი“ შემნახველია და 2007 წლიდან ფუნქციონირებს. დრიუ ჰიუსტონი 5 წლის ასაკიდან კომპიუტერებით არის გატაცებული და სხვადასხვა ინტერნეტ-პროექტებით დაკავებული.

ჩივაკალ ჯეიშორი – „მონობის 12 წლის“ პარაკლავი და ჯიშის ბონდის ახალი მბარე

ბრიტანელი ჩივეტელ ეჯიოფორი ოსკაროსანი ფილმის – „მონობის 12 წლის“ შემდეგ გახდა ცნობილი. ამჟამად ჩივეტელს ახალი შემოთავაზება აქვს – მას განიხილავენ ჯიშის ბონდზე გადაღებულ ახალ სერიამში მთავარი ბოროტმოქმედის როლზე. გამოვა თუ არა ჩივეტელ ეჯიოფორისგან კარგი ბოროტმოქმედი, ამას 2015 წლის ნოემბერში შევითვით, მანამდე კი გავეცნოთ მისი ცხოვრების საინტერესო დეტალებს.

* ჩივეტელ ეჯიოფორი დაიბადა 1977 წლის 10 ივლისს, ლონდონში. მისი ოჯახი ეთნიკური ნიგერიელებისგან შედგება. დედა, ობი-აპული ეჯიოფორი – ფარმაცევტი, ხოლო მამა, არინზ ეჯიოფორი – ექიმი იყო. 11 წლის ასაკში ჩივეტელი მამასთან ერთად ავტოკატასტროფაში მოყვა, რა დროსაც მამა დაიღუპა, ხოლო თვითონ დაზიანებები მიიღო – იარები შუბლზე მას დღემდე ეტყობა. ჩივეტელს ჰყავს უმცროსი და, ზენი ამერი, რომელიც ამჟამად „სიენენში“ კორესპონდენტად მუშაობს.



* ჩივეტელ ეჯიოფორი თავისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მსახიობად ითვლება დიდ ბრიტანეთში, ხოლო მის მიერ შესრულებული ოტელოს როლი საუკეთესოდ მიჩნევა ახალი თაობის მსახიობებში. ჩივეტელი ლორენს ოლივეის სახელობის პრესტიჟული პრემიის მფლობელია, რომელიც ახალგაზრდა მსახიობებს გადაეცემა.

* კინოკარიერა ეჯიოფორმა 1996 წელს სტივენ სპილბერგის „ამისტადში“ დაიწყო, სადაც მისი პარტნიორები გადასაღებ მოედანზე იყვნენ ჯიშის ჰონსუ, ენტონი ჰოპკინსი, მორგან ფრიმენი და მეთიუ მაკონახი.

* 1990-იან წლებში ჩივეტელ ეჯიოფორი ჯგუფ „ბლანდში“ იყო ბექ-გოკლისტი. ჯგუფის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კონცერტი ლონდონის „ქოვენთ გარდენში“ გაიმართა.

* ჩივეტელის ხუთი საყვარელი ფილმი: „ნათლიამა“, „მილდრის გზაჯვარედინი“, „ცოფიანი ხარი“, „ფარგო“ და „აკეთე სწორი საქმეები“.

* ჩივეტელ ეჯიოფორი 2004 წლიდან არის დაქორწინებული ჯესიკა ეჯიოფორზე. წყვილს ორი შვილი ჰყავს – მაქსი და უილიამი.

გვერდი მოამზადა შუანგი რუსაკაძე

მსოფლიო ფაქტები

* ჩიკაგოში ჯაზის მესაყვირე გარი მარჩინსონმა სახელი იმით გაითქვა, რომ ის ტელეფონის კაბინის ერთადერთი კერძო მყიდველია. თუმცა, შეძენილს დანიშნულებისამებრ სულაც არ იყენებს. ის კაბინაში საყვირის დაკვრამი ვარჯიშობს, მეზობლები რომ არ გააღიზიანოს.

* 2000 წლისთვის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე პრეტენზიას მილანიც აცხადებდა, იბეჭდებოდა პლაკატები, რომლებზეც ოლიმპიური რგოლების ფონზე გამოსახული იყო ლუჩინა პავაროტი და ნანერა: „პავაროტი ამბობს – დაიხ!“

* მსოფლიოში ჩივეტლები ელვის 10 000-ზე მეტი ფოტო არსებობს, სფერული ელვა კი მხოლოდ 60-ჯერ დააფიქსირეს ფოტოფორზე.

* გერმანელმა სპეციალისტებმა გამოიყვანეს განსაკუთრებული ჯიშის ნესეი. გარდა იმისა, რომ შესანიშნავი საკვება – მისი რბილობი ჩივეტლებზე არომატული და ტკბილია. ექვს კი ფეხსაცმლის ლანჩად გამოიყენებენ, რადგან ნებისმიერ გამოყვანილ ტყავზე მტკიცე და მოქნილია.

* მეოცე საუკუნის დასაწყისში მოსკოვში ტელეფონისტ გოგონებს აკრძალული ჰქონდათ გათხოვება, რომ საქმისთვის გულისყური არ მოეკლოთ.

* „ბარბის“ თოჯინა – სკოლის მოსწავლე გოგონა ჩანთით, შემდეგ ფრანკს ამბობს: „ისევე მათემატიკის გაკვეთილი, რა მოსაწყენია!“

* ელექტრომესაღებელი ხელსაწყო, „ავ-

ტოგენი“ სიფების გამტეხებმა გამოიგონეს.

* ყველაზე მძლავრი აკუმულატორი არის ბერლინში, რომლის წონა ათასი ტონაა. ის საათში 17 მილიონ ვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

* ყველის ორი სახეობა – როჯორი და ფლაკორი პენიცილინის სოკოს საშუალებით მზადდება.

* მეთექვსმეტე საუკუნის ცნობილ ოთხნაწილიან რუსულ ხატზე გამოსახულია ქრისტე და მთავარანგელოზი მიქაელი. ისინი სატანას ამარცხებენ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ხატზე ქრისტეს ხელში მახვილი უჭირავს.

* სინამდვილეში ამ კოსმოდრომის უახლოესი დასახლებული პუნქტი ტოურატი იყო. მტრის დეზინფორმაციის მიზნით, საბჭოთა ეკვიპირმა აქ ხის მაკეტური ნაგებობაც აშენა და დეკორაციისთვის ნითელი ტიტებიც კი დარგო. მაგრამ ამერიკამ გახსნა „რუსული საიდუმლო“. 1961 წელს კი, თავად საბჭოთა ეკვიპირიც აღიარა, რადგან კოსმოსში ხომალდის გაშვების დროს ოფიციალურად უნდა დაეხსებებინათ სტარტის ადგილი – ბაიკონური.

* 2003 წლის 10 აპრილს შედგა პირველი „კოსმოსური ქორწილი“. საერთაშორისო კოსმოსურ ხომალდზე, რომელიც დედამიწიდან 400 კილომეტრით იყო დამორებული, რუსმა იური მალენჩენკომ და ასევე რუსული წარმოების ამერიკელმა ეკატერინე დიმიტრევა ამერიკის მეჯვარე, ამერიკელმა ედვარდ ლუმ სინთეზატორზე მინდელსონის მარში ააუღერა.



**წყალი უამრავ დაავადებას
კურნავს**

წყალი ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩვეულებრივი წყალი ბევრ დაავადებასაც კურნავს.

წყლის კომპრესების სამკურნალო ძალა უძველესი დროიდანაა ცნობილი. როცა ადამიანს რომელიმე ორგანო აქვს დასუსტებული, დაავადებული ადგილისკენ დასახმარებლად სისხლის გაძლიერებული ნაკადი მიემართება, რათა იმ ორგანოს ნორმალური მუშაობა აღადგინოს. თუ წარმოიქმნება შემუშება, ნერვულ დაბოლოებებს აწვება და ძლიერ ტკივილს იწვევს. შემუშების დროს, ნახშირორჟანგით გაჯერებულ სისხლს გამოსასვლელი არ აქვს. ტკივილის მოსახსნელად და ანთების ჩასაქრობად კი, ასეთი სისხლი სხვა ადგილისკენ უნდა გავედევნოთ. ამ მოვალეობას ცივი წყლის კომპრესი ასრულებს. კომპრესის გაკეთების დროს აუცილებელია წესების დაცვა: უნდა მოერიდოთ ორპირ ქარს; კომპრესი უნდა გაიჩროთ მანამ, სანამ გაშრობას დაიწყებს და მაშინვე ახალი დაიდოთ; ყოველი კომპრესის შემდეგ, წყალი უნდა გადავლოთ.

კომპრესი გამოიყენება ნებისმიერი ანთებითი პროცესის დროს. უმჯობესია, ეს მეთოდი დაავადების მწვავე სტადიის დროს გამოიყენოთ – ასე ეფექტი უფრო სწრაფი იქნება. ქრონიკული დაავადებების დროს კი საჭიროა, მთელი კურსი ჩაიტაროთ, ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაშიც. კომპრესს ჭამის შემდეგ, მაშინვე ნუ გაიკეთებთ, რადგან, სისხლისა და ენერჯის ნაწილის სხვა მიმართულებით გადაყვანა საჭმლის მოწოდების პროცესს შეუშლის ხელს. პროცედურა ჭამიდან ერთი საათის შემდეგ დაიწყეთ.

დაავადების დროს ორგანიზმს არსებით დახმარებას უწევს მწვანე ჩაი. საერთოდ, უქეიფობის დროს, საჭიროა ბევრი სითხის მიღება. ამ მიზნით მწვანე ჩაი შეუცვლელია. სუფთა წყალი დასუსტებულ უჯრედში მოხვედრისას ნივთიერებათა ცვლის პროცესებს აძლიერებს. შედეგად, წარმოიქმნება ნიღბები, რომლებიც უჯრედის ბლოკირებას ახდენს და წყალს ორგანიზმიდან გამოსვლა არ შეუძლია, მწვანე ჩაი კი დასუსტებულ უჯრედებზე ოპტიმალურად მოქმედებს. ჩვეულებრივი წყლისგან განსხვავებით, უჯრედში მოხვედრილი მწვანე ჩაი შლის ნიღბებს, მემბრანიდან გამოსვლისას კი, ეს ნიღბები გარეთ გამოაქვს. ამის შედეგად,

ეგად, ხდება ორგანიზმის უჯრედების განმწმენა. მწვანე ჩაი კომპრესთან ერთად არა მხოლოდ შესანიშნავად ასუფთავებს, არამედ აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

**ახლადგაომწურული
სტაფილოს წვენი
სისხლკარგვისა და
თირკმელების
დაავადების დროს
შეუცვლელია**

სტაფილო სხვა ბოსტნეულისგან გამოირჩევა კალიუმის მარილების დიდი შემცველობით. ეს კი აუცილებელია გულის, სისხლძარღვებისა და თირკმელების დაავადებების დროს.

*თუ სტაფილოს ხშირად მიირთმევთ, პირის ღრუში მავნე მიკრობების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება.

* სურდოს დროს დღეში ხუთჯერ ჩაინვეთეთ ცხვირში სტაფილოს წვენი და მალე გამოჯანმრთელდებით.

* ანგინის დროს ყელში გამოსავლებად სტაფილოს წვენს შეურიეთ ცხელ წყალში წინასწარ გახსნილი 1 ჩაის კოვზი თაფლი. ყელის ტკივილისა და ხველების დროს კი, უებარია სტაფილოს სიროფის დალევა.

* ღრძილების ანთებისა და სტომატიტის დროს, კარგია სტაფილოს წვენის გამოვლება პირის ღრუში.

* მიოკარდიუმის ინფარქტის დროს პირველივე დღეებიდან დალიეთ 100 მილილიტრ სტაფილოს წვენი, დღეში ორჯერ.

* ზედმეტი ცხიმოვანობის პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია სტაფილოს ჭამა კომბოსტოსთან და შტომთან ერთად, რადგან სამივე დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს.

* კუჭის შეკრულობისა და ბუასილის დროს, ძილის წინ მიირთვით 1 ჩაის ჭიქა გახეხილი სტაფილო. სტაფილოს წვენი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

* ჰიპერტონიის დროს 1 ჩაის ჭიქა სტაფილოს წვენს, 1 ჭიქა პირშუშას წვენს და 1 ჭიქა თაფლს შეურიეთ 1 ჭიქა ლიმონის წვენი. კარგად ამოურიეთ და მიწის ჭურჭელში ჩაასხით. შეინახეთ მაცივარში. დალიეთ 2 სადილის კოვზი დღეში ორჯერ, კერძოდ, 1 კოვზი ჭამამდე ერთი საათით ადრე, მეორე კოვზი კი – ჭამიდან 2-3 საათის შემდეგ.

**როგორ უნდა აივადლოთ
ჰემოგლობინის დაბალი დონე**

გარკვეულ პერიოდში, ადამიანის ორგანიზმში ჰემოგლობინის დონე საგრძნობლად იწვევს ქვემოთ, რაც თავბრუსხვევას, სისუსტეს, თავის ტკივილსა და მთელ რიგ დაავადებებს იწვევს.

თუ გრიპის ან სხვა ინფექციური დაავადების გადატანის შემდეგ, ჰემოგლობინმა დაიწია, შეგიძლიათ, დამოუკიდებლად, სახლის პირობებში ჩაიტაროთ თერაპიის ერთკვირიანი კურსი ხილ-ბოსტნეულის დახმარებით. მაგალითად:

1) ორი მესამედი ჩაის ჭიქა ახლად გამ-

ონურული სტაფილოს და ერთი მესამედი ჩაის ჭიქა ჭარხლის წვენი აურიეთ ერთმანეთში. დაუმატეთ 1 ცალი ლიმონის წვენი და მიიღეთ ყოველდღე, ნახევარი ჭიქა, სადილის წინ.

2) 100 მილილიტრ ბრონეულის წვენს შეურიეთ ამდენივე ლიმონის, სტაფილოს, ჭარხლისა და ვაშლის წვენი. დაუმატეთ 1 სადილის კოვზი თაფლი და მიიღეთ დღეში სამჯერ, 2-2 სადილის კოვზი, ჭამის წინ. გაითვალისწინეთ, რომ ხილ-ბოსტნეულის ეს კოქტილი აუცილებლად ყოველდღე ახალ-ახალი უნდა მოამზადოთ.

3) აუცილებლად ჩართეთ ყოველდღიურ რაციონში ორთქლზე მოხარშული საქონლის ღვიძლი, ცოცხალი მწვანილი და ნითელი ფურის ბოსტნეული. მოერიდეთ მწარე საკვებს.

4) კარტოფილის სასარგებლო თვისებები კონცენტრირებულია მის კანში. ამიტომ, როცა ვთლით, ფაქტობრივად, ვანაგურებთ ვიტამინებით სავსე ფენას. მიირთვით მოხარშული ახალი კარტოფილი კანთანად.

**რას იწვევს ორგანიზმში B₁
ვიტამინის უკმარისობა და როგორ
შევივსოთ ის**

ტიამინი, ანუ B₁ ვიტამინი აუცილებელია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, საჭმლის მომწელებელი ორგანოებისთვის, სუნთქვის რეგულირებისა და ყველა სახის, კერძოდ, როგორც ცილოვან, ასევე, ნახშირწყლოვან, ცხიმოვან და მინერალურ ნივთიერებათა ცვლისთვის.

B₁ ვიტამინი სხვა ვიტამინებისგან განსხვავებით, საკმაოდ მყარია, კარგად იტანს გაცხელებას. პროდუქტების დამუშავებისას იკარგება B₁ ვიტამინის მხოლოდ დაახლოებით 30 პროცენტი, მაგრამ, ხანგრძლივი ხარშვისა და ლითონებთან კონტაქტის დროს, იშლება. ტიამინის ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ტვინის უჯრედების სიკვდილი. ამ დროს ადამიანი ხდება გულმავიწყი, ნაკლებყურადღებოანი. ალკოჰოლის დაავადების მქონე ადამიანებს თითქმის საერთოდ არ აღენიშნებათ სისხლში ტიამინი.

თუ გსურთ, ეს გაიგოთ, კარგად დააკვირდით საკუთარ თავს: ყველაფერი იწყება დაღლილობის შეგრძნებით, გაღიზიანებით, უმადობით, ყაბზობით, უძილობით, ჰაერის უკმარისობით, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითებით.

B₁ ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს: ღორის ხორცი, თხილი, ხორბლის პური, მინის თხილი, ნუში, გარგარი, ნითელი ჭარხალი, სტაფილო, ხახვი, კომბოსტო, ასკილი, კარტოფილი, რძე, კვერცხი, ისპანახი და თალგამი.

**როგორ აივადლოთ
პრობისუნარიანობა და
სასიცოცხლო ტონუსი**

ფიზიკურად აქტიური ადამიანები გაცილებით ნაკლებად ავადდებიან, ვიდრე ზარმაცები. ვარჯიში აქტიურებს გულ-სისხ-



ქაივის რჩევები

ლძარღვთა სისტემის მუშაობას და ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. დღეში ნახევარი საათი ვარჯიშიც კი საკმარისია ამისთვის.

რეგულარული ვარჯიში და სწორი კვება ამცირებს კიბოთი დაავადების რისკსაც. იმისთვის, რომ თქვენმა ორგანიზმმა დღის განმავლობაში საჭირო რაოდენობით ენერჯია მიიღოს, აუცილებელია, მიირთვათ პური, ბრინჯი, მაკარონი, წინაბურა, ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი და, აგრეთვე, პროტეინების შემცველი პროდუქტები, მაგალითად, საქონლისა და ქათმის ხორცი, თხილი, თევზი.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ, რაც უნდა სრულფასოვნად და სწორად იკვებოთ, დანამატების სახით ვიტამინებისა და მინერალების მიღება მაინც აუცილებელია.

A, B, C, D, E და P ვიტამინები ადამიანის ორგანიზმს რკინითა და ფოსფორით უზრუნველყოფს, რაც ერთიორად ამაღლებს შრომისუნარიანობასა და სასიცოცხლო ტონუსს.

უმ კარტოფილს ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებები გააოქავს და გვიცავს შაქრიანი დიაბეტისა და სიმსივნის განვითარებისგან

კარტოფილი შთანთქავს ორგანიზმში წყლის ჭარბ რაოდენობას, ქოლესტერინს, გამოდევნის ტოქსიკურ ნივთიერებებს. უმი კარტოფილის წვენი სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტის, კუჭის წყლულოვანი ან ჰიპერტონიული დაავადებების დროს, ასევე, მათთვის, ვისაც თირკმელები და ღვიძლი აწუხებს. რაც მთავარია, კარტოფილი ებრძვის სიმსივნურ წარმონაქმნებს. მის წვენი ბევრია მატონიზებელი ნივთიერება, ასევე, ვიტამინი C, რაც კლავს კიბოს უჯრედებს.

უმი კარტოფილის წვენი სასარგებლოა კანდან ლაქების მოსაშორებლად. ეს აიხსნება მასში კალიუმის, გოგირდის, ფოსფორისა და ქლორის დიდი შემცველობით, უმი კარტოფილის წვენი შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს და განსაკუთრებით სასარგებლოა სტაფილოს წვენიდან ერთად. ნიახურის წვენიდან შერეული კარტოფილის წვენი კი აწესრიგებს საჭმლის მონელებას, შველის ჩიყვსა და იზიანს.

ასევე, არ უნდა დავივიწყოთ კარტოფილის დიეტური ღირებულებებიც, კერძოდ, ის შეიცავს იოლად ასათვისებელ ნახშირწყლებს, კარგად ბალანსირებული მინერალური შემადგენლობის გამო კი ამ პროდუქტის მიღება კარდიოლოგიური ავადმყოფებისთვისაც შეიძლება. განსაკუთრებით კარგ ეფექტს იძლევა სამდღიანი დიეტა, რომელიც 1 ლიტრი რძის, 1 კილოგრამი მოხარშული კარტოფილისა და 100 გრამი შაქრის ნარევისგან შედგება. ეს დიეტა რეკომენდებული არ არის მათთვის, ვისაც გულის დაავადებასთან ერთად შაქრიანი დიაბეტი ან რძეზე ალერგია აწუხებს.

კარტოფილის თხუთმეტდღიანი დიეტა ადამიანს საშუალებას აძლევს, ჭარბი წონ-

კითხვა: რამდენიმე თვეა ჭამის შემდეგ ყელში ისეთი შეგრძნება მრჩება, თითქოს რაღაც გაშეჭედა. გლანდები არ მაქვს ამოჭრილი. ხშირად მტკივა ყელი, ახლა საშინლად მახველებს. არ ვიცი, რისი ბრალია. გლანდები უნდა ამოვიჭრა თუ სხვა მიზეზი შეიძლება იყოს? არადა, ცივ წყალსაც არ ვსვამ.

პასუხი: არ არის გამორიცხული, ჭამის შემდეგ უცნაური შეგრძნება დაკავშირებული იყოს ნუშურა ჯირკვლებთან. უნდა მიმართოთ ყელ-ყურის ექიმს, რათა გადაწყდეს, საჭიროა თუ არა ქირურგიული მკურნალობა („გლანდების ამოჭრა“).

კითხვა: ვეუკეთე სისხლის საერთო ანალიზი. ყველაფერი ნორმაშია, მაგრამ ედსი მაქვს 10-ით მომატებული. რისი ბრალი შეიძლება იყოს? შეიძლება ამის მიზეზი ორსულობა იყოს?

პასუხი: ქალებში ედს-ის ნორმა 2-15მმ/სთ-ა, ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იმატებს ორსულობის პერიოდში, მაგრამ ორსულობის დიაგნოსტიკისთვის არ გამოდგება.

კითხვა: მაინტერესებს, 2 თვის ბავშვისთვის ჰემოგლობინის ნორმა რამდენია?

პასუხი: ჰემოგლობინის ნორმა ამ ასაკითვის 115-175გ/ლ-ია.

კითხვა: ფეხებზე პერიოდულად მიჩნდება პატარ-პატარა, ხელის დადებით მტკივნეული ჩალურჯებები ერთი მეორეს მიყოლებით. როგორ მოვიქცე?

პასუხი: გირჩევთ, ჩაიტაროთ კოაგულოგრამა და სისხლში თრომბოციტების განსაზღვრა, რათა დარწმუნდეთ, რომ შედეგების სისტემაში დარღვევები არ არის.

კითხვა: რომელი პოლივიტამინის

მიღება ჯობია ფიბროზულ-კისტოზური მასტოპათიის დროს?

პასუხი: შეგიძლიათ, მიიღოთ ვიტამინური კომპლექსი, რომელიც ა, ვ, ყ და გ ვჯგუფის (განსაკუთრებით გ₆) ვიტამინებს შეიცავს.

კითხვა: კომპიუტერთან ხშირად მინევს მუშაობა. ვატყობ მხედველობაზე მოქმედებს. რა სიმპტომები ახასიათებს თვალის გადაღლას?

პასუხი: ეს სიმპტომებია – თვალეზში წვის შეგრძნება, სიმშრალისა და უცხო სხეულის შეგრძნება, ქუთუთოებზე ქვიშის შეგრძნება, ტკივილი თვალბუდისა და შუბლის არეში, ტკივილი თვალის მოძრაობის დროს, თვალის ლორწოვანი გარსის (კონიუნქტივის) სინითლე.

კითხვა: ჩემს 7 წლის ბიჭს ერთი თვეა, დაეწყო სისუსტე, იტკივს მუხლებს, ცუდად ჭამს. გაუუკეთე ანალიზები, მუცლის ღრუს ექოსკოპია – ყველაფერი ნორმაშია. პედიატრმაც არაფერია, უბრალოდ გაზაფხულის ბრაღიაო. აღარ დამყავს ფეხბურთზე, რადგან იქ ძალიან იღვებოდა. შეიძლება, ამ დროს ორგანიზმის გაჯანსაღების მიზნით, მივცე „ომეგა 3“ და რა დოზით?


პასუხი: „ომეგა 3-ის“ მიცემა შეგიძლიათ, თუმცა არ გამოეკაროთ უფრო სერიოზული მიზეზი. გამორიცხეთ რეგმატიული პათოლოგია, გაუკეთეთ ბავშვს სისხლის საერთო ანალიზი და რეგმატიოლოგიური სინჯები. თუ ბავშვი ინტენსიურად იზრდება ამ პერიოდში, მიეცით კალციუმის პრეპარატი.

რურეკას უძღვეთ ოჯახის ექიმი მაია ნუსუბიკა

ისგან გათავისუფლდეს, ოღონდ, აუცილებელია, მას მიაყოლოთ ბოსტნეულის სალათა და დღეში 3 ლიტრი წყალი.

კარტოფილის წვენი კარგია ანგინის, ფარინგიტის, ტონზილიტის დროს პირში გამოსავლებად. ცხელი მოხარშული კარტოფილი კი გამოიყენება ინჰალაციებისა და კომპრესების სახით, კანის დაავადებების დროს, ფურუნკულებისა და ჩირქგროვების შემთხვევაში. ამ დროს კარგია, ასევე, გახეხილი უმი კარტოფილი.

თუ განუხებთ გასტრიტი, დისპეფსია, გულძმარვა, მეტეოროზმი, კარგი იქნება, დილით უზმოზე მიირთვათ 1 ჭიქა კარტოფილის წვენი. ეს კურსი ათდღიანია. ერთი ულუფის მოსამზადებლად დაგჭირდებათ ორი ცალი კარტოფილი, რომელიც კარგ-



ად უნდა გარეცხოთ, გახეხოთ და განურთოთ. შედეგს მალევე იგრძნობთ, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ დიეტის დროს რაციონიდან გამორიცხავთ ხორცისა და თევზის პროდუქტებს.

ვერდები მოამზადე წონა დათავიქე



როგორ აღმოჩნდა ვასილ მჭავანაძე ტყავის ნარმოებიდან ცენტრალურ კომიტეტში

„არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორი მიზნები, განზრახვები და რწმენა აქვს ადამიანს. მას მისი საქმეების მიხედვით შეაფასებენ...“ – დიას, გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მჭავანაძე საქართველოს ისტორიის სწორედ თავისი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმეებით შემორჩა. მისი ქალიშვილის, ნინა მჭავანაძის მეგზურობით გაიგებთ, როგორი იყო „ვასილ მჭავანაძის საქართველო“ 50-ნი-იან წლებში, როგორი პიროვნებები იდგნენ სათავეში და როგორ მართავდნენ ქვეყანას.



„...1956 წლის სექტემბერი... საქართველოს ცეკვას პირველი მდივნის, ვასილ პავლეს ძე მჭავანაძის პირველი სამუშაო დღე იწყება. მის კაბინეტში ერთ-ერთი მალაჩინისანი შემოდის, ხელში საქალაქო უჭირავს... ვასილ პავლოვიჩ, აი, იმ პირობა სია, რომელთა მიმართ სასწრაფო ზომების მიღება საჭირო – ფურცელზე შავით თეთრზე, ორ მწკრივად დაუბეჭდავთ სახელები და გვარები. პირველი მწკრივის დასაწყისში ლამაზად მოყვანილი მსხვილი ასოებით ხელნაწი: „დასახერხებელი“! მეორე მწკრივის დასაწყისში – „დასაპატიმრებლები.“ ხოლო „მე აქ ხალხის დასახერხებდა და დასაჭერად არ ჩამოვსულვარ! – მკაცრად და მოჭრით პასუხობს ცეკვას პირველი მდივანი აქტივისტ ჩინოსანს, – მე საქართველოში სიკეთის საკითებლად ჩამოვედი...“ – ასე დაიწყო ოცი წლის უნახავ სამშობლოში დაბრუნებული თადარიგის გენერლის, ვასილ პავლეს ძე მჭავანაძის სამოქალაქო სამსახურის პირველი დღე საქართველოში. მისი წინამორბედები, ცეკვას ყოფილი პირველი მდივნები – კანდიდ ჩარკვიანი და აკაკი მგელაძე გადასახლებულები იყვნენ... მჭავანაძეს ურთულეს დროსა და პირობებში



მოუხდა საქართველოს ხელმძღვანელის პოსტის ჩაბარება, მაგრამ სამამულო ომში ნაწრობით გენერალს ხალხთან ურთიერობა არ უმძობოდა და სტაბილური პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფაც ხელწინააღმდეგობა. კრემლში შესანიშნავად იცოდნენ მისი შესაძლებლობები და ამიტომაც ყოველთვის პოლიტიკურად რთულ რეგიონში გზავნიდნენ“...

ჯიგო ლომაშვილი (ბორჯომის პარტიის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი):



აფხაზეთი. რინის ტბა. 1962 წელი

„...1962 წლის ზაფხულში ვასილ მჭავანაძე, აღექუსი ინაური, დევი სტურუა და ირაკლი აბაშიძე ბაკურიანში ჩამოვიდნენ. ერთი ღამე იქ გაატარეს და მეორე დღეს ახალქალაქში წავიდა საზაფხულო საძოვრების დასათვალიერებლად. ჩავდივით ახალციხის რაიკომის მდივანთან, ვალიკო ქერაძესთან, შემდეგ კი ხიბავარამი გავემგზავრეთ. დავათვალიერეთ საძოვრები და სახელდახელოდ, მტკვრის პირას, მინდორში, საველე თაფრად გაიშალა. ვასილ პავლოვიჩმა სომადღა ირაკლი აბაშიძე აირჩია. საუბარი სტალინზე დავიწყეთ. ვასილ პავლოვიჩმა 22-ე ყრილობის შესახებ გვიამბო. ამ ყრილობაზე სტალინის ნემტის მავზოლეუმიდან გამოსვლებზე გადაწყდა. მჭავანაძემ გულწრფელად მოგვითხრო ყველაფერი, ისიც

კი გვითხრა, რომ თბილი სადამო ყინულებს ჭამდა, რათა სიცხე ასწვოდა და მეორე დღეს პლენუმზე სტალინის ნემტის კრემლიდან გამოსვლებისთვის მხარდასაჭერად სიტყვით არ გამოსულიყო, როგორც ამას ხრუშჩოვი ითხოვდა. მეორე დღეს მალალი სიცხე მქონდა და პლენუმზე არ წავიდა, – ისხენებდა მჭავანაძე. ხრუშჩოვს არ დაუფერებია და თავისი პირადი ექიმი გაუგზავნა შესამონმებლად. მის მაგივრად სიტყვით გამოსვლა ჯავახიშვილს მოუწია. ვასილ პავლოვიჩი ამას რომ ყვებოდა, შევატყვე გული დაუმიძიდა, საუბარში ჩავერთე და ვუთხარი, საქართველოს ისტორია სტალინით არც იწყება და არც დამთავრდება-მეთქი. მჭავანაძეს არაფერი უთქვამს, ჩაფიქრდა. სიჩუმე ჩამოვარდა“...

„ვასილ მჭავანაძე დაიბადა 1902 წლის 22 სექტემბერს, ქუთაისში. მართალია, პავლე მჭავანაძის პირმშო კაჟი თვით ჯანმრთელი მოეცინა ქვეყანას, მაგრამ, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მისი მეუღლე მშობიარობიდან მეორე დღეს გარდაიცვალა. მამას ბავშვობის ფორს რომ დავცქერი, მის თვალებში საოცარ სევდას ვხედავ – დედის აღერსს მოკლებული ობლის სევდას. იქნებ, ამიტომაც იყო მამა საოცრად გულწვილი მოუსაფართო მიმართ.

თუ ვინმეზე გაიგებდა, ობოლიყო, თვალზე ცრემლი მოადგებოდა – როგორც ჩანს, თავისი ობლობა ასწვნიებოდა და ცდილობდა, შეძლებოდა დასავარად დახმარებოდა მათ. მშობლების დაჟინებული თხოვნით, მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე, პავლე მჭავანაძემ მეორე ცოლი შეირთო და ვაჟი – სერგო შეეძინა, მაგრამ, ვერაგი ბედისწერა ფეხდაფეხ დაჰყვებოდა უბედურ ბაბუას – მეორე მეუღლეც რამდენიმე თვეში გარდაიცვალა. პატარა სერგო მჭავანაძე დედის ძმამ, ლუკა რუხაძემ ნაიყვანა აღსაზრდელად. მალე პავლეს მშობლებიც დაეხოცა და, სასწრაფო ვითარებაში ჩავარდნილმა, სამშობლოდან გადახვეწა გადაწყვიტა. ჩემი აზრით, მისი ნასვლის მიზეზი სწორედ ეს არის, მაგრამ, ერთ-ერთი ვერსიით, იგი რევოლუციონერებს დაახლოებული და ჩაფრის მკვლელობაში მოუღია მონაწილეობა. დღეს ძნელი სათქმელია, რამ აიძულა პავლე, 3 წლის ვასოც თან წაეყვანა – იქნებ, საფრთხე მართო მას კი არა, მის პატარა ვაჟსაც ემუქრებოდა?! ასე იყო თუ ისე, პავლე მჭავანაძე თავის პირმშოსთან ერთად ოდესაში ჩავიდა. იმ დროს ოდესაში, რომელიც ქუჩა-

ზე, ელექტროტრამვაი გაჰყავდათ. პავლე ჯერ ტრამვას პარკში დაუწყია მუშაობა შემკეთებლად, შემდეგ – ელექტროტრამვას გამცილებლად, ვაჟიშვილი კი ოდესელი მეეტლის, ეფიმ ზინკოვის ოჯახში დაუბინავდა. ოჯახში, სადაც მამა მიაბარეს, კიდევ ორი ბავშვი იზრდებოდა. პირველი სამი წლის განმავლობაში პავლე სწორად აკითხავდა თავის ვაჟიშვილს, მერე კი გაქრა. ვასო მჭავანაძე ეფიმ ზინკოვის ოჯახში გაზარდა. ქართული, რა თქმა უნდა, დაავიწყდა და ეს არც არის გასაკვირი – ახლად ენადგებულ 3 წლის ბავშვი უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახში, უდებდამოდ იზრდებოდა. ზინკოვებს პატარა ვასო არ დაუზარავდა, პირიქით, თავის შვილებთან ერთად ისიც მიუბარებიათ გიმნაზიაში. როგორ შეძლო ოდესელმა მეეტლემ სამი ბავშვის გიმნაზიაში სწავლების დაფინანსება, განა რამდენს შოულობდა ეს კეთილშობილი ადამიანი, რომ ორი შვილისა და ერთი მიბარებული



ბავშვის სასწავლებლად დაეკოფნოდა?! არ მინდა, ექვი შევიტარო ოდესელი მეეტლის პიროვნულ ღირსებასა და პატიოსნებაში, მაგრამ, მისი მცენატობა უთუოდ გაოცებს ინვესტორს. ერთ დღესაც, ზინკოვების ოჯახში ვინმე ლოლად მივე-

იდა და აცნობა, რომ პავლე მჭავანაძე ჟანდარმებმა მოკლეს. მას მეგობრებმა უკანასკნელი თხოვნა შეუსრულეს და 13 წლის ვასო საქართველოში წამოიყვანეს. ასეთი იყო მამის ყრმობის წლები უცხოეთში. პავლე მჭავანაძის მეგობარმა, ლოლად მივე, 13 წლის ვასო გვიმოგვითხრო ჩაიყვანა და ბებიბა-ბაბუას – პავლე მჭავანაძესა და ქრისტინე ბარაბაძეს ჩააბარა, მაგრამ ისინიც მალე გარდაიცვალნენ და პატარა ვასო ბიძამ ნაიყვანა თავის ოჯახში. პოლიკარზე შენგირაძე ვასოს საკუთარ შვილებში არ არჩევდა და მამობრივ მზრუნველობას არ აკლებდა... გაივლის ცხრამეტი წელი და იგი უკვე სრულიად სხვა ვითარებაში და სხვა რანგში დაუბრუნდება სამშობლოს. „სწორად დამისვამს საკუთარი თავისთვის კითხვით: მაინც, როგორ გახდა დედი და მამა თბილისი ობოლი ბიჭი საქართველოს ცეკვას პირველი მდივანი? ეს ისტორიულმა კატაკლიზმებმა განაპირობა, პიროვნულმა თვისებებმა თუ ბედმა?! ვფიქრობ, სამივე ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა“, – ამბობს ვასილ მჭავანაძე.

საკუთარი შრომით ცხოვრება მამას აღრიანად მოუწია, რადგან, პოლიკარზე შენგირაძეს არც დიდი მამულები ჰქონდა და წერილში ვილიც თავს ეხვია. ტყავის ნარმოების მანუფაქტურა, სადაც მამა მუშად მუშაობდა, მამას დედის – ელისაბედ შენგირაძის ქმარს ეკუთვნოდა. 1922 წელს მამა, დროის კარნახით, პარტიამ შეიღო და ცხოვრების ასპარეზს იცვლის – საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ სამხედრო კარიერას ირჩევს. მსროლილი პოლკის დივიზია – 200 ნიითლარ-მიელი, რომელსაც მამა მეთაურობდა, მანგლისში იდგა. აქ გაცივო მან ანა გრიგოლის ასული იანკო და მალე დაქორწინდა. 1930 წელს ვასილ მჭავანაძე ლენინაკანის მეთაურთა მოსამზადებელ პოლიკის სასწავლებელში პოლიმოსხელმძღვანელად გაგზავნეს. მალე მას პირველი ქალიშვილი – ლილი შეეძინა. სამი წლის



„აინო“ - ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა, სადაც უამრავი ადამიანი პოულობს შევას. პაციენტები, რომლებიც იქ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში შედიან, ცხოვრების ჩვეულ რიტმს მალევე უბრუნდებიან. ოზონოთერაპიამ დაამტკიცა, რომ ის მკურნალობის მართლაც ეფექტური საშუალებაა. როგორც შევითყვეთ, ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია ქრონიკული პიელონეფრიტისა და ცისტიტის დროს. ამის გადასამოწმებლად თბილისში, მცხეთის ქ. 8/90-ში მივედით და ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკის ექიმს, ქალბატონ ადა მჭედლიძეს გავესაუბრეთ.



ჩაქვანად უფაქუჩია ოცნოთქაპაპია ქრონიკული პიელონეფრიტისა და ცისტიტის დროს

ისმიერ ორგანოში, რაც უზრუნველყოფს შემდგომში ამ ორგანოს გამართულ მუშაობას.

- მედიკამენტური თერაპიის პარალელურად, თუ შეიძლება ოზონოთერაპიის გამოყენება?

- ამ კითხვით უამრავი ადამიანი გვირეკავს კლინიკაში (225 31 39 / 571 25 55 33).

ქრონიკული პიელონეფრიტის დროს ოზონოთერაპიის გამოყენება შეიძლება, როგორც კლასიკური მედიკამენტური თერაპიის პარალელურად, ასევე დამოუკიდებლად. ოზონი ამცირებს ანტიბაქტერიული პრეპარატების დოზას. ოზონოთერაპიის ფონზე ძლიერდება

ოცნოთქაპაპია წარმატებით გამოიყენება მენჯა და ქრონიკული ცისტიტის სამკურნალოდ.
ოცნოთქაპაპია ანთიბიოტიკების გამოყენებასთან ერთად.

ორგანიზმის მეტაბოლიზმი და ნებისმიერი პრეპარატის შენოვა აქტიურდება. შესაბამისად, საჭიროა მისი დოზის კორექტირება, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა მედიკამენტები უძლურია, ოზონი უკანასკნელი იმედი.

ტივი უძლურია, ოზონი უკანასკნელი იმედი.

- მკურნალობის დაწყებიდან რამდენ ხანში უმჯობესდება მდგომარეობა?

- მკურნალობის დაწყებიდან მეორე დღეზე, პაციენტები აღნიშნავენ ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მცირდება შარდის ლეიკოციტების რაოდენობა, უმჯობესდება სისხლის ბიოქიმიური მაჩვენებლები. ოზონოთერაპია სასურველია, აგრეთვე, ჩატარდეს ლითოტრიპსის (თირკმელში კენჭის დაშლის) მოსამზადებელ და პოსტოპერაციულ პერიოდებში.

- ცისტიტის დროს რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია?

- ოზონოთერაპია წარმატებით გამოიყენება მენჯა და ქრონიკული ცისტიტების სამკურნალოდ. ოზონი ახდენს ანთებითი კერის სანაცვას და ოზონოთერაპიას აქვს გამოხატული ანტიბაქტერიული ეფექტი. განსაკუთრებით ეფექტურია ოზონოთერაპიის გამოყენება იმ შემთხვევებში, როცა ცისტითი გამოწვეულია ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმებით. ოზონოთერაპიის გამოყენება შეიძლება შარდის ბუშტუვ ოპერაციების შემდგომ პერიოდშიც - დრენაჟის გამოყენებით, მისი ოზონირებული ფიზიოლოგიური ხსნარით გამორეცხვის გზით.

მარიკა ხიფურაძე

ადა მჭედლიძე: პიელონეფრიტის მკურნალობისას ოზონი გამოიყენება როგორც ანტიანთებითი და ბაქტერიციდული აგენტი. ოზონი უზრუნველყოფს ლიმფურ გარსს და აღწევს მიკრობის შიგნით. ოზონი აძლიერებს ადამიანის ჰუმორული იმუნიტეტის უჯრედების T და B ლიმფოციტების აქტივობას, რაც ყოველთვის შესუსტებულია ქრონიკული დაავადებების დროს. ოზონი აღმოფხვრის ჰიპოქსიას და ჰიპოქსემიას, უზრუნველყოფს დეფიციტს უჯრედებსა და ქსოვილებში. ოზონი აძლიერებს კაპილარულ სისხლის მიმოქცევას ნებ-

შემდეგ მამა საქართველოში მეორე ტერიტორიული დივიზიის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. ამ დროისთვის მათ მეორე ქალიშვილი - ეველინა გაუჩნდა. სამხედრო ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ვა-



ახლობლებთან ერთად

სილ მუჟაბაძე ლენინგრადში, სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში მიაჯლინეს სასწავლებლად. მისი პირველი ოჯახი საქართველოში დარჩა. რატომ უთხრა უარი რუსეთში წასვლაზე მუჟაბაძე - მამა ამ თემაზე არ ლაპარაკობდა. ოცი წლის განმავლობაში, 1933 წლის შემოდგომიდან 1953 წლის შემოდგომამდე, მამამ მხოლოდ ორჯერ შეძლო საქართველოში ჩამოსვლა, ისიც, რამდენიმე დღით.

დედაც მამამ ომის დაწყების წინ გაიქცინა ერთმანეთი. ქართველი ოფიცერი და უკრაინელი სტუდენტი გოგონა ერთმანეთს ლენინგრადში შეხვდნენ. დედა სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსზე სწავლობდა. მაშინ საუბარდებულო სამხედრო მომზადებაში ჩათვლის მისაღებად აუცილებელი იყო ცხენოსნობის ცოდნა. ამ დროს საბჭოთა კავშირში ცხენოსნობა

არმია ფუნქციონირებდა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები სამხედრო ბაზაზე გაგზავნეს. დედას თურმე განმარტობით 19 წლის გოგონა, ემინა. ჩამოიქროლა ცხენზე ამხედრებულმა ოფიცერმა, დასატყა ხელი და ცხენზე შეისვა. დედა ისხენებდა, ბუმბულივით ამიტყავო. ეს მხედარი მამა გახლდათ.

ხრუშჩოვი მამას უკრაინიდან იცნობდა. იცნობდა, როგორც გენერალს, უკრაინის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, პატივს სცემდა და ენდობოდა. გარდა ამისა, იცოდა რა მამას ბიოგრაფია, უფრო რუს გენერალად მიაჩნდა და, ამდენად, საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტზე ვასილ მუჟაბაძის კანდიდატურის წარდგენა მიზანშეწონილად ჩათვალა. ხრუშჩოვის საქართველოში სტრადებოდა კაცი, რომელიც, უპირველესად, მოსკოვის ინტელექტუალებს გაატარებდა. მამა ისხენებდა: „შევედი კაბინეტში და ხრუშჩოვი მეუბნება: „საქართველოს ცეკას პირველ მდივნად გიმეობა!“ რა თქმა უნდა, დავთანხმდი, რადგან, ეს ბრძანება იყო. როდესაც მისი კაბინეტიდან გამოვედი, მისაღებში ალექსი ინაური შევნიშნე. ვკითხე, აქ რას აკეთებ-მეთქი. არ ვიცოდი, - მისაუბრა მან. მეორე დღეს მოსკოვი-თბილისის რეისზე თვითმფრინავში გვერდივერდ აღმოვჩნდი. ისევ ვეკითხები ინაურს, ხრუშჩოვთან რაზე იყავი-მეთქი. ვერ გეტყვით, - ისევ მასაუბრობს ინაური და თვითონაც იმავეს მეკითხება: თქვენ რატომღაც იყავით? ვერც მე გეტყვით-მეთქი. ასე ჩამოვფრინდით თბილისში. საქართველოს ცეკას ბიურომ ჩვენი კანდიდატურები განიხილა და მეორე დღეს მე საქართველოს ცეკას პირველი მდივნის კაბინეტი დავიკავე, ალექსი ინაურმა კი - სულის თავმჯდომარის. ეს ეპიზოდი მამამ პენსიაზე ყოფნისას გვიამბო. 1960 წელს ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირში 30 ათასი ეკლესია დახურა. მან ანტი-

ქრისტიანული აქცია პირველად თავის სამშობლოში - უკრაინაში განახორციელა: სუქსის ოლქში მდებარე სამონასტრო კომპლექსი - გლინსკის მონასტერი დახურა, ლეთისმსახურები კი დაარბია და განდევნა. ისიც ცნობილია, რომ ხრუშჩოვის და, ძმისა და საერო ცხოვრებისგან გარიდებული, უკრაინის ამ მონასტერში მონაზვნად ყოფილა ალკვეცილი. ეკლესიის დარბევის შემდეგ მონაზონ დას თავის ძმისთვის ასეთი სიტყვებით მიუმართავს: „ნუ ზრია ოტუც გოვორილ, ჩტო ტი ღურაკ, ნიკიტა!“ რა ბედი ენა ხრუშჩოვის მონაზონ დას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, გლინსკის მონასტრიდან დევნილ ბერ-მონაზვნებს საქართველოსკენ გამოუწვევიათ. ერთ-ერთი დევნილი ლეთისმსახური, მამა ზინოვი, საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ეწეოდა საღვთისმსახური მოღვაწეობას და მა-



იუგოსლავია. სტუმრად ბროს ტიტოსთან. 1965 წელი

ლე მიტროპოლიტიც გახდა. სწორედ მამა ზინოვიმ ალკვეცა ბერად საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, უნმდიესი და უნეტარესი ილია მეორე“.

კაკა პატარია



ბიორბი: ავი თვალის მქონე ადამიანების შესახებ ინფორმაცია უძველესი დროიდან მოდის. ასევე, ცნობილია, ამის შედეგად გათვალისწინებული ადამიანების დატანჯული ბედის შესახებაც. ისტორიულ წყაროებში ნახსენებია, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომელიღაც საუკუნეში, თურმე რომის სამართლის ერთ-ერთი მონაცემის მიხედვით, ავი თვალის პატრონი სიკვდილით ისჯებოდა. ავმა თვალმა შეიძლება, ზიანი მიაყენოს როგორც ადამიანებს, ასევე, შინაურ ცხოველებსა და უსულო საგნებსაც კი. აგრეთვე, ავი თვალის შეიძლება, მიზეზი გახდეს ისეთი ძნელად განკურნებადი დაავადებებისა, როგორცაა, კატასტროფული სიგამხდრე, სიმსუქნე, დამბლა, კრუნჩხვა, სიბრმავე, ნევროზი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, უძილობა და ბევრი სხვა. შურიანი ადამიანის ავმა თვალმა შეიძლება, მანქანის ან სამეურნეო ტექნიკის დამტვრევაც გამოიწვიოს. დამიჯერეთ, ეს მისტიკა არ არის, ეს რეალობაა და ასეთი უამრავი მაგალითი ინახება ჩემს არქივში.

- იქნებ, დეტალურად ავი-ისხნათ, როგორც ეზოთერიკოსმა, ავი თვალის მოქმედების მექანიზმი ცოცხალ ორგანიზმზე?

- კი ბატონო, ავი-ისხნით. ნებისმიერ ადამიანს აქვს დამცავი გარსი, ანუ აურა. აურა ყველა ცოცხალი ორგანიზმის ენერგეტიკული გამოსხივებაა. სხვათა შორის, აქვე იმასაც გეტყვით, რომ მეცნიერებისა და ეზოთერიკოსების ჯგუფმა სცადა, აურა ფოტოზე დაეფიქსირებინა და ეს ცდა წარმატებული გამოდგა. ახლა კი ამის წყალობით, ეჭვი აღარავის ეპარება, რომ აურა ნამდვილად აკრავს გარს ადამიანს. ის ასხივებს ენერგეტიკულ დონეზე და იცავს პატრონს ნეგატიური ზემოქმედებისგან. ალბათ, ყველა, ამ საქმეში ჩახედული ადამიანი დამეთანხმება, რომ აურა ადამიანის ძირითადი დამცავი გარსია. ის პატრონის ენერგეტიკას სხვა ადამიანების ენერგეტიკული ზემოქმედებისგან იცავს.

- გამიგია, რომ ადამიანის აურა ინახავს ცხოვრებისეულ ენერგიას და ამით ხელს უწყობს პატრონს პოზიტიური მოვლენებისკენ იოლად გაიკვალოს გზა. ასეა თუ არა და რა ინვესტის მის დარღვევას უმეტეს შემთხვევაში, რაც საბედისწერო შეიძლება, აღმოჩნდეს ადამიანისთვის?

- დიას, აურა ხელშეუხებლად ინახავს ინდივიდის ცხოვრებისეულ ენერგიას და ამავე დროს, ორგანიზმში არ უმეებს ისეთ ენერგიას, რომელმაც შეიძლება, ავნოს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ აურა ჩვენი ენერგეტიკული დამცველია. ამაში ორი აზრი არ არსებობს. მისი დარღვევა კი შესაძლოა, გამოიწვიოს სტრესებმა, ფარულმა სიავემ, შურმა, სკანდალებმა. ეს ყველა

ავ თვალს ისეთი ზიანის მიყენება შეუძლია, ადამიანი ვერც კი წარმოიდგენს. ბევრი ფაქტიც არსებობს, როცა გათვალისწინებული შედეგად, ადამიანი უშიშრად მდგომარეობამდე მისულა. ამ დროს მას ვერც აფთიაქში წაყიდი ნამულებით და ვერც ხალხურ მედიცინაში აპრობირებული მეთოდით უმკურნალებთ. ასევე, გამოკვლევებმა ცხადან, რომ გათვალისწინებული ავადმყოფობის დროს, ქირურგიული ჩარევა ყოველთვის გართულებებით მთავრდება, ხშირად კი - სიკვდილითაც კი. ამ თემებთან დაკავშირებით, კომენტარი ვთხოვეთ ეზოთერიკოსს, ბატონ გიორგის, რომელმაც ძალიან საჭირო და დასაფიქრებელი ინფორმაცია მოგვანოდა.

რა ინვესტს აურის დარღვევას, არის თუ არა ის ადამიანის ენერგეტიკული დამცველი და რისგან გვიცავს შესასვლელში დაკიდებული ხახვი

აფერი აურის გარკვეულ დეფორმაციას, დასუსტებას ინვესტს და დიდი შანსია, ამ ყველაფერმა მისი ცხოვრებისეული ძალებისგან დაეცლა მოახერხოს. გათვალისწინებული ორგანიზმიდან მეორე ორგანიზმისკენ

ნოს აურა. თუ ცუდი თვალის ადამიანი დილით სარკეში ჩაიხედავს და შემდეგ სხვაც იმავე სარკეში ჩაიხედავს, შეიძლება, ასეც კი გაითვალოს. ამ დროს მეორე ადამიანის ბიოველის დაზიანების დიდი შანსია.


- ამ დროს რა ემართება ბიოველს?

- ბიოველზე ჩნდება ბზარები, ნახვრეტები. იქიდან გადმოდის ენერგია და იხარჯება. ხშირად ადამიანი ავად ხდება და ვერ ხვდება, რა არის ამის მიზეზი. სხვათა შორის, ძველად ავი თვალისგან თავს ლოცვით იცავდნენ. ეს იყო განსაზღვრული სიტყვების კომბინაცია, რომელთა წარმოქმნას თან ერთვის ხელის მოძრაობა. ამის შედეგად ჩნდებოდა ვიბრაცია და ეს საშუალებას იძლეოდა, აღედგინა დაზიანებული ბიოველი. შედეგად, უეცრად წარმოშობილი დაავადება უკან იხევდა. ადამიანის გარშემო იქმნებოდა გარკვეული ბარიერი, რომელიც შეაჩერებდა ბიოველის დამზიანებელი ცუდი ენერგიის ზემოქმედებას.

- თუ არსებობს მაგიური საშუალება, რომელიც ამისგან დაგვიცავს?

- ძალიან ბევრი ასეთი მაგიური საშუალება არსებობს. მაგალითად, გაფცქვენით ხახვი, ჩამოკიდეთ სახლის შესასვლელში ისე, რომ შემოსული ადამიანის მზერა მიიპყროს. ხახვს აქვს თვისება, შეისრუტოს ჭუჭყიანი ასტრალური ენერგია. ერთი კვირის შემდეგ ეს ხახვი ჩამოხსენით, მოაყარეთ მარილი და გამდინარე წყალს გაატანეთ. ასეთი მაგიური მეთოდი თქვენს საცხოვრებელს ადვილად გაათავისუფლებს ჭუჭყიანი ასტრალური ენერგიისგან. სხვათა შორის, ყველა სახლში იბუდებს ცუდი აურა, ენერგია და მისგან გაათავისუფლება აუცილებელია. ამისთვის ხახვი უებარი და უტყუარი საშუალებაა. ტყუილად როდი იყენებენ ამ ბოსტნეულს საქმელში ყველაზე ხშირად. ის ადამიანში აგრესიულ ფონსაც კლავს. ასე რომ, ვინც აგრესიული ბუნებისაა, აუცილებლად უნდა ჭამოს ბევრი ხახვი.

ონა ლათიჟია



უცხო, უარყოფითი, შავი ენერგიების მიმართვაა, რომელმაც შეიძლება, აურის ეგრეთ ნოდებული „გახვრეტა“ და დეფორმაცია გამოიწვიოს. აურის დაზიანება, ანუ უარყოფითი ენერგიის შეღწევის რაოდენ-

ვისან გამოხდება გარკვეული ენერგია აქვს, შესაძლოა აზიანებს მეორე ადამიანის ბიოველს

ობა დამოკიდებულია აურის ზომიანზეც.

- ეს როგორ გავიგოთ?
- რაც უფრო სქელია ადამიანის აურის გარსი, მით ნაკლებია ავი თვალის ზემოქმედების ალბათობა მასზე. ზოგადად, გათვალისწინებული განზრახული ჯადოქრობაა. ვისაც გამოხედვაში გარკვეული ენერგია აქვს, შეხედვით აზიანებს მეორე ადამიანის ბიოველს. შესაძლოა, მას ეს არც უნდოდეს, კეთილი და თბილი იყოს ბუნებით, მაგრამ გაუცნობიერებლად დაზიან-



შენი „ბოსი“

მამაკაცებს უყვართ უფროსობა. ყოველ შემთხვევაში, ოჯახში ხშირად ცდილობენ „ბოსის“ როლის მორევებას. თუმცა, ვის როგორ გამოვსადის, ეს უკვე საუბრის სხვა თემაა და კამათის მიზეზიც. დააკვირდი თქვენს მეორე ნახევარს და გაარკვიეთ, რომელ ტიპაჟს განეკუთვნება. ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ გაუფოთ მას და შესაბამისად, ურთიერთობაც დააღვათ.

„ლაქლაქა“ – განმასხვავებელი ნიშნები: შეუჩერებლად ლაპარაკობს ყველაფერზე და ყოველთვის. თემა პირადულია თუ ზოგადსაკაცობრიო, ნაკლებად აინტერესებს. სიტყვასაც კი არ „ჩაგაგდებინებთ“. რეალურად, საქმის გამკეთებელი არ არის და დიდად არც თქვენგან მოითხოვს ამას. მთავარია, ლაპარაკში ხელი არ შეუშალოთ.

„პანიკორი-პბრასორი“ – მუდმივად შფოთავს და ვერ ისვენებს. სულ რაღაცის შიში აქვს და მისვენებით ყოფნას თქვენც არ გაცდით. ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს. თან, ითხოვს, რომ აუცილებლად დაეთანხმოდ. შეეცადეთ, არ აგრძნობინოთ, რომ პანიკორია და არ დაუსვით ზედმეტი შეკითხვები, რათა არ გამოიწვიოთ მისი აგრესია.

„მუშა-ჭიანჭველა“ – საკუთარ ფიქრებსა და სამუშაოში ისეა ჩაფლული, მისი ყურადღების არეალში მოხვედრა ძალიან ძნელია. ზოგჯერ შეიძლება, არც შეგამჩნიოთ. რას იზამთ, ასეთი უნდა აიტანოთ. აბა, უსაქმური გირჩევენია? ალერსით „შეაპარეთ“, რომ ყველა ადამიანს სჭირდება თუნდაც ხანმოკლე დასვენება.

„კეთილი და საყვარელი“ – ისეთი კეთილია, თუკი სთხოვთ, პირველობას აუცილებლად დაგიტოვებთ. გულდია და ღიმილიანი. ზრდილობის ფარგლებს არასოდეს გასცდება. არ უნდა, ვინმეს აწყენინოს. ეს, ერთი შეხედვით, კარგია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან დამღვლევიც. შეეგუებით იმას, რომ დამოუკიდებლად ვერასოდეს მიიღებს გადაწყვეტილებას?!

გილოსავთ – გეზარით!

მთავარია, ცოლ-ქმარი ერთმანეთს იუმორში უგებდეს და ურთიერთობაში პრობლემები იშვიათად ექნებათ. თუ თქვენ ზუსტად ერთნაირი იუმორის გრძნობა გაქვთ, შეგიძლიათ, საკუთარ თავს მიულოცოთ. გამონაკლისებს შორის ყოფილხართ. უიმედო სიტუაცია არ არის, თუკი:

* მიუხედავად სქესთა შორის დარღვეული იუმორისტული ბალანსისა, ანუ იმისა, რომ ქალებსა და კაცებს იუმორი სხვადასხვანაირად ესმით, თქვენ მაინც იცინით სასაცილო მოვლენებსა და შემთხვევებზე, თუნდაც ანეკდოტებზე ერთნაირად.

* თუკი ერთხმად იცინით კომედიური ჟანრის გადაცემებზე და ერთად უყურებთ მათ (ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია).

* შემუშავებული გაქვთ ნეგატიურად დამუხტული სიტუაციების მსუბუქი იუმორ-

ით განმუხტვის სქემა. მაგალითად, იხსენებთ კურიოზულ ამბებს და სიტუაციებს. პრობლემას იუმორით განიხილავთ, ერთმანეთს მსუბუქად აქილიკებთ.

* შეგროვებული გაქვთ ოჯახური იუმორის „კოლექცია“, რომელიც შეიძლება, მხოლოდ თქვენ გესმით. გამოდგება ყველაფერი: ფოტო, ფრაზები, ფაქტები... თქვენ უკეთ იცით. თუ ამ პუნქტებში ორი მაინც თქვენთვის ნაცნობია და ახლობელი, მაშინ თქვენც გილოცავთ – ძალიან ჰარმონიული წყვილი ყოფილხართ.

ქალური და მამაკაცი იუმორი

მამაკაცებს მოსწონთ ქალები იუმორის გრძნობით. თუმცა, ქალურსა და მამაკაცურ იუმორს შორის განსხვავებაა და ზოგჯერ ეს სხვაობა ძალიან შესამჩნევია. ამიტომ, თუკი, საყვარელ მეორე ნახევართან იუმორის გამო ხშირად კინკლაობთ – ანუ, გუნინთ მისი ხუმრობა, ხოლო იმას თქვენს იუმორზე არ ელიმება, შეგიძლიათ, თავი იმით დაიმშვიდოთ, რომ გამონაკლისი არ ხართ.

მაგალითად, გთავაზობთ ორიგინალურ და ახალ ხუმრობებს, რომლებიც, წესით, მამაკაცმა უნდა გაიგოს და მოიხროს. თუ ვერ გაიგებს, თქვენ მაინც იხალისებთ.

* კაცია: შენ ჩემი ყველაზე ახლობელი და საყვარელი ქალი ხარ ამ პლანეტაზე.

ქალი: აჰა, ესე იგი, საყვარელი გყავს მთვარეზე?!

* თუ კაცია ხედავს, რომ ცას ვარსკვლავი მოწყდა და სურვილის ჩაფიქრებას მაინც ვერ მოასწრებს, ურჩიეთ, გვერდზე მაინც გადახტეს, რომ თავში არ დაეცეს.

*თუ ქალი ძალიან გაბრაზებულია, მობილურს ნუ გამორთავთ. აზრი არ აქვს, გამოერთულზეც მოახერხებს დარეკვას.

* ექიმი: რა არის თქვენი მთავარი პრობლემა?

ქალი: სასურველი რეალობა მგონია.

* როცა მამაკაცი წვნიანს გაბჭურაზე გასათობად დგამს, თავად კი კომპიუტერთან ჯდება, ხელში კოფი უნდა შეაჩეროთ, რომ არ დაავინყდეს და არ დაწვას.

„გაბერილი“ წარმოება

მამაკაცებს – საუბარია ჩვენს წრეში მყოფებზე და არა გლობალურად სქესის ყველა წარმომადგენელზე – ზოგადად „გაბერილი“ წარმოდგენა აქვთ საკუთარ პერსონაზე. უმრავლესობას მიაჩნია, რომ, როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს და იქცეოდეს, მაინც მომზიბვლელი და სასურველია ქალებისთვის. სამწუხაროდ, ეს „გაბერილი“ წარმოდგენა, მათ სწორედ ქალბატონებმა შეუქმნეს.

შეგხედოთ სიტუაციას რეალურად: ქალებს შორის კონკურენცია ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში.

არც ღიბი, არც მელოტი თავი და არც უხვიროდ შერჩეული ტანსაცმელი არ უშლის ხელს მამაკაცს, შვირთოს იმაზე უკეთესი ცოლი, ვიდრე იმსახურებს. მიზეზი ისევე და ისევე ქალებშია. რატომღაც, ცოლები არ ეუბნებიან ქმრებს, რომ ისინი სულაც აღარ არიან ისეთი ეფექტური, როგორებიც იყვნენ ადრე; რომ საგანგაშოა მათი წონა და „მიშვებული“ ფორმები. სამაგიეროდ, ქმრები არ ერიდებიან ცოლების მწვევე კრიტიკას ამ მიმართულებით. ვისი ბრალია?! – რა თქმა უნდა, ქალების.

დროა, დავენგრიოთ მამაკაცებს „გაბერილი“ წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე და დავანახვოთ რეალობა. ეს მათ ჯანსაღ აზროვნებას შეუწყობს ხელს...

ქალი სოფია...

თუ მამაკაცმა ერთხელ უკვე გილაღბათ, ძალიან ძნელია, მის მიმართ ნდობა დაიბრუნო. წარმოიდგინეთ, რომ ნებისმიერი ახალი ეჭვი საფუძველს მოკლებული არ იქნება. თუმცა, თუ ქალი მიდის იმაზე, რომ საყვარელ ადამიანს აპატიოს, მას უნდა ესამოდეს, მეორე ეტაპზე აუცილებელია, საკუთარ თავში იპოვნოს ძალა და აღარ შეახსენოს მამაკაცს ჩადენილი საქციელი. ურთულესია, მაგრამ უამისოდ ურთიერთობის ნორმალიზებაზე ლაპარაკიც შედგება.

იმისთვის, რომ უსიამოვნო ფიქრები აირიდოთ თავიდან, მეხსიერებაში ხშირად წინ წამოწიეთ პარტნიორის ის სიტყვები და საქციელი, რაც მის გრძნობასა და ერთგულებაზე მეტყველებს – რა თქმა უნდა, თქვენს მიმართ.

მოიქცით ისე, რომ ხშირად შეანუხოთ სინდისმა ჩადენილი დანაშაულის გამო. მოექცით ალერსიანად და თბილად. შეაქეთ, როცა თქვენს მიმართ ყურადღებას გამოიჩენს. ამით გამოიწვევთ ჯაჭვურ რეაქციასაც.

ერთგულება კაცობრიობის ევოლუციური მონაპოვარია. პირველყოფილ ადამიანებს ეს პრობლემა არ ანუხებდათ. მათ საერთოდ არც ჰქონდათ ერთგულების არც განცდა და არც გაგება... გადარჩენის პრინციპი ასეთ ინტიმსა და დახვეწილობას არ გულისხმობდა. სამაგიეროდ, ერთგულება დღეს უკვე სიყვარულის გადარჩენის ერთადერთი გზაა.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ



წყალი ჩვენი არსობის

კონსერვაციის რჩევები

რა იცით წყლის შესახებ? ალბათ, ის, რაც ბიოლოგიის გაკვეთილებიდან გახსოვთ, რომ წყალია სიცოცხლის საფუძველი; რომ ადამიანის 80 პროცენტი შედგება წყლისგან; კიდევ, ალბათ, გაიხსენებთ, რომ ექიმები და დიეტოლოგები გვირჩევენ, დღეში 1,5-2 ლიტრი წყალი დავლიოთ... – როგორც წესი, თითქმის ყველას ცოდნა (გამონაკლისების გარდა) წყლის შესახებ ამ მინიმალური ინფორმაციით ამოიწურება.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო მგრძობიარეები არიან ორგანიზმში სითხის დეფიციტის მიმართ. აქედან გამომდინარე, შეიძლება, თქვენი გალიზიანება თუ ცუდი შეგროძნებები, სინამდვილეში, ძალიან ბუნებური წყურვილის შედეგი იყოს.



სხვათა შორის, კეფის არეში ტკივილის სწორედ გაუნწყობლობა იწვევს. ასეთ დროს პატარ-პატარა ყლუპებით დალიეთ 1 ჩაის ჭიქა წყალი და, თუ ეს ტკივილი რაიმე ორგანული მიზეზით არ არის გამოწვეული, 15-20 წუთის შემდეგ აუცილებლად გაგივლით.

თუ არ გიყვართ ჩვეულებრივი წყლის დალევა, მეტი რაოდენობით მიირთვით ვაშლი, მარწყვი, ალუბალი, საზამთრო. არ დაგავიწყდეთ ცოცხალი მწვანელი და ბოსტნეული, განსაკუთრებით – ოხრახუში, ნიახური, ბოლოკი, კიტრი, კომბოსტო – ამ პროდუქტებით არა მხოლოდ გაუმჯობესებთ გუნება-განწყობას, არამედ, შეივსებთ წყლის ბალანსს. დამტკიცებულია, რომ ყველაზე მეტ სითხეს შეიცავს კენკრა, ხილი და მწვანე ბოსტნეული – 100 გრამ პროდუქტზე 90 პროცენტი წყალი მოდის; მეორე ადგილზეა კარტოფილი – 75 პროცენტი, მესამეზე კი ხორცი და თევზი – 60-70 პროცენტი. ამიტომ, თუ ჯანმრთელი დიეტის დაცვას მოისურვებთ, შეგიძლიათ, მენიუ თავად შეადგინოთ ამ პროდუქტებისგან, ოღონდ, დაიცვათ ტრადიციული „ოქროს წესები“: დღეში მინიმუმ ოთხჯერადი კვება თანაბარი შუალედებით; თითო ულუფა არ უნდა აღემატებოდეს 250-300 გრამს; მიირთვით პატარა

ლუკმებით (და პატარა ყლუპებით); ყოველი ლუკმა დაღეჭეთ კარგად; ბოლო კვება არ უნდა გადაშორდეს საღამოს 18-19 საათს.

გაუნწყობლობა იწვევს არა მარტო კანის, არამედ, მთელი ორგანიზმის მოდუნებას, გონების გაფანტვას, უძილობასა და დეპრესიასაც კი. სწორედ ამიტომ გვირჩევენ ექიმები დღეში 2 ლიტრამდე წყლის დალევას და მათ სოლიდარობას უცხადებენ კოსმეტოლოგებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მშრალი კანი და მტვრევადი თმა და ფრჩხილები სწორედ გაუნწყობლობის შედეგია. მათ მხარს უჭამენ დიეტოლოგებიც, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ წყალი აჩქარებს მეტაბოლიზმს, მისი დეფიციტი კი, პირიქით, ანელებს პროცესს და ხელს უწყობს ცხიმების დაგროვებას.

წყალი ადამიანის ნერვული სისტემის ბუნებრივი მკურნალია – მისი არა მარტო დალევა, არამედ, ცქერაც კი ამშვიდებს ნერვებს. თუ ამ ჭეშმარიტებაში ეჭვი გეპარებათ, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად იქნებით გალიზიანებული, შეეცადეთ, მოხვდეთ წყალთან – წყაროს, ტბის, მდინარის ან ზღვის ნაპირას და დიდხანს უყურეთ წყლის ლივლივს ან, თუნდაც, მღელვარე ტალღებს – შედეგს რამდენიმე წუთში იგრძნობთ.

ძალიან მნიშვნელოვანი პროცედურაა აკვარელაქი – წყლის თერაპია (მაგალითად, ჰიდრომასაჟი ან კონტრასტული შხაპი) – ყველაზე მარტივი მეთოდი დასაბულობისა და სტრესის მოსახსნელად. კონტრასტული შხაპის მიღება დილითაა უმჯობესი. ცხელი და ცივი წყლის მონაცვლეობა აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რის შედეგადაც კანი მკვრივდება, ორგანიზმიდან კი გამოიდევენ ნივთები და ტოქსინები. ასეთი შხაპის მიღების შემდეგ ადამიანი თავს გრძობს საოცრად მხნედ და ენერგიულად საღამოს კი უფრო რეკომენდებულია ჰიდრომასაჟი და აბაზანა ზღვის მარილით – ეს დადებითად მოქმედებს დაჭიმულ კუნთებზე, შლის ცხიმებს და ხსნის ორგანიზმის დაძაბულობას, რის შედეგადაც იგრძნობთ საოცარ სიმსუბუქესა და ხალისიან განწყობას.

მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ ერთი-ორი ჭიქა წყალი ხსნის დადლილობას და აუმჯობესებს ხასიათს.

და, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: სიამოვნების ჰორმონს – ენდორფინს ორგანიზმი გამოიმუშავებს არა მხოლოდ შოკოლადის, არამედ, წყლის მიღების შემდეგ.

კითხვა: თუ შეიძლება, ამიხსენით, რა არის ბიორევიტალიზაცია და როგორია ეფექტი.

პასუხი: ბიორევიტალიზაცია არის პროცედურა კანის ღრმა დატენიანების მიზნით, და აფერხებს ნაოჭების წარმოქმნას. თავიდან სწორდება წვრილი ნაოჭები. ზოგჯერ კანი იქნის დამახასიათებელ პრიალა ელფერს, შემდეგ კი კანი თხელდება და იჭიმება. საჭიროა მისი შენარჩუნება.

ჰიალურონის შეყვანი ფუძემდებელი ფილერების გამოყენება რეკომენდებულია 40 წლის ასაკის შემდეგ. კურსებს შორის აუცილებელია, დაიცვათ რეაბილიტაციის პერიოდები – 12 თვე და, ასევე, ჩაითაროთ შედეგის შესანარჩუნებელი პროცედურები: მსუბუქი პილინგები, კანის არაინიექციური დატენიანება. ეს ყველაფერი უნდა გააკეთოთ ბიორევიტალიზაციის ყოველი კურსის დასრულებიდან 2-3 თვის შემდეგ, ანუ, წელიწადში 3-ჯერ.

კითხვა: რა ასაკში მიზანშეწონილი ვოლუმეტრიული კონტურული პლასტიკის ჩატარება?

პასუხი: ვოლუმეტრიული კონტურული პლასტიკა რეკომენდებულია 30-40 წლის ქალბატონებისთვის, მაგრამ, ეს არ არის უზიფათო და სამუდამო შედეგის მქონე პროცედურა. თავიდან კანი იჭიმება და ნაოჭები სწორდება, მაგრამ, დროთა განმავლობაში შესაძლებელია, კანი უფრო მეტად მოდუნდეს და დანაოჭდეს, ვიდრე ამ პროცედურის ჩატარებამდე იყო.


კითხვა: რა ასაკში სჭირდება კანს პილინგი და მავნებელია თუ არა ქიმიური პილინგი?

პასუხი: პილინგი საჭიროა როგორც ახალგაზრდა, ისე ასაკოვანი კანისთვის, რათა გაიზარდოს მისი ცხიმიანობა, გასწორდეს ნაოჭები, დაიწყოს რეგენერაციის პროცესები და, შედეგად, გაახალგაზრდავდეს.

ქიმიურ პილინგს ძალიან თვალსაჩინო ეფექტი აქვს და, ამიტომ ივიწყებენ სიფრთხილეს. სინამდვილეში, ეს არის კანის ტრავმატული სტიმულირება, რის შემდეგაც აუცილებლად საჭიროა დრო აღსადგენად. როცა ქიმიურ პილინგს ხშირად იკეთებენ, მოსალოდნელია გართულებები. მაგალითად, ჰიპერკერატოზი, როცა კანი ძალიან სქელდება და ხორკლიანი ხდება.

კითხვა: თერმოლიფტინგის მეთოდებიდან რამელია ყველაზე აქტუალური და როგორია ამ პროცედურის შედეგი?

პასუხი: თერმოლიფტინგის უამრავ მეთოდს შორის ყველაზე პოპულარულია ლაზერული ლიფტინგი და RF დასხივება. ამ პროცედურის ჩატარება არ შეიძლება ახალგაზრდა ასაკში, რადგან, შეიძლება, ამით დაჩქარდეს კანის დაბერების პროცესი. შედეგი თვალსაჩინოა: კანი სწორდება, იქნის ტონუსის, იჭიმება, მაგრამ, 4-5 თვის შემდეგ ელასტიკურობა საგრძობლად ქვეითდება. ლაზერული პროცედურის ჩატარების შემდეგ კი, არცთუ იშვიათად, კანზე ჩნდება პიგმენტური ლაქები.



მომზადდა
თამარიკო ზამთარაძემ



რა შეხლოვა დაუშვას ევროპელმა პოლიტიკოსებმა სტალინის პენსიონატის შეფასებისას

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკა. დასაბამი მიეცა ახალ საერთაშორისო ურთიერთობებს. ცნობილი პოლიტიკოსების ძველმა თაობამ – ლიოდ ჯორჯმა, ვუდრო ვილსონმა, ყოფი კლემანსონმა და სხვებმა, ასპარეზი დათმეს ახალ ლიდერებს – ადოლფ ჰიტლერს, ფრანკლინ რუზველტს, ბენიტო მუსოლინის, უინსტონ ჩერჩილს და იოსებ სტალინს. ამ სახელმწიფო მოღვაწეებს შორის კი დაუნდობელი, ფარული თუ აშკარა დაპირისპირებაც არსებობდა. ახალი მსოფლიოს ბედი ამ ადამიანებზე იყო დამოკიდებული. დიდი პოლიტიკის ახალ ეტაპზე, საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გუგუშვილის მასალებზე დაყრდნობით ვახაზობთ.

დიდი პოლიტიკის ახალი ეტაპის პირველი სცენები პარიზის კონფერენციაზე გათამაშდა (1919). სწორედ ამ კონფერენციამ შეაჯამა პირველი მსოფლიო ომის შედეგები. ამავე ეტაპის უკანაწილი სცენები პოსტდამის კონფერენციაზე გაიმართა (1945) და ამ კონფერენციაზე მოერო მსოფლიო ომის შედეგები შეაჯამა. აღნიშნული დიდი ეპოქის სცენარის ავტორი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი იოსებ სტალინი იყო. დანარჩენებმა ამ მისიის შესრულება ვერ ითავეს, მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად განათლებული, განსაკუთრებული გონებით დაჯილდოებული, დიდი პოლიტიკოსები იყვნენ. მაშ, ვინ იყო იოსებ სტალინი? ამის განსაზღვრებისთვის დავიმოწმებთ ახალ დოკუმენტს: „რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი“ (მათე, 22,14). სტალინი რომ ჩინებულია შორის რჩეული იყო, ამას ყოველგვარი შეფარვის გარეშე ალბათ ვადავებ, ნაცისტური გერმანიის კრახამდე, ცოტა ხნით ადრე, 1945 წლის აპრილში, ელიარბინმა: მე რომ ისეთივე პოლიტიკა გამეთარებინა, როგორსაც სტალინი ატარებდა ომის წინ, გერმანია ამ ომში არ დამარცხდებოდა. როგორც დიდი რეჟისორისთვის არის ცნობილი სპექტაკლის დასაწყისშივე მისი ფინალური სცენა, ასევე იყო სტალინისთვისაც ნათელი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის ფინალი. 1945 წლის 8-9 მაისს, ლამით, სტალინს გერმანიიდან დაურეკეს და აცნობეს, რომ გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა ხელს მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. დიდმა რეჟისორმა ყურმილი აუღელელებლად დადო და ორად ორი სიტყვა წარმოთქვა: „დაიგრა ალსია სვოლოჩი!“ ნათელია, რომ სტალინი ამ დღეს, როგორც კანონმდირს, ისე ელოდა.

მანამდე, კი მოვლენები ასე ვითარდებოდა: პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა – ინგლისმა და საფრანგეთმა მაქსიმალურად მაკცრად დასაჯეს დამარცხებული გერმანია. წართვეს სტრატეგიული ტერიტორიები, ჩამოართვეს მას სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, არხედრო ფლოტი, აუკრახატეს დიდი და ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა, სამხედრო ქარხნების მშენებლობა და სხვა. გერმანიას, არათუ მეორე, არამედ მესამეხარისხიან სახელმწიფოდ გადაქცევა ელოდა. ამ დროისთვის საბჭოთა რუსეთი, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იზოლირებულია დანარჩენი მსოფლიოსგან. ეს სასიკვდილო საფრთხე იყო, რადგან, ტრადიციულად, რუსეთისთვის ევროპა წარმოადგენდა წინაღობის სიმდინდისა და სასოფლიო-სამეურნეო პროდუქციის სარეალიზაციო ბა-

ზარს. ევროპას შეეძლო, რუსეთი დაეტოვებინა ვალუტის გარეშე, ანუ, დაენგრია მისი ეკონომიკა. რუსეთი ვერ შექმნიდა სამრეწველო სიმძლავრეებს, ვერ განვრთნიდა და შეიარაღებდა არმიას, – ასე ფიქრობდნენ დასავლეთის პოლიტიკური მოღვაწეები. მაგრამ, დიდმა რეჟისორმა სულ სხვა რამ ჩაიფიქრა. სტალინმა ევროპელი პოლიტიკოსები მათ მიერვე დაშვებულ შეცდომაზე დაიჭირა და სრულიად მარტივ გათვლაზე აავი მთელი პოლიტიკა. ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ბოიკოტირებულმა საბჭოთა კავშირმა აქცენტი გერმანიისაკენ გააკეთა და მალე მასთან სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობა დაამყარა. როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, სტალინი ამ შემთხვევაშიც, ორ კონკრეტულ იჭერად: ერთი მხრივ, გერმანიის მიმართ სიმდიდრისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით, დიდი რაოდენობით ვალუტა შემოპოქნადა ქვეყანაში, ვალუტის ნაწილს კი გერმანიის საბჭოთა კავშირის მანქანა-იარაღებითა და სხვა ტექნიკით უნაზღაურებდა; მეორე მხრივ, სტალინმა არასასურველი ფაქტის წინაშე დააყენა ინგლისი და საფრანგეთი. უნდოდათ თუ არა, ამ ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე უნდა ეფიქრათ. სხვა შემთხვევაში, ინგლისსა და საფრანგეთის ეკონომიკა დაზარალდებოდა, ხოლო გერმანიას, პირიქით – წელში გაიმართებოდა. უკვე მეოცე საუკუნის შუა ხანებისთვის, სტალინმა დასახულ მიზანს მიაღწია – საბჭოთა კავშირიდან ევროპაში დიდი რაოდენობით გადიოდა ნავთო-

გაზაფხო კალა ახლო და კითხვარებში შემოქმედდა დაბნელება ჰიტლერთან. ის შემოქმედდა იმდენად ახლო იყო, რომ აღუფრთხილა ვერა დაბნელებაში


ბი, მანგანუმი, ხე-ტყე, ხორბალი და სხვა. ქვეყანაში შემოსული ვალუტითა და ევროპაში ძალზე იფადა შექმნილი ტექნიკით, სტალინი გამალებით წვრილდა და აიარაღებდა უზარმაზარ არმიას, რათა შემდეგ კრემლიდან თავისი ნება ეკარნახა ევროპის ქვეყნებისთვის. ცხადია, გამოცდილი და კონკრეტი ევროპელი დიპლომატები ყოველივეს ვინავე ხელდავდნენ, მაგრამ მოჯადოებული ნორდან ვერ გადიოდნენ. თუ ინგლისი და საფრანგეთი სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირს შეწყვეტდა საბჭოთა კავშირთან, ამით ამ ქვეყნების ეკონომიკა დაზარალდებოდა, საბჭოთა კავშირი კი ნელნელს შეუფერხებლად გასაღებდა გერმანიის. ინგლისსა და საფრანგეთის ეკონომიკის დასუსტების ფონზე, გერმანიის ეკონომიკის აღმავლობას სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამდნენ ინგლისელი და ფრანგი პოლიტიკოსები.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში გერმანიაში ნაცისტები მოვიდნენ (1933), სტალინის ხელში აღმოჩნდა კიდევ ერთი ძლიერი კოზირი: ადოლფ ჰიტლერის პარტიას ოფიციალურად ასე ეწოდებოდა: „გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია“. სოციალისტი ადოლფ ჰიტლერისა და იოსებ სტალინის ალიანსმა დიდი შიში დათესა ევროპაში. სტალინმა შესანიშნავად იცოდა, რომ შემინებული კიდევ უფრო შემინავდა ადვილი საქმეა. ბელადმა ძალზე ახლო და კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარა ჰიტლერთან. ეს ურთიერთობა იმდენად ახლო



იყო, რომ აღუფრთხილა ვერ დამალა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ცნობილმა ლიდერმა ერნსტ ტელმანმა. გერმანელი კომუნისტების საპროტესტო გამოსვლამ შვება მოჰგვარა ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ ლიდერებს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან სტალინი ურთიერთობას არ გაამწვავებდა, რაც გერმანიის საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლურ ურთიერთობებს შეარყევდა. ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური ლიდერები ამჯერადაც მოტყუდნენ. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. კემბრიჯში, ოქსფორდსა და სორბონაში მეცნიერებს დაუფლებული ევროპელი პოლიტიკოსები ჯერ კიდევ ზემოდან უყურებდნენ საბჭოთა კავშირს ლიდერს, რომელსაც სასულიერო სემინარიის სრული კურსიც არ ჰქონდა გავლილი. თვითკაცყოფილებით შეპყრობილ ევროპულ პოლიტიკოსებს სტალინმა ახალი სიურპრიზი შესთავაზა. მისთვის პოლიტიკა ჭადრაკის დაფა იყო. ევროპული პოლიტიკის ჭადრაკის დაფაზე ერნსტ ტელმანი პაიკი წარმოადგენდა, ხოლო ადოლფ ჰიტლერი – მეფეს. სტალინი კი მეფეს პაიკში არ გაცვლიდა. ამიტომ იყო, რომ დაუფიქრებლად განირა ტელმანი და გერმანიის მთელი კომუნისტური პარტია. ამის შემდეგ ჰიტლერისა და სტალინის ურთიერთობაში ნდობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა. სოციალისტი და კომუნისტი ბელადები ყველაფერში კარგად უგებდნენ ერთმანეთს. აშკარა გახდა მათი საერთო მიზანი: ერთხელ და სამუდამოდ დაენგრია „ბებერი ევროპა“. სტალინი ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგრამ, დიდი რეჟისორი ვერჯერობით არ ზეიმობდა გამარჯვებას – ის ინგლის-საფრანგეთის მხრიდან დაშვებულ მორიდ უხემ შეცდომას ელოდა. მოლოდინმა არ დაუყვნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში მოვიდნენ იმ მშფოთვარდროისთვის სრულიად შეუფერხებელი პოლიტიკური მოღვაწეები: ინგლისის პრემიერ-მინისტრი ნევილი ჩემბერლენი და საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ედუარდ დალადიე. ამის შემდეგ შეიქმნა ვითარება, როდესაც ევროპაში რეალურად ორი მოთამაშე დარჩა: იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი. ორივე მოთამაშეს თავისი სცენარი ჰქონდა, რომელთა დეტალებიც ვერ არავინ იცოდა. მით უმეტეს, არაფერი უწყობდა ამის შესახებ ჩემბერლენმა და დალადიემ, რომლებიც უკვე განწირულნი ჩანდნენ. მიუხედავად ამისა, სტალინმა და ჰიტლერმა ისინი აიძულეს, ნაგებული პარტია ბოლომდე ეთამაშათ.

ევროპული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე ფიგურები ვერ კიდევ მრავლად იყო და ენდშაილის მოახლოება არ იგრძნობოდა – იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი მორიდ სულაზე ფიქრობდნენ.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მისხილ ცაგარელი

„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.

კურტ ვონეგუტი

კვირის თითოეულ დღეს თავისი „ხასიათი“ და ენერგეტიკა აქვს. ანუ, ასტროლოგიურად, შვიდივე დღეს თავისი დატვირთვა გააჩნია. თუ გეცოდინებათ, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება კონკრეტულ დღეს, რა გააკეთოთ თამამად და რას მოერიდოთ, ადვილად გაართმევთ თავს ნებისმიერ საქმეს და წარმატებასაც იოლად მიაღწევთ.

ორშაბათი კარგი დროა ყველა იმ საქმის გასაკეთებლად, რაც წყალს უკავშირდება, მაგალითად, სახლის ძირფესვიანად დალაგება. ამ დღეს, ასევე, შეგიძლიათ, მოინახულოთ ახლო ნათესავები და დაიტვირთოთ მათგან დადებითი ემოციებითა და ენერგეტიკით. შესაძლოა, ორშაბათს განმარტობამ ცუდი შედეგი გამოიღოს – სევდა შემოგანვთ და ტირილა-

კვირის როელ დღეს არ ვარგა ბრძნობების აფიშირება და ზედმეტი ლაპარაკი

მდეც კი მიხვიდეთ. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ ბავშვების მიმართ. არავითარ შემთხვევაში არ ეჩხუბოთ და არ შეარცხვინოთ ისინი. ამ დღეს ნერვიულობა კატეგორიულად იკრძალება.

სამშაბათი მარსის დღეა მიჩნეული. იგრძნობა ძალის მოზღვავება. ამ დღეს სწრაფად გაუმკლავდებით იმ საქმეს, რომელსაც აქამდე ვერ ჰკიდებდით ხელს. გეკრძალებათ სიზარმაცე. ამ დღეს საყვარელ ადამიანს ადვილად აიყოლებთ ტკბილი სიტყვით და თქვენს სასარგებლოდ მომართავთ. თუ ბავშვისთვის შენიშვნის მიცემა გსურთ, ამისთვის სამშაბათი საუკეთესო დროა, ოღონდ, ეცადეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. ამ დღეს იმატებს გალიზიანება. ამიტომ, უმჯობესია, თუ საღამოს საათებს ვარჯიშს ან სუფთა ჰაერზე სეირნობას მოახმაროთ.

ოთხშაბათი მერკურის დღეა და საუკეთესოა ურთიერთობებისა და მეგობრებთან შეხვედრებისთვის. ამ დღეს ახლობლებთან „მსუბუქად“ წაჭორაუება სიამოვნებას მოგანიჭებთ. ნუ დაუჯერებთ დაპირებებს, რადგან, დიდი შანსია, მოტყუდდეთ. ამიტომ, ყურადღებით იყავით. ოთხშაბათს არავითარ შემთხვევაში არ დაარიგოთ ბავშვს ჭკუა, რადგან ის ამას ვერ შეისმენს. პირიქით, გალიზიანდება და პროტესტს აგრესიით გამოხატავს. ოთხშაბათი საუკეთესოა ოჯახის წევრებთან ერთად სამზიარულოდ.

ხუთშაბათი იუპიტერის დღეა. კარგი დროა მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. არ გირჩევთ მაღაზიებში საყიდლებზე სიარულს. სასურველია ბავშვებთან სერიოზულ თემებზე საუბარი. დასახვე მათთან ერთად სამომავლო გეგმები. საყვარელი ადამიანი კი,

ამ დღეს მეტად გულახდილი იქნება. საერთოდ, ზუთშაბათს, ეცადეთ, ნაკლები იფიქროთ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე. გეკრძალებათ კამათიც, რადგან ის სერიოზულ სახეს მიიღებს და მომავალში დიდ ჩხუბსა და უთანხმოებაში გადაიზრდება. მაღალია წონაში მომატების ალბათობაც. ამიტომ, საკვები ზომიერად მიიღეთ.

პარასკევი ვენერა მართავს. ის სიყვარულისა და სილამაზის პლანეტაა მიჩნეული. ამ დღეს ეცადეთ, სახლში სასიამოვნო გარემო შექმნათ. თუ საქმის კეთება გეზარებათ, სიზარმაცე გეპატივებათ. ეს დღე ყველაზე კარგია იმიჯის შესაცვლელად და რაიმე ახლის საყიდლად. პარასკევს, შეგიძლიათ, დაივიწყოთ ზედმეტი კალორიები და ჭამოთ ის, რაც გსიამოვნებთ. ნუ დაიტვირთებთ საქმით და ნუ დასახავთ დიდ გეგმებს. ეს დღე საუკეთესოა ურთიერთობების გასარკვევად და სიყვარულის ასახსნელად.

შაბათს სატურნი მართავს, რომელიც ზღუდავს ჩვენს სურვილებს და აბრკოლებს მათ ახდენას. არ გირჩევთ ამ დღეს გრძნობების აფიშირებას, ზედმეტ ლაპარაკს. ადვილად დაამარცხებთ მავნე ჩვევებს. შაბათს, შეგიძლიათ, მეუღლესა და შვილებს შეახსენოთ მოვალეობები და მოსთხოვოთ მათი შესრულება. კარგია სახლის დალაგება და საყიდლებზე სიარული. ასევე, სასიკეთოდ იმოქმედებს განმარტობა, მომავლის დაგეგმვა და ახალი მიზნების დასახვა.

კვირას არ დაიტვირთოთ სახლის საქმეებით. უკეთესი იქნება, თუ ამ დღეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად გაატარებთ. ასევე, შეგიძლიათ, თავს უფლება მისცეთ, გაერთოთ და დახარჯოთ ფული თქვენთვის სასურველი ნივთების შესაძენად.



შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2002 წლის 18 მაისს. რომელ სფეროში გაუმართლებს მას სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოლიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულ ადამიანთან ელის სასურველი საქორწინო თანაცხოვრება?

პასუხი: თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა: მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის ან კირჩხიბის ზოლიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. არ არის სასურველი, ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარება, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდაცავი ორგანიზაციები, საგამომძიებლო სფერო, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, საპორტი, მანქანათმშენებლობა, პედაგოგიური, საინჟინრო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსი-

ქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები ხასიათში, გამოირჩეოდეს ლიდერული ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს; იყოს ორგანიზებულ, მეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყარიათიანი მხარჯველი. დაეყრდნოს ინტელუციას, შეეძლოს საიდუმლოს დაცვა.

კითხვა: დაიბადე 1984 წლის 9 დეკემბერს, დილით. მინდა უცხოეთში გამგზავრება. იქნებ, მირჩიოთ, რომელი ქვეყანაა ჯობია და, ასევე, მაინტერესებს, ზოლიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულ ადამიანთან მეღის მშვიდი და ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრება?

პასუხი: თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა თხის რქის, მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულის ან ვერძის ზოლიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. უცხოეთიდან კი კარგია: მექსიკა, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბუღარეთი, ისლანდია, საბერძნეთი, ჩინეთის

სამხრეთი ნაწილი, მაკედონია, ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი.

კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1989 წლის 2 დეკემბერს. უნდა უცხოეთში წასვლა, იქ წავალა, მუშაობა. ასტროლოგიური თვალსაზრისით რომელი ქვეყნებია მისთვის მისაღები?

პასუხი: უცხოეთი მისთვის დიდი წარმატების მომტანი არ არის. თუმცა, იქ წასვლა და ძალების მოსინჯვა, ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, სინგაპური, მალაიზია.

კითხვა: დაიბადე 1989 წლის 5 მაისს. მინდა, უცხოეთში ვცადო ზედი. ასტროლოგიურად, რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?

პასუხი: თქვენი კარმულ-კოსმოური მისია სწორედ უცხოეთს უკავშირდება. ამიტომ, იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა თქვენთვის აუცილებელია. ქვეყნებიდან მისაღებია: ინგლისი, ავსტრალია, დანია, შვედეთი, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი და პორტუგალია.



თეატრები

მობა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რუსთაველის გამზირი №17.
ტელ: 272-68-68

15 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - „**მალე მოვალ ნვიმად...**“ - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაცაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; **ხანგრძლივობა: 2 სთ.;**

16 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - „**სულიერი არსებები**“ - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. **ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;**

17 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - „**პირველი სიყვარული**“ - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. **ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;**

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
მარჯანიშვილის ქუჩა №8,
ტელ: 295-59-66

15 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - „**ტანგო ნახიჭვართან**“ - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შულღიაშვილი, ეკა ნიჭარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. **ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;**

16 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - „**დოდოს მოლოდინი**“ - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ვატო ჯუღელი. მონაწილეობენ: დავით დვალისხილი, კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ლილე ფილფანი, ეკა მჭავანაძე, დავით ხურცილავა,

ქეთი ჩხეიძე, ჯაბა კილაძე; **ხანგრძლივობა: 2 სთ.**

მარჯანიშვილის თეატრი
(ახალი სცენა)
მარჯანიშვილის ქუჩა №5
ტელ: 2 955-966

15 აპრილი, **სამშაბათი** 20.00 - „**კრამერი კრამერის წინააღმდეგ**“ - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: დავით ჩხარტიშვილი;

16 აპრილი, **ოთხშაბათი** 20.00 - „**საზღვრები**“ - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. **ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.**

თავისუფალი თეატრი
რუსთაველის გამზირი №2,
ტელ: 298-58-21

15 აპრილი, **სამშაბათი** 19.00 - „**ჯინების თიოზა**“ - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. **ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;**

16 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - „**თავლობის თვე**“ - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; **ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;**

17 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - „**პავსანიური ცარცის წრე!**“ - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, მარიმა კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. **ხანგრძლივობა: 4სთ.**

მ. თუშანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
დავით აღმაშენებლის გამზირი №164.
ტელ: 234-28-99, 235-31-52

16 აპრილი, **ოთხშაბათი** 19.00 - „**ბაღდა ვეფხისა და მოყმისა**“ - (ბი-

ლეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: გიორგი სიხარულიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, გუგა კახიანი, ნათია მეტრეველი, ანა ნიკოლაიშვილი. **ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;**

17 აპრილი, **ხუთშაბათი** 19.00 - „**ჩიტის მოტანილი აზვავი**“ - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ანა ნიკოლაშვილი, ნანა შონია, დარეჯან ჯოჯუა, ვახტანგ ახალაძე, ვანო დუგლაძე, სოსო ხვედელიძე; **ხანგრძლივობა: 2სთ.**

გიორგიშვილის თეატრი
რუსთაველის გამზირი №2
ტელ: 293-11-06.

18 აპრილი, **პარასკევი** 18.00 - „**ჭიქა-ქუხილი**“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლაძე. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირინა მელვინეთუხუცესი, ვანო ქურასბედიანი, სოფია ლომჯარია, ანა არუთუნიანი, ოლეგ მჭედლიშვილი, დიმიტრი სპორიშვილი. **ხანგრძლივობა: 2სთ.;**

19 აპრილი, **შაბათი** 18.00 - „**მღვმერი**“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ჭიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; **ხანგრძლივობა: 2სთ.;**

20 აპრილი, **კვირა** 12.00 - „**ალის-ფარი იალქნები**“ - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლაძე. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, კარინა ყენია, მედეა მიმლაძე, ვასილი გაბაშვილი, ლერი გურგენიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირაკლი აფაქიძე; **ხანგრძლივობა: 2სთ.**

ბაგრატიონის თეატრი
შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90

17 აპრილი, **ხუთშაბათი** 20.00 - „**რამონა**“ - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; **ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.**

19 აპრილი, **შაბათი** 20.00 - „**სტალ-ინგრადაის ბრძოლა**“ - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; **ხანგრძლივობა: 1სთ. 30წთ.**



ორშაბათი 14 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "ჩემი ნიგნი" 15.25 "ტელეპოლი" 17.00 დ/ვ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 18.00 ტ/სერ. "დავით აღმაშენებელი" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 22.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) 00.30 მხ/ვ "სრულყოფილი საყვარო" (კ.ისტყუელი) 02.50 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა. 10.05 სერ. "გაბის ანაბრა" 11.20, 12.05 სერ. "სურსათიანი" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული სან და მისა" 17.50, 19.05 სერ. "მარბალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 ორი ვარსკვლავი 00.00 მხ/ვ "შეწავაბა" (ს. სტალინი) 01.55 მხ/ვ "შიშხილის თამაში" (ჯ.ლოურენსი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "პარდისფარი პრილიანი" 11.00 სერ. "პრაზიკის გაზივი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დაივიწყო" 18.55 სერ. "ტიზაის დრო" 20.00 სერ. "პალაპონი დილა" 22.00 X - ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 შიშის ფაქტორი 02.00 მხ/ვ.

06.10 დოკ/ვ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ვ "ცარიელია სახლი" 07.05 დოკ/ვ "რასელისტები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთავი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირავე 12.05 დოკ/ვ "მანანა დოიჯაშვილი" 13.00 ქვემოთ ნაამბობი 13.10 კურთხეულ არს მომავალი სახელთა უფლისათა 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ვ "გზა" I ნან. 16.00 კონცერტი - გია ყანჭელი "ლიტურგია" 17.00 სანინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 17.10 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - დიდი ორშაბათი 18.05 განთავის სტუმარი 18.35 ერთსულოვნების ვერსიასი 18.40 ძველი ალტეის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახლენი 19.25 დოკ/ვ "საქართველოს მეჭურჭლოელები" 20.40 ძილი ნებისა 21.10 ერთსულოვნების ვერსიასი 21.20 პატრიარქი 21.25 სახლი ღვთისა 21.40 საღვთისმსახურო ნელინადი 22.25 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ვ "იაკობ გოგებაშვილი" 00.30 განთავის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 სირიული "ჩემი შვილი" 10.15, 16.00 სირიული "სიყვარული და სსჯული" (გამ) 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 14.30, 1.45, NX სპიკერი 19.00 სირიული "პარკაული სიყვარული" 20.00 სირიული "დაპარული დრო" 21.45 სირიული "დიდაზული საუკუნე" 23.00, 2.15 სირიული "პრიონალური პარკაული".

კინოთეატრები

კინოთეატრი „რუსთაველი“ რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

14 - 20 აპრილი დარბაზი 1

12.00, 14.30, 17.00 - „რიო 2“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

19.30, 22.30 - „კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;

დარბაზი 2

12.00, 16.00 - „პარიზული ოცნება“, ხანგრძლივობა: 1სთ. 15წთ;

14.00 - „ვარაჟანოვი“ ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ;

18.00, 20.00, 22.30 - „დავისყაბული მავალი“, ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ;

დარბაზი 3

12.00, 14.30 - „300: იმპერიის აღზევა“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

17.00, 22.30 - „სასტუმრო ბრანდ ბუდაპეშტი“, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

19.45 - „ნოი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ.; დარბაზი 4

13.00, 16.00, 19.30, 22.30 - „ნოი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ.; დარბაზი 5

11.30, 13.30, 17.50 - „კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;

20.00 - „რიო 2“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

22.30 - „ნოი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ.; (ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი)

კინოთეატრი „ამირანი“ კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დარბაზი 1

12.10, 14.40, 17.10 - „რიო 2“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

19.25, 22.30 - „კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;

დარბაზი 2

12.00, 17.15 - „კაპიტანი ამერიკა: ზამთრის ჯარისკაცი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ. 15წთ;

სამშაბათი 15 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "რეალური სივრცე" 17.00 დ/ვ "დროისა და სივრცის მიღმა" 18.00 ტ/სერ. "დავით აღმაშენებელი" 19.15 "ლისს იქით და ლისს აქით" 21.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 მხ/ვ "პიპინაბაბი" 01.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "გაბის ანაბრა" 11.20, 12.05 სერ. "სურსათიანი" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული სან და მისა" 17.50, 19.05 სერ. "მარბალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 თოქ შოუ - თვა სიჭინავს პოლიტიკის დრო (პ/ე) 00.00 მხ/ვ "კითხი იმის თქვანი მოგონება რაინისთან" (ჯ.განდლოფინი) 02.10 მხ/ვ "შეწავაბა" (ს.სტალინი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "პარდისფარი პრილიანი" 11.00 სერ. "პრაზიკის გაზივი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დაივიწყო" 18.55 სერ. "ტიზაის დრო" 20.00 სერ. "პალაპონი დილა" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 00.00, 03.00 მხ/ვ. 02.30 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დოკ/ვ "ველური ბუნება" 06.40 დოკ/ვ "მთა საყდარი" 07.00 დოკ/ვ "გზა" I ნან. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთავი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სახლენი 10.35 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 11.10 პატრიარქი 11.15 საღვთისმსახურო ნელინადი 11.35 სახლი ღვთისა 12.10 დოკ/ვ "საქართველოს მეჭურჭლოელები" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ვ "გზა" II ნან. 16.00 სანინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 16.15 კონცერტი - ბარდანაშვილი "მწუხრის ლოცვანი" 16.50 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - დიდი სამშაბათი 18.10 განთავის სტუმარი 18.40 ძველი ალტეის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 დოკ/ვ "დედა ღვთისმშობელი" 20.00 ლია აუდუტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე - ილირი 23.40 დოკ/ვ "ერთადერთი რუსთაველი" 00.35 განთავის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 სირიული "ჩემი შვილი" 10.15, 16.00 სირიული "სიყვარული და სსჯული" (გამ) 13.00, 1.8.2.5, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 "თქვენი გადახდილია" (ანკლდები) (გამ.) 14.30, 1.45, NX სპიკერი 19.00 სირიული "პარკაული სიყვარული" 20.00 სირიული "დაპარული დრო" 21.45 სირიული "დიდაზული საუკუნე" 23.00, 2.15 სირიული "პრიონალური პარკაული".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

15.00 - „300: იმპერიის აღზევა“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

20.15 - „რიო 2“ 3D, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

22.30 - „სასტუმრო ბრანდ ბუდაპეშტი“, ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ;

დარბაზი 3

13.00, 16.00, 19.30, 22.30 - „ნოი“ 3D, ხანგრძლივობა: 2სთ.;

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.

ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი თქვენი გზაგადასასვლელი თბილისში INFO-TBILISI YOUR GUIDE TO TBILISI www.info-tbilisi.com

„ფენოვანი“ ღორის ხორცი



საჭირო ინგრედიენტები: 1 კილოგრამი ღორის ხორცი, 150 გრამი დაჭრილი ბეკონი, 1 მუჭა ზეთის ხილი, 2 კვერცხი, 100 მილილიტრი რძე, 70 გრამი ფქვილი, კამა, მარილი, პილპილი.

მოზადების წესი: აიღეთ გამოსაცხობი ფორმა და დააწყვეთ მასზე ბეკონის ნაჭრები ფენებად. ღორის ხორცი მომცრო კუბიკებად დაჭერით. დაჭერით ასევე, ზეთის ხილი, კამა და მოაყარეთ ხორცს მარილთან, პილპილთან ერთად და აურიეთ. ამასობაში კვერცხით, ფქვილითა და რძით მოამზადეთ ნაზავი. ათქვიფეთ კარგად. ღორის ხორცის თითოეული ნაჭერი სათითაოდ ამოავლეთ ამ ნაზავში და დააწყვეთ ბეკონზე ზემოდან. როცა ხორცს სულ დაალაგებთ, ბეკონის ნაპირები ამოუკვეცეთ. ფოლგა ფორმას გადააფარეთ და მოათავსეთ აირლუმელში, 200 გრადუსზე 1 საათის განმავლობაში.

გამოიღეთ, ზედმეტი წვენი გადალვარეთ, გააფორმეთ პომიდვრის ნაჭრებით და მიიტანეთ სუფრასთან.

ბლინები ქათმითა და სოკოთი



საჭირო ინგრედიენტები: თხელი ბლინები, 1 ცალი ქათამი (800-900 გრამიანი), 300 გრამი ქამა სოკო, 1 თავი ხახვი, 60 გრამი კარაქი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 350 გრამი არაჟანი (150 გრამი - შიგთავსში + 200 გრამი - სოუსში), 1 ცალი ლიმონის წვენი, მწვანელი, 30 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი კვერცხის გული, ზეთი, მარილი, პილპილი, ნებისმიერი სუნელი გემოვნებით.

მომზადების წესი: ბლინები მოამზადეთ ჩვეულებრივად, სტანდარტული რეცეპტით. ქათამი მოხარშეთ, ბულიონში ჩაუმატეთ მარილი, პილპილი და ნებისმიერი სხვა სუნელი - გემოვნებით. გააცივეთ. ხორცს მთლიანად გამოაცალეთ ძვლები და დაჩეჩეთ. სოკო დაჭერით, დანამეთ ლიმონის წვენი, რომ არ გაშავდეს. ხახვი დაჭერით, მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ სოკო. შუშეთ, სანამ სითხე არ ამოშრება. დაუმატეთ ცოტა ფქვილი, არაჟანი, მარილი, პილპილი. შეურიეთ ქათმის ხორცს სოკო, წვრილად დაჭრილი მწვანელი და აურიეთ. თუ ძალიან მშრალი გამოვა, ცოტა ბულიონი დაუმატეთ. ეს შიგთავსი მოათავსეთ ბლინებზე და გადაახვიეთ. ჩააწყვეთ ცოტა ღრმა გამოსაცხობ ფორმაში. ერთმანეთში კარგად აურიეთ კვერცხის გული, არაჟანი, დაფხვნილი ყველი და მოასხით ზემოდან ბლინებს. გამოაცხვეთ 200 გრადუსზე, 15-20 წუთის განმავლობაში. მოგეწონებათ.

სორსიანი მაკარონი ნილო კოჭანიძისგან



ამ კერძს საკმაოდ ხშირად ვამზადებ. ჩემს შვილს უყვარს ძალიან. ზოგადად, კერძების მომზადებაში ჩემი მეუღლე გაცილებით კრეატიულია. იმას უფრო უყვარს ექსპრომტად ისეთი კერძის მომზადება, რომელიც გაგაოცებს. მე ტრადიციული საქმელი გამომდის კარგად.



საჭირო ინგრედიენტები: ერთი შეკვრა გრძელი მაკარონი (სპაგეტი), 400 გრამი ძროხის სორცის ფარში (ან ნებისმიერი ფარში), 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 თავი ხახვი, უცხო სუნელი, ძირა, წითელი წინაკა, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით; ცოტა რეჰანი, ოხრახუში – მოსართავად, 3-4 ცალი პომიდორი, 1-2 კბილი ნიორი – სოუსისთვის.

მომზადების წესი: ჯერ ხარშავთ მაკარონს მდულარე მარილწყალში და ხარშვისას დაუმატებთ 2 სადილის კოვზ ზეთს, მაკარონი ერთმანეთს რომ არ მიეკრას და არ ჩაგეხარშოთ. ამოიღეთ სანურზე და გადაავლეთ ცივი წყალი. ცალკე მოშუშეთ ფარში. 1 სადილის კოვზ ზეთში ჯერ წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ, შემდეგ დაუმატეთ ფარში. შუშეთ ერთად. უყავით მარილი გემოვნებით, შავი და წითელი წინაკა, სუნელები და კარგად აურიეთ.

მაკარონი ამოიღეთ ფართო ლანგარზე და ზემოდან მოათავსეთ მოშუშული ფარში. მოაყარეთ მსხვილად დაჭრილი რეჰანი და ოხრახუში.

ცალკე შეგიძლიათ, მოუმზადოთ პომიდვრის სოუსი. მართალია, მე არ მიყვარს, თუმცა ამ კერძს ძალიან უხდება. პომიდორს გადაავლეთ მდულარე წყალი, გააცალეთ კანი და დაკეპეთ. მოათავსეთ ტაფაზე და მიიყვანეთ ადუღებამდე, უყავით ცოტა ნიორი და მარილი. შეგიძლიათ, კერძს ცხელივე მოასხათ.

სორცის რულეტი „ბასაოცარი“



საჭირო ინგრედიენტები 500 გრამი სორცის ფარში, 2 თავი ხახვი, 1 ცალი უმი კარტოფილი, 1 ცალი კვერცხი, 50 გრამი რძეში დამბალი ფუნთუშა, 2 კბილი ნიორი, 4 ცალი დიდი, მსხვილი მაკარონი, 100 გრამი ქამა სოკო, 1 ცალი სტაფილო, 4 ცალი პატარა კომბოსტო – ბროკოლი, 4 სადილის კოვზი ნაღები (10-პროცენტიანი), 50 გრამი ყველი, ზეთი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: ხახვი და სოკო დაჭერით წვრილად. ყველი და სტაფილო გახეხეთ. ბროკოლი მთლიანად დაშალეთ. ხახვი ოდნავ მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ სოკო, ცოტა ხნის შემდეგ კი – სტაფილო, ბროკოლი, მოშუშეთ. მოასხით ნაღები. უყავით მარილი და ცოტა კიდევ ჩაშუშეთ, ჩაუმატეთ ყველი და ურიეთ, რომ ყველი გადნეს.

აიღეთ მსხვილი მაკარონი (გიგანტური მილი) და ამოავსეთ, ჩაშუშული ბოსტნეულით. ფარშიში ჩაუმატეთ ხახვი, ნიორი, გახეხილი უმი კარტოფილი. რძეში დამბალი ფუნთუშა, განურეთ და ისიც ჩაუმატეთ ფარშიში. უყავით მარილი, პილპილი, კვერცხი და აზილეთ კარგად. გამოსაცხობ ფოლგაზე მოათავსეთ ფარში და მიეცით ოთხკუთხა ფორმა. ბოსტნეულიანი მაკარონი დაალაგეთ ზემოდან. სველი ხელებით ფარში ფრთხილად გადაახვიეთ რულეტივით. გადაიტანეთ რულეტი ზეთნასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ აირლუმელში 180-200 გრადუსზე ერთი საათის განმავლობაში. უგემრიელესია.



სომელია
თეიმურაზ ბენიძე

მწვადი შამპანურის მარინადში

საჭირო ინგრედიენტები: 2 კილოგრამი ღორის ხორცი, 8 თავი ხახვი, 4 ჩაის კოვზი დაფქული რეჰანი, 2 სადილის კოვზი როზმარინი, 1 ცალი ლიმონის წვენი, 2 ჭიქა მინერალური წყალი, 2 ჭიქა შამპანური, მარილი, ხმელი ქინძი და შავი პილპილი – გემოვნებით. ასევე, 2 თავი ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი და ბრონეულის მარცვლები.

მომზადების წესი: ღორის ხორცი მსხვილ ნაჭრებად დაჭერთ. ხახვი დაჭერთ წვრილად და დაუმატეთ ყველა სანელებელი მარილის გარდა. ხახვი და სანელებლები შეაზილეთ ხორცს, დაასხით მინერალური წყალი, ლიმონის წვენი და შამპანური. ხორცი მაცივარში 3 საათი შეინახეთ, შემდეგ მოაყარეთ მარილი და შამფურზე ნამოცმული ნაჭრები მაყალზე ან გრილზე შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ ალყა-ალყა დაჭრილ ხახვთან და ბრონეულის მარცვლებთან ერთად.



საქონლის სორსი ალუბლის სოუსით

საჭირო ინგრედიენტები: 1 კილოგრამი საქონლის ხორცი, 1 ჩაის კოვზი ძირა, 2 ჩაის კოვზი ტკბილი მდოგვი, დაფხვნილი თეთრი პურის გული საფანელად, მარილი და წინაკა – გემოვნებით. სოუსისთვის: 1 ჩაის კოვზი კარაქი, 40 გრამი წითელი ხახვი, 60 მილილიტრი მშრალი წითელი ღვინო, 60 მილილიტრი ქათმის ბულიონი, 100 გრამი უკურკო ალუბალი (შეიძლება გაყინული), 0,5 ლიმონის ცედრა, 0,5 ჩაის კოვზი შაქარი, 1 ჩაის კოვზი ბალზამიკო, 0,5 ჩაის კოვზი დაჭრილი ბეგქონდარა, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



მომზადების წესი: ხორცი ნაწილობრივ შეწვით, წაუსვით მდოგვი, ამოავლეთ დაფხვნილი პურის გულის, მარილის, წინაკისა და ძირას ნარევი, შემდეგ შეწვით გრილზე ან ღუმელში. ხახვი მოშუშეთ ცხიმში, დაასხით ღვინო და 2-3 წუთი დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. დაუმატეთ ქათმის ბულიონი, ლიმონის ცედრა, ალუბალი, შაქარი, ბალზამიკო, ბეგქონდარა და 3 წუთი ხარშეთ ცეცხლზე. როდესაც შესქელდება, ამოიღეთ ლიმონის ცედრა, დაუმატეთ მარილი და პილპილი. მიირთვით ხორცთან ერთად.

კურდღალი ყველითა და პომიდვრით

საჭირო ინგრედიენტები: 2 კილოგრამი კურდღლის ხორცი, 1-2 თავი ხახვი, 1 ჭიქა თეთრი, მშრალი ღვინო, 6 სადილის კოვზი ზეთუნის ზეთი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 1 ქილა დაჭყლექილი პომიდორი, რამდენიმე ღერი ბეგქონდარა და თავშავა, 200 გრამი მაგარი ყველი, მარილი და წინაკა – გემოვნებით.

მომზადების წესი: თუჯის ქვაბში გააცხელეთ ზეთის ნახევარი. კურდღლის ხორცი დაჭერთ, მოაყარეთ მარილი და წინაკა. მოათავსეთ ცხიმში და ყველა მხრიდან შებრაწეთ. ამოიღეთ შემწვარი კურდღლის ნაჭრები და ქვაბში ჩაასხით დარჩენილი ზეთი დაჭრილ ხახვთან ერთად. დაასხით ღვინო და ნამოადუღეთ. შემდეგ ჩააბრუნეთ ხორცის ნაჭრები და დაბალ ცეცხლზე თავდახურული 30 წუთი შუშეთ. ჩაუმატეთ პომიდორი, ცოტა შაქარი და დაჭრილი მწვანე. 20 წუთის შუშვის შემდეგ კურდღლის ხორცს მოაყარეთ დაფხვნილი ყველი, ქვაბს მოხადეთ სახურავი და 200 გრადუსზე გახურებულ ღუმელში 10 წუთით შედგით.





38-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 16 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "გურმანია" 14.55 "სამოთხის ვაშლები" 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. "დავით აღმაშენებელი" 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 მხ/ფ "სწორება როგორც სახლი" (კ.კლანი) 01.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ. "პედის ანაბარა" 11.20, 12.05 სერ. "შურისმაქიპაული" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული სან და მინა" 17.50, 19.05 სერ. "მარბალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY - სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ "აპიატორი" (ლ.დიკაპრო).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "პარდისფარი ბრილიანტი" 11.00 სერ. "ბრაზილიის გამ-ზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დამივიწყო" 18.55 სერ. "ტიტანის დრო" 20.00 სერ. "ქალაქონი დილა" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტი.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 "ჩვენი ფონდი" თეიმურაზ გვანცელაძე - ილორი 07.00 დოკ/ფ "გზა" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები ნუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დოკ/ფ "დედა ღვთისმშობელი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.55 შედეგების ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 დოკ/ფ "გზა" III ნაწ. 16.00 სანინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 16.20 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე -დიდი ოთხშაბათი 16.45 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 საღვთისმსახურო წელიწადი 19.40 დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სსჯელი" (გამ) 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30, 1.45, გადაცემა "პულსი" (გამ.) 19.00 სერიალი "პარკალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაპარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აპროვება".

ხუთშაბათი 17 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 15.25 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.00 დ/ფ "შეგინდან დანახული კონკორდია" 18.00 ტ/სერ. "დავით აღმაშენებელი" 19.15 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 22.00 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ "სიყვარული" 02.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "პედის ანაბარა" 11.20, 12.05 სერ. "შურისმაქიპაული" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული სან და მინა" 17.50, 19.05 სერ. "მარბალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 მხ/ფ "პარკალული" 23.15 მხ/ფ "აუზანელი სისასტიკა" (კ. ზეტა-ჯონსი) 01.10 მხ/ფ "აპიატორი" (ლ. დიკაპრო).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "პარდისფარი ბრილიანტი" 11.00 სერ. "ბრაზილიის გამ-ზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დამივიწყო" 18.55 სერ. "ტიტანის დრო" 20.00 სერ. "ქალაქონი დილა" 22.00 პროფილი 00.00 თბილისი ლაივ 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტი.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ნმინდა აღმსარებელი ამბროსი ხელაია" 07.00 დოკ/ფ "გზა" III ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ზეთის კურთხევის საიდუმლო 10.50 ქართული ალბომი 11.15 ზიარების შესახებ 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 დოკ/ფ "გზა" IV ნაწ. 16.00 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.30 სანინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 16.45 კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი 17.20 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე -დიდი ხუთშაბათი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 "პორტრეტები" 20.20 დოკ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შედეგების ლოცვა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ნების კვირა - ქეთევან ადიკაშვილი 21.45 საიდუმლო სერობისა და ფეხთბანვის განმარტება 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "დედაო ღვთისა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სსჯელი" (გამ) 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 შოუ "ოთხი ოთხზე" (გამ.) 14.35, 1.45, NX სპიკერი 19.00 სერიალი "პარკალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაპარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აპროვება".

პარასკევი 18 აპრილი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "სპექტაკლის დრო" - "შთამომავლობა" 17.00 დ/ფ "ნინასწარმეტყველი ფანტასტები" 18.00 ტ/სერ. "დავით აღმაშენებელი" 19.30 ქართ. ტ/ფ. "საქართველოს მთავარსამართლები" 21.00 ტ/სერ. "ნიკოლა ლე ფლოკი" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" - მოკ. მხ/ფ "გაუფ" 00.00 მხ/ფ "დილით განახვ" 02.00 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ. "პედის ანაბარა" 11.20, 12.05 "შურისმაქიპაული" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული სან და მინა" 17.50, 19.05 სერ. "მარბალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 მხ/ფ "ქრისტეს პეპანი" 00.15 მხ/ფ "კეთილი ჯონი" (ა. საიფრედი) 02.25 მხ/ფ "აუზანელი სისასტიკა" (კ. ზეტა-ჯონსი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.



"პარდისფარი ბრილიანტი" 11.00 სერ. "ბრაზილიის გაპ-ზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუაღლე" 16.00, 17.00 სერ. "არ დამიწყო" 18.55 სერ. "ბიზნის დრო" 20.00 სერ. "ქალბატონი დილა" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მს/ფ.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 ვნების კვირა - ქეთევან ადიკაშვილი 07.00 დოკ/ფ "დედაო ღვთისა" 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" 09.05 დოკ/ფ "ფარაენის მორჩილი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახსლენი 10.35 საქართველოს ისტორია 11.05 სახლი ღვთისა 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 12.50 დოკ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" 13.25 სანისასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) 14.35 დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 14.10 დოკ/ფ "ერთი ოჯახის ქრონიკა" 15.05 დოკ/ფ "გზა" V ნაწ. 16.10 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - დიდი პარასკევი 16.35 საღვთისმსახურო წელიწადი 16.55 კვირიაკე 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.10 კვირიაკეს სიუჟეტი "წმინდა მინაზე" 18.40 ძველი ალექსანდრიის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 იუდას მიერ უფლის გაცემის დღე 19.40 დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "გარდამოსხნა" 00.35 დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" 01.45 დოკ/ფ "სინა - ადგილი უფლის და ადამიანის შეხვედრისა".

5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ტრონი" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სისჯავი" (გამ) 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30, 1.45, გადაცემა "პულსი"(გამ.) 19.00 სერიალი "აქრკალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაქრკალული დრო" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება".

შაბათი 19 აპრილი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 საბ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძალი" 10.00 საბ. მს/ფ "პატარა პოლარული დათვი" 11.30 საბავშვო გადაცემა - "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ - "ქართული ხმები" I თაობა 13.00 ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა მაცხოვრის აღდგომის ტაძრიდან (პ/რ) 16.30 "გურმანია" 17.00 "საუკუნის პორტრეტები" - კირიონ II 18.00 ტ/სერ. "დაქორწინდით" 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 ქართ. მს/ფ "ნაზარის უპანასკნელი ღოსვა" 23.00 აღდგომის ბრწყინვალე დღე-სასწაული (პ/რ).

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.25 მს/ფ "ყვალა აპოკალიფსის მიყვარსარ" 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 "სინას საგანძური" 2 სერ. 12.00 სერ. "პარლინი" 13.00 ლამის შოუ (გ/ჩ) 14.30 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "პარკალინი" 21.00 სერ. "სილა" 22.00 სერ. "უპანასკნელი ნათლია" 3 სერ. 23.15 სააღდგომო ლიტურგია სამების საკათედრო ტაძრიდან (პ/ე) 03.30 მს/ფ "კათილი ჯონი" (ჩ. ტატუმი).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მს/ფ. 09.55 ანიმაცია 10.00 ეკი ვოკი გ/ჩ 11.00 ილბლიანი ბორბალი გ/ჩ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერევილები 15.30 "ნანუკას შოუ" - გ/ჩ 18.55 სერ. "ბიზნის დრო" 20.00 სერ. "ქალბატონი დილა" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 რა? სად? როდის? 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 00.30, 03.30 მს/ფ.

06.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი"

(კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახსლენი 10.40 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - დიდი შაბათი 11.00 კვირიაკე 12.10 დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. 13.00 ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა (ტრანსლაცია იერუსალიმიდან) 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 მოცარტი "რექვიემი" დირიჟორი კლავდიო აბატო 17.00 დოკ/ფ "იერუსალიმი" 18.10 კვირიაკეს სიუჟეტი "წმინდა მინაზე" I ნაწ. 18.40 ძველი ალექსანდრიის განმარტებანი 19.20 გარდამოსხნა-ლიტანიობა 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ლექსით ქებათა ქება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 "საუფლონი" ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა" 23.00 ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა და მაცხოვრისა იესო ქრისტისა.

7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმი "ქუესტის სამყარო" 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აქრკალული სიყვარული" (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 17.55, 20.55, 21.40 კვირის აზრები 18.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 20.00 სერიალი "დაქრკალული დრო" 21.45 სერიალი "დიდაზული საუკუნე" 23.00 "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) 23.30 სააღდგომო ლიტურგიის პირდაპირი ბრანსლაცია.

კვირა 20 აპრილი

08.00 ტ/ფ. "ძველი ქართული საგალობლები" 08.40 საბ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძალი" 09.40 საბ. ან/ფ. "მხიარული თითები" 11.30 საბავშვო გადაცემა - "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 ქართ. მს/ფ "ფანაზი" 15.30 "საუკუნის პორტრეტები" - ჰამლეტ გონაშვილი 16.30 "ვანგუტონი დღეს" 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 მს/ფ "სიყვარული აპაზი" (ა. ბენინგი) 20.30, 03.30 "ტელელოგი" 21.00 "ჩემი ნიგნი" 22.00 თათარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - მს/ფ "ორშაბათ დილას" 01.50 "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩ) 02.50 "ჩვენი ფერმა" (გ/ჩ).

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 09.00 მს/ფ "ტაქსი 4" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "პარლინი" 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მს/ფ "პარის უზნის მალდიანი" 17.30 ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) 21.00 ლამის შოუ 22.00 იუმორიანი 00.00 მს/ფ "ყვალა აპოკალიფსის მიყვარსარ" (რ.რედ-ფორდი) 01.45 მს/ფ "პაპოსასილი" (პ. ბროსენი) (ტიტ.).

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მს/ფ. 10.25 ანიმაცია 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (13 აპრილის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 ილბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P.S. 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 კომედი შოუ 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მს/ფ.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 გამოყენებითი ხელოვნება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახსლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 "საუფლონი" ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა" 11.30 ქართული ალბომი 12.10 მს/ფ "ლუკას სხარება" 13.25 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 კონცერტი - ერისიონი 15.05, 18.05 პატრიარქის ქადაგება,სააღდგომო ეპისტოლე 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 დოკ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება" 17.20 მოკ./ფ. "ღვინის ჭურჭელი" 18.30 კვირიაკეს სიუჟეტი "წმინდა მინაზე" II ნაწ. 18.45 დროის ჩანაწერები 19.30 მს/ფ "შიროსანი" 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 21.40 კვირიაკე 21.45 აღდგომა(რ. ძნელაძე) 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "გზა მაცხოვრისა" 00.30 პორტრეტები 01.20 კონცერტი - "ქართველი ვარსკვლავები პარიზში".

არხის პროფილაქტიკა.



პირი

გაიზრდება გადაადგილებებისა და კონტაქტების რაოდენობა. გაიცნობთ ახალ ადამიანებს. სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობაში კი შესაძლოა, პრობლემები წარმოიქმნას. ეცადეთ სიტუაცია დროულად გამოსწორდეთ. არ გირჩევთ შორეულ მოგზაურობას. ქალაქგარეთ გასვლა კი დადებითად აისახება თქვენს განწყობაზე.

კური

სუ გამოიყენებთ სხვის ფინანსებს. თავი აარიდეთ უკანონო ქმედებებს და დაცავით წესი. არ გარისკოთ საქმეში. ზედმიწევნით დავეგმეთ ყველა ნაბიჯი და ისე იმოქმედეთ. იყავით მეტად მომთმენი საყვარელი ადამიანის გვერდით. მინიმუმამდე შეამცირეთ საქმიანი კონტაქტები.



ტყუპები

როტული, წინააღმდეგობებით სავსე პერიოდი, ამიტომ აარიდეთ თავი ზედმეტ პასუხისმგებლობას და გადატვირთვას. მოსალოდნელია ჯანმრთელობის გაუარესება. ნუ მიიღებთ მაცდუნებელ წინადადებებს, რათა არ დაუშვით შეცდომები. ერთდღე ფარისებულ ადამიანებს. ნუ დაინებთ ახალ საქმეებს, რადგან დიდია გაუგებრობების ალბათობა.



კირჩხი

არ აპყვით საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, არ გამოიტანოთ ნაჩქარევი დასკვნები და არ გადადგათ გაუაზრებელი ნაბიჯები. ქოსმა სასიყვარულო ურთიერთობაში შესაძლოა, თქვენს კარიერას და ავტორიტეტს ავნოს. ნუ დაინებთ ახალ საქმეებს და ერთდღე შორეულ მოგზაურობებს.



ახალმთვარეობა - 29 აპრილი, 06 სთ: 55 წთ.

ორშაბათი გაომავანიტური დღე

ნუ გასცემთ დაპირებებს, რომლის შესრულებასაც ვერ შეძლებთ. გართულებდა იდეების რეალიზება და წარმატებების მიღწევა. პროვოკაციული დღეა, ამიტომ მოერიდეთ გადატვირთვას, როგორც ფიზიკურს, ასევე ფსიქიკურს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი - ნეფრიტი, ლაზურიტი, უადეიტი, ტოპაზი ან ფიროზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, გართობა, ხელოვნებასთან ურთიერთობა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება კანი, თირკმელები, ყელი, ენდოკრინული სისტემა.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიებისთვის.

სამშაბათი გაომავანიტური დღე

ამ დღეს სავსებით გარეგნობა და მთვარის დაბნელება. უარყოფითი ენერჯის დაძაბული დღეა. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, რადგან მომავალ ტრავმების, ავარიების, ცდუნებების, შეცდომებისა და სხვა უსიამოვნებების ალბათობა. ნუ აპყვებით აგრესიას. მოერიდეთ რაიმეს ყიდვას, ახალი საქმის დაწყებას, ხელშეკრულებების დადებას, მოლაპარაკებებს. ნუ მიიღებთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყვითელი, ლურჯი, მწვანე ან ცისფერი სამოსი, მინერალების ტარებისგან კი თავი შეიკავეთ. არ ვარგა მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია გართობა. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, შარდსასქესო სისტემა.

პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვიდლონებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.

გეომანტიურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტვინისა და უკუნებობის ალბათობა.



ლომი

გააკონტროლეთ ემოციები და ნუ აჩქარდებით, რათა თავი დააღწიოთ დაპირისპირებებს კოლეგებთან და ხელმძღვანელ პირებთან. იმპულსური და გაუაზრებელი ქცევა მომავალში ნეგატიურად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე. ახალი იდეების განხორციელება სხვა დროისთვის გადადეთ. პირად ურთიერთობაში კი საყვარელი ადამიანის მხარდაჭერით შეძლებთ, მიიპოვოთ სულიერი სიმშვიდე.



ქალწული

ძველი, დაუსრულებელი საქმეები სწრაფად დაასრულეთ. ბოროტად არ გამოიყენოთ საკუთარი ძალაუფლება. არ დახარჯოთ დრო ზღვარგადასულ დროსტარებას და პირადი ინტერესების ასრულებას. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები. საყვარელი ადამიანი მორალურად გვერდით დაიცავდეთ და დაგეხმარებათ სწორად მოქმედებაში.



სასწორი

იყავით მეტად მობილიზებული, რათა თავი აარიდოთ გაუგებრობებს. ახალი კავშირების დამყარებისას, გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე. ნუ იქნებით ჯიუტი სასიყვარულო და ოჯახურ ურთიერთობებში. მოგიწევთ ბევრი გადაადგილება, ურთიერთობები და ახალ ადამიანებთან კონტაქტი. ამიტომ, იყავით სულ ფორმამი.



მორიანი

კარგია ცოდნის გაღრმავება, იმიჯის შეცვლა, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყება. თქვენი ცხოვრება მეტად საინტერესო გახდება. თუმცა, ნუ დაინებთ ახალ საქმეს და ასევე, გაეციოდეთ საბუთების მონესრიგება და ახალი ინფორმაციის მიღება.



კვირის დღეების

მთხვაბათი

მოიმატებს კამათი, ნეგოციული გამოხატულებები, გაუგებრობები, წყენა, შური, ეჭვიანობა. ეცადეთ, სხვებს თავს არ მოახვიოთ თქვენი სურვილები. ნუ აჩქარდებით. ატარეთ ნითელი, მწვანე, ყვითელი, შინდისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი - ოპალი, ქროზოპრაზი, ტოპაზი, ჰელიოტროპი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ მოგზაურობას, სესხის აღებას. კარგია თვითმეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

პოზიტიური დღეა: მორიებისთვის, თხის რქებისთვის.

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.

სუთშაბათი

გეომანტიური დღე

მოერიდეთ ეჭვიანობას, წყენის გამოხატვას, აგრესიის გამოვლენას. შესაძლებელია ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. დაცავით სიმშვიდე, მოერიდეთ კამათს და კონფლიქტს. ატარეთ ნითელი, შინდისფერი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი - ოპალი, მარგალიტი, ზურმუხტი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სესხის აღებას, ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია თვითმეცნება, ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ცხვირი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: სასწორებისთვის, მშვიდლონებისთვის.

პარასკევი

კარგია სასიყვარულო ურთიერთობები, რადგან მოიმატებს შარბი და სექსუალურობა. ასევე, გამახვილებდა ინტუიცია. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, იისფერი, ყვითელი ან ნითელი სამოსი; ქვებიდან კი - ფიროზი, ლაზურიტი, საფირიონი, სარდონი ან ლაზარალორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სულიერი განვითარება, იურიდიული საქმიანობა, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯე-ბარძაყის ძვალი.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მშვიდლონებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.



გეომანტიური

მოიმატებს ამბიციურობა და ყველა ღონეს იხმართ, რომ თქვენი შემოსავალი გაზარდოთ. თქვენი იდეები ორიგინალური, მაგრამ სარიტო იქნება. არ გირჩევთ ახალ შენაძენებს. სასიყვარულო ურთიერთობა დიდ გავლენას მოახდენს თქვენს ცხოვრებაზე, როგორც მორალურად, ასევე სულიერად.



თხის რაბ

ფარული მტრები გამოაშკარავდებიან. უარი თქვით ახალი საქმის დაწყებაზე. სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობებში გაეციოდეთ ურთიერთგაგება. ეცადეთ, იყოთ რომანტიკული და გულახდელი საყვარელ ადამიანთან.



მარწყული

ნუ გაეხვევით ინტრიგებში და მოერიდეთ რისკს. ასე უფრო ადვილად მიალევთ სწავლებებს, როგორც საქმიან, ისე პირად ცხოვრებაში. გაეციოდეთ კომპრომისზე წასვლა, მაგრამ ამის გამო პრობლემები არ შეგექმნებათ. გაიზრდება გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა. იმოქმედეთ ფრთხილად.



თევზები

გაიზრდება თქვენი ენერგობალანსი, ინტუიცია და შემოქმედებითი თვითგამოვლენის უნარი. წარმატება გელით ხელოვნების სფეროში. სტაბილური შემოსავალი კი თავდაჯერებულობას შეგამატებთ. კარგია მოგზაურობა, ასევე, საქმიანი, სასიყვარულო და საქორწინო ურთიერთობების მონესრიგება.



ასტროპროგნოზი

აღდება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სულიერი და ინტელექტუალური განვითარება, იურიდიული საქმიანობის მოგვარება, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯე-ბარძაყის ძვალი.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.

ნეგატიური დღეა: მორიებისთვის, თხის რქებისთვის.

შაბათი

გეომანტიური დღე

გამახვილებდა სექსუალური ენერჯია. კარგია ინტელექტუალური განვითარება, იურიდიული საქმიანობა. ატარეთ ნითელი, ყვითელი, იისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი - ფიროზი, ქარვა, აკვამარიონი, იაგუნდი ან ფადეიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი, მოლაპარაკებები, პარტნიორული თანამშრომლობა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯე-ბარძაყის ძვალი.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მშვიდლონებისთვის, მერწყულებისთვის.

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.

კვირა

იყავით უფრო რეალისტი, მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს და ახლობლებს. ატარეთ ყვითელი, ყვითელი, კრემისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი - ონიქსი, ქროზოპრაზი, აქატი, ამეთისტო ან ოპალი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ვაჭრობა, მავნე ჩვევების გამოვლენა. კარგია დასვენება და ახლობლებთან კონტაქტი. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.

ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.



როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

ფსაკაძე

გვარის წარმოშობის ადგილად მიჩნეულ-ია ფარცხანაყანევი, წყალტუბოს რაიონი.

ისტორიულ წყაროებში დაფიქსირებულ-ია შიო ფსაკაძე – „ფარცხანაყანევის მცხო-ვრები, გიორგი მეფემ შესწირა გულათს ულ-უხან ლორთქიფანიძის სამწირველად და და-აკისრა ოცი კოკა ლენო და ათი საკლავის თეთრი“ (1573 წელი).

გვგვდება გვარები: **ფხიკაძე, ფხეკია.** გვარის ფუძედაა მიჩნეული მეტსახელი **ფსაკა.**

ალექსანდრე ლლონტი, ნიგნში – „ქა-რთველური საკუთარი სახელები“ – წერს: „**ფსაკა** – მეტსახელი გვარში **ფსაკაძე**“...

საქართველოში ყველაზე გავრცელებ-ულ 1 000 გვარს შორის **ფსაკაძეთა** გვარს 129-ე ადგილი უკავია.

გვაქვს, აგრეთვე, ქართული გვარი – **ფსაკალაშვილი.**

საქართველოში 3 979 **ფსაკაძე** ცხოვ-რობს: ქუთაისში – 1 784, წყალტუბოში – 1 165, თბილისში – 512. არიან სხვაგან-აც.

კედია

კედიათა გვარი ისტორიულ დოკუმენტ-ებში გვხვდება შემდეგი ფორმებით: **კედია, კეილია** და **კეირლია.** ყველა ამ გვარის ფუ-ძეა საკუთარი სახელი – **კედრა.**

იოანე ბაგრატიონი გვარის ფუძედ ტოპ-ონიმს მიიჩნევს და წერს: „მეფე დიმიტრიმ უბოძა აზნაურობა **კეისადგეობის** ადგილი-სა გამო“.

„ზუგდიდელი აზნაური უჩანა **კედია** და მისი ნაყიდი ბიჭუნა ჯიშქარიანი ბატონ-ყმ-ად ველარ მოთავსებულან და ჯიშქარიანი დაკარგულა“.

საქართველოში 90 **კედია** ცხოვრობს: თბი-ლისში – 49, ზუგდიდში – 21, ბათუმში – 12. არიან სხვაგანაც.

ცეცხლაძე

ბათუმში, აჭარის სხვა ქალაქებსა და რა-იონებში განსაკუთრებული პატივისცემით სა-რგებლოდს გავრცელებულია ფეხომენი. გაბ-აიძეების საგვარეულო შეკრებაზე, რომელ-იც დიდი ზარ-ზეიმით ჩატარდა, პოეტმა თე-



www.Zaliko.com

ნგიზ **ცეცხლაშვილმა** ბოლო ხანს გამოცე-მული ნიგნი – „მამულო, ჩემო საუნჯევე“, დაარიგა. მისი მეორე ნიგნი – „ხმა“ – ასე იწყება: „ზურჯევი ბურჯი საქართველოსი, მუ-დამუჟამს იყო ჩემი აჭარა, დღესაც მზად არ-ის, თავი გასწიროს, მამულს დაუდგეს მტკიცე აზჯარად“. ამ შეკრებაზე გადაწყდა, რომ ცნო-ბილ საგვარეულოსთან, **ცეცხლაძეთან** უნ-ისონში მოეწყოს **ცეცხლაშვილების** გვარის შეკრება და აირჩეს გვარის უფროსი, რადგ-ან, მიგვაჩნია, რომ ეს ორი მონათესავე გვა-რიან.

გვარში **ცეცხლაძე** ფუძედაა გამოყენებ-ული სიტყვა **ცეცხლი**, საიდანაც მიღებულ-ია საკუთარი სახელი – **ცეცხლა.**

ცეცხლაშვილი ცეცხლაძეებიდან

ორცნოდ გვარად ჩანს. **ცეცხლაძეები** ცხო-ვრობენ აჭარაში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, თბილისში, ქობულეთში და სხვაგანაც. საქა-რთველოში ყველაზე გავრცელებულ 1 000 გვარს შორის **ცეცხლაძეები** 42-ე ადგილზე არიან.

იოანე ბაგრატიონი ნიგნში „შემოკლე-ბული აღწერა საქართველოს შინა მცხო-ვრებთა თავადთა და აზნაურთა ოჯახებ-ისა, რომლებიც შეტანილი არიან ტრაქტ-ატსა შინა“, **ცეცხლაძეებს** აზნაურებად მოიხსენიებს.

ცეცხლაძეები არიან იმერეთშიც. სა-გვარეულოს ისტორიული სოფელია ხინო, რომელიც აჭარასა და გურიის საზღვარ-ზე მდებარეობს. სამეგრელოში კი გვარი გვხვდება სოფლებში: პატარა ფოთი და ენერი.

ცეცხლაძეები, ასევე, გვხვდებიან 1781 წლის ქსნის ხეობის აღწერაში.

კახეთის მოსახლეობის აღწერის მეთერა-მეტე საუკუნის პირველი მეთხედის დავთ-არში კი დაფიქსირებული არიან **ცეცხლა-შვილები**: „შილდასა ნეკრასლის ყმა გომფ-არ **ცეცხლაშვილი**, გიორგი **ცეცხლაშვილი** და ივანე **ცეცხლაშვილი**“.

საქართველოში 6 463 **ცეცხლაძე** ცხოვ-რობს: ქობულეთში – 1 773, ოზურგეთში – 859, ხელვაჩაურში – 456. არიან სხვაგანაც.

აკადემიკოს იაკობ ახუნაშვილის მასალების მიხედვით მოაზნადა ნონა დათაშიძე

(მე-12 გვერდიდან)

სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა. მისი გადატანაც სწორედ ამ მიზნით მოხდა. ჩვენ გვაქვს საბაგირო გზის ძეგლი, არაჩვეულებრივი შენო-ბა, რა საჭიროა ახალი? ნება იბოძონ, მთლიან-ად დააპროექტონ ქალაქის სატრანსპორტო სი-სტემა, რომელიც თავად მიუთითებს, სად უნდა იყოს საბაგირო გზა და სად – არა.

– **თბილისს წლებია, პრობლემად ექცა, სოკოპიტივი მომრავლებული უსახური შენ-ობები, რაც კვლავ გრძელდება. მაგალითად, სპორტის სასახლის წინ დაწყებულ მშენებ-ლობას მოვიყვან.**

– ეს, პირდაპირ გეტყვით, რომ არის თავხ-ედობა, რაც ისევ და ისევ იმის ბრალია, რაზეც ვსაუბრობ – არ არსებობს ერთიანი სისტემა, გენგემა. ამიტომაცაა, რომ, ვისაც სად მოუწ-დება, იქ სვამს ახალ შენობას. შეიძლება ორე-სტრს უხელმძღვანელო პარტიტურის გარეშე? გენიოსი დირიჟორი ტოსკანინი რომ ააყენო სა-ფლაგდან, ისიც კი ვერ შეძლებს ამას ვერც ერთ საუკეთესო ორკესტრთან. აბა, შედით სპო-რტის სასახლესთან, ალექსიძის ქუჩაზე, გზის გაგნებასაც კი ვერ შეძლებთ. მანდ მეცნიერებ-ათა აკადემიის კორპუსები იყო. ახლა იქაურობა ისეა ანენილ-დანენილი, მისამართის მიგნება გაგიჭირდება.

– **რა რესურსი აქვს თბილისს არქიტექტ-ურული განვითარებისთვის?**

– თბილისს გააჩნია საინტერესო არქიტექტ-ურული ფენომენი – ეს არის ძველი თბილისი. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ძველ თბილისში დევს

რა საურთხეს შეუქმნის „ანოკამა თბილისი“ ქალაქის არქიტექტურას და თბილისში ვლადიმერ როგელი ვენობა შვეა მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში

ხვალინდელი არქიტექტურის გასაღები. წლებ-ის განმავლობაში გვიწერავდნენ, რომ თბილი-სში არსებობს იტალიური ენობები, რაც იყო სა-მარცხენო. იტალიური ენო შესანიშნავი რამ არის, მაგრამ არაფერი აქვს საერთო თბილის-ური ცხოვრების სტილსა და ყაიდასთან. იტა-ლიელთან სახლში ნათესავის და მეგობრის მო-ხვედრა უიმეოთესი მოვლენაა, თბილისში პირიქითაა – თბილისი ცხოვრობს ეზოს გარშ-ემო. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, რაზეც ბევრ-ჯერ მისაუბრია. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საუკუნეების განმავლობაში, ამ გარემო-ში სხვადასხვა თინჯობის ყოფა იყო ძალიან ბუნებრივი და ორგანული. ეს მარგარეტ ტეტ-ჩერმაც აღნიშნა, როცა თბილისში იყო სტუმრ-ად და მე ვაჩვენე პატარა ტერიტორია, სადაც ოთხასი მეტრიც კი არაა, პირველი ტაძრიდან ბოლო ტაძრამდე. იქ ყველა რელიგია და აღ-მსარებლობა თავმოყრილი ერთი ბუნ მონა-კეთებზე. არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი არც მტრისგან, არც მოყვრისგან, რომ რელიგ-იურ ნიადაგზე თბილისში ადგილობრივ მოსახლეობას შორის მტრობა ყოფილიყო. მე სოლოვასა და მთაწმინდაზე მაქვს გატარებ-ული ბავშვობა. ეზოებში პატარა აუზები იყო. ხილს რომ იყიდდნენ, იმ აუზებში ყრიდნენ, არავინ კითხულობდა ვისი იყო საზამთრო და

მსხალი. ეზოში ყველა ერთად სარგებლობდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში თბილისში გაკეთებული მშენებლობებიდან მხოლოდ და მხო-ლოდ საცხოვრებელი სახლების გამოყოფა შემიძ-ლია. თუნდაც იმიტომ, რომ იმდენად უსამართლო გარემოში გვიხდება ყოფა, მათთან შედარებით ახალ საცხოვრებელ სახლებს არც კი მინდა, რომ კრიტიკულად შევხედო. თუმცა ამ ანალიზს არ ვაკეთებ პროფესიონალური კუთხით. იმდენი საქ-რისი ჭანჭიკებით შენობა გვაქვს, რომ მათ ფონზე ახალი სახლები არის შემოქმედებითი ნი-მუში – ისინი უფრო ადამიანურია, სიცოცხლეს აფრქვევს, აქვს ფერი, მაგრამ მათი უმეტესობა უადგილო ადგილზეა აშენებული. დღეს მტკვრის მარცხენა სანაპიროს აქვს განვითარების დიდი რესურსი, განსაკუთრებით გამოყოფა ავლაბარს, რომელიც როგორც კლიმატით, ასევე ადგილმდ-ებარეობით, თბილისის საუკეთესო მონაკვეთია. დარწმუნებული ვარ ავლაბარის პლატოს ირგვლ-ივ მშენებლობები სწორი გეგმით წარმართება, მე კიდევ გავიმოყრებ ბევრჯერ თქმულს, რომ მშენებლობა და არქიტექტურა არის ის სფერო, რომელიც განაპირობებს ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ და ყველა სხვა მიმართულებით გან-ვითარებას და მისი გაშვება თვითდინებით, არ-აფრთ არ შეიძლება.

თამუნა საგადაშვილი



გაზაფხული ის პერიოდი, როცა საგრძნობლად იმატებს გულ-სისხლძარღვთა, და ზოგადად, ქრონიკული დაავადების გამწვავების რისკი. ეს თავის მხრივ, საშიშროებას უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. სტატისტიკურადაც, სწორედ ამ პერიოდში დაფიქსირებული პაციენტებში ამ დაავადების გამწვავების ფონზე სიკვდილიანობის მომატება. თუმცა, თუ თავს მიხედავთ და დაცავთ იმ ელემენტარულ ნებსებს, რომელსაც ექიმ-კარდიოლოგი, ქალბატონი ლია რიშვაძე გირჩევთ, ადვილად დააღწევთ თავს მსგავს პრობლემებს. ასე რომ, თუ გსურთ იცოდეთ, როგორ დააღწიოთ თავი კრიზისულ პერიოდში გულის დაავადებას, როგორ იკვებოთ და რას მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, მაშინ ქალბატონი ლიას რეკომენდაციები, ნამდვილად დროულია.

რატომ იმატა გაზაფხულზე ახალგაზრდების ინფარქტით გარდასვალების რისკი და რა ინჟინს ამ პერიოდში გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადების გამწვავებას

– როგორც ვიცი, გაზაფხულზე, საკმაოდ იმატებს ინფარქტების რიცხვი. ზოგადად, რატომ მწვავდება სწორედ ამ პერიოდში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და როგორ დავიცვათ თავი შესაძლო საფრთხისგან?

– სანამ კითხვაზე ვიპასუხებთ, გეტყვით რომ, სამწუხაროდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის ძირითად მიზეზია განვითარებულ ქვეყნებში. განსაკუთრებით, ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა ამ დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა ახალგაზრდებში. რაც შეეხება გაზაფხულზე ამ დაავადების გამწვავებას, დიას, ახლა სწორედ ის სეზონია, როცა ადამიანი მეტად აგზნებულია, აწუხებს უძილობა, უქვეითდება შრომისუნარიანობა, გრძობს დაღლას, მწვავდება გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის დაავადებები. საქმე ისაა, რომ ადამიანი ცხოვრობს ციკლებით, კერძოდ, სადღეღამისო, სეზონური და წლიური ციკლით. ყველა კარდიოლოგიური დაავადება ქრონიკული მიდინარეობისაა. ქრონიკული დაავადებები კი მწვავდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: კერძოდ, ზამთრის პერიოდში მცირდება ორგანიზმის რესურსები – ამ სეზონზე ხილსა და ბოსტნეულს ნაკლები ენერგეტიკული ღირებულებები აქვს; ზამთარში ნაკლებად ვართ სუფთა ჰაერზე და აღინიშნება ეგრეთ წოდებული, ზამთრის ჰაერის ჰიპოქსია; გაზაფხულზე ძლიერდება რადიაცია; აღინიშნება ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობა; ორგანიზმის გადაცემა; ჰიპოვიტამინოზი და იმუნიტეტის დაქვეითება. ამიტომაც, გაზაფხულზე აუცილებელია, გამოძებნოთ დრო დასვენებისთვის, მეტი იარით ფეხით სუფთა ჰაერზე, იძინოთ დღე-ღამეში არანაკლებ 8 საათისა, მიიღოთ წყლის პირველადი რაოდენობა. გაზაფხულზე ძალიან კარგია ცურვა, წყლის პროცედურები, სველი წესით სხეულის დახევა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ როცა ფიზიკურ დატვირთვას ვურჩევთ პაციენტებს, მთავარია, არა ინტენსიურობა, არამედ რეგულარულობა. ჯობია, ყოველდღიურად 20 წუთი იაროთ ან ივარჯიშოთ, ვიდრე, კვირაში ერთხელ და ერთი ან ორი საათი.

– ამბობენ, რომ ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობა ამ სეზონზე საკმაოდ საშიშია. ზოგადად, რომელ საკვებს უნდა მიანიჭოს უზირატესობა ადამიანმა გაზაფხულზე, რომ გულ-სისხლძარღვთა სისტემის გადატვირთვა და შესაბამისად, დაავადების გამწვავებაც აარილოს თავიდან?

– აუცილებელია, მუდმივად სწორად იკვებებოდეთ. გეთანხმებით, ამ სეზონზე განსაკუთრებით აღინიშნება კალციუმის ნაკლებობა. ამიტომ, გაზაფხულზე ძალიან მნიშვნელოვანია კალიუმით მდიდარი საკვების მიღება, მაგალითად, როგორცაა: ბანანი, ვარგარი, ქიშმიში – განსაკუთრებით მუქი ფერის ქიშმიში. ღია ფერის ქიშმიში გადაამუშავების შედეგად მიიღება, რაც მასში ვიტამინებს ამცირებს. ასევე, უნდა

მიირთვათ ნითელი ფერის თევზი, რომელშიც შედის გაუფერებელი ცხიმები, რაც ქოლესტერინს აქვეითებს და გულისთვის სასარგებლოა. დღეში დაახლოებით 200 გრამი თევზის მიღება სრულიად საკმარისია. უპირატესობა მიანიჭეთ არა ცხიმოვანი, არამედ, მჭლე საქონლის ხორცს, კანგაცლილ ქათმისა და ინდურის ხორცს, რადგან კანში ბევრი ქოლესტერინი და რასაკვირველია, ზღვის პროდუქტებს.



გაზაფხულზე ძალიან კარგია ცურვა და წყლის პროცედურები

– სწორედ გაზაფხულზე, როცა ზამთარში დაქვეითებული იმუნიტეტის აღდგენა ხდება, ჩვენი ორგანიზმი გვთხოვს, მივიღოთ ტკბილეუნი და, ამ მხრივ გამაძფრებული ჩვენი მადა. ამაზე რას გვეტყვით?

– გირჩევთ, ნამცხვრები, კანფეტები, ნაყინი და მურაბა შევკლოთ სეზონური ხილით. ზოგადად, ტროპიკულ ხილსა და ბოსტნეულს, ყოველთვის ვჯობა ჩვენი, ადგილობრივი. მიიღეთ დღეში არა უმეტეს ერთი ჩაის კოვზი (5 გრამი) მარილი, რადგან ის ორგანიზმში სითხეს აგროვებს, აფერხებს მის გამოდევნას და, შესაბამისად, იწვევს არტერიული წნევის მატებას. აუცილებელია, მოერიდოთ ცხიმოვან საკვებს. ის ძალიან მავნებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის. საკვებში კი გამოიყენეთ მეტი ბოსტნეული, ზეთიუნის ზეთი და ამით იმეორეთ დაავადების შესაძლო რისკს საგრძნობლად შეამცირებთ.

– უფროსი ასაკის ადამიანებისგან გამოიკვლია, რომ ამ სეზონზე აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა გასამაგებლად, დღეში ერთი ჭიქა, ნატურალური, ნითელი ღვინის დალევა?

– დღეში, სადღეში, ერთი ან ორი ჭიქა შავი, ნატურალური ღვინის მიღება, გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე დადებით ეფექტს ახდენს. მასში შემავალი ნივთიერება – პოლიფენოლი, ამცირებს ეგრეთ წოდებულ, «ცდილ» ქოლესტერინის დონეს. თუ სხვადასხვა მიზეზების გამო, ადამიანი ღვინოს ვერ სვამს, შეიძლება, შეცვალოს ყურძნის ნატურალური წვენი ან მწვანე ჩაით. აქვე, გასწავლით ორ ხალხურ რეცეპტს,

რომელიც შინაურ პირობებში შეგიძლიათ მოამზადოთ, გემრიელიცაა და საკმაოდ აქტიურად იცავს გულს გაზაფხულზე შესაძლო რისკისგან. მოკლედ, აიღეთ 100 გრამი ქიშმიში, დაამატეთ 100 გრამი ჭურჭის ჩირი, ასევე 100 გრამი ლეღვის ჩირი და გაატარეთ ხორცსაკვებ მანქანაში, შემდეგ დაამატეთ 100 გრამი ორთქლზე გამდნარი თაფლი, უმჯობესია მისის თაფლი და მიიღეთ ყოველ დღით უზომოზე ჩაის კოვზით. ასევე, მოგასწავნებთ მეორე რეცეპტს: 1 ჭიქა მანონში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი დარიჩინი და მიირთვით დღის განმავლობაში. ეს ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს. აქვე, დავამატებ, რომ კუჭ-ნაწლავის დაავადების მქონე პაციენტმა ამ რეცეპტის სისტემატურად მიღებისგან თავი უნდა შეიკავოს. შინაურ პირობებში დამზადებული ეს გემრიელი ნამლები ექიმის რეკომენდაციის გარეშე არ უნდა მიიღოს. ასევე, უნდა მოერიდოს ისიც, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. ნივთი და თხილიც, ძალიან სასარგებლოა გულისთვის. ის ამცირებს ქოლესტერინს. სამწუხაროდ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შორს ნასული ფორმები, საკმაოდ ხშირად აღინიშნება ახალგაზრდებში. ამიტომ, ჩემი რჩევაა, წელიწადში ერთხელ კარდიოლოგთან გადადიოთ, გაიკეთოთ სისხლის საერთო ანალიზი და ზოგადად, ჩაიტაროთ პროფილაქტიკური გასინჯვა. ამით თავსაც დაიზღვევთ და პატარა პრობლემის შემთხვევაშიც, ადვილად დაამარცხებთ დაავადებას, რომელიც მომავალში შეიძლება, სიცოცხლისთვის სავალალო აღმოჩნდეს. გულის არემი ტკივილის დროს, ბევრი, ექიმთან კონსულტაციის გარეშე, თვითნებურად იღებს ნამლებს. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება. თუ გული «სიგნალს» იძლევა, ესე იგი, ის თქვენგან დროულ ყურადღებას ითხოვს და ეს არ უნდა უგულებელყოთ.

– ამ სეზონზე, ასევე საკმაოდ ხშირია არტერიული ჰიპერტენზია. რა უნდა იცოდეს ამ პრობლემის მქონე ადამიანმა?

– არტერიული ჰიპერტენზია ქრონიკული დაავადებაა, რომლის მთავარი სიმპტომია არტერიული წნევის მატება. უმრავლესობა ვერ აცნობიერებს, რომ მკურნალობის ერთი ან რამდენიმე უკუსი საკმარისი არ არის გამოჯანმრთელებისთვის. მაღალი წნევის მკურნალობა მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა გაგრძელდეს. ხშირად პაციენტები, მკურნალობის ფონზე წნევის მოწესრიგების შემდეგ, თავს ანებებენ ნამლებს მიღებას. ასეთი პაციენტები ამბობენ, რომ «კურსი ჩაიტარეს» და მშვიდდებიან. არგუმენტად მოყვება, რომ ნამალი ქიმიური ნივთიერებაა და მთელი ცხოვრების განმავლობაში მისი მიღება საზიანოა ჯანმრთელობისთვის. პაციენტებს ხშირად ეუბნებიან, რომ ჯობია, ქიმიური პრეპარატების მიღება, ვიდრე არტერიული წნევის დარღვევით გამოწვეულ გართულებებთან, კერძოდ, ინფარქტთან და ინსულტთან ბრძოლა. ასევე, კიდევ ერთი შეცდომა უყურადღებოა. კერძოდ, ამ მოვლენას ხელს უწყობს, ცალკეულ შემთხვევაში, სიმპტომების ნაკლები გამოხატულობა, რის გამოც პაციენტი ვერ ხედება, რომ აწუხებს მაღალი წნევა. დადგენილია, რომ არტერიული წნევის მცირე გადახრების უფრო დიდი გართულების გამოწვევა შეუძლია, ვიდრე მის მკვეთრ მატებას. ამის მიზეზი ის არის, რომ ავადმყოფი გრძობს, ეშინია და უფრო ყურადღებით აკონტროლებს მკვეთრად მომატებულ არტერიულ წნევას, ვიდრე ნაკლებად გამოხატულს. ცხოვრების რეჟიმშიც აუცილებელია შესაცვლელია, როდესაც ადგილი აქვს არტერიულ ჰიპერტენზიას. მას განსაზღვრავს სამი ძირითადი ფაქტორი: სტრესული სიტუაციებისგან თავის არიდება, ცხოვრების დინამიკური ტემპი და ჯანსაღი კვება. რაც შეეხება საკვებს, უნდა მოერიდოთ მარილიანი, ცხიმოვანი და ცხარე საკვების მიღებას.



როგორ „გაღაბლო“ ქართველმა ქურდმა, მემსახელად „კატამ“, მოხუცი გერმანელი გრაფი

შუფასავალი ალაფი

მას შემდეგ, რაც 1945 წლის აპრილ-მაისში საბჭოთა არმიამ ფაშისტური გერმანიის მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიკავა, ჯარმა ძარცვა-გლეჯვას მიჰყო ხელი და სამი დღის განმავლობაში მათთვის ეს საქმიანობა არავის დაუშლია. სამი დღის შემდეგ, სტალინის სპეციალური განკარგულებით, მოროდორად ცხადდებოდა ყველა ქურდი და მძარცველი. მოროდორებს კი, ომის კანონის თანახმად, ხვრეტდნენ. განსაიდუმლოებული სტატისტიკის მიხედვით, დამარცხებული გერმანიის ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი წითელარმიელი დახვრიტეს მოროდორობისთვის. მართალია, სტალინის ეს განკარგულება ყველა წითელარმიელს ეხებოდა, განურჩევლად წოდებისა, მაგრამ, აბა, ვინ დახვრეტდა არმიის გენერლებსა და მარშლებს?! არადა, სწორედ მათ გაიტანეს გერმანიიდან შუფასავალი ალაფი – დიდძალი ანტიკვარული სამკაულები და ხელოვნების შედეგები. ამ მხრივ ყველაზე მეტად ქალაქ დრეზდენის მუზეუმი დაზარალდა – მისი საცავებიდან მარშალ გიორგი შუფოვის ხელქვეითებმა მსოფლიოს უდიდესი მხატვრების ნაწარმოებები გაიტანეს, ერთმანეთში გაინანილეს და საკუთარ ფეშენებელურ ბინებსა და აგარაკებზე დაიკიდეს. მართალია, სტალინის ბრძანებით, ამ შედეგების უდიდესი ნაწილი მათ უკან დააბრუნეს, მაგრამ, დაუბრუნებელი ალაფიც ძალიან დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა და ის საბჭოთა ელიტის ცნობილ წარმომადგენელთა ოჯახებში ინახებოდა. ბრილიანტის სამკაულების ერთ-ერთი ასეთი ძვირფასი კოლექცია მარშალ როკოსოვსკის ბინის სეიფში ინახებოდა, რომელიც ერთ-ერთი გრაფის ბერლინში მდებარე ცნობილი „ასობნიაკიდან“ იყო გატაცებული. გერმანელი გრაფი ანტიფაშისტი და კომუნისტების მომხრე აღმოჩნდა. 1953 წელს მან პირადად სტალინს მიმართა თხოვნით, რომ მისთვის ეს კოლექცია დაებრუნებინათ და საბჭოთა ქვეყნის მმართველს ნახატებისა და ძვირფასეულობის სრული სია გადასცა, რომელიც 45 სამკაულისგან შედგებოდა. ძვირფასეულობის დაბრუნების პროცესს სტალინის სიკვდილმა შეუშალა ხელი და კოლექცია კვლავ საბჭოთა მარშალს დარჩა, თუმცა, დასავლეთის პრესაში კოლექციის სრული აღწერილობა და ფოტოები გამო-

ქვეყნდა. საქმეში ინტერპოლი ჩაერთო და გრაფმა უკვე საერთაშორისო სამართლის მეშვეობით სცადა საკუთარი ქონების დაბრუნება, რაზეც უპასუხეს, რომ სამკაულების კოლექცია საბჭოთა კავშირში არ იყო და გრაფი შეცდომაში იყო შეყვანილი.

ფოტოგრაფი

ბრილიანტების სკანდალი ნელ-ნელა დაიწყებას მიეცა და, რადგან სამართალს ვერ მიაღწია, მოხუცმა გრაფმაც დაიოკა ვნებები. თუმცა, ძველებურად აღარ თანაუგრძობდა კომუნისტებს, მათ გაიძევრებს ეძახდა და სტალინის ლანძღვისთვის ხრუშჩოვს მიწასთან ასწორებდა.

1963 წლის დასაწყისში ბრილიანტების სკანდალმა ახალი ძალით იფეთქა. საქმე კი ის იყო, რომ ერთ-ერთი გერმანული ჟურნალის მოსკოველმა კორესპონდენტმა დასავლეთ გერმანიაში ფერადი ფოტოები გაგზავნა, რომელიც ამ ცნობილ ჟურნალში გამოაქვეყნეს. ფო-

„კატამ“ როგორც ბინის სეიფიდან 44 წალი კმეფასი სამკაული გაიტანა და საუბრაოდ მიიბაღა

ტოებზე კი საბჭოთა ელიტის საახალწლო წვეულების კადრები იყო ასახული. ერთ-ერთ კადრში მსხვილი პლანით ჩანდა საბჭოთა კინოვარსკვლავი ქალი, რომელსაც ყელზე ბრილიანტის უძვირფასესი ყელსაბამი ეკეთა და ეს ყელსაბამი გრაფის კოლექციიდან იყო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი იყო ის, რომ საბჭოთა კინოვარსკვლავი ქალი მარშალ როკოსოვსკის საყვარელი გახლდათ. მოხუცმა გრაფმა ჟურნალში გამოქვეყნებული სურათი რომ ნახა, ფაქტები შეაჯერა და გააანალიზა, ინტერპოლში ხელმოწერა განცხადება შეიტანა და მარშალ როკოსოვსკის დაპატიმრება, მისთვის კოლექციის ჩამორთმევა და მისი გასამართლება მოითხოვა... აბა, როკოსოვსკის ვინ დააპატიმრებდა. ამიტომ, ფოტოები საბჭოთა მთავრობამ ფალსიფიკაციად გამოაცხადა, გერმანელი ფოტოკორესპონდენტი მოსკოვიდან გააძევეს, მოხუცი გრაფი კი შემოიღოდა შერაცხეს.

მემსახელად „კატამ“

მოხუცი გრაფი, 81 წლის ჰერმან ფონ რუნელსბურგი კერკეტი კაკალი იყო, დანებებას არ აპირებდა. გადაწყვიტა, ბოლომდე ყველანაირი ხერხით ებრძოლა და საკუთარი კოლექცია დაებრუნებინა. გრაფმა ამის გაკეთება კრიმინალური გზით გადაწყვიტა და 1963 წლის 16 თებერვალს ქალაქ ჰანოვერის მკაცრი რეჟიმის ციხესთან ციხიდან გათავისუფლებულ პატიმარს, 40 წლის გივი ჯოხაძეს დახ-

ვდა, „ლიმუზინში“ ჩაიხვია და თავის საგვარეულო ციხესიმაგრეში წაიყვანა. 1923 წელს დაბადებული ჯოხაძე 1946 წელს პირველად ფრანგულ საოკუპაციო ზონაში დააპატიმრეს სხვისი გვარით და ქურდობისთვის ოთხი წელი მიუსაჯეს. ციხიდან გათავისუფლებულმა ჯოხაძემ ფედერაციული გერმანიის მოქალაქეობა მიიღო და კიდევ ორჯერ მოიხადა სასჯელი, მაგრამ, უკვე საკუთარი გვარით. ის ქუთაისში იყო დაბადებული და 1942 წელს კოლონიდან, სადაც ის ქურდობისთვის იჯდა, ფრონტზე წაიყვანეს. ჯოხაძე ბერლინამდე მივიდა. შემდეგ მოროდორობისთვის დააპატიმრეს და უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ, გაქცევა მოახერხა. ჯოხაძეს ქუთაისში „კატას“ ეძახდნენ და კვალიფიციურ ქურდად ითვლებოდა. მოხუცმა გრაფმა კი მას თავისი ნათესავის, კაპიტან შმიდტის მეშვეობით მიაგნო, რომელსაც ბრილიანტების დაბრუნების საკუთარი გეგმა გაუზიარა. კაპიტანი შმიდტი ჰანოვერის ციხის სარეჟიმო ნაწილში მსახურობდა, პატიმრების პირად საქმეებს განაგებდა და მოხუც გრაფს სწორედ მან ურჩია კვალიფიციური, ყოფილი საბჭოთა ქურდის დაქირავება ბრილიანტების დასაბრუნებლად...

ჯოხაძე ბრწყინვალე ფორმაში იყო. მან თანხმობა განუცხადა გრაფს, რომელიც ერთ მილიონ მარკას შეჰპირდა.

– საბუთები და ფული ერთ კვირაში გამოგეცემით და მოსკოვში ბუდაპეშტის გავლით ჩახვალთ. ღმერთი არ გაგინყრეთ და ჩემი მოტყუება არ სცადოთ, რადგან, ბრილიანტებს მაინც ვერ გაყიდით. თუ გაიტყვეთ, მთელ მსოფლიოში მოგძებნიან და დაგაჭერენ, უვადო პატიმრობას მოგიგზიან და ციხეში მოკვდებით. ხოლო, თუ ჩემს შეკვეთას შეასრულებთ, მილიონ მარკას დაუყოვნებლივ მიიღებთ და სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად იცხოვრებთ, – უთხრა გრაფმა „კატას“.

– რა თავში ვიხლი ბრილიანტებს, მილიონი მარკა კი მთელი სიცოცხლე მეყოფა. დარდი ნუ გაქვთ, გრაფ, თქვენს ბრილიანტებს დაგიბრუნებთ და ფული გაამზადებთ, – მიუგო „კატამ“ მოხუც გრაფს...

1963 წლის 9 მაისს, ანუ, ფაშიზმზე გამარჯვების 18 წლისთავზე, მარშალ როკოსოვსკის ბინა, რომელიც მოსკოვის ცენტრში, კალინინის გამზირზე მდებარეობდა, გაიძარცვა. გახსნილი იყო მხოლოდ სეიფი, საიდანაც 44 ცალი ძვირფასი ბრილიანტის სამკაული იქნა გატაცებული, რომელიც ექსპერტების შეფასებით, მაშინ 75 მილიონი დოლარი ღირდა...

სავარაუდოდ, „კატამ“ ეს ბრილიანტები ოკეანის გაღმა, ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთ ლათინურ ქვეყანაში გაიტანა და გრაფიც „გადაადგო“. გერმანელის მემუარები მისი სიკვდილის შემდეგ, 1969 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა, სადაც ის „კატის“ დაქირავების ეპიზოდსაც დანერვილებით აღწერდა.

P. S. გრაფის კოლექციის ერთ-ერთი სამკაული 1989 წელს ერთ-ერთ ცნობილ ევროპულ აუქციონზე 2 მილიონ 850 ათას დოლარად გაიყიდა, მაგრამ, ის „ინტერპოლმა“ ამოიღო და გრაფის შთამომავლებს დაუბრუნა. სამკაულის ინკოგნიტო გამოყვანილი კი ვერ აღმოაჩინეს, ისევე, როგორც ის დანარჩენი 43 სამკაული და მათ დღემდე ეძებენ...

ნიკა ლაშაური





როგორ იქნა შური მამაკაცმა ყოფილ სოლსა და მის ქმარზე

შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი ორი ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 31 წლის მამაკაცს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. განსასჯელის წინააღმდეგ ჩვენება მისცა მისმა ყოფილმა ცოლმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მამუკა გ-შვილის შვილების თვალწინ მისი მოკვლა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი.

დანაშაული 29 წლის ნანა მ-ძის ბინაში მოხდა. შემთხვევას ჰყავდა რამდენიმე თვითმხილველი, რომლებიც ადასტურებდნენ მამუკა გ-შვილის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულს. როგორც გამოძიების მასალებით გახდა ცნობილი, მამუკა გ-შვილი და ნანა მ-ძე სიყვარულით შეუღლდნენ რვა წელი იმყოფებოდნენ ოფიციალურ ქორწინებაში. ნანა მ-ძის დედის განცხადებით, მათი ოჯახის დანერგვას ვერაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ, ქორწინებიდან ორ წელიწადში ყველაფერი შეიცვალა – ნანა არაერთხელ გახდა მამუკას ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. მერე და მერე ოჯახური დრამების მომსწრენი იყვნენ მათი მცირეწლოვანი შვილებიც, რომლებიც მშობლების ოფიციალური განქორწინების შემდეგ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დედასთან დარჩნენ საცხოვრებლად. განქორწინებიდან ორ წელიწადში ნანა მ-ძე ცოლად გაჰყვა ბესო ჭ-ძეს, რომელიც კერძო აუდიტად მუშაობდა იმ კომპანიაში, სადაც მამუკა გ-შვილიც იყო დასაქმებული, თუმცა, ახალგაზრდა მამაკაცს ცოლ-ქმრის განქორწინებაში არანაირი ბრალი არ მოუძლოდა, უფრო მეტიც, ნანა მამინ გაიცნო, როცა ის ქმართან უკვე განქორწინებული იყო.

მამუკა გ-შვილმა ყოფილ ცოლს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. ის უცერემონიოდ, ყოველგვარი ნებართვის გარეშე მიადგებოდა ხოლმე ყოფილ ცოლს სახლში და ბავშვების ნახვას ითხოვდა. ამის გამო მამაკაცებს შორის რამდენჯერმე დაპირისპირებაც მოხდა. საქმეში სამართალდამცველებიც ჩაერთვნენ და არაერთხელ გააფრთხილეს მამუკა გ-შვილი, რომელსაც ხელწერილიც კი ჩამოართვეს, რომ ყოფილი ცოლისა და შვილებისთვის ნორმალურად ცხოვრების საშუალება მიეცა, მაგრამ, პირობა პირობად რჩებოდა და, მიძიმე ხასიათითა და ფსიქოლოგიური პრობლემებით ცნობილი მამაკაცი ყოფილი ოჯახის აწიოკებას არ ეშვებოდა. დაზარალებულმა ნანა მ-ძემ ჩვენებაში დეტალურად აღწერა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც მისი ოჯახი ცხოვრობდა:

ბანსსჯელი ღუბნეძის მღვდელის და რამდენჯერმე თაყვის მოკვლას სწავდა

„მას შემდეგ, რაც მამუკას დაემორიდა, ფსიქოლოგიური პრობლემები უფრო გაუმძაფრდა და უმართლად გახდა. ხან რას მომიზიუნებდა ხოლმე, ხან – რას, რომ ჩვენს სახლში მოსულიყო და სცენები გაემართა. ერთხელ ბავშვთან ცეკვაზე მისვლა დამავიანდა. ეს რომ გაიგო, იმავე დამეს მომივრდა სახლში და ბავშვის ნაცყვანით დამეშურა. რამდენჯერმე ჩვენს აბზეზში ჩემი ქმარი, ბესოც ჩაერთო, მაგრამ მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მე ყველანაირად ვცდილობდი, რომ მამაკაცებს შორის დაპირისპირება არ მომხდარიყო, მაგრამ, ამის თავიდან არიდება ვერ შევძელი, რადგან, მამუკა უმართავი იყო. ჩემი მეგობრები მეუბნებოდნენ, ნასვამი ვენებს იჭრის, ლურსმნებს ყლაპავს და საშინელებებს აკეთებდა. რამდენჯერმე გადაარჩინეს სიკვდილს. ჩემს მეგობრებთან და ნათესავებთან მეშუქრებოდა – ნანას ცხოვრებას გაუუმნარებო და ასეც იქცევოდა. ჩემმა დისშვილმა რამდენჯერმე გამამოთხილა კიდევ – მამუკამ მითხრა, ნანას ჩემს მიტოვებას და გათხოვებას არ ვაპატიებ, ჩემი დროც მოვა, როცა ყველაფრისთვის შურს ვიძიებ,

შვილების თვალწინ უნდა გამოვასაღმო სიცოცხლეო.“

საქმის მასალებით, მამუკა გ-შვილმა შურისძიების მიზნით დანაშაული სოფლის დღესასწაულზე ჩაიდინა.

ამონაწერი მონმის, ლეილა ნ-შვილის ჩვენებიდან: „მამუკა ჩემი ქმრის ნათესავია და სწორედ ჩვენს ოჯახში გაიცნო ნანა წლების წინ. მას შემდეგ, რაც მათი ოჯახი დანგრედა, მამუკა ჩვენთან მოსვლას ურდებოდა ხოლმე, მაგრამ იმ დღეს მოულოდნელად გვესტუმრა. მეგობრის მანქანით იყო ჩამოსული. სუფრასთან მივიპატუეთ და სმადინა. ცოტა შემეშინდი, რადგან, ვიცოდი, რომ ნანა და მისი ქმარიც სოფელში იყვნენ. ჩვენ შორის სულ ორი სახლია, მამუკა მათთან უპრობლემოდ მივიღოდა. მამუკას სტუმრობიდან, ალბათ, ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა ჩემმა შვილმა ჩუმად მითხრა, მამუკას მანქანაში პისტოლეტი უდევსო. ამან ძალიან შემაშინა, რადგან, მამუკა ნასვამი იყო. ორჯერ მკითხა, ბავშვები აქ არიანო? ხომ ვერ დავუშვავდი. ალბათ, სამი-ოთხი საათი იყო ჩვენთან და სულ ვაკვირდებოდი. შევატყვე, ძალიან გაღიზიანებული იყო. როცა დაგვემედიობა და მანქანაში ჩავჯდა, შვებით ამოვიხსუთქი. ვიფიქრე, პრობლემებს გადავრჩით-მეთქი, მაგრამ, დაახლოებით ნახევარ საათში ნანას სახლიდან რამდენიმე გასროლის და კვილის ხმა მომესმა. ყველა იქით გავიქეცი და საშინელი ფაქტის მომსწრენი გავხდით: ნანა და ბესო მინაზე იწვნენ და საკუთარ სისხლში ცურავდნენ.“

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მამუკა გ-შვილი ყოფილი სიმარის ოჯახში მაშინ მივიდა, როცა ნანა და მისი მეუღლე ეზოდან სტუმრებს აცილებდნენ. იქვე იყვნენ ნანასა და მამუკას შვილებიც, რომლებმაც მამის დანახვაზე მისკენ დააპირეს

ნასვლა. თვითმხილველთა განცხადებით, მამუკა გ-შვილი ჯერ ბავშვებს ჩაეხუტა, მერე უცებ ქურთუკიდან პისტოლეტი ამოიღო და ორჯერ ნანასკენ, ერთხელ კი მისი მეუღლის მიმართულებით ისროლა, ანუ, დანაშაული მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ ჩაიდინა. მას შემდეგ, რაც მამუკა გ-შვილმა ორი ადამიანის მკვლელობა სცადა, შემთხვევის ადგილიდან გაიქცა და მიიშალა, თუმცა, ის მეორე დღესვე დააკავეს სამართალდამცველებმა. როგორც მათთვის გახდა ცნობილი, დანაშაულის ჩადენის შემდეგ მამუკა გ-შვილმა თვითმკვლელობა სცადა – ვენები გადაიჭრა, მაგრამ, ექიმების დროული ჩარევის შედეგად გადარჩა. სიკვდილს გადაურჩა დაჭრილი ცოლ-ქმარიც, რომლებსაც ცეცხლსასროლი ჭრილობები გულ-მკერდის არემი ჰქონდათ მიყენებული. მოგვიანებით, დაზარალებულის ახლობლებმა გამოძიებულთან განაცხადეს, რომ მამუკა გ-შვილმა თვითდაზიანებები იმიტომ მიიყენა, რომ სუიციდის მცდელობით აფექტური მდგომარეობის იმიტაცია შეექმნა, სინამდვილეში, დანაშაულის ჩადენის მომენტში ის ადეკვატური იყო: მან სპეციალურად შეარჩია დრო მკვლელობისთვის და გამიზნულად ჩაიჭანა ცეცხლსასროლი იარაღი, რათა ჩანაფიქრი – ცოლ-ქმრის მკვლელობა – სისრულეში მოეყვანა.

სასამართლო პროცესზე მამუკა გ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ცოლ-ქმრის დახოცვა გადანაცვლებილი არ ჰქონდა, მაგრამ, წინასწორიდან მას შემდეგ გამოვიდა, რაც ნანას დაურეკა და ბავშვების ნახვა მოსთხოვა – ნანამ ანაზე უარი მითხრა და, უკვე სოფლიდან გასვლას ვაპირებდი, როცა უკან დაბრუნდით. სასამართლომ ეს არ ჩათვალა დანაშაულის შემამსუვლებელ გარემოებად და ჩადენილი დანაშაულის ჩადენისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

პაპ ბარბაქაძე

რა მოხდა ამ დღეს

14 აპრილი

1471 – ბერნეტთან მოხდა წითელი და თეთრი ვარდების სამოქალაქო ომის ერთ-ერთი შეტაკება იორკისტებს (ედუარდ მოთის მეთაურობით) და ლანკასტერელებს (გრეგ უორვიკის მეთაურობით) შორის.

1927 – გასაყიდად გამოიტანეს პირველი ავტომობილი „ვოლკო“.

1970 – ავარიის გამო ამერიკული კოსმოსური ხომალდის, „აპოლონ 13-ის“ ეკიპაჟი მთავარზე ველო გაფრინდა, მაგრამ, მეძლო დედამინაზე შევიდობით დაბრუნებდა.

15 აპრილი

1881 – სანტკა-პეტრობურგში სემიონოვსკის მოედანზე იმპერატორ ალექსანდრე მეორეზე თავდასხმისთვის სიკვდილით დასაჯეს სოფიო პეროვსკაია, ანდრე შელიაბოვი და მათი სამი ახვანაგი.

1912 – ჩაიძირა სუპერლაინერი „ტიტანიკი“, რომლის სიგრძე იყო 275 მეტრი, წონა – 4 600 ტონა.

1919 – საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცა დეკრეტი შრომითი გამოსასწორებელი ბანაკების სისტემის შექმნის შესახებ, რამაც საფუძველი დაუდო „არქიპელაგ ვულავის“ შექმნას.

1997 – მექაში მომლოცველ მუსლიმანთა კარვებს ხანძარი გაუჩნდა, დაიღუპა 343 პილიგრიმი.

16 აპრილი

1912 – ინგლისელი ჰარიეტ ქუიზი გახდა პირველი ქალი, რომელმაც თვითმფრინავით ლა-მანშს გადაუფრინა.

1917 – ლენინის დაბრუნება პეტრობურგში. მის მიერ „აპრილის თეზისების“ ჩამოყალიბება მიტინგზე ფინეთის ვაგხალათა.

1934 – შემოიღეს „საბჭოთა კავშირის გმირის“ საპატიო წოდება. ეს წოდება პირველჯერ მიენიჭა მფრინავებს თბომავალ „ჩელუსკინცის“ ეკიპაჟის გადარჩენისთვის.

1964 – ინგლისში გამოვიდა ჯგუფ „როლინგ სთოუნის“ პირველი ალბომი.

17 აპრილი

1607 – 21 წლის არმან რომელიც დიუპლესმა მიიღო სასულიერო წოდება. დაიწყო მისი კარიერული გზა კარდინალობისკენ.

1722 – პეტრე პირველმა რუსეთში შემოიღო გადასახადი წვერებზე: ვინც წვერს ატარებდა, წელიწადში 50 რუბლი უნდა გადაეხადა.

1839 – სამხრეთ ამერიკაში შეიქმნა სახელმწიფო გვატემალა.

1875 – ფრენსის ფიცჯერალდ ჩემბერლენმა გამოიგონა სნუკერი – ბილიარდის ნაირსახეობა.

1994 – გამოვიდა „პინჯ ფლოიდის“ ბოლო ალბომი.

18 აპრილი

1902 – დანიამ, მსოფლიოში პირველად, დაიწყეს თითის ანაბეჭდების გამოყენება დამნაშავეთა იდენტიფიკაციისთვის.

1906 – ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი სან-ფრანცისკო.

1934 – ტენესაში გაიხსნა პირველი საზოგადოებრივი სამრეცხაო.

19 აპრილი

1783 – რუსეთის იმპერიაში „შეიერთა“ ყიზილის ნახევარკუნძული.

1943 – დაიწყო დიდი ანტიფაშისტური აჯანყება ვარშავის გეტოში.

1995 – ტერორისტმა აფეთქება ქალაქ ოკლაჰომა-სიტის ადმინისტრაციული შენობა დაიღუპა 168 ადამიანი.

20 აპრილი

1653 – ოლივერ კრომველი გახდა ინგლისის ერთპიროვნული მმართველი (ლორდ პროტექტორის ტიტული).

1865 – გასაყიდად გამოვიდა პირველი თანამედროვე ტიპის ასათი.

1941 – გამოქვეყნდა ედგარ პოს პირველი დეტექტიური მოთხრობა – „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“.

1902 – ცოლ-ქმარმა კიურებმა მიიღეს სუფთა რადიუმი.

1968 – ჩატარდა ჯგუფ „დივ ფარფლის“ პირველი კონცერტი.



ფლორის საგუაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მკვნიერებათა დოქტორი ანდრეას ბინსაჰი

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

ბოათი

კითხვა: როგორ მოვუარო ეხმეას და რა პირობები სჭირდება მას?

პასუხი: ეხმეა ტენის მოყვარული, ტროპიკული მცენარეა, ამიტომ სიცხესა და სიმშრალეში ფოთლებს ნეკროზები უყვარს. ზაფხულში მორწყეთ ორ კვირაში ერთხელ, გაზაფხული თხევადი სასუქით. დიდ მცენარეს თიხის პატარა ქოთანშიც ჰყოფნის. ფოთლები „ლანტა“ (ჩაღმავება) მუდამ რბილი წყლით სავსე უნდა იყოს. წყალი დროგამოშვებით გამოუცვალეთ. ზაფხულში მინას ტენიანობა შეუზარუნეთ, ზამთარში კი გამოშრობა აცადეთ და იშვიათად მორწყეთ. ზამთარში იტანს 15 გრადუსს, ზაფხულში კი, თუ ტენიანობა ძალიან მაღალია, 27 გრადუსს. მისთვის საუკეთესო

ადგილი მზიანი ოთახია. ყვავილობისას მცენარეს კარგი განათება სჭირდება. მომცრო, ცისფერი ყვავილები, რომლებიც თანდათან ნითლდება, მალევე ჭკნება, თუმცა, თანაყვავილი გაცილებით დიდხანს ძლებს. ყოველ როზეტს ერთადერთი თანაყვავილი აქვს. დაყვავილების შემდეგ მცენარე კიდევ დიდხანს ინარჩუნებს ფორმას – მანამ, სანამ ძველის ადგილას ახალი როზეტი გაჩნდება.

კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყავა ადიანტუმი?

პასუხი: ადიანტუმის ნიადაგი მთელი წლის განმავლობაში ტენიანი უნდა იყოს. თუ ფესვები გამოშრობა, ფოთლები მოეჭმუჭნება. რაც უფრო მაღალია ოთახის ტემპერატურა, ადიანტუმს მით მეტი ტენი სჭირდება. თუ ტენს არ მოაკლებთ, ადიანტუმი მალე გაიზრდება. თუ მისი ფორმა აღარ მოგწონთ, შეგიძლიათ, გაკრიჭოთ ან ყველა რტო ძირში მოაჭრათ – ახალი ყლორტები მალე ამოიყვანს. ეს პროცედურა ამ სეზონზე, გაზაფხულზე უნდა ჩაატაროთ. ტენისთვის კარგია, თუ ამ მცენარეს საბაზანოში დადგამთ.

კითხვა: იქნებ მირჩიოთ, როგორ გავახარო ასპლენიუმი?

პასუხი: ეს მცენარე გვიმრის ერთ-ერთი სახეობაა და პრეტენზიული არ არის. ასპლენიუმის ახალი ფოთლები ძალიან ნაზია და მზეზე ადვილად იხვება, ამიტომ, მზის გულზე ნუ დადგამთ, ნახევრად ჩრდილში ამყოფეთ. ზრდის პერიოდში, სამ კვირაში ერთხელ, მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ზამთარში დამატებითი კვება არ სჭირდება. ფოთლები სველი ნაჭრით გაუნმინდეთ, ოღონდ, ფრთხილად, რადგან, იოლად ზიანდება. აქტიური ზრდის დროს უხვად მორწყეთ, ზამთარში კი, როცა მცენარე

ისვენებს, მინა მხოლოდ ტენიანი უნდა იყოს. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 13 გრადუსი, თუმცა მთელი წლის განმავლობაში, ჯობია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი იყოს.

კითხვა: რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება ლანტანას?

პასუხი: მისთვის აუცილებელია კამკამა სინათლე, ამიტომ, ზამთარში ყველაზე ნათელ ადგილას ადგით. სჭირდება ნორმალური ტემპერატურა. ზამთარში მინიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი. თუ მცენარეს ფესვები ტენიანი აქვს, ზაფხულის სიკვესაც აიტანს. ზომიერი კლიმატის პირობებში თავს მშვენივრად გრძობს. სუბტროპიკებში ის სარეველად იზრდება.

კითხვა: ზინაში მაქვს ჩინური ვარდი. იქნებ, ამიხსნათ რა რაოდენობით წყალი სჭირდება წელიწადის სხვადასხვა დროს?

პასუხი: დიდ მცენარეს ზაფხულში რეგულარული მორწყვა სჭირდება, მინა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთარში მორწყვა შემცირეთ და მორწყვადან მორწყვამდე მინას შეშრობა აცადეთ. გაზაფხულზე ნიადაგის კალიუმის სასუქით განოყიერება ხელს უწყობს ყვავილობას.

კითხვა: იოლა თუ არა გარდენის გაზრდა და როგორ მოვუარო?

პასუხი: მცენარე მთავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე ნიადაგში გაზარდეთ. სჭირდება სტაბილური ტემპერატურა და ტენიანობა. ყვავილობისათვის ღამის ტემპერატურა 18 გრადუსზე დაბალი უნდა იყოს, ხოლო დღის ტემპერატურა 22 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. მთაროდეთ ორბირ ქარს და ნურც ადგილს შეუცვლით.

მოამზადეთ იონა გოზალიშვილი

ადვოკატი გირჩევთ

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა იურიდიული შედეგები შეიძლება მოჰყვას პროკურორის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გაპროტესტებას ან ვინ იხილავს პროკურორის პროტესტს?

პასუხი: გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მიმართ პროკურორის პროტესტს განიხილავს საამისოდ უფლებამოსილი ორგანო ან თანამდებობის პირი, პროტესტის შესვლიდან 30 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადგენილება სასამართლოშია გასაჩივრებული. ორგანო ან თანამდებობის პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების შესახებ პროკურორის პროტესტის განხილვისას შეამომნებს მიღებული დადგენილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. შესაბამისად, პროტესტის შეტანამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მიღებული დადგენილების შეცვლა ან გაუქმება.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა ასაკიდან ეკისრებათ მოქალაქეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა?

პასუხი: გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისთვის 16 წლის ასაკს მიღწეულ პირთ.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა პირმა ჩაიდინოს გაუფრთხილებლად?

პასუხი: დიახ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გაუფრთხილებლობით ჩადენა შესაძლებელია. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილია, თუ მისი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გაუფრთხილებლობით ჩადენილია.

რთალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილია ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მხრივ შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ, ქარაფუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებდა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

კითხვა: მაინტერესებს, რა პროცედურები უნდა დაიცვას სასამართლო მხარისთვის სამოქალაქო საქმეზე სასამართლო უწყების გაგზავნის დროს?

პასუხი: სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით, ფოსტით ან სასამართლოს კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაავგზავნოს უწყება და არ არის ვალდებული, დაიცვას თანამდებობის პირის სასამართლომ დასაბარებულ პირს უწყება შეიძლება, ჩააბაროს ასევე, სასამართლოს მენობაში. თუ პირველად გაგზავნისას ადრესატისთვის უწყების ჩაბარება ვერ ხერხდება, იგი დასაბარებულ პირს ის დამატებით ერთხელ მაინც უნდა გაეგზავნოს იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, როგორ ხდება სამოქალაქო საქმეზე მხარისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება და რა იურიდიული შედეგები მოსდევს უწყების ჩაუბარებლობას იმ მიზეზით, როცა მოსარჩელის მიერ არასწორი მისამართი მითითდება?

პასუხი: გაცნობებთ, რომ სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის, ანუ ფაქტობრივი



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი ბაბრიჭიძე

უვიცობის სამეფოში თვით უნესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება. ანატოლ ფრანსი

ადგილსამყოფლის, ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდა კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში, ანუ შესაგებელში მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.



რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

კითხვა: მყავს ავტომობილი TOYOTA 4RUNNER 4.7 LIMITED 2004 წლის. რამდენიმე ხნის წინ, ამინთო ეგრეთ ნოდებულიმა ჩეკმა, მასთან ერთად VSC TRAC, VSC OFF, ასევე, მოცურების ჩეკმა. მანქანა არის ბენზინზე და არასოდეს ყოფილა გაზზე. (140 000 მლ) ძრავამაც ცოტა „პერეობით“ დაინყო მუშაობა. რამდენიმე კილომეტრის (დახლოებით 40-60) გავლის შემდეგ, ძრავას მუშაობა გამო-სწორდა და ჩეკებიც ჩაქრა. ასე გრძელდება 2-3 თვეა. ისიც შევამჩნიე, ეს ემართება მხოლოდ ქალაქში პატარა ბრუნებისას. შორ გზაზე რამდენჯერაც წავსულვარო, თუნდაც 600 კილომეტრი დაფარაო, არასოდეს ემართება მსგავსი რამ. მე უფრო სანავის ფილტრი შევანია. შევიძინე კიდევ, მაგრამ ჯერ არ შემიცვლია. რისი ბრალი შეიძლება იყოს, ან იქნებ მითხრათ ვინმეს ნომერი, ვის მიემართო?

ნუ ივლი მანქანით შენს მგარეველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.
მისაილ შუმახერი

პასუხი: რისი ბრალიც არ უნდა იყოს, რადგან კომპიუტერმა ერთხელ მაინც დააფიქსირა პრობლემა და ჩეკი ანათო, ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერმა ამ პრობლემის შესახებ იცის. თუ უფრო ჩაუღრმავდებით, შეიძლება, რომელიმე სენსორი დააფიქსიროს და მართლაც რომელიმე ფილტრი იყოს გამოსაცვლელი. მაგრამ, როგორც მინიმუმ, პრობლემის წარმოშობის წყაროს მაინც მიგვანიშნებს, რის შემდეგაც, კარგი ხელოსანი უკვე მარტივად მიხვდება რეალურ მიზეზს და გამოასწორებს კიდევც. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, გირჩევთ, მიმართოთ „თეგეტა მოტორსს“, ვინაიდან იქ აქვთ სპეციალური კომპიუტერი და არის ხელოსანი (ანატოლი), რომელიც კარგად ერკვევა ამ ტიპის პრობლემებში.

კითხვა: შევიძინე 2002 წელს გამოშვებული „მიცუბინი მონტერო“, 3.5-იანი ბენზინის ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. ავტომობილში შესაცვლელია როგორც კოლოფის, ისევე ძრავის ზეთი. რომელ ზეთს მიირჩევთ? გაითვალისწინეთ, რომ ავტომობილი ჩამოყვანილია კოლუმბიიდან.

პასუხი: ჩემი ინფორმაციით, დღესდღეობით, ორიგინალი ზეთები პირდაპირ ქარხნებიდან ჩამოტანილი აქვს „რეინოლს“ (გერმანული ზეთი), რომლის სანყობი „რადიო ფორტუნას“ შენობის ეზოშია, ასევე, იაპონური „ენოსი“, რომლის სანყობის აგლადის 39 ნომერში მდებარეობს კომპანია „პრემიქსის“ სანყობში. ჩემი რჩევაა, სხვა არჩევნის შემთხვევაშიც, ზეთი სანყობიდან იყოლოთ, პირდაპირ მსხვილი შემომტანისგან. ზეთი ძალიან ფაქიზი თემაა, რადგან მისი ფაქტობრივად ალერგია ვითარდება ხორციის ცილაზე და ის მკაცრად ინდივიდუალურია, რადგან, შეიძლება, ერთ ცხოველს საქონლის ხორცზე ჰქონდეს ალერგია, მეორეს კი – თევზზე. რაც შეეხება ალერგიას გარემოში არსებულ სხვადასხვა ნივთიერებებზე (ატოპიური დერმატიტები), გავრცელების მიხედვით ის მეორეა როგორც წესი, აღნიშნული ტიპის ალერგიების პირველადი გამოვლინება ხდება 10 თვიდან 3 წლის ასაკამდე.

კითხვა: მაინტერესებს, რომელია ყველაზე გავრცელებული ალერგია ძაღლებში?

პასუხი: ყველაზე გავრცელებულია ტკიპის ნერწყვზე ალერგია; ასევე, ალერგია გარემოზე, სადაც ცხოველი იმყოფება და საკვებისმიერი ალერგიები. მათ შორის, ყველაზე უფრო ხშირია ტკიპის ნერწყვზე ალერგია. სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება მისი ობიექტური შეფასება, რადგან ამ დროს, შეიძლება, ცხოველის ორგანიზმზე ვერ აღმოვაჩინოთ ტკიპა. საქმე ისაა, რომ ალერგიული რეაქციის ჩამოყალიბებაში საკმარისია ტკიპის ერთი კბენა, რაც, შეიძლება მოხდეს ცხოველის გასეირნების დროსაც. ეს, შესაძლოა, აიხსნას იმიტომაც, რომ ხშირად ცხოველები იმყოფებიან ერთსა და იმავე გარემოში და მათზე პარაზიტობენ ტკიპები. არც ის არის გამორიცხული, რომ ორი ერთად მყოფი ცხოველიდან ალერგია ერთს განუვითარდეს, მეორეს კი არა. საკვებისმიერი ალერგები ყველაზე იშვიათია ალერგიებს შორის. მათი განვითარებისთვის იმუნურ სისტემას სჭირდება გარკვეული დრო, ამიტომ, არასწორია აზრი, რომ საკვებისმიერი ალერგია შეიძლება განვითარდეს ახალი პროდუქტების მიცემის შედეგად. პირიქით სრულიად ახალ ცილას არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე რეაქცია და ზუსტად ამიტომ გამოიყენება ის ალერგიული დაავადებების სადიაგნოსტიკოდ. შედარებით უფრო

სხირად ალერგია ვითარდება ხორციის ცილაზე და ის მკაცრად ინდივიდუალურია, რადგან, შეიძლება, ერთ ცხოველს საქონლის ხორცზე ჰქონდეს ალერგია, მეორეს კი – თევზზე. რაც შეეხება ალერგიას გარემოში არსებულ სხვადასხვა ნივთიერებებზე (ატოპიური დერმატიტები), გავრცელების მიხედვით ის მეორეა როგორც წესი, აღნიშნული ტიპის ალერგიების პირველადი გამოვლინება ხდება 10 თვიდან 3 წლის ასაკამდე.

კითხვა: მყავს 9 თვის ძაღლი. ოჯახის წევრები ზაფხულის დადგომისთანავე ქალაქარეთ გამგზავრებას ვვგეგმავთ და, გვინდა, ძაღლიც თან წავიყვანოთ. მაინტერესებს, რა უნდა გავითვალისწინოთ, ანუ, როგორ ვამგზავროთ ის?

პასუხი: პირველი რჩევა ის იქნება, რომ გამგზავრების წინ არაფერი აჭამოთ, რადგან, გადაადგილების დროს, შეიძლება, მას გული აერიოს. ეს ინდივიდუალურად ხდება. ისევე, როგორც ადამიანის შემთხვევაში, ზოგი მგზავრობას ჩვეულებრივად იტანს, ზოგი კი – პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ შორს არ მიემგზავრებით და გზაში რამდენიმე საათის გატარება არ არის საჭირო, მაშინ თქვენს ძაღლს განსაკუთრებული მზრუნველობა არ დასჭირდება. კარგი იქნება, თუ დილით ადრე ან საღამოს გამგზავრებით, რათა სიცხე თქვენს ცხოველს დისკომფორტი არ შეუქმნას ან სხეულის გადახურება არ გამოიწვიოს. უმჯობეს-



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მავსულ მელაქა

შურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:
* დაფიქრდით, სანამ დაინებთ ავტომობილის მართვას;
* ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;
* ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;
* მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;
* გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

იცირება იოლია და ძრავის ან სიჩქარეთა კოლოფის დაზიანების შემთხვევაში, ვერავის შეედავებით.

მომზადდა სალომე გველანიანმა

ვეტერინარის რჩევები

კითხვა: მაინტერესებს, რომელია ყველაზე გავრცელებული ალერგია ძაღლებში?

პასუხი: ყველაზე გავრცელებულია ტკიპის ნერწყვზე ალერგია; ასევე, ალერგია გარემოზე, სადაც ცხოველი იმყოფება და საკვებისმიერი ალერგიები. მათ შორის, ყველაზე უფრო ხშირია ტკიპის ნერწყვზე ალერგია. სამწუხაროდ, ხშირად არ ხდება მისი ობიექტური შეფასება, რადგან ამ დროს, შეიძლება, ცხოველის ორგანიზმზე ვერ აღმოვაჩინოთ ტკიპა. საქმე ისაა, რომ ალერგიული რეაქციის ჩამოყალიბებაში საკმარისია ტკიპის ერთი კბენა, რაც, შეიძლება მოხდეს ცხოველის გასეირნების დროსაც. ეს, შესაძლოა, აიხსნას იმიტომაც, რომ ხშირად ცხოველები იმყოფებიან ერთსა და იმავე გარემოში და მათზე პარაზიტობენ ტკიპები. არც ის არის გამორიცხული, რომ ორი ერთად მყოფი ცხოველიდან ალერგია ერთს განუვითარდეს, მეორეს კი არა. საკვებისმიერი ალერგები ყველაზე იშვიათია ალერგიებს შორის. მათი განვითარებისთვის იმუნურ სისტემას სჭირდება გარკვეული დრო, ამიტომ, არასწორია აზრი, რომ საკვებისმიერი ალერგია შეიძლება განვითარდეს ახალი პროდუქტების მიცემის შედეგად. პირიქით სრულიად ახალ ცილას არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე რეაქცია და ზუსტად ამიტომ გამოიყენება ის ალერგიული დაავადებების სადიაგნოსტიკოდ. შედარებით უფრო



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქარო ბაჟიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა. ჯეიმს ლუგლანი

ია, მგზავრობის დროს ძაღლი უკანა სავარძელზე მოათავსოთ და მისაბმელით დააფიქსიროთ. ეს ყველაფერი იმიტომ არის საჭირო, რომ მკვეთრი დამუხრუჭების შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი ინციდენტი აიცილოთ თავიდან. ასეთ დროს, თუ ძაღლი დაბმული არ არის, შესაძლოა, ინერციით წინ გადმოვარდეს და ან, თქვენ დაგეჯახოთ, ან თავად შეეჯახოს საქარე მინას და საფრთხეში აღმოჩნდეს.

მომზადდა მარიკა ხიღურაძემ



გინდათ, გაიგოთ, რა ანუხებებს თქვენს ძვირფას მეორე ნახევარს? არაფერი ჰკითხოთ, უბრალოდ, კარგად დააკვირდით, როგორ იქცევა. ოთხი ვარიანტიდან შეარჩიეთ ერთი მდგომარეობა, რომელიც, ბოლო დროს თქვენი მეორე ნახევრისთვის ბუნებრივად იქცა. მერე ნახეთ შედეგი.

საღამოობით ის:

1. რალაცას ათამაშებს ხელში მუდმივად და ფიქრებით აშკარად შორს არის.
2. მოუსვენრად წრიალებს და ხშირ-ხშირად მიდის ფანჯარასთან.

3. ცდილობს, იქ იყოს, სადაც მეტი სიტბოა.

4. ურჩევნია, იჯდეს სავარძელში მდუმარედ და კონტაქტში არ შევიდეს.

ანუ, რა ხდება?

1. ასეთ ადამიანებს არ ჰყოფნით კონტაქტი ახლობლებთან – შეიძლება, თქვენ შორის კრიზისი დადგა. სასწრაფოდ რამე უნდა მოიმოქმედოთ ურთიერთობის გადასარჩენად. ეს ის შემთხვევაა, როცა პრობლემა პარადოქსულად უნდა გადაჭ-

რასია პრობლემა?!

რათ. მეტი იფიქრეთ არა ოჯახურ ცხოვრებაზე, არამედ კონკრეტულად მასზე. შეეცადეთ, რაიმე საერთო გასართობი მოძებნოთ.

2. არსებობენ ადამიანები – ძირითადად მეოცნებეები, რომლებსაც თავიანთი



სამყარო აქვთ. მათი ინტერესების სფერო შეზღუდულია და მკაცრად შემოფარგლული. თუმცა, ანუხებთ ოთხ კედელს შუა

ყოფნა და ზოგიერთი საერთოდ მიდის ოჯახიდან. საშიშროება რეალურია. აუცილებლად დაელაპარაკეთ მას და აპყვეით ყველაზე გიჟურ წამოწყებაშიც კი.

3. მას უყვარს სიმყუდროვე და აფასებს კიდევ. თუ ასე იქცევა, ესე იგი, სიმყუდროვის დეფიციტი აქვს. განიცდის დისკომფორტს. მეტი ყურადღება მიაქციეთ, კონკრეტულ მიზეზებს. ფაქტია, რომ რალაც არ მოსწონს.

4. პრობლემა – არასაკმარისი პირადი სივრცე. იმ ოჯახებშიც კი, სადაც სრული ჰარმონია და გაგებაა, ყველას უნდა ჰქონდეს რალაც კონკრეტულად თავისი. თუ ასე იშვიათად იქცევა, კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ თითქმის ყოველ საღამოს ასეთია, დროა, განვაშის ზარებს ჩამოვკრათ. უნდა ჰკითხოთ, რატომ აღარ უხარია თქვენთან ურთიერთობა.

ზოგჯერ ასეთი საუბარი შევლის.

მკვლელობა

მდინარე ინდის ტერიტორიაზე 4-5 ათასი წლის წინ უძველესი ცივილიზაცია არსებობდა, რომელიც გვალვის შედეგად მთლიანად განადგურდა.

ამ დასკვნამდე კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევრები მივიდნენ, რომლებმაც განადგურებული ქალაქების ნარჩენები შეისწავლეს. ასევე, აიღეს სინჯები ამომშრალი ტბის ფსკერიდან, თანამედროვე დელის სიახლოვეს. ეს ჭეშმარიტად ეკოლოგიური კატასტროფა იყო. ძლიერი გვალვების მთელი ციკლი 200 წლის განმავლობაში გრძელდებოდა და პირისაგან მინისა აღგავა განვითარებული მეგაპოლისი, მრავალრიცხოვანი მაცხოვრებლებით. კატასტროფის შედეგებთან ბრძოლა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეს ცივილიზაცია მიჩნეულია შუმერული ცივილიზაციის თანასწორად. სულ დედამიწაზე სამი უძველესი ცივილიზაცია არსებობდა: შუმერული, მესოპოტამიის და ნილოსის დაბლობზე და ზემოხსენებული ხარაპის ცივილიზაცია მდინარე ინდის ტერიტორიაზე.

ყველაზე კვილი ყვილი

ჩილეში, როცა ტაკლა-მაკანის სამარხი გახსნეს, მუმიებს შორის ყველის ნარჩენებიც იქნა აღმოჩენილი, რომელიც 3 500 წლით თარიღდება. მეცნიერებს ჯერ კიდევ უჭირთ, დანამდვილებით თქვან, რატომ ადებდნენ ყველის ნაჭერს მკერდზე მიცვალებულს. შეიძლება, ეს იყო ძღვენი, რომელიც გარდაცვლილს იმკვებდა საკვლ გზაზე გამოადგებოდა. სამარხში ბუნებრივად არსებულმა პირობებმა ყველი საკმაოდ კარგად შემოინახა. იმდენად კარგად, რომ მკვლევრებს საშუალება აქვთ, ამ ყველის რეცეპტიც კი შეისწავლონ. ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ უძველეს დროში ყველის დამზადებისთვის არ იყენებდნენ ყველის ფერმენტს, ეგრეთ წოდებულ რენინს. ყველის შედგენისთვის ისინი იყენებდნენ რალაც ხაჭოსებრ მფავას, რომელიც პროდუქტის დამზადებას უწყობდა ხელს.

ეს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ყველაზე ძველი ყველია. აქამდე: პოლონეთის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი ყველის მსგავსი პროდუქტი, რომელიც 7 ათასი წლისაა, დანიის ტერიტორიაზე კი – რძის გადამამუშავებელი მოწყობილობა, რომელიც 5 ათასი წლით თარიღდება.

მაინს ინილიაუი...

კაუჩუკის ხე – გევეია – ბრაზილიაში ხარობს. ადგილობრივმა ინდიელებმა მისი სიკეთეების შესახებ ოდითგანვე იცოდნენ. ისინი „ფეხსაცმელებსაც“ მარტივად შოულობდნენ. უბრალოდ, ჩაყოფდნენ ფეხებს კაუჩუკის ხის წვენში, როცა წვენი შემრებოდა, ფეხებს გადაკრული ჰქონდა წყალგაუმტარი ფენა, რაც ჭაობებსა და მინდვრებში ხეტიალის საშუალებას იძლეოდა.



ულის უქონლობის გამო...

ვეროპელ დამპყრობლებს ეს იდეა ძალიან მოეწონათ. მათ ინდიელების „ფეხსაცმელი“ ევროპაში ჩაიტანეს, სადაც მან ნამდვილი ფურორი მოახდინა. თუმცა, ევრაფერი მსგავსი ვერ დაამზადეს, ნელე-

ულის უქონლობის გამო...

საგნის ვოლუთა

ეს ნივთები უწინაც არსებობდა, მაგრამ, როგორც ადამიანებს, პროგრესი მაინც დაეტყო. ალბათ, ეს ბუნებრივია – ადამიანებთან ერთად, ნივთებიც იცვლება და ვითარდება...

პირველი ნათურა 1814 წელს გაჩნდა და ის საკმაოდ ორიგინალურად გამოიყურებოდა – ბუნებრივია, ელექტრობასთან კავშირი არ ჰქონდა. ინგლისელები გასანათებლად კარბიდს იყენებდნენ. ნათურა კი ხისა და შუშისგან იყო დამზადებული.

1874 წელს რუსებმა შუშისა და ლატუნისგან დამზადეს ნათურა, რომელიც ნახშირის საშუალებით ანათებდა.

1967 წელს უკვე ელექტრონათურაც გაჩნდა. საბჭოთა კავშირი ამ საქმეში ნოვატორობას იჩემებდა – მასალად ვოლფრამი და შუშა გამოიყენეს.

შარშანდელი ნოუჰაუა იაპონური – ტყვიისა და პლასტმასისგან დამზადებული ნათურა დიოდური ნათებით, მსუბუქი და ლამის მუდმივი.

გვერდი მოაზრდა
ილია ნულუკიძე



საუბრი ქვერივები

პრემ ბრინი



ანტიბიოტიკების თებერვალი იდგა. გრიმალდის ციხე-კოშკის დიდ ტერასაზე მშვენიერი კაფე იყო მონყობილი, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა მისტერ დალასს. ამერიკულ ფრანგს ცოლი ამერიკელი ჰყავდა. ნიცაში სწორედ მას გამოექცა, რადგან ბოლო დროს ურთიერთობა დაეძაბათ. ქალი, რომელიც აეროპორტში ძალიან მოეწონა, ტაქსიმ სწორედ გრიმალდის ციხე-კოშკში მიიყვანა.

კაფეს სიღრმეში, მაგიდასთან, ზორბა ქალბატონი იჯდა, ძვირფას შავ სამოსელში გამოწყობილი. მან თმის ძირებიდან ფეხის თითებამდე ამრეზით შეათვალიერა მისტერ დალასი და თითქოს თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა. მისტერ დალასმა ტანსაცმელზე დაიხედა... ფეხსაცმელები ტალახით ჰქონდა მოსვრილი და ამის გამო უხერხულობა იგრძნო. ქალმა ამრეზით მიაბრუნა თავი...

ყავა რომ მიუტანეს, მადამ ვოლიე მაშინ გამოჩნდა, მაღალი, შავი ტალღოვანი თმითა და მწვანე თვალებით გასაოცრად მშვენიერი იყო.

შავი, ტანზე შემოტმასნილი შარვალი და ღვინისფერი, მსხვილად ნაქსოვი ჯემპრი ეცვა. მისტერ დალასს ლამის სუნთქვა შეეკრა, მაგრამ, ვოლიე მივიდა და ზორბა ქალბატონის გვერდით დაჯდა. მათ რამდენჯერმე გამოხედეს მისტერ დალასს, მერე კი თითქოს საერთოდ დაივიწყეს მისი არსებობა. თუმცა, თავიდან მაინც ჩუმად ლაპარაკობდნენ. მერე თითქოს კომპლექსები მოიხსნეს, ხმა მაღლა ალაპარაკდნენ.

– დამშვიდდი და დაივიწყე ყველაფერი. მე ხამანკები და საფირმო შოკოლადი შეეუკუქვითე. ხომ იცი, რომელიც.

მადამ ვოლიემ თავი გააქნია:

- საერთოდ არ მაქვს მადა.
- ეს არ არის პრობლემა. ცოტა ღვინოც დავლიოთ და მადაც გაგეხსნება. თუ გინდა, ხამანკები დესერტად შემოვინახოთ, მანამდე კი სისხლიანი ბიფშტექსი მივირთვათ. ნახე, „პორტო“ მოვატანინე, ფანტასტიკური გემო აქვს. ისეთი არომატულია...

– როგორ ზრუნავთ ჩემზე... როგორ მიხარია, რომ მოგაგენით და გაგიცანით. თქვენ მე გადამარჩინეთ.

„ამ ლამაზმანს პრობლემები ჰქონდა? ოჰო!“

– მისტერ დალასმა ყურები დაქვიტა.

– ჩვენ ახლა დავლევთ, გემრიელად ვივასშებთ და ყველა უსიამოვნება დაგვაგინყვდება. მე არაჩვეულებრივად მესმის, რა მდგომარეობაში ხართ ახლა – მეც ხომ დავკარგე საყვარელი ქმარი, – თეატრალურად ამოიხარა სქელმა ქალბატონმა.

– სიკვდილი ადვილი გადასატანი ყოფილა... იმის დავიწყება გაცილებით რთულია, რომ ის პატარა, კუდიანი უყვარდა, უგემოვნო და სახიზლარი არსება...

– მინდა გითხრაო, თქვენს ქმარსაც არ ჰქონია კარგი გემოვნება, – მრავალმნიშვნე-

ლოვნად ჩაილაპარაკა სქელუამ და ღვინო მოსვა.

– სწორედ ამას ვეუბნებოდი მეც, მაგრამ, არ ვაჩერდა და ვერც მოისვენა, თავი არ დანება. ჩემმა კრიტიკამ მის თავმოყვარეობაზე არ იმოქმედა. მაგრამ, მე მიყვარდა ის და ვერ ვიქნებოდი კეთილგონიერი.

– ამას ვინ გეუბნება, საყვარელო? – აროხრობდა ქალი და მთელი სხეულით აზანზარდა, – ისე, მეც ვალმერთებდი ქმარს. როგორ გგონიათ?! უკიდურეს ზომამდე სწორედ სიყვარულმა მიმიყვანა. მაგრამ, მერე ვიფიქრე და მივხვდი, რომ ყველა მოვალეა მე დაიხსნას. მისი საქციელის გამო თავს უსარგებლო ნარჩენად ვგრძნობდი. როცა ჩემი ქმარი ნაწილებად ინფარქტით დაიღუპა, როგორც თქვენი ძვირფასი მეუღლე, საკუთარ თავს ვუთხარი: „გამაგრდი! შენ სწორად მოიქციე!“ ხედავ? სიცილიც ვისწავლე და მადასაც არ ვუჩირო...

გამოჩნდა ოფიციალტი და სქელუა მადამი გაჩუმდა. არც მადამ ვოლიეს ამოუღია ხმა ჩუმად ადევნებდნენ თვალს ალზე ბიფშტექსის მომზადების მთელ პროცედურას. მისტერ დალასმა ყურადღება დაძაბა. ქალების საუბარი სულ უფრო საინტერესო ხდებოდა, თან, რაღაც უსიამოვნო წინაგრძობა თუ შეგრძნება დაეუფლა. თუმცა, მადამ ვოლიეს თვალის ჯადოსნური ხიზლი ამით მაინც ვერ დაიჩრდილა. ასეთი ლამაზი ქვრივის ხელიდან გამეფა როგორ შეიძლებოდა...

– მიერთვი, ძვირფასო, უგემრიელესია, – თქვა სქელუამ და ჩანგალი ნაზად მიიტანა პირთან, – მამაკაცები ცნობისმოყვარე ცხოველები არიან, ცხოველი კი წარმოსახვის უნარი არის მოკლებული. მეც სწორედ ამაზე ვაფიქსირდები, როგორც ნახეთ, უშეცდომოდ... მაგრამ, თქვენ მართლა არაფერს ჭამთ, საყვარელო, ასე არ შეიძლება. ისეთი ლამაზი ხართ, ცხოვრებაც წინ გაქვთ... მით უმეტეს, რომ უკვე მდიდარიც ბრძანდებით... გაიხსენეთ ის მომენტები, როცა განსაკუთრებით გაბეზრებულად თავს.

– ჰო, ზოგჯერ სრულიად აუტანელი იყო. დაუსრულებლად ლაპარაკობდა პოლიტიკაზე. ყიოდა, როგორც მამალი და ხეიხინებდა, როგორც ცხენი...

– სწორედ, სწორედ... თუმცა, ცხენივითაც შრომობდა და თქვენ ეს ახლა ძალიან ნაგად-

გებათ... მაგრამ, იფიქრეთ მასზე, როგორც არარაობაზე.

– ჰო, ასე ვიზამ. რა კარგია, რომ აქ ჩამომიყვანეთ. თქვენთან საუბარი, ძალიან მშველს.

– ჩემს კლუბშიც განვერიანდებით?

– აუცილებლად. მე ხომ მაგ კლუბის სამუშაოებით მოვაგენით. რა მემგელეობდა უთქვენოდ?

– ოო, ძალიანაც ნუ აჭარბებთ ჩემს მნიშვნელობას. კლუბი კი მართლაც კარგი რამეა. საინტერესო რამეებს ვგვემაგ. „უნუგეგმო ქვრივების კლუბი“ – კარგად უღერს, ხომ?

მადამ ვოლიემ თავი დაუქნია.

– ჩვენ ხომ ვართ უნუგეგმო ქვრივები? – სქელუამ გადაიხარხარა, – ხომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მე გეუბნებოდი?

– ო, დაახ. ტკივილები ნელ-ნელა უძლიერდებოდა და კუჭის ატკივებიდან მეშვიდე დღეს გარდაიცვალა. ეჭვიც არავის შეჰპარვია, რომ ყველაფერი შოკოლადი იყო დამნაშავე.

– დაახ, ჩემი შოკოლადი განსაკუთრებულია... თან, როგორი შეფუთვა აქვს?! მიყვარს ყველაფერი ხარისხიანი და განსაკუთრებული. იმდენად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში, რომ პრობლემა არ მაქვს, ლეტზე ჩემი სახელი ამოვაქარგინო. „მადამ დეჟუა“ – ეს ჩემი სავიზიტო ბარათივით არის. მიხარია, რომ კიდევ ერთი მშვენიერი კარგა და დაეხსენი მოვალეა ცხოველის კლანჭებიდან და, იმედი მაქვს, კიდევ არაერთს დაეხსენი. მალე კიდევ შეგვემატება ერთი... გაგვიმარჯოს! – მადამ დეჟუამ ღვინის ბოკალი ასწია და თანამესუფრეს თვალი ჩაუკრა...

როცა სქელუამ შოკოლადი ახსენა და საკუთარი გვარიც გარკვევით წარმოთქვა, მისტერ დალასს შუბლზე ციგმა ოფლმა დაასხა. გაახსენდა, როგორ მიიღო შოკოლადის ანაწილი მისმა ცოლმა ოთხი დღის წინ და ის ბავთაც თვალწინ დაუდგა, რომლითაც შოკოლადის კოლოფი იყო შეკრული... მადამ დეჟუა... ესე იგი, მისი გახშირებული კუჭის ტკივილები შემთხვევითი არ არის და მასაც სიკვდილი ელის?! უსუსურობის განცდამ ლამის გააგია, ხელები აუკანკალდა და გონებადაკარგულმა სკამიდან იატაკზე მოაძინა ბოკალი... ქვრივებმა მხოლოდ გაიხედეს იატაკზე დაცემული კაცის მხარეს და მადამ დეჟუამ ხელით ოფიციალტი მოიხმო...

თარგმანი
ნიკო ნულუკიძე



თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

შპს „თბილისის ონკოლოგიური ეისპანსანი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.

მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუგლიანას №5, მაოთხა საბურთალო. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“
2 364485, www.cancer.ge



ქალური პერისკიპა

გაგრძელება. დასაწყისი
ნ. თბილისელები №1-14(693)

დუმბილი, ალბათ, სულ ნახევარი წუთი გაგრძელდა, მაგრამ, ელენემ ველარ მოითმინა. ადგა, მივიდა ნანიტასთან, თავისკენ შემოაბრუნა და თვალელები ჩახედა. ნანიტამ თვალები დახარა და ძალიან მოუხდა ტირილი,



მაგრამ, რატომღაც, ერთი ცრემლიც ვერ გადმოაგდო, არადა, მთელი სხეული და სული უკვნივსოდა.

– გცემა? – ძალიან ჩუმად ჰკითხა ელენემ.

ნანიტამ ნელა გააქნია თავი და დაქალს თვალელებში შეხედა.

– აბა, რა გჭირს, გამაგებინე! – თითქმის იყვირა შემინებული ელენემ და მკლავში ხელი ჩაავლო, – მე რას მიმალა?

– ვაი! – წამოიკივლა ნანიტამ, მეგობარს ხელი გააშვებინა და ხელისგულით მკლავი დაიზილა.

ელენემ რალაც იაზრა. უცერემონიოდ აუნია ნანიტას სახელოები და, რამდენიმე ადგილას სისხლჩაქცევა რომ დაინახა, თავისებურად გაუტია:

– აბა, ეს რა არის, გოგო! ესენი საიდან გაეჩინდა? რატომ მიმალა? ისევ აინყვიტა იმ პირუტყვმა, იმ სირმა, იმ პიდარასტმა? ისე გცემა, ლამის დაგასახიჩრა და შენ მაინც ხელს აფარებ? რა გინდა, მოგკლას მაინცდამაინც?! ახლავე ჩაიცვამ და პოლიციასში წამომყვები! თუ უარს იტყვი, ან გაგკოჭავ და ისე წავათრევ, ან საერთოდ უარს ვიტყვი შენთან მეგობრობაზე და, რაც გინდა, ის ქენი, მაგრამ, ჩემი სახელი აღარ ახსენო! – ელენე დაილალა, სკამზე ჩამოჯდა და ისე ჰკითხა: – რითი გცემა? ოღონდ, სიმართლე მითხარი, იცოდე!

– არ ვუცემივარ, – რატომღაც, აუღელვებლად უპასუხა ნანიტამ.

– აბა, რა გჭირს, კიბზე ფეხი ჩაიცვდა და მეთუ სართულიდან გორაობით ჩახვედი სადარბაზომდე?

– სიმართლე გითხრა, სწორედ იმიტომ დაგებარე, რომ ყველაფერი მოგიყვებოდა და მე...

ელენემ წინადადება აღარ დაასრულებინა, წამოდგა, ხელები და სახე კარგად დაუთვალიერა და სიბრაღულით შეხედა:

– რატომ აფარებ ხელს?

– არ ვაფარებ, მართლა არ ვუცემივარ, – ნანიტამ სახელოები ჩამოინია და სალათის ჯამი აიღო ხელში, – აქვე დავსხდეთ თუ ოთახში გავიტანო ყველაფერი?

– გოგო, შენ სულ გამოგაშტერა იმ შენმა იდიოტმა ქმარმა თუ თავიდანვე ასეთი იყავი და ვერ გამჩნევდი? რა დროს ჭამა-სმა, ლამის ჭკუიდან გადავდგი! თუ არ უცემის არ, აბა, ეს ჰემატომები საიდან გაქვს? გამოტყდი, რომ მიგხვდი და გერიდება, აღიარო.

– ვერ მიხვდი და ვერც ვერასოდეს მიხვდები, – ისევე ჩუმად თქვა ნანიტამ და უღონოდ დაეშვა სკამზე.

– ანუ, შენ გინდა, თქვა, რომ ეს ყველაფერი იმ იდიოტის წამოქმედარი არ არის? – დაეჭვდა ელენე, თვითონაც ჩამოჯდა სკამზე და სიგარეტს მოუკიდა, – ამოშაქრე, რა გჭირს, სანამ გული არ გამსკდომია!

ნანიტამ ღრმად ჩაისუნთქა, მთელი ძალები მოიკრიბა, თვალელებში შეხედა მეგობარს და თითქმის ჩვეულებრივი ხმით უთხრა:

– გამაუპატიურა.

ელენესთვის იმდენად მოულოდნელი იყო ეს პასუხი, რომ წესიერად ვერც კი გაიაზრა ნანიტას ნათქვამი და გაოცებულმა ჰკითხა:

– ვინ? ვინმე შემოგივარდა სახლში?

– დიმიტრიმ, – ისევე თითქმის მშვიდად თქვა ნანიტამ.

– გოგო, შენ მე მადებოლებ თუ რაშია საქმე? რას ჰქვია, გაგაუპატიურა?

– დიაზეპამი მქონდა დალეული და ღრმად მეძინა. როგორც ჩანს, ნასვამი მოვიდა სახლში და...

– მოიცა, მოიცა! ახლა დავსხდეთ, ყველაფერი თავიდან ბოლომდე მომიყვივი და მერე ვაგარჩიოთ ეს საქმე, ოღონდ, მანამდე დიდი ჭიქით გამოიკეთე ყავა, რომ მართლა გული არ წამივიდეს.

ნანიტამ სასწრაფოდ მოადულა ყავა, ორ დიდ ფინჯანში ჩაასხა, სიგარეტიც დადო მაგიდაზე და დაქალს წინ დაუჯდა.

ელენემ ახალ სიგარეტს მოუკიდა, სკამზე კომფორტულად მოეწყო და მოსასმენად მოემზადა.

– არც კი ვიცი, როგორ დავინყო, – ნანიტამ უცბე უხერხულობა იგრძნო და განითვალდა.

– პირდაპირ დაინყე, მიდებ-მოდების გარეშე, ასე უფრო გაგაიღვილებოდა, – გამაზნევა ელენემ და ხელზე მოეფერა.

– კარგი, შევეცდები, – ნანიტამ თვალელები დახუჭა, რომ დაქალის დაჟინებულ მზერას „დამალოვდა“ და ჩუმად თქვა: – ნუხელ დიმიტრიმ გამაუპატიურა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით... ეს სისხლჩაქცევებიც იმიტომ მაქვს...

– როგორ, მოვიდა, მაშინვე გეცა და ტანსაცმელი შემოგახია?

– ასე უფრო სხვა დროს მოქცეულა, ამჯერად კი მეძინა – დიაზეპამი მქონდა დალეული, რადგან, დაძაბული საუბარი გვექონდა და აღელვებული ვიყავი.

– რა საუბარი?

– ერთი კვირის წინ ვუთხარი, გეყრები მეთქი.

– როგორც იქნა, გაბედე და გადანყვიტე?

– გაბედე, მაგრამ, ხომ ხედავ, რა ძვირად დამიჯდა.

– ჰო, ეგ ძალიან ცუდია, მაგრამ, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

– ალბათ, მართალი ხარ. ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა გააკეთოს ადამიანი სწორი არჩევანი და გადაწყვეტი ნაბიჯი გადადგას, რადაც არ უნდა დაუჯდეს.

– კიდევ კარგი, მიხვდი.

– მიხვედრილი კი ვიყავი, მაგრამ, გამბედაობა არ მყოფნიდა. თანაც, ბავშვები...

– რა ბავშვები, გოგო, ნუ გადამრიე! რა ჯობია ბავშვებისთვის, მშვიდად იცხოვრონ დედასთან ერთად და კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ ან თუნდაც წელიწადში ერთხელ ნახონ თვიანთი პირუტყვი მამა, მაგრამ, გაყრილი მშობლების შვილები ერქვათ...

– დანგრეული ოჯახის, – შეუსწორა ნანიტამ.

– ჰო, თუნდაც ასე იყოს, – განაგრძო ელენემ იმავე პათოსით, – თუ, ოცდაოთხი საათი, წელიწადი თორმეტი თვე იმას უყუ-



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
ღამთავრდა,
ჩარიხისი ღამთავრდა
და არჩევნები ღამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ბორჯომის სტანდარტით
განისა ბალაფონის ზარები:
ალო,
მიხა მიხა
7 მილიონი მაქ
ალო,
ბალაზია მიხა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მიხა
500 000 მაქ
ალო.....

მარიკა 599 24 28 31



რებდნენ და ისმენდნენ, როგორ სცემს და აგინებს საყვარელი მამიკო დედას და, საბოლოო ჯამში, ნევრასთენიკებად ჩამოყალიბდნენ, ან, სულაც, გაბოროტდნენ და პროტესტის ნიშნად რამე საშინელებები ჩაიდინონ?!

- მაგრამ...
- ვიცი, რასაც მეტყვი. ვიცი, რომ არც პირველი ვარიანტია იდეალური, მაგრამ, მეორეს ნამდვილად სჯობია.
- გეთანხმები, მაგრამ...
- რა „მაგრამ“ აგიტყდა, გოგო, ნუ გამაგჟექ! რა, ხომ არ გადაიფიქრე?
- შენ ყველაფერი არ იცი... რომ იცოდე, რაები მაქვს გადატანილი... - გული ამოუფუცა და ნანიტას და ხმამაღლა ატირდა.
- გეხვეწები, დამშვიდდი, როგორმე აიყვანე თავი ხელში.
ნანიტა სლუკუნით ჩაეკრა გულში მეგობარს და როგორც იქნა, დაწყნარდა. ცრემლები მოიწმინდა, უცებ ადგა და პატარა ბარიდან ბოთლით კონიაკი გამოიღო.
- დალევა მოგიწინა? - თანაგრძნობით ჰკითხა ელენემ.
- ჰო, სიმწვეისთვის, - სევდიანად გაილიმა ნანიტამ და კონიაკი სირჩებში ჩამოასხა, - შენც ხომ დალევ?
- დავლევ, ოღონდ, ყველაფერი მომიყევი, გულში არაფერი ჩაიტოვო, თორემ, დაგტანჯავს. ამას ცნობისმოყვარეობის გამო კი არ გეუბნები, უბრალოდ, საკუთარ თავზე მაქვს ეს გამოცდილი. თან, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევ და, ხომ იცი, ჩემსავით ვერაზინ გაგიგებს.
- ვიცი და ამიტომაც დავიბარე, - თქვა ნანიტამ და კონიაკი გადაკრა, - მინდა, აბსოლუტურად ყველაფერი ვიამბო და რჩევა-ც და, შეიძლება, დახმარებაც გთხოვო.
- გისმენ, - საქმიანი სახე მიიღო ელენემ, - ოღონდ კი რამეში გამოგადგე, ოღონდ შენს სახეზე ტანჯვა და ტკივილი აღარ დაეწინასხო.
- მოკლედ, საქმე ასეა: დაახლოებით ერთი კვირის წინ, დიმიტრი სახლში რომ მოვიდა, ვუთხარი, რომ გაყრახე შევიტანე განცხადება.
- მართლა შეიტანე?
- ჰო.
- მერე, რა რეაქცია ჰქონდა?
- თავი არ გაუგოებია. თავისი ნივთები ჩალაგა და აგარაჟზე ავიდა - პარტნიორებთან მაქვს საქმიანი შეხვედრაო.
- თუ - ბოზებთან?
- არ ვიცი და აღარც მაინტერესებს.
- მერე?
- ახლა ისეთ რამეს გეტყვი, სკამზე მყარად დაჯექი, თორემ, გადმოვარდები.
- მაინც, რა არის ასეთი? - დაინტერესდა ელენე.
- აბა, გამოიცანი, ვინ მოვიდა ჩემთან დიმიტრის წასვლიდან სამი თუ ოთხი დღის შემდეგ?
- აზრზე არა ვარ... - დაფიქრებით თქვა ელენემ, - გამძლეობაზე ნუ მცდი, რა, გეხვეწები, ვინ მოვიდა?
- გუგა...
- ვინ?! - სიგარეტი ხელიდან გაუვარდა ელენეს.
- გუგა მოვიდა.
- კაიფში იყო?
- არა, მაგრამ, ვერ იცნობ, ისეა განადგ-

ურებული.
- შენი მისამართი საიდან გაიგო?
- ჩემი მისამართის გაგებას რა უნდოდა. ხომ იცოდა, დიმიტრი სადაც ცხოვრობს...
- ჰო, ეგ აღარ მომეფიქრდა. მერე, რა მინდაო?
- ახლა უფრო გაგიუბები, რომ გაიგებ.
- ფული გთხოვა?
- არა, თავიდან მეც ასე მეგონა, მაგრამ...
- რა „მაგრამ“, ნუ ამომხადე სული! - თითქმის უყვირა ელენემ.
- სექსი შემომთავაზა.
ელენემ შესაფერისი შორისდებულები კი ვერ გაიხსენა, გაოგნებისგან ლამის თვალები გადმოუცვივდა ბუდეებიდან და რალაცის თქმას შეეცადა, მაგრამ, სიგარეტის ბოლი გადასცდა და ისეთი ხველა დაეწყო, კინაღამ დაიხრჩო. სული რომ მოიბრუნა, ძლივს ამოიხავლა:
- შენ? შენ რა ქენი?
- დავემუქრე, ახლა რომ დიმიტრი მოვიდეს და აქ განახოს, ცუდი დღე დაგადგება-მეთქი, - ნანიტა გაჩუმდა და ჩაფიქრდა.
- მერე, რა გიპასუხა? - ფიქრებიდან გამოარკვია ელენემ.
- სიცხილი დაიწყო.
- რა აცინებდა?
- რა და... მითხრა, შენთან დიმიტრის ნებართვით მოვედიო.
- რა თქვი? მაღადავებ?!
- არა, მართლა ასე მითხრა.
- მერე?
- მერე დიმიტრისაც და საკუთარ თავსაც სულ ნაძირლები და არაკაცები უძახა, ფურცულზე თავის ტელეფონის ნომერი დამიტოვა - თუ დაგჭირდი, დამირეკო და წავიდა.
- ცუდად არ გახდი? მარტო იყავი თუ სახლში იყვნენ ბავშვები?
- ბავშვები მერე მოვიდნენ. კარგად ნამდვილად არ ვიყავი, მაგრამ, გული არ წამსვლია. ერთი კია - ამ ამბავმა მაიძულა, სხვანაირად დავფიქრებულყავი ჩემს ცხოვრებაზე.
- მერე, რა დასაკვენი? - თანაგრძნობით და ოდნავ ნიშნის მოგებით ჰკითხა ელენემ.
- დავასკენი, რომ სრული იდიოტი ვარ, - აღიარა ნანიტამ და გაეღიმა.
- ერთი რამე უნდა ვკითხო და, შვილებს გაფიცებ, სიმართლე მიპასუხე, - ელენემ ყავა მოსვა და გამომცდელად შეხედა თვალებში დაქალს.
- მკითხე, რაც გინდა, რატომ უნდა დავიმალო?
- ოდესმე გყვარებია შენი ქმარი?
ნანიტამ თავი ჩალუნა და ცოტა ხნის შემდეგ ჩუმად თქვა:
- შენ წარმოიდგინე, მიყვარდა.
- ყველაფრის მიუხედავად?
- ჰო, ყველაფრის მიუხედავად.
- ეს, რალაც, ვერ გავიგე, - ელენემ კონიაკი დაისხა და გადაკრა, - შენ, რა, მართლა იდიოტი ხარ?
- ხომ გითხარი, ვარ-მეთქი. მაგრამ, იმიტომ კი არ მიყვარდა, რომ იდიოტი ვარ, არამედ, როცა რაინდული „პალასა“ ჰქონდა, მაშინ ისე მეტყეოდა, რომ ნამდვილად ბედნიერ ქალად ვგრძნობდი თავს.



- და, ხშირად ჰქონდა ასეთი „პალასა“?
- არც ისე, თუმცა, კარგა ხანს მყოფნიდა ხოლმე.
- მეონი, მართლა იდიოტი ხარ.
- ვარ-მეთქი, ხომ ვალარე.
- მერე რა ქენი?
- როდის მერე? - ვერ მიხვდა ნანიტა.
- გუგას წასვლის მერე, - დაუზუსტა ელენემ.
- განსაკუთრებული არაფერი: ვუვლიდი შვილებს, ვინარჩუნებდი სიმშვიდეს - რა თქმა უნდა, გარეგნულად, რომ ბავშვებს არაფერი შეეცყოთ, ამ ყველაფრის პარალელურად კი სულ ვფიქრობდი, როგორ მოვეცეულიყავი... - ნანიტა ისე გაჩუმდა და ჩაფიქრდა.
- მერე, რა გადაწყვიტე? - მოთმინება არ ეყო ელენეს.
- გადავწყვიტე, გუგასთვის დამერეკა და ყველაფერი დანვრილებით შემეტყო.
რამი გჭირდებოდა დანვრილებით გაგება, რაც უკვე გაგებული და გადატანილი გქონდა, არ იყო საკმარისი?
- ეტყობა, არ იყო. ჩემს ტვინში ერთი ბინძური აზრი მწიფდებოდა, მაგრამ, ამ ნაბიჯის გადასადგმელად რალაც ძალიან ძლიერი ბიძგი იყო საჭირო. თუმცა, რალაცებს უფრო გვიან მიხვდები. მაშინ მეგონა, რომ მხოლოდ ქალური ცნობისმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი, მხოლოდ მერე გავაცნობიერე, რომ ამდენი და თანაც ასეთი ძალადობის მოთმენა და გადატანა აღარ შემეძლო და ამ ყველაფრისთვის ნერტილი უნდა დამესვა.
- ჰო, წარმოუდგენლად მძიმეა, როცა ყოველ წუთს იმის გეშინია, რომ, შეიძლება, ქმარი ხელთ შეგეხოს, თანაც, შვილების თვალწინ.
- ეგ - თავისთავად, მაგრამ ახლა ხელთ შეხება არ მიგულისხმია.
- აბა? - ვერ მიხვდა ელენე.
- ძალადობა.
- მერე, ცემა ძალადობა არ არის?
- არის, მაგრამ, მე სხვა ძალადობას ვგულისხმობ.
- რომელ სხვას? - ისევ ვერ მიხვდა ელენე.
- სექსუალურ ძალადობას.
- შენ გინდა, თქვა, რომ ეს არაერთხელ მომხდარა? - ძლივს ჩასწვდა ელენე ნანიტას სიტყვების მნიშვნელობას.
- ჰო, არაერთხელ, ოღონდ, ეს ყველაზე საშინელი იყო... - ნანიტამ სახეზე აიფარა ხელები და კარგა ხანს იჯდა ასე, მერე გაცივებული ყავა მოსვა და მეგობარს უკვე მტკიცედ შეხედა თვალებში, - ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ჭკუა ვასწავლო.



– შენ რისი ჭკუის მსწავლეელი ხარ, ლამის ცაში დაფორინავ. ამდენი წელია, გენალ-იჩები და მიწაზე ვერ ჩამოგიყვანე. ყველაში მხოლოდ კარგს ხედავ, ყველა შენსავით ანგელოზი გგონია, – გაეღიმა ელენეს, – კაცი ბოროტებას რომ გიკეთებს, შენ ცდილობ, მაინც სათნოებით და სიკეთით უპასუხო. ველარ გაიგე, რომ აღარ ჭრის ეგ მეთოდები? მე ასე მგონია, არც ერთი ბოროტება არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. როცა ვილატა ცუდას გაკეთებს დააპირებს, უნდა იცოდეს, რომ მაშინვე მიეზღვევა სამაგიერო.



– ანუ, შენ ამბობ, რომ რალაც ზებუნებრივმა ძალამ იქვე უნდა მოუღოს ბოლო?
– ზებუნებრივმა თუ არა, ვინმემ, ჩვეულებრივმა ადამიანმა მაინც უნდა გადაუხადოს სამაგიერო და ამით ასწავლოს ჭკუა.
– ეგეტ ხომ იგივე ძალადობა იქნება? არ გაგიგია ჭკვიანი კაცის ნათქვამი, ძალადობა ისევე ძალადობას შობსო?
– გამიგია, მაგრამ, ისიც მაქვს გაგონილი, რომ მოძალადემ უნდა იცოდეს, მის ძალადობას, შესაძლოა, წინ უფრო ძლიერი ძალა აღუდგეს, რომელიც მას დაამარცხებს და მერე ნაკლებად ექნება სხვებისთვის ცუდის გაკეთების სურვილი.
– არ ვიცი, შეიძლება, შენ ხარ მართალი, მაგრამ მე ერთ რამეში მტკიცედ ვარ დარ-

მზუნებული: არ არსებობს ბოლომდე დადებითი ან ბოლომდე უარყოფითი ადამიანი.
– ჩემს ნაცნობებს შორის შენ ხარ ერთადერთი მთლიანად დადებითი და ამას პირფერობით არ გუუბნები, მართლა ანგელოზი ხარ, – ელენემ თბილად შეხედა მეგობარს, – ოღონდ, არ გენყინოს და, მეშინია, შენი დადებითობა, საბოლოოდ სიდებილეში არ გადაიზარდოს.
– აი, აქ კი ნამდვილად ცდები, – გააპროტესტა ნანიტამ.
– გენყინა, სიდებილეში-მეთქი, რომ ვთქვი? – შენუხდა ელენე.

– არა, არ მწყენია. ცდები-მეთქი, რომ გუუბნები, იმას ვგულისხმობ, რომ, მე, ადამიანი, რომელიც შენ ანგელოზი გგონია, სინამდვილეში სულაც არ არის ანგელოზი... ანგელოზი კი არა, მე თვითონაც არ ვიცი, რომ შეიძლება, ასეთი სატანური აზრი და გვემა მომსვლიდა თავში, რომლის განხორციელებასაც აუცილებლად ვაპირებ და, რაც მთავარია, საერთოდ არც ვნანობ და არც ვნუხვარ ამის გამო. ამიტომ ვითხარი წელან, ბოლომდე დადებითი ადამიანი არ არსებობს-მეთქი.
– შენ ისიც თქვი, ბოლომდე უარყოფითი ადამიანი არ არსებობსო. ამით იმის თქმა გინდოდა, რომ შენს ქმარს, შეიძლება, რაიმე დადებითი თვისება აღმოაჩნდეს? რალაც, ეჭვი

მეპარება.
– სულ ტყუილად. მაგალითად, დარწმუნებული ვარ, ისეთი საშინელებას, რაც მე მომივიდა თავში, დიმიტრი, უბრალოდ, ვერც კი მოიფიქრებდა. ის უხეში, დესპოტი, ცინიკური ადამიანია, მაგრამ ასეთი საშინელების ჩადენა არასდროს მოუვა აზრად.
– შენ რა, გინდა, რომ შენი ქმარი გაამართლო? არ გენყინოს, მაგრამ, რალაცნაირად არადადეკვატურად მსჯელობ.
– სულაც არა. მე, უბრალოდ, იმას ვამბობ, რაც სიმართლეა.
ელენემ თვალბეში შეხედა დაქალს და ძალიან ფრთხილად ჰკითხა:
– არ დამიმალო, მაინც გიყვარს?
– არა, მაგრამ, ადამიანს არ უნდა დაუკარგო ის, რაც აქვს, – მცირეოდენი პაუზის შემდეგ უპასუხა ნანიტამ.
– შენ მე გამაგიჟებ, – აღშფოთდა ელენე, – რისთვის დამიბარე, ჯერ რომ გული გამიხეთქო შენი მდგომარეობით და მერე იმ უმსგავსო კაცის ქება-დიდება მასმენინო?
– არა, იმიტომ დაგებარე და იმიტომ გიყვები ყველაფერს ასე დანვრილებით, რომ მთავარ სათქმელამდე მივიღე, მაგრამ, ისე ნამდვილად შენი ემოციებით, რომ, არ მაცალი, ვითხარ, – სვედიანად გაიღიმა ნანიტამ.
– გინდა, მე თვითონ მივხვდე? – თვალბეში მონკურა ელენემ, – შურისძიება გაქვს გადაწყვეტილი. ხომ ასეა?
– თითქმის. ოღონდ, შურისძიება კი არა, სამაგიერო უნდა გადაუხადო, თანაც, სასტიკად, მომაკვდინებლად მწარედ, – ამ სიტყვებზე ნანიტა გაფითრდა და მეგობარს საბრალო თვალბეში შეხედა.
– მერე, მე როგორ უნდა დაგეხმარო ამში?
– გაუკვირდა ელენეს.
– ჯერ რჩევა მჭირდება შენგან, მერე კი სიტუაცია გვიკარნახებს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სპანსორლისა და სულოკუს პასუხები

ა	კ	ტ	კ	მ	ნ	ქ	ნ	ა
კ	ა	ლ	მ	ა	ს	ლ	ბ	ა
ა	ე	ბ	ბ	მ	ა	ი	მ	უ
კ	ა	რ	ბ	ა	ხ	ე	ნ	ა
ი	ი	ლ	ნ	ა	ი			უ
ბ	ა	ლ	ა	ჯ	ვ			ი
ბ	დ	ვ	ი	რ	ი			ე
კ	ო	ბ	ო	ი	კ			ბ
ა	რ	ლი	ო	ბ				ტ
ლი	ო	ნ			ა	ნ	ი	ს
ვ	ს	ს	ტ	ა	მ	ბ	ა	უ
ა	ტ	ა	ლი	ე	ბ	ა	ო	შ
ბ	ი	გ	რ	ო	შ	ი	ს	ს
კ	ა	კ	ა	ლ	უ	ს	ი	კ
ა	ლ	უ	ს	ა	კ	ო	ი	რ
ი	ლ	უ	ი	ბ	რ	ე	ნ	ე
ს	ბ	მ	ა	რ	ი	ა	ბ	ა
ა	მ	ი	რ	ა	ნ	ი	ა	ლ
ე	ი	ბ	ა	ქ	ბ	ი	ო	ა
კ	რ	ე	მ	ლი		ი	ს	ა
ი	ა	მ	ე	რ	ი	კ	ა	ი



ადვილი ამოცანა

7	5	4	6	8	1	9	2	3
8	9	2	4	3	5	7	6	1
3	6	1	7	9	2	4	5	8
2	3	6	5	7	8	1	9	4
1	4	5	9	2	3	8	7	6
9	7	8	1	6	4	5	3	2
6	8	9	3	1	7	2	4	5
4	2	3	8	5	9	6	1	7
5	1	7	2	4	6	3	8	9

რთული ამოცანა

8	3	1	9	2	4	6	5	7
7	6	2	3	1	5	8	9	4
9	4	5	6	7	8	2	3	1
5	1	3	2	4	7	9	8	6
6	7	8	1	5	9	4	2	3
2	9	4	8	3	6	1	7	5
3	2	6	7	8	1	5	4	9
1	5	7	4	9	2	3	6	8
4	8	9	5	6	3	7	1	2

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ღვინოს წყლად გადააქცევდა. 2. მბოლავ ჩიბუხს. 3. გიორგი პირველი – საქართველო, მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისი. 4. ყველა მათგანს მსოფლიოს მერვე საოცრებას უწოდებენ. 5. ეგვიპტის სამარხების გაძარცვისთვის. 6. შვეიცარია. 7. კამიკაძეები. 8. პოლიტეკონომია – ეკონომიკური კონკურენცია. 9. დარვინის. 10. კოვბოი – მწყემსი.

– არა, არც ეგეთი იდიოტი ვარ. ახლა კარგად მომიხმინე, რასაც გეტყვი: ჯერ ერთი, გაყრა გადავიფიქრე...
– რა?! – შეანყევტინა გაოცებულმა ელენემ, – ყურებს არ უუჯრებ...
– ჰო, განცხადება უკან გამოვიტანე. მოკლედ, აღარ ვეყრები, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. რაც შეეხება კაცს, საქმენელი არ მყავს. ის რეალურად არსებობს და, დარწმუნებული ვარ, ჩემს ზარს ელოდება.
– და, ვინ არის ის კაცი? – ინტერესით ჰკითხა ელენემ, – შენ რა, იცოდი, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა დაგჭირდებოდა და წინასწარ იზრუნე ამაზე?
– მე არა, დიმიტრიმ იზრუნა, ანუ, თვითონ მიმიყვანა ამ აზრამდეც და ამ ნაბიჯამდეც... – ნანიტა ისევე გაჩუმდა, მერე ცოტა კონიაკი დაისხა და წელ-წელა დალია.
ელენე რალაცას მიხვდა, მაგრამ, იმდენად არ უნდოდა ამის დაჯერება, რომ არაფერი თქვა და აცადა, სანამ ისევე განაგრძო-



ბდა მოყოლას, მაგრამ ნანიტა ხმას არ იღებდა – ფიქრებმა წაიღო და სულ დაავიწყდა, რაზე ლაპარაკობდა.

– ანუ, – ველარ მოითმინა ელენემ, – გინდა, თქვა, რომ ეს კაცი...

– ჰო, – გამოფხიზლდა ნანიტა, – ეს კაცი გუგაა. უნდა გავამწარო დიმიტრი, საკუთარი ხელით უნდა ვაგლეჯინო ხორცები, თან ისე, რომ ბრაღი ვერაფერში დამლოს – გუგამ ხომ მითხრა, შენმა ქმარმა თვითონ დამართო ნებაო, ჰოდა, მეც, როგორც ამდენი წლის განმავლობაში მორჩილი ცოლი, ამაშიც დავემორჩილები.

– სულ გაგიჟდი? – ჩემად ჰკითხა ელენემ, მერე წამოდგა, დაქალთან ახლოს მივიდა და მისი თავი გულში ჩაიკრა, – არ გინდა, ნანიტა... ხომ მითხარი, შენი რჩევა მჭირდებაო, ჰოდა, თუ გჯერა ჩემი, თუ მენდობი, დამიჯერე, ნუ გააკეთებ ამას...

– უნდა გავაკეთო, უკვე გადანყვებილი მაქვს და ამ აზრს ვერაფერს შემაცვლევინებს, – ვითომ მტკიცედ უთხრა ნანიტამ, მაგრამ, ხმაზე ეტყობოდა, რომ საკუთარ თავს ებრძოდა.

– შენ ამას ვერ გაუძლებ, მე ხომ გიცნობ.

– გაუძლებ. ამისთანებისთვის გამიძლია?

– თუ მიინცდამინც ლალატი გადანყვები, რალა გუგასთან უნდა დანვე, კაცები გამოილია? თანაც, ეჭვი მეპარება, გუგა ამაზე წამოვიდეს. რაც არ უნდა იყოს, თავისი წარკობანობის მიუხედავად, მაინც შერჩენილი ექნება ის წესიერება, რომლის გამოც ყოველთვის პატივს ვცემდი.

– არა, სხვა კაცთან დანოლა ისე არ გააგიჟებს. თანაც, ეს ლალატი კი არა, სამაგიეროს გადახდა იქნება. რაც შეეხება გუგას, მისი მამაკაცური წესიერება კარგა ხანია, აღარ არსებობს. წესიერება რომ შერჩენოდა, ჩემთან კი არ მოვიდოდა სექსის შემოთავაზებით, იქვე მიუმტკრევდა ცხვირ-პირს დიმიტრის, როცა მისგან ჩემთან მოსვლის ნებაზედა მიიღო. ასე რომ, ჩემო კარგო, ხომ გითხარი, ბოლომდე წესიერი ადამიანი არ არსებობს-მეთქი. სხვათა შორის, თვითონვე მითხრა, შენი ქმარი ნადირალა და არაკაცია, მაგრამ, მეც არანაკლები ნადირალა და არაკაცია ვარ, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ მე ამ ნაბიჯამდე ყოფილი ძმაცაცის ლალატმა ვერ კიდევ მამი მიმიყვანა, როცა შენი თავი წამართვაო.

– ძმაცაცის ლალატმა მიიყვანა თუ საკუთარმა უტრაკობამ?! – აღშფოთდა ელენე.

– ალბათ, ორივემ ერთად.

– შენ ხომ არ დაგადანაშაულა რამეში?

– სიტყვით არა, მაგრამ, რალაცნაირად, ვიგრძენი – ამ გზით მიხდიდა სამაგიეროს იმის გამო, რომ დიმიტრის გავეყი ცოლად.

– ანუ, შენზეც და დიმიტრიზეც ერთდროულად გადანყვებდა შურისძიება.

– ჰო, შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ, წარმოდგენაც კი არ აქვს, რომ ამით თვითონვე მიკარნახა, მე როგორ გადამეხდა სამაგიერო.

– ვისთვის? – ელენემ ახალ სივარეტს მოუკიდა და განაგრძო: – ვისთვის უნდა გადაგხდა სამაგიერო?

– ორივესთვის. ორივე დამნაშავეა, რომ ამდენი წელი გავატარე ვოჯოხეთში...

– ახლა კიდევ ერთ რამეს გეტყვი და არ გენყინოს: სინამდვილეში, ქვეცნობიერში, შენ

დიმიტრის და გუგას კი არა, შენს თავს უხდი სამაგიეროს...

ნანიტა ცოტა ხანს დაფიქრდა დაქალს თვალეში შეხედდა:

– იცი? მგონი, მართალი ხარ. აზრე არ მიფიქრია, მხოლოდ ახლად რომ ეს იქნება სამაგიეროს გადახდისთვის, თუმცა, წარმოდგენა არ უფრო დაზარალებდა ამით, ვის უად ეტკინება გული, უფრო სწორად რომ დიდ და ძლიერ სულიერ ტკივილებს, მაგრამ, ეს უკვე ნაკლებად მებს...

– მე მაქვს წარმოდგენა, – ისევ ტინა ელენემ, – ყველაზე მეტად რალადები, ყველაზე მეტად შენ გეტკინება გულიც, სულიც და სინდისიც, რადგან, სინამდვილეში არ ხარ ასეთი... – ელენემ შესაფერისი სიტყვა ველარ მოძებნა.

– როგორი „ასეთი“? – ირონიულად გაცინა ნანიტას, – შენ ჯერ კიდევ კარგი წარმოდგენა გაქვს ჩემზე?

– როგორი ასეთი და, ასეთი უგუნური, ასეთი სულელი, ასეთი დაცემული! – იყვირა ელენემ, – დამიჯერე, ვერ გადაიტან ამას, რადგან ეს შენ აღარ იქნები! გაგანადგურებს საკუთარი სინდისი! შვილებზე საერთოდ აღარ ფიქრობ? არ ეყოფათ ის ტკივილი, რაც უკვე მიაყენა შენმა ქმარმა და ახლა შენ უნდა შეუესო, რაც იმან დააკლო?! იმაზე არ გიფიქრია, თორნივე რამეს რომ მოჰკრას ყური თუნდაც ჭორის დონეზე, შეიძლება რამე უბედურებას ეწიოს?

– ჰო, არ მიფიქრია. მე ახლა სხვაზე ვერაფერზე ველარ ვფიქრობ.

– რა უნდა გელაპარაკო, ტვინი გაქვს დეგრადირებული, – შეურაცხყოფაზე გადავიდა ელენე, რომ დაქალი გამოეფხიზლებინა და გონს მოეყვანა, – ან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ უნდა იცხოვრო ერთ ჭერქვეშ იმ კაცთან, რომელმაც ამდენჯერ დაგამცირა? თან, ამის პარალელურად, რალაც კრეტინობების გაკეთებასაც აპირებ... რა დონის მსახიობი უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი გააკეთო და, თანაც, ისევე ძველებურად მორჩილი ცოლისა და ოჯახის ქალის როლი ითამაშო?

– ყველა ქალი მსახიობია, დამცირებული ქალი კი – ათჯერ უკეთესი მსახიობი. არ გაეგია გამოთქმა – ნუ ენდობი ქალს, რომელსაც ახლახან აწყენინესო? ჰოდა, თუ დიმიტრის ეს ფრაზა გაგონილი აქვს, ან, თუნდაც სულ მცირე ჭკუა და აზროვნება გააჩნია, თუ ვერ იგრძნობს, ლოგიკურად მაინც უნ-



შეემინდა ელენეს.

– შევეძლებ და თანაც როგორ, – უკვე მუქარით თქვა ნანიტამ, – კაცებმა არც კი იციან, რა ძლიერი, ხანგრძლივი და გამანადგურებელია ქალური შურისძიება. მთელი კაიფი იმაშია, ეს ერთბაშად კი არ უნდა გააკეთო, არამედ, ნელ-ნელა, რომ საკუთარ წვენიში მოიხრაკოს; ან, სწორედ ისე, როგორც წყლის წვეთის დაცემით ანამებდნენ ხოლმე უწინ.

– მე უკვე მემუშია შენი, ნანიტა, მე შენ ასეთს არ ვიცნობ, – ელენეს ცრემლები მოადგა თვალეზე და, ის იყო, კიდევ რალაც უნდა ეთქვა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. ელენე ისე შეაკრთო ამ ხმამ, კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, ნანიტამ კი უცნაური, მოზეიმე სახე მიიღო, ცალი წარბი ასწია და დაქალს მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

– დაიწყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში


გრძობოტი



Griphot
SACHETS
against
FLU & COLD

შემაღმენლობა:
თითოეული 10 გრ-იანი პაკეტი შეიცავს:
500 მგ. პარაცეტამოლი;
10 მგ. ფენილფერინის ჰიდროქლორიდი;
100 მგ. ოქსალამინის ციტრატო;
2 მგ. ქლორფენირამინის მალვატო.

დაამარცხე გრიპი ოთხაბი ქალით!



Griphot
TABLETS
against
FLU & COLD

შემაღმენლობა:
თითოეული ტაბლეტი შეიცავს:
250 მგ. პარაცეტამოლი;
5 მგ. ფენილფერინის ჰიდროქლორიდი;
100 მგ. ოქსალამინის ციტრატო;
2 მგ. ქლორფენირამინის მალვატო.



ასფარმა
Asfarma

გაეროვნული საავიანო ინსტიტუტი,
გაეროლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, თბილისი



ყველა ქაში ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-14(693)

მოულოდნელობის კვაჩხი

არსებობს ასეთი სტერეოტიპი – თუ მამაკაცი რამეს ამბობს და აკეთებს, ესე იგი, ასეა საჭირო და ქალიც უნდა ენდოს მას. სხვათა შორის, მამაკაცი, რომელიც გრძნობს, რომ ქალი მას ენდობა, იზრდება, როგორც პიროვნება და ვითარდება. რატომ არის საჭირო, რომ მამაკაცი გაიზარდოს და განვითარდეს? თუ ფსიქოლოგებს ვენდობით, ეს ისე იმ ქალისთვის არის სასარგებლო, რომელიც გვერდით ჰყავს. გაზრდილი და წინ წასული მამაკაცი აღარ არის აგრესიული, აგრესიულობა კი მამაკაცებს ბუნებრივად ახასიათებთ – მათ ის ამ სამყაროში დასამკვიდრებლად სჭირდებათ. მამაკაცების უმრავლესობას თითქმის დაავინწყდა მამრის ძირითადი დანიშნულება – დიცივას, გამოკვებოს თავისი ქალი და შვილები...

გიგომ თვალები მოჭუტა, სარკის წინ მდგარი გოგო მუშტრის თვალით შეათვალიერა და მერე უკმაყოფილოდ გადააქნია თავი:

– არა, არ მომწონს. თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ, რაღაც ისე ვერ არის, გაბერებს თუ რაღაც ამდაგვარი.

– რა საზიზღარი ხარ! მამბერებს რა უბედურება... დაგავინყდა, ოცდაათი წლისაღაც რომ არა ვარ?! მაგრამ სპეციალურად ლაპარაკობ ასე, რომ ნერვები მომიშალო.

გიგი რბილ პუფზე ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიწყო.

– წმინდა წყლის ქალური პრეტენზიები... მე შენკენ ვარ, შენ – ემზაკებისკენ. გოგო, საწყენად კი არ მითქვამს, პირიქით, მინდა, ძალიან მაგრად გამოიყურებოდე.

– მერე, ცოტა კორექტულად მითხარი.

– რა მნიშვნელობა აქვს, თუკი აზრი და შინაარსი ერთი და იგივე იქნება? – მხრები აიჩეჩა გიგიმ, – ცოტა დაუჩქარე, მომშვიდა. თიკომ ამოიხრა:

– მგონი, საერთოდ კაბის გარეშე მტოვებ.



ამ მალაზიაში ყველაფერი მოვიზომე. ხან მეუბნები, სპორტული და ბავშვური სამოსი არ გინდაო, ხან ძალიან ქალური და ბებური ხარო. რა ვქნა, მაიკით და შორტებით წამოვიდე?

– პრინციპში, ცუდი არ იქნება, ლამაზი ფეხები გაქვს. მაგრამ, ვახო „გაჭედავს“ – კონტექსტიდან იქნები ამოვარდნილი.

– აუ, ვიცოდი, რა, ვიცოდი, რომ შენთან ერთად ვერაფერს ვიყიდდი, – აბუზუნდა თიკო.

– ნუ ნუნუნებ. ჯერ მხოლოდ სამ მალაზიაში ვიყავით. დროც საკმარისზე მეტი გვაქვს. მოდი, ახლა რამე ვჭამოთ, ყავაც დავლიოთ და გავაგრძელოთ ჩვენი საქმეანობა. მზად ვარ, მთელი საღამო შენ შემოგვნირო, მეტი რა ვქნა?

– ოჰ, სერიოზული მსხვერპლშენირვაა. მერიდება კიდევ, როგორ უნდა მივიღო შენთან ასეთი უანგარო საჩუქარი.

– ნუ გაიმნარე ენა, – ყასიდად გაბრაზდა გიგი და გოგოს „ჩოლკაზე“ მოქაჩა, – წამოდი კაფეში. აქ მაგარ სენდვიჩებს აკეთებენ. მე გეპატიჟები...

ლიზამ კმაყოფილება შეხედა ნინის და გაუღიმა:

– მშენიერი რალაცები ვიყიდეთ. ფეხსაცმელი მაინც, შედეგია. გაგანენ ბავშვს და აუცილებლად ჩემთვისაც ვიყიდი.

– იცი, როგორ მერიდება შენი? მით უმეტეს – ლევანის. ამდენი ფული დავხარჯეთ... მოდი, შევთანხმდეთ, რომ აუცილებლად დაგიბრუნებ.

ლიზამ სიცილით აიქნია ხელი:

– მოგცლია ერთი! ათასი ლარი ფულია?! ეს რომ ლევანს ვუთხრა, ძალიან ეწყინება, დამიჯერე. მით უმეტეს, ახლა, რაც მე და მან რაღაც გადაწყვეტილება მივიღეთ.

– რა გადაწყვეტილება? მე მეხება? – გაუკვირდა ნინის.

– ჰო, შენ და კიდევ ერთ ადამიანს, – ეშმაკურად მოჭუტა თვალები ლიზამ და მუცელზე მრავალმნიშვნელოვნად მოისვა ხელი.

– გიგიზე არაფერი თქვა, თორემ სერიოზულად გაებრაზდები, – გაცხარდა ნინი.

– აუ, შენ ყველგან გიგი როგორ გელანდება. მე და ლევანმა გადაწყვიტეთ, რომ ჩვენი ვიქტორია შენ მოგანათლინოთ.

ნინის თვალები გაუბრწყინდა და აშკარად გაუხარდა.

– მე გოგო მინდა. თუმცა, სქესი ჯერ არ ვიცი – ლევანი კატეგორიული წინააღმდეგია ამის. სახელი ვიქტორია კი ყოველთვის მომწონდა. ასე რომ, ჩემი გოგოს ნათლია შენ იქნები.

– ანუ, თუ შემთხვევით ბიჭი დაიბადება, ნათლია მე აღარ ვიქნები? – სიცილი აუტყდა ნინის.

– გუუბნები, გოგო იქნება, – დარწმუნებით გაიმეორა ლიზამ, – იმიტომ, რომ მე ასე მინდა, ლევანისთვის კი სულერთია. ისე გამოთამამდა, უკვე მეორეზე ფიქრობს და მე აღარაფერს მეკითხება.

– უხარია კაცს შვილი...

– მესმის. ჰოდა, მეც იმიტომ ვაჩენ, რომ გავახარო და შენ ასე ნუ მიყურებ.

– როგორ გიყურებ?

– როგორ და სხვანაირად. ეგ თემა დახუროულია, ხომ იცი.

– ვიცი, რასაც გულისხმობ და ეგ ფიქრადაც არ გამოვილა, – შეცბა ნინი.

– არა, გაივლე. მე ასეთი რალაცები არ მემშობა, მაგრამ, არა უშავს, არ ვბრაზობ. უბრალოდ, გახსენებ, რაზე არ უნდა მელაპარაკო არასოდეს. ახლა კი წამოდი, გემრიელი სენდვიჩი მივირთვათ და ყავაც დავლიოთ, დავიმსახურეთ. ფული კი აღარ მიხსენო, ეს ვიქტორიას საჩუქარია.

ქეთიმ ხალათი გაიხადა და სამზარეულოში შევიდა. ღელა ღია ფანჯარასთან ეწოდა სიგარეტს. მიხვდა, ვიღაც რომ შემოვიდა, მაგრამ, არ შემობრუნებულა...

– კბილი სტკიოდა. უნდოდა, მე გამეკეთებინა და უარი ვერ ვუთხარი, – დამნაშავევით ჩაილაპარაკა ქეთიმ.

– ქეთი, ვალდებული არ ხარ, რამე ამიხსნა ან მე, ან სხვა ვინმეს, ასე რომ, ეს თემა სალაპარაკოდ არ ღირს, – მიუგო ღელამ უკანმოუხედავად. ქეთიმ ამოიხრა, თვითონაც მოუკიდა სიგარეტს და ფანჯარასთან მივიდა.

– იცი, რა... შეიძლება, ვალდებული არ ვარ, მაგრამ, არ მინდა, კითხვის ნიშნები დარჩეს.

– მე გეკითხები რამეს?

– შეიძლება, ხმამამღლა არ ამბობთ, მაგრამ, ხომ ფიქრობთ? მე კი არ მინდა, ჩემზე სხვანაირად ფიქრობდნენ.

– ჯერ ერთი, აქ მარტო მე ვარ და მრავლობით რიცხვში რატომ ლაპარაკობ და, მეორეც – „სხვანაირად“ ნამდვილად არ ვფიქრობ, დამიჯერე. სულ პირიქით არის და ნუ კომპლექსდები.

– თომა ჩემი მეგობრის საქმროა, მართლა... იმან მიჩნია, თუ ქმარს ცოტა აეჭვინებ, ჭკუაზე მოვა და ადვილად დაგემორჩილებათ.

– ძალიან აზრიანი და მიხვედრილი მეგობარი გყოლია, – საყვედურით გადააქნია თავი ღელამ, – ეს რა ბავშვური თამაშებია! დაეშვი დედამიწაზე და იყავი ისეთი, როგორც ხარ. ქალისთვის მთავარი გულწრფელობა, უბრალოება და სუფთა გულია, დანარჩენი თავისით დალაგდება.

– გულახდილობა არ ჭრის ჩემს ქმართან. მით უფრო, ამ ამბების შემდეგ. ახლა თომას შესახებ რომ მოვუყვე, საშინელი სკანდალი მოჰყვება. შეიძლება, ოჯახიც დამენგრას.

– შენ ვერ მიხვდი, რა გულახდილობას ვგულისხმობდი. დაჯექი და შენს ქმარს შენი თითოეული ნაბიჯის შესახებ მოუყევი-მეთქი, ნამდვილად არ მითქვამს. უბრალოდ, რაც შენ იწეროვლე და სპექტაკლი გაითამაშე, არ გერჩინა, მარტივად მოქცეულიყავი – დაგერეკა შენი ქმრისთვის და გეთქვა, რომ გიყვარს, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია? ამით მორჩებოდა პრობლემა.

– ასე მარტივად, როგორც შენ ამბობ, არ გამოვიდოდა. ვახო საშინელი ჯიუტია. მე რომ ისე მოვქცეულიყავი, როგორც შენ თქვი, საერთოდ არ შემირიდებოდა. იმის განცდა, რომ თვითონაც დამნაშავეა, საერთოდ არ გაუნდებოდა.

– შენ ეს ძალიან გჭირდებაოდა?
– რა?
– მისი დანაშაულის განცდა.

– მე კი არ მჭირდებოდა, მას სჭირდებოდა ჩვენი ურთიერთობის მოსაგვარებლად. შეუძლებელია, ნორმალურად დაელაპარაკო კაცს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ყოველთვის ყველაფერში მართალია... – წყნით ჩაილაპარაკა



რაკა ქეთიმ, - არ იცი, როგორ მიშლიდა ნერ-
ვებს. რა ვქნა, ძალიან მალნიანებდა მისი
პოზა - რომ შეუგნებელი ცოლი ჰყავს და
ვერფერს აგებინებს...

- გეთანხმები, ადვილი ნამდვილად არ არ-
ის. მაგრამ, ჩემი აზრით, არც ახლა ხარ უკე-
თეს მდგომარეობაში.

- ჰო, მით უმეტეს, როცა ნატო ჩხუბობს
და ბრალდებებს მიყენებს. ხომ არ ჰგონია,
რომ არ მესმის, რასაც ეგ ლაპარაკობს?

- ძალიან ცუდია, რომ გეცმის, ძალიან ცუ-
დი. არც მე მომწონს ეს ამბავი და ნატოს
სერიოზულად ვეჩხუბე კიდევ.

- სულაც არ მინდა, ჩემ გამო ვინმე ჩხუბ-
ობდეს.

- დამშვიდდი, ნატო საერთოდ ნასვლას
აპირებს კლინიკიდან და ეს პრობლემაც აღარ
იარსებებს.

- რა? ეგ ნატომ თქვა? - შეცბა ქეთი, -
შენ გაუშვი?

- ღმერთმა დამიფაროს! მე თქვენი უფრ-
ოსი - ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით,
არასდროს ვყოფილვარ. ერთ ოჯახად ვიყავ-
ით და ძალიან მწყდება გული, ამ ოჯახს ბზა-
რი რომ გაუჩნდა, გულახდილად ვამბობ. უბ-
რალოდ, არ ვიცი, რა მოვიმოქმედო, რომ თქვენ
შორის ძველი ურთიერთობა აღდგეს.

- მე რა უნდა გავაკეთო ამისთვის? - მი-
ამიტი ბავშვივით იკითხა ქეთიმ, - ისე, არ
დაგიმალავ, მეც ვიფიქრე აქედან ნასვლა.

- ვეჭვობდი მაგას, - გაელიმა ლელას, -
მორჩით ამ სისულელეებს. ხომ იცი, ახალი
კინდის მოყვანა არ გამიჭირდება, მაგრამ, არ
მიინდა. ძალიან შეგეჩვიეთ და გული დამწყდე-
ბა.

- დაველაპარაკებო ნატოს, - გადაჭრით
თქვა ქეთიმ...

ლიზამ ყავა მოსვა და სენდვიჩი გემრიელ-
ად მოკბინა.

- უჰ, მომშიებია. ძალიან გავლორდი და ეს
ამბავი ძალიან მაშფოთებს. მემინია, ბევრი ზე-
დმეტი კილოგრამი არ აკვირფო.

- შენ ხომ ორი კაცისას ჭამ, ამიტომ, ეს
ნორმალურია.

- სულაც არ არის ნორმალური, - გააპრ-
ოტესტა ლიზამ, - არ არის აუცილებელი, ორ-
სული ქალი ღორს დაემსგავსოს. იცი, ჩემმა
გინეკოლოგმა რა მითხრა? ათ კილოზე მეტს
თუ არ მოიმატებ, კარგი იქნებაო. მე კი შვიდი
უკვე მოვიმატე და ოთხი თვე წინ მაქვს. არა,
ცურვავ უნდა ვიარო და სალათის ფოთლე-
ბზე გადავიდე. ერთი ჩაიაროს ამ წვეულებ-
ამ... მოიცა, შენ საით იყურები... რა დაგემარ-
თა, რა დაინახე ამისთანა?

- ღმერთო, ახლა მოკვდები, - ნინიმ მკე-
რდზე მიიღო ხელი და გაფითრდა.

- ვაიმე, რა გჭირს, ნინი? უკვე მაშინებ.
- გიგია აქ, ვილაც გოგოსთან ერთად.

- გიგი? აბა, სად? - აცქმუტდა ლიზა და
იქით გაიხედა, საითკენაც ნინის ჰქონდა მიშ-
ტერებული მზერა.

- უსინდისო... არადა, რომ გეკითხა, უჩემ-
ოდ ვეღარ ძლებდა და დაბრუნება უნდოდა.
ნახე, როგორ შესცივინებს... ცუდად ვარ. ნა-
ვიდეთ, რა, აქედან, არ მინდა, რომ დამინახ-
ოს.

- იჯექი მანდი! - უბრძანა ლიზამ, - ახლ-
ავე მოდი აზრზე და სველი კნუტივით ნუ
კანკალებ. თუ ადგები, ეგრევე დაგინახავს.
თანაც, ისე გამოიყურები, მაშინვე მიხვდება,
რომ შოკში ჩაგაგდო მისმა დანახვამ. მოიცა

ერთი, ის გოგო კარგად შევავალიერო! ჰმ,
არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი,
სტანდარტული გოგოა. ნამაც არ უნდა იყოს
- ძალიან უბრალოდ გამოიყურება.

- საქმეც ეგაა, რომ ნამა არ არის. ესე იგი,
სერიოზული ურთიერთობა აქვს მასთან. შენ
კიდევ მეუბნებოდი, მოეფი თომას და გიგის
დაუბრუნდიო. არამზადა! ისევე უნდოდა, ჩემი
ცხოვრება თავდაყირა დაეყენებინა, დროს კი
უქმად არ კარგავს. მგონი, საერთოდაც, საც-
ოლეა. შეხედე, რა, შეხედე... სავაჭრო ცენტრ-
შიც ნამოყვანია, საყიდლებზეც დაჰყვება ქმა-
რით. ჩვენი ოთხნობიანი ურთიერთობის გა-
ნმავლობაში ერთი ფაქტიც კი არ მახსენდება,
რომ რამის საყიდლად გამომყოლოდეს. სულ
იმიზეზებდა, არ მცალია, ბევრი საქმე მაქვ-
სო... ამას კი, შეხედე, როგორ აღერსიანად
უღიმის. სულელი ვარ, ნამდვილი სულელი...
როგორ შემეძლო, ისევე მასზე მეფიქრა? ახლ-
ავე დაფურცავ თომას და ვეტყვი, რომ თან-
ახმა ვარ, ცოლად გავყვე. დაიხ... რაც უფრო
მაღე მოხდება ეს, უკეთესი.

- აჰ, ეგ არ გააკეთო! - მობილური ხელი-
დან ნაჰკლიჯა ლიზამ, - ასეთ მდგომარეობ-
აში შეიძლება ისეთი გადაწყვეტილება მიიღო,
რომელსაც მერე ძან ინანებ და გვიან იქნება.

- არა უშავს. თუ ვინანებ, გავმორდები! -
ნამოიძახა ნინიმ, - რა პრობლემაა?

- შენთვის იქნება პრობლემა. ბავშვს გაა-
ჩენ, მერე იმ ბავშვს მამა დასჭირდება, თომა
კარგი მამა იქნება და არც შენ მოგცემს საბ-
აბს გაყრისთვის. შეგანუხებს სინდისი და... მო-
კლდე, რატომ მალაპარაკებ ადენს? დამშვი-
დდი და დაიკდე ეს ამბავი, მით უმეტეს, არ
იცი, ვინ არის ეს გოგო.

- რასაც ვხედავ, სრულიად საკმარისია,
მეტის ცოდნა არ მჭირდება. აშკარად ყურებ-
ით ჰყავს დაჭერილი. სხვანაირად, საყიდლებ-
ზე არ ნამოყვებოდა.

- იქნებ, უბრალოდ, კაფეში შემოვიდნენ
ყავის დასალევად?

- ჰმ, ამ სიმორეზე რომ ყავის დასალევად
არ მოსულიყვენ, ქალაქში კაფე დაილია? გე-
უბნები, საცოლეა-მეთქი! - გაჯიუტდა ნინი
და მზერაც შეეცვალა. თითქოს მზად იყო,
მივარდნოდა მშვიდად მობაასე წყვილს და გო-
გოს თამაში სწვდომოდა.

- მდა... - ჩაილაპარაკა ლიზამ, - მძიმე
სიტუაციაა. მგონი, გიგიმ შეგნიშნა კიდევც. ახ-
ლა რა უნდა ვქნათ? რომ მოვიდეს აქ, შენ, რა
თქმა უნდა, ნივლი-კივლის ატენ... შეძლებ, თავი
შეიკავო და ზრდილობიანად მიესალმო?

- არ ვიცი, საკუთარ საქციელზე პასუხს
ვერ ვაგებ. მართლა აპირებს მოსვლას?

- ჯერ არაფერი ეტყობა, მხოლოდ რამდე-
ნჯერემ გამოგხედა მალულად. იცი, რა ვქნათ?
ორ წუთში ავდგეთ და ნავიდეთ, ანგარიშს
მოვტანინებ.

- აბა, არ ადგე, დაგინახავსო? - მიამიტუ-



რად, გულაჩუყებული ბავშვივით იკითხა ნინ-
იმ.

- ეგ იმიტომ, რომ არ დაენახე. ახლა რა
აზრი აქვს, შეგნიშნა უკვე, - თქვა ლიზამ და
ოფიციალური ხელით მოიხმო, - ჯვანდაბა მაგას,
სენდვიჩის შეჭმა მაინც მომეხსნო ბოლომდე...
თიკომ მკლავზე მოჰკიდა გიგის ხელი და
ოდნავ მოუჭირა.

- რა ხდება, გიგი?
- იქ ნინია, ჩემი ყოფილი შეყვარებული, -
უხალისოდ თქვა ბიჭმა.

- მართლა? სად?
- მოშორებით, მაგიდასთან ზის ფეხმძიმე
ქალთან ერთად. ოლონდ, ძალიანაც ნუ მიაშტ-
ერდები.

- საერთოდ არ გავიხედავ, თუ გინდა, -
შენუხდა თიკო, - ანუ, შენი ყოფილი შეყვარ-
ებულია ფეხმძიმე? გათხოვდა?

- არა, ნინი კი არა, ის მეორეა ფეხმძიმედ,
ლიზა - ლევანის ცოლი.

- ვინ ლევანის ცოლი, ვერაფერი გავიგე,
სულ დამაბნე...
- ჰო, კარგი, რა მნიშვნელობა აქვს ახლა
ამას. მთავარია, რომ ნინიმ შენთან ერთად
დამინახა, მე კი მასთან შერიგება მინდოდა.

- მერე რა, ჩვენ ხომ, უბრალოდ, თანამშრ-
ომლები ვართ, - მხრები აიჩჩა თიკომ.

- კი, მაგრამ, ნინის ამაში ვერავინ დაარ-
მუნებს.

- რატომ, რა არის ამაში წარმოუდგენელი?
თუ გინდა, მივალ და ვეტყვი, ვინც ვარ.

- თუ ღმერთი გწამს, ეგ არ გააკეთო, -
მაჯავზე ხელი სტაცა გიგიმ, - ეტყობა, ასე
უნდა მომხდარიყო... ეტყობა, ნინი სამუდამოდ
დავკარგე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გაგაქცევის გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც);
შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა,
ქავილი, ტკივილი; განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა
და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მო-
ხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების,
აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის განმენდა,
ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით,
ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტული შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. - ოფისი. ქ-ნი მარიაში

ღმწავლოეთ ხატვას ზელოიქონისაჲ ეწოთა



1. ტუნებით დაიწყეთ ქალის ხატვა



2. მიახატეთ ცხვირი და თვალები



3. დაახვეთ თავის ხატვა



4. მიახატეთ თმა



5. დაახვეთ ნახატი



6. გააფუხადეთ



თაგუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაბალ სულაკაშვილის სამსახურით სტუდია




იპოვეთ ათი განსხვავება





როგორც სხოველი გაიკვლევს გზას



ზევსი და გველი

(იბავ-არაკი)

ერთხელ ზევსმა ქორწილი გადაიხადა და ცხოველები იწვია. ვისაც რა შეეძლო, ის საჩუქარი მიუტანა. სად იყო და სად არა, გველიც მოვიდა და კბილებში გაჩრილი ვარდი მიართვა ზევსს. ზევსმა ეს რომ დაინახა, გველს უთხრა: ყველა საჩუქარს მივიღებ, მაგრამ შენ რომ პირით მოგიტანია, იმას კი ვერაო.

ბოროტთა სიკეთეც საშიშიაო.

რიცხვრეზუსი

3, , 5, , , , 0

საცხოვრებელი			ბაღივლი კულტურა დროშა ანუ მუს. გგერა	
				დიდი ნამსი



ქურდული სსოვრება

● ბაგრატა. დასაწყისი
№ „თბილისელები“ №28-14(693)

ვიტამ ჩემი ბუშლატის შემონახვა დაიწყე და ორიოდე წუთის შემდეგ თქვა:

– დანა მჭირდება. მარცხენა სამხრეში რა-ღაცაა შენახული.

კონტრამ ვიტას დანა მისცა და უთხრა:

– ფრთხილად ქენი, ბუშლატი არ დაუზიანო.

ვიტამ ჩემი ბუშლატის მარცხენა სამხრე ფრთხილად გაარღვია და იქიდან ცხრაამეტი ცალი ასმანეთიანი ამოიღო, ყველას დაანახვა და თქვა:

– აი, ფული!

ფულის დანახვაზე სკუპოსი თვალები აენთო და თქვა:

– ობშიაკის მაცუთი... – შემდეგ გაცეცხული მზერა მესროლა და ზიზღით მითხრა: – როგორ გაბედე ობშიაკის ფულის მოპარვა, შე... –

– მოიცა, მეტი არაფერი თქვა, – შეაჩერა კონტრამ სკუპოი და ვიტას მიუბრუნდა: – დანა დამიბრუნე.

ვიტამ დანა დაუბრუნა კონტრას, მან კი ბიჭს უთხრა:

– შენ რომ არა, ნამდვილად ვერ მოვიფიქრებდი ფულის ძებნას ბუშლატში. ყოჩაღ. მაინც, როგორ მიხვდი?

– ხომ ვითხარი, ჩვენმა უბნელმა ჩაიდინა ასეთი რამ – სამოსს ხუთასი მანეთი ჩაიკერა ქურთუკში.

– ვიტა, მოსკოველი ხარ, ხომ?

– კი, მოსკოველი ვარ.

– რომელ უბანში ცხოვრობ?

– კრასნაია პრესნიაზე.

– იმ ბიჭს რა ერქვა, კრისობაში რომ ამხილე?

– კოსტია.

– რა ბედი ეწია მას?

– კრისობაში რომ ვამხილეთ, ვცემით და საძმოდან გავაგდეთ. შემდეგ სადღაც გაემგზავრა და ხუთი წელია, არაფერი ვიცი მასზე.

კონტრამ პაუზა გააკეთა, ვიტა ყურადღებით აათვალიერა-ჩაათვალიერა და ჰკითხა:

– ადასტურებ, რომ ქურდობა გინდა?

– რა თქმა უნდა, კონტრა. ეს ხომ ზონაში შემოსვლისთანავე ვითხარი და, თქვენთან, ქურდებთან, ჩემს მომავალ ძმებთან, ტყუილად ხომ არ ვცხოვრობ ერთ ბარაკში?

– ვიტა, სკოლაში როგორ სწავლობდი? – ცუდად. ამიტომაც გამომაგდეს და ჩემი გზით წავედი.

– უფრო სწორად კი სამკერვალო პროფტექნიკური დაამთავრე.

კონტრას სიტყვებზე ვიტა შეცბა, მაგრამ თავი მოთოკა და მიუგო:

– უბრალოდ, ჩემი საბუთები გადაგზავნეს პროფტექნიკუმში, თორემ, ჩემგან რა მკერავი გამოვიდოდა?

– კარგი მკერავი ცუდ ქურდს ვჯობია, – უთხრა კონტრამ ვიტას, – თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი მკერავი ხარ. ყოველ შემთხვევაში, კობრას ბუშლატი ძალიან ოსტატურად გაკურე.

– ვერ ვხვდები, რას ამბობ, კონტრა, – უთხრა ზონის მაცურებელს ნამონიღებულმა ვიტამ, კონტრა კი თავისას განაგრძობდა:

– ჰო, ჰო, ძალიან ოსტატურად გაკურე მას მერე, რაც იქ ობშიაკის ფული ჩადე. მანამდე კი ის სკუპოსის ტუმბოჩიდან მოიპარე.

– რას ამბობ, კონტრა? – თქვა ვიტამ.

– იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე და, საერთოდ, კარგა ხანია, გაკვირდები. მას მერე, რაც შევიტვე, რომ კრასნაია პრესნიადან ხარ, შენი პიროვნების შესწავლა დავიწყე. კოსტია, რომელსაც შენ ქურთუკში ხუთასი მანეთი ჩაუკერე, რომ გაგფუჭებინა და კონკურენტი თავიდან მოგეშორებინა, ჩემი ღვიძლი შეიღია. თუმცა, მას ჩემი გვარი არა აქვს, დედის გვარზეა.

– მე... მე ეს არ ვიცოდი... – ამოილულულა ვიტამ.

– რომ გცოდნოდა, არ გაუჩალიჩებდი?

– არა, – თქვა ვიტამ. კონტრამ კი გასუსულ პატიმრებს გვითხრა:

– აი ჩემი სიტყვების დასტურები. ამ ბოზმა თავად აღიარა ყველაფერი. თანაც, მე თვითონ ვუყურებდი წუხელ, როგორ ჩაღიჯობდა.

– დანებზე წამოვავით ეს ბოზი, – იღრიალა სკუპომ და ვიტასკენ გაიწია, მაგრამ ის კონტრამ შეაჩერა:

– მოიცადე! დანებზე წამოგებას ყოველთვის მოვასწრებთ, თავად მას მოუყუსმინოთ, რას გვეტყვის, – კონტრამ თავჩაღუნულ ვიტას ჰკითხა:

– რას ერჩიდი კობრას, რატომ უჩალიჩებდი?

– მასში კონკურენტს ვხედავდი და არ მევახებოდა.

– კოსტიას რაღას ერჩოდი? თქვენ ხომ ბავშვობის ძმაკაცები იყავით და ერთად გაიზარდეთ?

– მასშიც კონკურენტს ვხედავდი.

– თავხედური გულწრფელობაა, – თავი გააქნია კონტრამ და ვიტას ჰკითხა: – ნუთუ, არც კი შეგეცოდა უსამართლოდ გარიყული შენი ბავშვობის ძმაკაცი და არ დაგაინტერესა, რა შემთხვევა?

– არა!

– კოსტია ეკლესიის მსახური, მორჩილია ერთ-ერთ

მონასტერში. მანამდე კი თავის მოკვლა სცადა, ვენები გადაიჭრა და შემთხვევით გადარჩა. იმ პერიოდში მე სროკზე ვიყავი. ყველაფერმა რომ ჩაიარა, კოსტიამ ზონაში ჩამომაკითხა და ყველაფერი მიაბო. მე მაშინვე გაგშიფრე, თუმცა, ჩემი შვილისთვის არაფერი მიტევამს, გადავწვდი, მე თვითონ მომეძებნე და წესი ამეგო შენთვის. კოსტიას კი ლეთისმსახურება უწრჩიე. მან დამიფერა და სწორ გზას დაადგა. აი, შენ კი ახლა ჩემს წინაშე დგახარ.

– მერედა, რას უყურებ, მოდი და დანახე ნამომავლე, აქ ვარ! – ხელები გაშალა ვიტამ.

– ნამომავლები კიდევ, – იღრიალა სკუპომ, დანა გაშალა და ბიჭისკენ წაიწია, მაგრამ ის კონტრამ მეორედ გააჩერა და უთხრა:

– მიუხედავად იმისა, რომ ვიტამ მიუტყვებელი შეცდომა დაუშვა, მე მას ვპატიობ, ოღონდ, ქურდობაზე არც უნდა იფიქროს და სხვა გზა ეძებოს. საქათმეში შესაგდებად არ მემეტება და საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას.

– კონტრა, უარესი რომ ჩაიდინოს? – უთხრა ზონის მაცურებელს სკუპომ.

– მაშინ, ქურდობაზე უარს ვიტყვი, – მიუგო კონტრამ.

– ასე რატომ რისკავ?

– ძმებო! – მოგვამართა კონტრამ, – ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო და ვიტას საქციელმა ჩემი კოსტია საბოლოოდ სწორ გზაზე დააყენა. ჩემი პირადი თხოვნაა, რომ ვიტას ვაპატიოთ, თუმცა, უფლება გაქვთ, თქვენი შეხედულებებისმებრ მოიქცეთ.

კონტრას, აბა, ვინ ეტყოდა უარს და ვიტას შევეუნდეთ, რაც საბოლოოდ სასიკეთო გამოდგა მისთვის და დღეს ის პატიოსნად ცხოვრობს.

ეს ისტორია იშვიათი გამოჩენისაა, ასევე ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში, ვიტას საქათმე არ ასცდებოდა, თუმცა, გაუმართლა და მეტი აღარ მიუქარავს. მართალია, ის ქურდულ ბარაკში აღარ ცხოვრობდა, მაგრამ, ღირსეულ ადამიანებში ტრიალებდა და სროკი პატიოსნად დაასრულა. ციხიდან რომ გადიოდა, მე უკვე ქურდი ვიყავი. ის მორიდებულად მომიახლოვდა და მითხრა:

– კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს, კობრა. სასიკვდილო შეცდომა დაგუშვი და გადავრჩი.

– დაივიწყე. რაც იყო, იყო. მთავარია, ღირსეულად გადიხარ სვაბოდაზე და მუდამ კაცურად იყავი. აბა, შენ იცი, – უთხარი ვიტას, ხელი ჩამოვართვი და გადავეხვიე.

– ნახვამდის, კობრა. შენი მოვალე ვარ და თუ ოდესმე რამეში დაგჭირდი, შენი ხმალი და ჩემი კისერი, – მითხრა ვიტამ და წავიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში ერთი იუველირის ბინა გავექურდე. მარტომ ვიმუშავე. კარგი კუმი ავიღე და, გეგმის მიხედვით, „ატხობი“ გავაკეთე. მოპარული მანქანა ასევე მეტრის მოშორებით მეყენა და მისკენ გავემართე, რომ დროზე მოვშორებოდი შემთხვევის ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ მანქანის ნომრები შეცვლილი მქონდა, მოპარულ მანქანას მილიცია უტრიალებდა – ეტყობა, ის ძებნაში იყო და მილიციამ შემთხვევით მიაგნო. სხვა რა გზა მქონდა. იქიდან ძალიან ფრთხილად გავიძურნე, რომ ეჭვი არავისთვის





ის აღმედრა. თუმცა, უზარმაზარი სპორტული ჩანთით სიარული, რომელიც ნაქურდალი ნივთებით იყო სავსე, ძალიან სახიფათო იყო. როგორმე მანქანა უნდა გამეჩერებინა და რაც შეიძლება ჩქარა გავცლოდი იქაურობას. ოცი-ოდე წამი იყო რომ გავიარე, მოპარულ მანქანასთან მყოფი ოთხი მილიციელიდან ერთ-ერთი ჩემკენ წამოვიდა და დამიძახა. მე ვითომ ვერ გავიგონე და ნაბიჯის აუჩქარებლად განვაგრძე გზა. ვცდილობდი, რაც შეიძლება, შორს გამეტყუებინა მილიციელი, რათა საჭიროების შემთხვევაში ის მიმითხრა და გავცქერულიყავი. ახალგაზრდა ოპერი მალევე დამენია, მხარზე ხელი დამადო. რომ გავჩერდი და შევტრიალდი, მითხრა:

- თქვენ რა, არ გესმით, რომ გეძახით?
- რა თქვით? - ვკითხე მილიციელს, - ხმამაღლა ილაპარაკეთ, ყურთ მაკლია.
- მოქალაქე, საბუთები მიჩვენეთ, - მითხრა მილიციელმა ხმამაღლა.
- სამწუხაროდ, არ მაქვს. სამსახურში დამრჩა, - ვუთხარი მილიციელს.
- სად მუშაობთ?
- კურსკის სადგურზე, მორიგედ.
- ჩანთაში რა გავქვთ?
- უნიფორმა.
- გახსენით ჩანთა და შიგთავსი მიჩვენეთ, - მიბრძანა მილიციელმა.

მე და მილიციელი, მისი დანარჩენი სამი კოლეგისგან ასოდე მეტრის დაშორებით ვიმყოფებოდით. ისინი ყურადღებით გვაკვირდებოდნენ და ანტირესტრადო, თუ რა მოხდებოდა. მე გადარჩენის თითქმის არანაირი შანსი არ მქონდა, რადგან, უმანქანოდ ვიყავი. ირგვლივ კი ისეთი ინფრასტრუქტურა იყო, ფეხით ვერსად გავიქცეოდი და ვერც დავიშალებოდი. მიუხედავად ამისა, მაინც გაქცევა ვამჯობინე. ამიტომ, ისეთი მოძრაობა გავაკეთე, რომ თითქმის ჩანთა ძირს უნდა დამეღო და გამეხსნა, სინამდვილეში კი მილიციელს ყბაში მუშტი ვთხლიშე და იქვე გავთიშე. შემდეგ ადგილს მოვწყედი და ხუთსართულიანი სახლისკენ გავიქეცი იმ იმედით, რომ იქნებ, როგორმე ხელიდან დავსხლტომოდი. გათიშული მილიციელის სამივე კოლეგა ერთდროულად გამომეკიდა. მე ოციოდ მეტრი გავიბრძინე და, შუქნიშანს რომ გავუსწორდი, უცებ „პოზედამ“ დამიმუხრუჭა, მძლოლმა კარი გააღო და დამიყვარა:

- ჩქარა, კობრა, ჩახტი და წავედით.
- მე მანქანაში ჩავხტი. „პოზედამ“ ადგილს მოწყდა და მოსკოვის ბინდიან ქუჩაში დიდი სისწრაფით გაქანდა. მძლოლისთვის არც კი მიმიქცევია ყურადღება, „ოპერებს“ გავცქეროდი და დავინახე, რომ ისინი უკან გაბრუნდნენ, მილიციის „პოზედამი“ ჩახტნენ და გამოგვედევნენ, მანამდე კი თავიანთი გათიშული კოლეგა ჩასვეს მანქანაში.

- „ძალღებო“ მოგვდევენ, - ვუთხარი მძლოლს ისე, რომ არც კი შემიხედავს მისთვის და კვლავ მდევრებს ვუთვალთვალავდი.

- წუ გეშინია, კობრა, მოვუტყდებით, - მითხრა მძლოლმა და სიჩქარე გამოცვალა.

მხოლოდ მაშინლა დავაფიქსირე, რომ მძლოლი მეტსახელით მომმართავდა, შევხედე და ვიტყვი შემრჩა ხელში.

- ვიტყვი? შენ აქ საიდან?
- გამარჯობა, კობრა, - მითხრა ვიტყვამ.
- გაგიმარჯოს!
- იქ საიდან მოვხვდი და ერთ ბობოლა პატრულს ვატარებ. ნელან სახლში მივიყვანე და გარაჟში უნდა წავსულიყავი, როდესაც შე-

ნი და ოპერის ბაზარს შევეცნარი. მივხვდი, რომ შარში ეხვეოდი და აი, ახლა აქ ხარ.

- შენ რომ გავხვიო შარში?
- არ გავხვიევი. ნომერი მოხსნილი მაქვს უკან და ვერ მომავსებენ. ხოლო, რომც მომავსებონ „ატკაზზე“ გავალ. ბოლო-ბოლო ბობოლა პატრულს ვატარებ და როგორმე დავიძვრენ თავს, - მითხრა ვიტყვამ, შემდეგ გონებაშევიღწევი მანვერი გააკეთა და კუდზე მჯდომი მილიციელები ბორდოურზე შეავლო, თვითონ კი შემხვედრ ხაზზე გადავიდა, უზარმაზარ ეზოში შევიდა, ორი ჩიხი გაიარა და გამზირზე გავიდა. კიდევ ორიოდე კილომეტრი გაიარა, გარაჟში შევიდა და მანქანა რომ გააჩერა, მითხრა:

- მოვუტყვადით „ძალღებს“, სამშვიდობოზე ვართ. გამარჯობა, კობრა, როგორ ხარ?
- ვიტყვას გადავხვიე და მივუგე:
- ახლა უკვე არა მიშავს, შენ როგორ ხარ?
- პატიოსნად ვცხოვრობ და ვაახაობ, - მითხრა ვიტყვამ, - შენ არ გეკითხები, ისედაც ნათელია, რას საქმიანობ.
- საქმიდან მოვდიოდი და მოპარულ მანქანაში იმიტომ ვერ ჩავეყევი, რომ „ძალღები“ იყვნენ იქ, სწორედ ისინი, ჩვენ რომ მოგვედევნენ. შენ რომ არა, ახლა ფაქტზე დაჭერილი ვიქნებოდი.

- მადლობა ღმერთს, რომ ასე არ მოხდა, - მითხრა ვიტყვამ და მკითხა: - მითხარი, სად უნდა მივიყვანო, სხვა მანქანას გამოვიყვან.
- შენ ისედაც ბევრი გარისკე და კიდევ როგორ შეგანუზო?
- არ გრცხვენია, კობრა? რა შენუხებაა, სულაც, თუ გინდა, ჩემთან წამოდი სახლში. მარტო ვცხოვრობ. იქ გაათენე ღამე, ხვალ კი შენ იცი შენი საქმის.
- უხერხული ხომ არაა?
- რის უხერხული, წავედით, - მითხრა ვიტყვამ, შემდეგ თავის კოლეგას სთხოვა, რომ სახლში წავეყვანეთ და სულ რაღაც ნახევარი საათის მერე ვიტყვას მყუდრო ბინაში ვისხედით, არაყს ვსვამდით და ვსაუბრობდით.

- თქვენ რომ არა, ახლა ჩემი ღუბიც არ იქნებოდა, - მითხრა ვიტყვამ და ჭიქა ასწია, - შენი და კონტრას თამადაობით, ყველა კაცურ კაცს გაუმარჯოს!
- გაუმარჯოს! - ვთქვი მეც და დავლიე. მიუხედავად იმისა, რომ მე და ვიტყვამ თითქმის მთელი ღამე არყის სმასა და ლაპარაკში გავათენეთ, ერთხელაც არ უკითხავს ჩემთვის, თუ სად და რა საქმე გავაკეთე. არც მე მითქვამს მისთვის არაფერი. სმას რომ მო-



ვრჩით, თითქმის გათენებული იყო და ვიტყვამ მითხრა:

- ბოდიშს გიხდი, კობრა, მაგრამ, მე სამსახურში უნდა წავიდე, შენ კი დანეჭი და დაიძინე. ისე იგრძენი თავი, როგორც საკუთარ სახლში. არავინ შეგანუხებს. მე საღამოს მოვალ. თუ რამე გჭირდება, მითხარი და შეგისრულე.
- ცოტას წაუძინებ, - ვუთხარი ვიტყვას, რომელმაც საძინებლისკენ მიმითითა და მითხრა:

- სანოლი გაშლილია, დაისვენე, მე კი წავედი.
- შუალღემდე კარგად გამოვიძინე, შემდეგ ავდექი, შხაპი მივიღე და თავი მოვიწესრიგე. ვიტყვას ათასი მანეთი მაგიდაზე დავუტოვე და მისი სახლიდან წამოვედი.

მას შემდეგ ვიტყვას აღარ შეხვედრებოდა. თუმცა, ტელევიზორში ხშირად ვხედავდი მას, რადგან, წარმატებული კარიერა გაიკეთა და დღესდღეობით ცნობილი ადამიანია რუსეთში. არა და, ციხეში ვიტყვა უფსკრულის პირას იდგა და მისთვის თითის კვრაც კი საკმარისი იყო, რომ გადაჩხილიყო... რამდენი ასეთი გადაჩხილი მინახავს ჩემი ცხოვრების განმავლობაში, რომლებიც არ იმსახურებდნენ ასეთ ბედს, მაგრამ, სისტემის ან რომელიმე კერძო პირის უსამართლობის მსხვერპლი გახდნენ.

ერთხელ მოლდავეთში, კიშინიოვის მახლობლად მდებარე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ვიხიდი სასჯელს. ერთ მშვენიერ დღეს ზონაში 18 წლის ბიჭი მოიყვანეს, რომელიც პლაცზე გაჩერდა და ადგილიდან არ იძვროდა. გამყოფი ლობის მიღმა მდგარი ზედამხედველები დამცინავდნენ უყურებდნენ მას, შუა თითის უჩვენებდნენ და ხელით მიუთითებდნენ - საქათმეში წადიო. ბიჭი კი ადგილიდან არ იძვროდა და ზონის პატიმრებს ათვალეირებდა,

ქველ-სახსართა პათოლოგიის ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატიზმის, ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსარებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმალღეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა - დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 - ქ-ში ქათაძანი; 2-47-58-83 - ოფისი.



ურ მასაში ამოსვარეს და აგორავეს, შემდეგ აბანოში შეაგდეს და მძლავრი წყლის ჭავლით, დეიდობილა გარეცხეს, მერე კი ღუბინკებით მაგრად დაამუშავეს. ბოლოს სლავიკა პეტრომ გააუბატურა, სულამობილ ბიჭს კალგოტკები ჩააცვეს და მალალეტკების ზონის შუა პლაცზე დააგდეს. გათიშული სლავიკა დილაძემდე უგონოდ ეგდო. დილით კი გამოფხიზლდა, ნაშობდა და კალგოტკები შემოიხია, აქეთ-იქით დაიწყო სირბილი და საშინლად ღრიალებდა. ბოლოს ის შეიპყრეს, ნემსი გაუკეთეს და დააძინეს. ერთი თვე აინოჩკაში ჰყავდათ იზოლირებული. ორი დღის წინ კი სრულწლოვანი გახდა და აქ მოიყვანეს.

– რომელ პეტროზე ლაპარაკობ, ერთი კვირის წინ რომ დაიწყო ჩვენს ზონაში მუშაობა? – ვკითხე რომანს.

– ჰო, იმაზე, – მითხრა რომანმა და მარცხნივ გამახედა, – აი, შეხედე, შუა თითს უჩვენებს სლავიკას, ალიზიანებს და „დუნიას“ ეძახის.

– ცოდა, – ვუთხარი რომანს, – ქათმებთან ქსივა გაუშვი და უთხარი, სლავიკა შეიფარონ, მაგრამ ხელი არ ახლონ.

– კარგი, ახლავე, – გაუხარდა რომანს და შესასრულებლად გაემართა.

უცებ სლავიკა მინაზე დაეცა და აკანკალდა. შემდეგ ხელ-ფეხი გაჭიმა და გაშეშდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მოკვდა. ნადზორებმა სამოდელ წუთი უყურებს გაშეშებულ, მინაზე დავარდნილ სლავიკას, შემდეგ პლაცზე შეცვივდნენ, რომ ზუსტად გაეგოთ, რა დაემართა. მათ შორის პეტროც იყო, რომელიც ეცხვას თვალთ უყურებდა სლავიკას და ახლო არ მიდოდა.

– მე მგონი, დაბრუნდა, – თქვა ერთ-ერთმა ნადზორმა, რომელმაც გულზე ყური მიადო სლავიკას და პეტროს დაუძახა, – მოდი, აწვევამი მოვეცხმარე, წავათრიოთ.

პეტრო თავის ორ კოლეგას სლავიკას აწვევამი მოეხმარა და მის მარცხენა ხელთან დაიხარა. უცებ სლავიკამ პეტრო დაითრია და ძირს დაახეთქა, შემდეგ ზემოდან დაახტა და ხორხში კბილებით ჩააფრინდა, ცერა თითები კი მთელი ძალით დააჭირა თვალის კაკლებზე. პეტრო აყმუვლდა. მისი კოლეგები კი გააფთრებული პატიმრის მისგან აგლეჯას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. სლავიკა საშინელ ხმებს გამოსცემდა, პეტროს ყმული კი ნელ-ნელა შეწყდა და სლავიკა ფეხზე წამოგდა. პირში მას პეტროს ხორხი ჰქონდა, ხელებში კი მისი თვალის კაკლები ეჭირა. დანარჩენმა ნადზორებმა სლავიკა რომ დაინახეს, შებრუნდნენ და მოკურცხლეს. სლავიკას კი მათთვის არანაირი ყურადღება არ მოუქცევია, მკვდარ პეტროს მიუბრუნდა და დააშარდა. შემდეგ ხორხი გადმოაფურთხა, თვალის კაკლებიც იქვე დაყარა და ჯერ ზეცისკენ აიხდა და რალაც ჩაიბუტბუტა, ბოლოს ადგილს მოსწვდა და „ზაპრეტკისკენ“ გაიქცა. ის ჯერ პირველ მავთულხლართს შეახტა და, მიუხედავად იმისა, რომ სხეული გადაესერა, სწრაფად გადალახა და მეორეს მიადგა, ახტა და ისიც გადალახა. ამ დროს კოშკურაზე მდგარმა გუშაგმა ავტომატის ჯერი მიუშვა სლავიკას, დაცხრილა და ძირს ჩამოაგდო. ის საშინლად დაცხრილული წაათრიეს ნადზორებმა. სლავიკა ყველას მკვდარი ეგონა, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს და ცხრა თვის შემდეგ ის სრულიად გამოჯანმრ-

თელდა. სლავიკა გაასამართლეს და, მიუხედავად იმისა, რომ ნადზორი განსაკუთრებული სისასტიკით ჰყავდა მოკვლით, მხოლოდ ათი წლით ჩასვეს ციხეში. სლავიკას პროცესმა დიდი რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა კავშირში. მართალია, მასზე არც გაზეთებში დაუწერიათ და არც ტელევიზიით უთქვამთ რამე, მაგრამ, მოწმეებისა და თავად სლავიკას მონაყოლმა შოკში ჩაყარა საბჭოთა მოსამართლეებიც უცხად ამიტომაც მიუსაჯეს მას მხოლოდ ათი წელი. ოდლიანის არასრულწლოვანთა კოლონაში კი სახელმწიფო რევიზია შევიდა და ზონის ადმინისტრაცია სამსახურიდან გაათავისუფლა. სლავიკას პროცესის დასრულების შემდეგ, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ სპეციალური დადგენილება მიიღო მცირეწლოვანთა კოლონიებში პატიმართა ყოფის გაუმჯობესების შესახებ. თუმცა, ასეთ უწყებებში მდგომარეობა არც ამის შემდეგ გაუმჯობესებულა. უბრალოდ, უფრო მეტად ჩაკეტილი გახდა, რომ იქიდან არასასურველ ინფორმაციას არ გამოეღწია გარეთ. არც ოდლიანის ზონა გამხდარა უკეთესი და იქ ისევ ძველი მეთოდებით მუშაობდნენ, რომ მცირეწლოვანი კრიმინალების ნება დაეთრგუნათ და ისინი მორჩილ, უღრის მონებად გადაექციათ. აი, რატომ ერთდებოდა ყველა გათვითცნობიერებული „მალალეტკა პრისტუპნიკი“ „მალალეტკებში“ მოხვედრას. იქ მოხვედრის საფრთხე მეც შემუქრებოდა ბავშვობაში და, რომ არ დაემალულიყავი, მინიმუმ, ზემო აჭქალის მცირეწლოვანთა კოლონიაში მიკრავდნენ თავს.

სვანეთიდან ახალი ჩამოყვანილი ვყავდი მამაჩემს და დიდი იმედი ჰქონდა, რომ ჯარში გამიშვებდა და „დამაფუკავებდა“. მაშინ, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ძენილი გავხდი. სრულწლოვანებას ექვსი თვე მაკლდა, როცა მილიციის სამმართველოს „ოპერებმა“ რუსთაველის გამზირზე „ამაგდეს“. მე ჩემთვის მოესტერობდი. არანაირი ფაქტი არ მქონდა თან, ჯიბეში სიგარეტებიც კი არ მქონდა. კონსერვატორიის ასახვევთან უცებ „ნოლ შესტი“ გაჩერდა, ორი კუნთმაგარი, სამოქალაქო შმოტკებში გამოწყობილი „ოპერი“ გადმოვიდა, მერე, აქეთ-იქიდან ამომიდგნენ, მანქანაში შემაგდეს და გამაქანეს. მძღოლის გვერდით ვილაც თავგასიებული როჟა იჯდა. ის შემომბრუნდა და მითხრა:

– კობრა, შენ ხარ?

– მე გოგი გველესიანი ვარ, – მშვიდად მივუგე თავგასიებულს, რომელსაც გაეცინა და მითხრა:

– ილია ჭავჭავაძე რომ არ ხარ, ვიცი. მე გეკითხები, კობრას შენ გეძახიან?

– დიახ, მე მეძახიან.

– ჰოდა გაები, ძმაო. აბა, ჩქარა, გვითხარი, ვისთან ერთად გაქურდვდი წუხელ ვაკეში პროფესორ ჯავახიძის ბინა?

– ეგ მე არ მიქნია, – მშვიდად მივუგე თავგასიებულს, რადგან, მართლა არ მქონდა ასეთი რამ გაკეთებული.

– ვის ატყუებ, შე ნაბიჭვარო! – დამიღრიალა თავგასიებულმა, სილა გამარტყა და გამიმეორა, – ჩქარა, შენი პაძელნიკები დაასახელე!

– ტყუილია. წუხელ მე სახლში ვიყავი და მიძინა. ამიტომ, ვერავის ბინას ვერ გავეჭურავდი, – ვაგუმეორე თავგასიებულს.

– სხვა დროს ხომ გავეჭურავდეს?

– არა, არც სხვა დროს გამიჭურავდეს. მე არ ვჩალოჩობ და ვილაცაში გეშვებით.

– რა გვეშვებით, ვის ატყუებ? შენ ის კობ-

რომლებიც თვალს არ ამორებდნენ. ერთ-ერთმა ზედამხედველმა, რომელმაც მანამდე ბიჭს შუა თითი დაინახა, დაუძახა:

– დუნია, რას გაშეშებულხარ ერთ ადგილზე! ნადი, შენს სატამი დაბინავდი, შენი ადგილი საქათმეშია!

– ნადი, შენი დედაც... ისე როგორ მოგვედები, რომ ტყავი არ გაგაძრო, შე პიდარასტო! – საპასუხოდ დაუყვირა ბიჭმა ზედამხედველს, შემდეგ სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

ზედამხედველების ჟესტებიდან და ამ პატარა დიალოგიდან უკვე ნათელი იყო, რომ ბიჭი საქათმის მობინადრე იყო, თუმცა, ის ადგილიდან არ იძვროდა და არც მანერებზე ეტყობოდა, რომ „კლასიკური ქათამი“ იყო. მე და ჩემი კოლეგები ჩვენი ბარაკის წინ ვიდექით და ვაკვირდებოდით მოვლენებს. ერთ-ერთმა ჩვენმა მომავალმა ძმამ თავი გააქნია და თქვა:

– ოდლიანიდან მოიყვანეს ეს საცოდავი. კომინიოველია. ერთ უბანში გავიზარდეთ და კარგად ვიცნობ.

ოდლიანი მოლდავეთში მდებარე მცირეწლოვანთა ერთ-ერთი კოლონიის დასახელებაა, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს და იქ მოხვედრას სიკვდილი ჯობდა.

– რომან, – ვუთხარი ჩვენს მომავალ ძმას, – რატომაა რაცოდევი და რა სჭირს? უფრო სწორად, რაც სჭირს, იასნია – ქათამი იქნება, მაგრამ, რა შეემთხვა?

– ქათმის დაცვა არ მოსულა და არც ვიცავ, მაგრამ, იცი, რა ბიჭი იყო? სლავიკა ჰქვია. ქურდობა უნდოდა, მაგარი მოჩალიჩე იყო და არაფერი ეშლებოდა, მაგრამ, ერთი ნაბოზარი გადაეკიდა, არ გაახარა, ოდლიანი გაუჩალიჩა და იქ გადაუარეს, მაგრამ, ბოლომდე მაინც ვერ გატყეს. ხომ ხედავ, პლაცზეა გაჩერებული. ქათმებთან არ მივა, ჩვენთან და ხარამნიაკებთან არ მიესვლება და ახლა ფიქრობს, რა გააკეთოს.

– პლაცზე დიდხანს ვინ გააჩერებს. ნადზორები მივლენ და ძალით წაათრევენ, – ვუთხარი რომანს.

– სხვანაირად არ გამოგო, მაგრამ, სლავიკა ძალიან მეცოდება. ოდლიანში რომ შეაგდეს, ზონის წითლებმა აქტივისტებმა გაბოზება შესთავაზეს, თუმცა, მაგარი ატპორი მიიღეს. სლავიკამ ორ ბოზს თავი გაუტყვა, ერთს კი ხელი მოსტყვა. ეს შაკლები კი კოდლა-კოდლად დაესვივნენ, ხელ-ფეხი შეუკრეს და, ჯერ ფეკალ-



რა არ ხარ, ქურდობა რომ გინდა და ბობოლა ქურდები გყავს საქმის კურსში ჩაყენებული?

თავგასიებული ოპერი აბსოლუტურ სიმართლეს ამბობდა, მაგრამ, ხომ არ დაუდარსებებდი, ამიტომ, მხრები ავიჩქე, თავი გაგაქნიე და მიუუგე:

- არა, ამხანაგო მილიციელო, ეგ ტყუილია. - ვინაა შენი ამხანაგი, ვის დასცინი, შე ნაბიჭვარო! - გაცეცხლდა თავგასიებული და მეორე სილა გამარტყა.

- ნაბიჭვარს რატომ მეძახით და რატომ მცემთ, რა დაგიშავეთ? არანაირი ბინა მე არ გამიქურდავს ვაკეში.

- იქნებ, არც ბერძენას და ზურა ქართველიშვილს იცნობ და არც მათთან დაძვრები სახლში?

- ზურა ბიძია ჩემი მეზობელია და მის ხელში ვარ გაზრდილი. სახლში სიარული კი დანაშაულია?

- ბერძენასთან რისთვის დაეთრევი? - არ დავითრევი.

- უყურებ ამ ლანირაკს, რა ნასტიკინია? - უთხრა თავგასიებულმა ჩემ გვერდით მსხდომ თავის კოლეგებს და ისევ მე მომიბრუნდა:

- ჩვენ უშენოდაც შევიტყობთ ყველაფერს და „მაღალტყეპი“ არ ავცდებთ. იქ კი არა ხდება, ალბათ, კარგად იცი.

- რას მერჩით, არაფერი დამიშავებია და რატომ მემუქრებით?

- გემუქრებით? სულაც არა, - თავგასიებულმა მარიხუანით სავსე ცელოფნის პაკეტი დამანახა და მითხრა, - აი, ამ ფაქტით მიგიყვანთ ახლა სამმართველოში და გაგაპრავებთ. ერთ კვირაში გაგსროვენ და ზემო ავჭალის ზონაში გიკრავენ თავს, იქ კი, არა თუ ბარიგებს, კაი ბიჭებსაც აპეტუხებენ და საქათმე არ ავცდებთ.

- თქვენ რა, ჩემი მოსისხლე მტერი ხართ, ასე რომ მიმეტებთ?

- თუ საქათმეში ჩაჯდობა არ გინდა, მაშინ, სიმართლე უნდა გვითხრა.

- რა სიმართლე, ხომ გითხარით, რომ ნუხელ არსად არაფერი მომიპარავს?

- კარგი, კარგი, დაუფშავთ, არ მოგიპარავს. ერთ საქმეში დაგვეხმარე.

- რა საქმეში?

თავგასიებულმა ჯიბიდან ოქროს მსხვილი სამაჯური ამოიღო, მომანოდა და მითხრა:

- გამომართვი და ზურა ქართველიშვილს ჩაუდე კომოდის უჯრაში.

- რატომ? - გაუცხეული სახით ვკითხე თავგასიებულს და უკვე ზუსტად ვიცოდი, თუ როგორ უნდა მოვეცუეულიყავი.

- შენ ხომ ამბობ, რომ პატიოსანი კაცი ხარ?

- დიახ, ვარ.

- თუ ასეა, ვალდებული ხარ, მილიციას დაეხმარო. ხოლო, თუ არ დაეხმარები, ეს იმას ნიშნავს, რომ შენც „პრისტუპნიკი“ ხარ. „პრისტუპნიკებს“ კი სხვანაირად ვექცევით. გასაგებია?

- გასაგებია.

- ჰოდა, თუ გასაგებია, მაშინ ეს ბრასლეტი გამომართვი და, რაც გითხარი, ის გააკეთე. ვერაფერს ვერაფერს შეიტყობს. სამაგიეროდ, ჩვენი პაქეტიკა გექნება ყველგან და ყოველთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბარიგობის გამო სროკი არ ავცდებთ, - მითხრა თავგასიებულმა. ერთი ხელით სამაჯური დამანახა, მეორით - მარიხუანით სავსე პაკეტი და დაამატა: - აირჩიე, ან ერთი, ან მეორე.

თავგასიებულს ოქროს სამაჯური გამოვარ-

თვი, ჯიბეში ჩავიდე და ვუთხარი:

ამას ვირჩევ.

- ჰოდა ძალიან კარგი. ასე არ ჯობია? - მითხრა თავგასიებულმა, - ისე, იცოდე, ჩვენს „გადაგდებას“ თუ დააპირებ, აგაორთქლებთ. ისე თუ დღეში ჩაგაგდებთ, სიკვდილს ინატრებ.

- რა, გიჟი გგონივართ? რუსთაველზე დამტოვებთ და სახლში ავალ. ამ ბრასლეტს კი საღამოს ჩავეუბნე ზურას.

- კარგი, შევთანხმდით, - მითხრა თავგასიებულმა.

მილიციის ოპერებმა იქ დამტოვეს, საიდანაც ამიყვანეს. მანქანიდან რომ გადმოვედი, კონსერვატორიის აღმართს სწრაფი ნაბიჯით ავუყევი, თან იქით ვიყურებოდი, მილიცია ხომ არ მითვალთვალებდა. უმაღლესი სასამართლოს შენობასთან რომ მივედი, ჩემი უზნელი შემხვდა, რომელმაც მითხრა:

- კობრა, „ძაღლებმა“ აგადგეს, ხომ რუს-აველზე?

- შენ რა იცი?

- ლალიძის წყლებთან დაგინახე. რა უნდოდათ?

- ვილაცის ბათის ქურდობას მტენიდნენ და გამოიმიშვეს.

- ვა, მაგათი ბოზი დედაც...

- კაკო, სახლში მარტო ხარ? - ვკითხე ჩემს უზნელს.

- კი. რა იყო?

- ტელეფონზე დამარეკინებ?

- კი, წამოდი.

კაკო იქვე ცხოვრობდა. მისი სახლიდან ხუჭუჭასთან დავარეკე. ყურმილი დედამისმა აიღო და ვუთხარი:

- გოგია ვარ. ზურიკო არ არის სახლში?

- არა, შვილო. მამამისთან ერთად ლენინგრადში ვაფრინდნენ. რა გინდოდა, იქნებ მე დაგეხმარო?

მეტი გზა არ მქონდა, ამიტომ, ვუთხარი:

- ბესარიონ აბრალავას ნახვა მინდოდა.

- ბესოც მათთან ერთადაა. ორ კვირაში ჩამოვლენ. რა მოხდა, შვილო, ხომ მშვიდობაა?

- დიახ, მშვიდობაა. კარგად ბრძანდებოდეთ, - ვუთხარი ხუჭუჭას დედას და ყურმილი დავვიღე.

ჩემი ჩანაფიქრის მიხედვით, ხუჭუჭას მეშვეობით სამმართველოს ოპერების თავიდან მოშორება მინდოდა: აბრალავა სამმართველოს უფროსი იყო და, ვაპირებდი, რომ ხუჭუჭას ხელით ოპერებისთვის სამაჯური დამებრუნებინა, ეტყოდა, ვინ იყო და „ძაღლები“ შემეშვებოდნენ. ბედის ირონიით კი სამივე ერთად აღმოჩნდა ლენინგრადში წასული. დრო კი არ ითმენდა. მე ზურა ქართველიშვილის ნომერი ავკრიფე და დაველოდე.

- გისმენთ, - მიპასუხა ზურამ.

- კობრა ვარ.

- ჰო, რა იყო, ხომ მშვიდობაა?

- ხუთ წუთში მოვალ, არსად გახვიდე.

- კარგი, გელოდები, - მითხრა ზურამ და ტელეფონი გათიშა.

ზუსტად ხუთ წუთში ზურას ბინაში „ჩორნი ხოლი“ შევედი. მან შემთავალიერა და მკითხა:

- რა გჭირს, რა მოხდა? ზურას დანერვილებით მოვუყევი ყველაფ-



რი. ბოლოს ოქროს სამაჯური ჯიბიდან ამოვიღე, ვაჩვენე და ვუთხარი:

- აი, ამის ჩადებას მითხოვენ „ძაღლები“ შენს კომოდში.

- მაგათი დედაც... საქმის აკიდება უნდათ. - რა საქმისი?

- არ ვიცი. დიდი ხანია, ჩემ გასროკვაზე ჩალიჩობენ. გამორიცხული არაა, რომ ეს ბრასლეტი „ტრუპს“ მოხსნეს და მკვლელობა უნდათ ამკიდონ.

- მკვლელობა?

- „ძაღლებისგან“ ყველაფერია მოსალოდნელი.

- რა ვქნათ?

- პაბეგში უნდა წავიდე.

- პაბეგში?

- სხვა გზა არ გვაქვს.

- ამ ბრასლეტს რა ვუყო?

- ეს ბრასლეტი ლამაზად გავნმინდოთ, რომ თითების ანაბეჭდები არ ჰქონდეს და შემდეგ სადმე დავდოთ. შენ კი იმ თავგასიებულ „ძაღლს“ დაურეკე და უთხარი, ბრასლეტი სადაც დევს. მან ხომ თავისი ტელეფონის ნომერი დაგიტოვა.

- ჰოდა, მითხრა, ბრასლეტს რომ ჩაუდე, დამირეკეო.

- კაროჩე, ვითესებით. მე რუსეთში წავალ, შენ კი საიმედო ადგილზე გაგიშვებ. მაშინ კი, აბრალავა, ხუჭუჭა და მამამისი როცა დაბრუნდებიან, შენს ძმაცაქც დაურეკე და საქმეს მოგიგვარებს. კარგი?

- კარგი.

მე და ზურა სათითაოდ გავედით ქუჩაში და ერთმანეთს ერთ ჩვენს ახლობელთან შევხვდით, რომელმაც ზურა ვაგზალზე მიიყვანა, საიდანაც ის რუსეთში გაემგზავრა, მე კი ზურას მთანმინდაზევე დავემშვიდობე და ვუთხარი:

- აბა, შენ იცი, ფრთხილად იყავი!

- შენ იყავი ფრთხილად. სადაც გიშვებ, იქ დამხვდი. ორ კვირაში დავირეკავ.

- კარგი. ნახვამისი.

ზურა წავიდა. მე კი ქუჩის ტელეფონიდან თავგასიებულ „ძაღლს“ დაურეკე.

- გისმენთ, - მიპასუხა თავგასიებულმა.

- კობრა ვარ.

- ჰო. რა ქენი, ჩადე?

- ბრასლეტი ჩემს საფოსტო ყუთში ჩავადე. ყუთი ლიაა, მიდი და აიღე, სანამ ვინმეს არ დაუთრევი.

- შენ რა, ხუმრობ?

- სულაც არა.

- გახსოვს, რომ გითხარი, აგაორთქლებ-მეთქი?

- მახსოვს.

- მერე?



– წმიდა მიწა არის ადგილი, სადაც უფალი ჩვენი იესო ქრისტე განკაცდა და მან დედამიწაზე ყოფნის პერიოდს განვლო. ისრაელში ყოფნისას გვონია, რომ ბიბლიაში მოგზაურობ. იყო დრო, როდესაც ბეთლემში ქართველებიც აღვასრულდებით მსახურებას, ჩვენი ადგილიც გვეკონდა და მაცხოვრის აღდგომის ტაძრის გასაღებიც ქართველებს ებარათ – ისინი აღებდნენ და კეტავდნენ კარს. ათეისტურმა უღმერთო ნყოფამ ძალიან მძიმე დაღი დაასვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, რამაც შეუწყო ხელი იმას, რომ უცხოეთში, კერძოდ კი ისრაელში არსებული სინმიდეები და მონასტრები ბერძენებისა და რუსების ხელში გადავიდა. ათონში წმიდა მთაზე „ივერონი“ ქართველების იყო, მაგრამ ახლა ის ბერძენების ხელშია, ისევე, როგორც იერუსალიმში ჯვრის მონასტერი, სადაც დღემდე შემონახულია შოთა რუსთაველის ფრესკა და სხვა ქართული ფრესკები. ბერძენები ყველანაირად ცდილობენ, ქართული კვალი წაშალონ და არ სურთ, აღიარონ, რომ ეს ერთ დროს ქართული მონასტერი იყო, ქართველების მიერ ამუშავებული. იქ ქართველებს მხოლოდ მომლოცველის, პოლიგრამის როლი შეუძლია ყოფნა. მათ აღიზიანებთ, როდესაც ეუბნები, ქართველი ვარ და ეს მონასტერი ერთ დროს ჩვენი გვეკუთვნოდაო. ცნობილია, რომ ქართველ სასულიერო პირებს უშუალოდ მიუღიათ მონაწილეობა ცეცხლის გარდამოსვლაში. რა თქმა უნდა, მათ ხელში არ გადმოსულა ცეცხლი, რადგან, მაცხოვრის საფლავზე შესვლისა და ცეცხლის მიღების უფლება იერუსალიმის პატრიარქს ეკუთვნის, მაგრამ, ქართველებს ჰქონდათ იქ თავიანთი ადგილი, ასევე, დრო, როდესაც ატარებდნენ ღვთისმსახურებას და, შესაბამისად, ისინიც მონაწილეობდნენ და ესწრებოდნენ ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლას. ის, რომ ქართველებს ჰქონდათ ადგილი მონასტრის გასაღები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ ყოვლისა კი ეს მოუთხოვს იმაზე, როგორი ძლიერი იყო ქართული ეკლესია იმ პერიოდში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოეთშიც, განსაკუთრებით კი – ისრაელში. სავარაუდოდ, 25-30 ქართული ეკლესია-მონასტერი არსებობდა წმიდა მიწაზე. სამწუხაროდ, დღეს აღარ გვაქვს იმის საშუალება, რომ წმიდა მიწაზე ქართული ღვთისმსახურება აღესრულებოდეს. მაცხოვრის საფლავზე და ბეთლემშიც, სხვადასხვა კომფესიები რიგრიგობით აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას, ქართველებს კი არ გვაძლევდნენ ამის უფლებას. ქართველ სასულიერო პირებს რამდენჯერმე მოგვეცა იმის საშუალება, რომ თანამშრომლები ვყოფილიყავით, მაგრამ, ქართული წირვა წმიდა მიწაზე რომ აღესრულებოდეს, ამის სასტიკი წინააღმდეგობი არიან. იერუსალიმის წინა პატრიარქის პერიოდში ბეთლემშიც იყო ქართული მონასტერი, რომელსაც დედა ზოილე ხელმძღვანელობდა. ჩვენ, როგორც კი ჩავიდოდით, მაშინვე მივდიოდით ქართულ სავანეში მოსალოცად. მას შემდეგ, რაც ახალი პატრიარქი მოვიდა, ეს მონასტერი დაკეტულია. ასევე, ქალაქ ლოდში, სადაც წმიდა გიორგის საფლავია, იყო ქართული სახლი, სადაც მამათა ქართული მონასტერი იყო მოწყობილი, აღესრულებოდა ღვთისმსახურება,

ადამიანი იერუსალიმში თითქმის ყოველ ნაბიჯზე სასწაულს ხვდება, იქ ვერ ნახავ ადგილს, რომელიც მაცხოვრის დედამიწაზე არსებობას კიდევ ერთხელ არ გავრძობინებს. ალბათ, წმიდა მიწაზე ჩასვლა ყველა ქრისტიანის ოცნებაა, ისევე, როგორც ჩემი. ღმერთმა იწებოს, ყველას მოგვეცეს წმიდა მიწაზე ჩასვლისა და იქ არსებულ დიდ მადლთან ზიარების უფლება. რა სინმიდეები უნდა მოვილოცოთ წმიდა მიწაზე, როგორ უნდა გავიაროთ ის გზა, რომელიც მაცხოვარმა გოლგოთამდე გაიარა, ამის შესახებ წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გურამი (გურამიშვილი) გვესაუბრება:

როგორ უჩივებენ წმიდა მიწაზე ბერები უშვილო წყვილებს ლიმონსა და კალმის რბოს და რატომ უნდა დალიონ დასაქორწინებულმა აღაპიანებმა კანას გალილის შავი ღვინო

მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, ისიც დაკეტულია. ასე რომ, ამ მხრივ, ძალიან შეზღუდვები ვართ.


– როგორც ცნობილია, აღდგომის ტაძარში ცეცხლის გარდამოსვლაზე დასასწრებად შესვლა სხვა კომფესიის სასულიერო პირებისა და მრევლისთვის უფრო გამარტივებულია, ვიდრე ქართველებისთვის.

– არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ, ნებისმიერი ქვეყნიდან ჩასული მომლოცველები თავს იყრიან ერთ ადგილას, ანუ, ეპიცენტრი არის მაცხოვრის აღდგომის ტაძარი, მისი ეზო და მიმდებარე ტერიტორია. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, ასეთ დროს ტაძარში, ან, თუნდაც, მის ეზოში მოხვედ. ტაძართან რამდენიმე მისასვლელია, მაგრამ ის ისრაელის პოლიციას კორდონებით აქვს ჩაკეტილი. იერუსალიმის საპატრიარქოს აქვს სპეციალური სამსახური, რომლის დახმარებითაც შეგიძლია ტაძარში უპრობლემოდ შესვლა, არ აქვს მნიშვნელობა, სასულიერო პირი ხარ თუ არა. ვისაც სამეფო აქვს, ის თავისუფლად შედის, თუმცა ყოფილა შემთხვევა, როდესაც საშვინები შეუშვიათ ტაძარში, ადგილი დაჩრქნია და მერე ისინიც შეუშვიათ, ვისაც სამეფო არ ჰქონია, ამიტომაც დღის 5 საათიდან მიდის იქ ხალხი და წინ იკავებს ადგილს, რომ შესვლა მოახერხონ. იერუსალიმის საპატრიარქო ბექდავს რამდენიმე ათას

მაგრამ, ჩვენითვის ყველაზე დიდი იმედი და პატრონი უფალია და ის არასდროს გეტოვებს – მომლოცველების გარკვეული ჯგუფი ყოველთვის ვახერხებთ ტაძარში შესვლას. ტაძარი საკმაოდ დიდია, იქ რუსეთის დღის დეპუტატები თავიანთი ადგილი აქვთ და ურიგოდ შედიან; ასევე, საბერძნეთიდან წარმომადგენლობას, რომიდან, კათოლიკური ეკლესიებიდან, ერთადერთი ქართველები ვართ, ვისაც არ გვაქვს ჩვენი ადგილი. ამ დროს ძალიან დიდი დაძაბულობა, უსამოვნება და ჩხუბი ხოლმე ადგილის გამო. თითქმის ყოველ წელს ხდება უსამოვნება, დაპირისპირება რუს და სომეხ სასულიერო პირებს შორის – წინ რატომ დამიდეთო და ასე შემდეგ, ისევე, როგორც ბერძენებსა და რუსებს შორის. ისეთი ყოფილი და ყვირილია, ვერც წარმოიდგენ, რომ ტაძარში ხარ. თუმცა, თუ არ იაქტიურებ, ვერ შეხვალ. ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ როგორმე მოხვედ. როგორც ვიცით, წმიდა მიწაზე უამრავი სასწაული აღესრულება, ყოველი წირვაზე ხომ ხილული სასწაულია, მაგრამ, ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლა – ეს უდიდესი სასწაულია.

– როგორც ცნობილია, დიდ შაბათს ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლისთვის სამი პირობა არსებობს.

– გვაქვს სწავლება იმის შესახებ, რომ იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლისთვის სამი პირობა არსებობს. პირველი: აუცილებელია კანოკლიაში, მაცხოვრის საფლავზე შევიდეს იერუსალიმის პატრიარქი. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ სომხური ეკლესიის პატრიარქი შესულა ცეცხლის მისაღებად, მართლმადიდებელი პატრიარქი კი ვართ დაუტოვებიათ, მაგრამ, ცეცხლი სწორედ იქ, იმ სვეტზე გადმოვიდა, სადაც იერუსალიმის პატრიარქი ლოცულობდა და იმ სვეტს დღესაც ეწინევა ცეცხლის კვალი. მეორე პირობა: იერუსალიმში არიან მართლმადიდებელი არაბები, რომლებიც კარგი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, ძალიან ერთგულები. მასსოვს, წინა პერიოდში როგორ ემზადებინათ: სპეციალურ მისიურებს იცვამენ, წარწერით – „ქრისტე აღდგა“, დაფდებზე უკრავენ, მიუღ ქალაქში დადიან, საზეიმო განწყობას ქმნიან და ხალხს ახარებენ: „მაცხოვრის აღდგომა მოახლოვდა, მოინათლეთ! ჭეშმარიტი სარწმუნეობა მართლმადიდებლობაა!“ შემდეგ შედიან ეკლესიაში ყოფილი, დაფდებების დაკვრით, საზეიმო შეძახილებით. არც აგრესიულები არიან და არც მოვინისტიები. თავად ისრაელის სახელმწიფოსაც არ აქვს პრეტენზია მათ მიმართ, იმიტომ რომ, მაშპადიანი



თუ წყვილი იმარხულებს 40 დღის განმავლობაში, მოეშადა და ზიარების შემდეგ ამ პაღმის რტოს თავისი წესის მიხედვით მიიღებს, მათ უფალი შეენევა და მოუვლენს შვილს



საშეს და ურიგებს ქრისტიანულ საეღწიოებს, მათ შორის, საქართველოსაც. სომხური და რუსული ეკლესიების წარმომადგენლებს ისედაც აქვთ იქ ადგილი და სამეფო გარემოცა შეუძლიათ შესვლა, მაგრამ, ჩვენ, რადგან არ გვაქვს ადგილი, სამეფის დახმარებით ან სპონსორირად თუ შევალთ. მართლაც სასწაული უნდა მოხდეს, რომ იქ მოხვედ, სხვა მხრივ არანაირი შანსი არ გვაქვს.

არაბებისგან განსხვავებით, ისინი უფრო მიმტევებლები არიან, მუსლიმანები კი უფრო აგრესიულობით გამოირჩევიან. პალესტინის ტერიტორიაზე არის წმიდა მამის, საბა განწმენდელის უსწრწელი სხეული. ამ ღვთაებას საუკუნეების განმავლობაში ქართველი ბერებიც მოღვანეობდნენ და ერთ-ერთი ქართველი ბერი დღესაც ჩაბრძანდება ხოლმე. ანუ მესამე პირობაა, რომ ცეცხლ-



ის გარდამოსვლას წმიდა საბა განმწმენდელის ლავრის ბერებიც ესწრებოდნენ, რადგან, ეს მონასტერი განსაკუთრებულია, გამოირჩევა თავისი ტიპიკონით. თუმცა იქ ქალებს არ უშვებენ, საბაგიეროდ, ბერები მათ არ ტოვებენ უყურადღებოდ – გამოდიან და უმასპინძლებიან წყლით, ყავით, ნაკურთხი ზეთით, პალმის რტოებით, კანფეტებით.

წმიდა მინიდან სწორად ჩამოაქეთ სიმონი ლიონი, ღვინო, პალმის რტო.

საბა განმწმენდელის მონასტერში არის პალმა, რომლის რტოსაც უშვილო წყვილებს აძლევენ. ბერები გვაძლევენ მას თავისი ინსტრუქციით, რომელიც უკვე ქართულად თარგმნეს. თუ წყვილი იმარბულებს 40 დღის განმავლობაში, მოეზადება და ზიარების შემდეგ ამ პალმის რტოს თავისი წესის მიხედვით მიიღებს, მათ უფალი შეენევა და მოუვლენს შვილს. იერუსალიმში, იქ, სადაც ქართული ჯვრის მონასტერია, არის ლიონის ორი უზარმაზარი ხე. ჩვენც არაერთხელ ჩამოვგიტანია ამ ხიდან მონაცემი ლიონი, რომელსაც, ასევე, უშვილო წყვილებს აძლევენ. თუმცა, არაერთხელ მითქვამს და ახლაც აღვნიშნავ, რომ, უპირველეს ყოვლისა, არის რწმენა; უფალზე უნდა ვიყოთ მინდობილები და, პალმის რტო იქნება, ლიონი თუ შავი ღვინო, რწმენით უნდა მივიღოთ. როგორც იცით, მაცხოვარმა თავისი პირველი სასწაული კანას გალილეაში აღასრულა, სადაც ქორწილში წყალი ღვინოდ გადააქცია. იმ ადგილას არის მონ-

გილი აქვს მონყობილი, მაგრამ, ეს სასწაული, სწავლებლის მიხედვით, ორდანიის მხარეს მოხდა – ისრაელისა და ორდანიის საზღვარზე და ამიტომ ჩვენ სწორედ იქ მივდივართ. წმიდა მინაზე ხომ სამი დიდი სასწაული ხდება: პირველი – ნათლისღება მდინარე იორდანეს უკუსვლა; მეორე – 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, შუა ზაფხულში მხოლოდ თაბორის მთაზე მოდის წვიმა და, მესამე – ღვთაებრივი ცეცხლი. ამ დღეებში მივდივართ კანას გალილეაში და მოვილოცავთ ამ ადგილსაც. სამშაბათსაც რამდენიმე მონასტერს მოვილოცავთ ხოლმე. დიდ ხუთშაბათს აუცილებლად ვეზიარებით იქ, სადაც შევძლებთ, სადაც ვიქნებით. პარასკევი ჯვარცმის დღეა და, როგორც იცით, მაცხოვარმა გოლგოთამდე მძიმე გზა გაიარა. ჩვენ მიუყვებით ამ გზას, ყველა იმ ადგილას ვჩრდებით, სადაც მაცხოვარმა შესვენა, ხელი მიადო. საკმაოდ რთული გზაა, რადგან, სულ აღმართზე ადისარ და, თან, რადგან ჯვარცმის დღეა. ძველი, ვინო ქუჩებია და ამიტომ გავლა ძალიან ძნელია. ამ მსვლელობაში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია. ეს საკმაოდ ამაღლებელი და ღამაზი სასახეა. შაბათს ცეცხლის გარდამოსვლაა და, რადგან საშვი არ გვაქვს, ამიტომ, იძულებული ვართ, ადრე მივიდეთ, რომ წვალბით შევძლოთ ტაძარში შესვლა. როგორც ცნობილია, ამ დროს გარეთ უამრავი მტრედი იყრის თავს – მტრედი ხომ სულიწმინდის სიმბოლოა. საოცარია ერთი რამ – ტაძარში ცეცხლის გარდამოსვლამდე ქაოსია, ხმამაღალი ლაპარაკი, არაფერი არ გესმის. მაგრამ, როგორც კი იერუსალიმის პატრიარქი მაცხოვრის სა-

რომელიც ანთებს მისი სანთლიდან თავის სანთლებს. ჯერ ერთი, ცეცხლი თავიდან რამდენიმე წამის განმავლობაში საერთოდ არ წვავს და, თან, თეთრი ნათება აქვს. ამ დროს ტაძარში საოცარი სიჩუმეა – სულ მიკვრის, როგორ ჩუმდება ამდენი ათასი კაცი ერთდროულად.



როგორც კი პატრიარქი ხელში ცეცხლით გამოობრძანდება, მაშინვე იწყება ზარების რეკა და ადამიანებს საოცარი საზეიმო განწყობა ეუფლებათ. საოცარია ისიც, რომ ეს მართლმადიდებლური ზეიმი და შენტან ერთად სხვა კონფესიის ადამიანებიც აღნიშნავენ. ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის შემდეგ, მას სპეციალურ ჭურჭელში ვათავსებთ და სპეცრეისით მოვფრინავთ საქართველოში, რომ, სანამ ადგილობის ლიტანიოზა დაიწყო, მივებრძანოთ ღვთაებრივი ცეცხლი, რაბა, მისმა უწმიდესობამ ამ ხილული სასწაულით დალოცოს ქართველი ხალხი.

როგორც ვიცო, იერუსალიმში დღემდე ინახება ქვა, საიდანაც მაცხოვარი ამაღლდა; ასევე ის ქვა, რომელზეც გეთსამანიის ბაღში მაცხოვარი ჯვარცმამდე ლოცულობდა.

დაბ, შემორჩენილია ის ქვა, სადაც მაცხოვარი ტიროდა, თუმცა, დღეს იქ კათოლიკური ეკლესიაა. ამაღლების ადგილას კი არის პატარა მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც ადრე არაბი მუსლიმანების ხელში იყო და მეჩეთად ჰქონდათ გადაკეთებული. დღეს იქ არც მეჩეთია, არც ტაძარი, უბრალოდ, ამაღლების დღესასწაულზე იქ იერუსალიმის პატრიარქი მიდის და ღვთისმსახურებს აღასრულებს. სამაგიეროდ, ეს არის ტურისტებისთვის მოსალოცი ადგილი. ერთ ადგილას ინახება ქვა, რომელზეც გუებუნება, რომ ამ ქვაზე იდგა მაცხოვარი, როდესაც ამაღლდა. მასზე ნაფეხურები დღემდეა შემორჩენილი. ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს შეუძლია, მივიდეს და ეთხოვოს. მაცხოვრის აღდგომის ტაძარში შესვლისთანავე დაინახავ დიდ ფილას, რომელიც სურნელოვანი და მადლიანია; ეს არის ქვა, რომელზეც ჯვრიდან გარდამოსხნილი მაცხოვარი დასვენეს. მას მორონი, ზეთი სდის. ძველი ალექსანდრე ჩვენ ვიცით მამრეს მუხა, რომელიც ძალიან ძველი და დიდაა. ახლა გამხმარია. ადამიანებს მოაქეთ მისი ქერქი, რადგან, ნათქვამია, ვინც მას მოადღებდა და მიიღებს, უფილობისგან განიჯურენება.

ერთხელ წმიდა მინაზე აღდგომის მსახურებამაც მივიღე მონაწილეობა – ეს იყო საოცარი განცდა. ამ დღეს ნირვა პირდაპირ მაცხოვრის საფლავზე აღესრულება, კანოკლიაში, სადაც ცეცხლი გადმოდის, იძლება წმიდა ტრაპეზი, სასულიერო პირები ეზიარებიან. მადლობა ღმერთს, რომ მაცხოვრის საფლავზე ზიარების ღირსი გამადა. ყველა ქართველი ქრისტიანს ვუსურვებ, მოილოცონ წმიდა მინა, ილოცონ საქართველოს გაერთიანებისა და წმიდა მინაზე ჩვენი ეკლესიის დიდებისა და ადგილის დაბრუნებისთვის.




ასტერი, სადაც მზადდება ღვინო და, რადგან მაცხოვარმა სწორედ იქ აღასრულა პირველი სასწაული, მამაკაცი ან მანდილოსანი, რომელიც ამ ღვინოს დალევს, დოჯახდება. კიდევ ერთხელ ვუსვამ საზს, რომ ეს ყველაფერი რწმენაზეა დამოკიდებული.

ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის შემდეგ, წმიდა მინაზე მოსალოცად ჩასული ადამიანები ვნების შვიდფულში იმ გზას გადიან, რომელიც თავის დროზე ქრისტემ გოლგოთამდე გაიარა.

დიდ ორშაბათს, როგორც კი ჩვენ ჩავდივართ, მაშინვე მივემართებთ ქალაქ ლოდში, რომ მოვილოცოთ წმიდა გიორგის საფლავი. იქ არის ჯაჭვი, რომლითაც წმიდა გიორგი იყო დაბმული და ჩვენ გვეძლევა იმის საშუალება, რომ შევეხოთ ამ ჯაჭვს. ტაძრის ქვედა სართულზე მორწმუნდინარე საფლავია, რომლის მიხედვითა და მორწმუნის ცხედრის საშუალება გვეძლევა. ამ მონასტრის წინამძღვარი ჩვენ მიმართ ძალიან კარგად არის განწყობილი და ყოველთვის გვაძლევს უფლებას, გადავიხადოთ წმიდა გიორგის სახელზე პარაკლისი და ზეთი ვიცხოთ – საოცრად მადლიანი ადგილია. ასევე, მივდივართ ჩრდილოეთში, სადაც არის თაბორის მთა, კანას გალილეა, მკედარი ზღვა. მკედარი ზღვა სოფლამ-გიორგის ადგილია, მასში არანაირი ცოცხალი არსება არ ბინადრობს. ეს, უბრალოდ, ისტორიული ადგილია და არა მოსალოცი. იქვე არის განცდის მთა, მდინარე იორდანე, სადაც მაცხოვრი განიბანა. თვითონ ისრაელის მხარეს განბანის ად-

ფლავზე შევა, ყველა და ყველაფერი ერთდროულად ჩუმდება – ვერც ხედები, ეს როგორ მოხდა. თან, ყველა კანდელი ჩამქრალია, არავის უკავია ხელში სანთელი; მაცხოვრის საფლავი დაბეჭდილია. მანამდე ყველა კონფესიის წარმომადგენელი შედის და ამოწმებს – რამე აალებადი ხომ არ არის. პატრიარქი განიშო-



ბა და მხოლოდ თეთრი პერანგით შედის მაცხოვრის საფლავზე და ხელში 33 სანთელი უჭირავს, რომლებიც ერთდროულად ინთება. იქვე დგას სომხების ეპისკოპოსი, რომელიც ამ ყველაფერს უყურებს და ერთ-ერთი პირველია,



მიზა ცინცაძე: თბილისში დავიბადე, თუმცა ბათუმში გაიზარდე, რადგან დედა ბათუმელი მყავს. ორი წელია, რაც თბილისში დავბრუნდი და აქ დავმკვიდრდი. რაც შეეხება ბათუმს, ის ჩემთვის ბავშვობასთან ასოცირდება. ანუ, ბავშვობა იქ დავტოვე და ზრდასრული დავბრუნდი დედაქალაქში **(იცინის)**. ოთხი წლიდან ვმღერი და სულ მინდოდა მომღერალი გამოვსულიყავი. თუმცა, სკოლას რომ ვამთავრებდი, გადაწყვიტე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩამებარებინა და ჩავაბარე კიდევ: აჭარის ტელევიზიაში, დილის გადაცემაში, ვაკეთებდი სიუჟეტებს. ვიყავი სამზარეულოს რუბრიკის წამყვანი და ბოლოს საავტორო გადაცემაც მქონდა, რომელსაც ერქვა „ზღაპრები“. ასე რომ, ნაბიჯები კარიერაში პირველად აჭარაში გადავდგი და იქ საკმაოდ ცნობილი სახე გახლდით.

- დედაქალაქში როგორ დაიბრუნდი საკუთარი ადგილი? არ გაგიჭირდა?

- ბათუმში, „მანსანკანის“ გუნდში „რეზერვისტებში“ გამოვდიოდი. ჩემპიონების კი გავხდით 2005 წელს. სწორედ იქიდან გამიცნეს „კომედი გრუპის“ ბიჭებმა და სცენარისტობა შემომთავაზეს. ჩემპიონობაც, აჭარის ტელევიზიაც, ზღვაც და მზეც დავთმე და გადმოვბარე დედაქალაქში.

- ვიცი, რომ კარგად უკრავ და მღერი. ყველას ეგონა, დიდ სცენაზე დადგებოდი. თუმცა, სიმღერას იუმორი არჩიე. მამა - კახა ცინცაძე პროფესიონალი მომღერალია და ასევე, პროექტ „ნიჭიერის“ გამარჯვებული „სითი ბენდის“ ხელმძღვანელი. თუმცა, მის კვალს არ გაჰყევი.


- მართალია, ბავშვობიდან ვმღერი და ყველას ეგონა, მომღერალი გამოვიდოდი. მამა პროფესიონალი მომღერალია და ფიქრობდნენ, მის კვალს გავყევი, მაგრამ დღეს გამჭვირვალე მისიურში და ტყავის ტრუსებში მხედავს მაყურებელი ეკრანზე **(იცინის)**. რაც შეეხება, „სითი ბენდს“, რომლის ხელმძღვანელიც - მამაჩემი, გამარჯვებული გახდა „ნიჭიერში“. უნდა გენახათ, როგორ ვგულშემატიკრობდი და ვნერვიულობდი მათზე. ვკიოდი, რომ გამოაცხადეს, გაიმარჯვესო. ზოგადად, სექსტიური ვარ და ამ გამარჯვებას არ ველოდი. ამის გამო, ორმაგად გამიხარდა მათი წარმატება. დედაც და მამაც კონსერვატორიაში სწავლობდნენ, იქ გაიცნეს ერთმანეთი.

მიღობა
ხატია ჟღენტა და მეკლუდ გოგოლაძეს ვულოცავთ პატარა გაბრიელის დაბადებას! ღმერთმა ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელი ვაჟყავი გაგიზარდო! გამრავლებასა და უღვე ხიხარულს ვუსურვებთ თქვენს ოჯახს!
ჟურნალი „თბილისელები“

მიზა ცინცაძე, როდერტი გვიან შეუერთდა „კომედი შოუს“ გუნდს, თუმცა, თავის სახასიათო შედეგებით, მალევე დაიბრუნდა საკუთარი ადგილი და მსურველის ყურადღებაც მიიპყრო. მიზა, რეალურ ცხოვრებაში გულახდილი და მსურველადამიანი, თუმცა ეკრანზე გამჭვირვალე მისიურსა და ტყავის ტრუსებში, მათრახით ხელში რომ ცეკვავს უფრო თამაში ჩანს. გარდა იუმორისა, მიზა საკმაოდ კარგად მღერის და უკრავს. ეს ნიჭი კი, როგორც ჩანს, გენეტიკურად დაჰყვა.

რის ბაგო მოეხატა ასაკი თინეიჯერობისა მიზა ცინცაძეს და რაგო შეეხალა ხასიათი მას სოლის მოყვანის შედეგ

კარგად უკრავენ და მღერიან და ეს ნიჭი, მეც გენეტიკურად რომ არ გამომოყოლოდა, სირცხვილი არ იქნებოდა? **(იცინის)** ასე რომ, ხუთი წლიდან საყვირზე ვუკრავდი და მერე სხვადასხვა ინსტრუმენტსაც დავუფლესხვათა შორის, თმის ცვენაც გენეტიკურია, მუსიკალური ნიჭის პარალელურად **(იცინის)**. თინეიჯერი ვიყავი, თმის ცვენა რომ დამეწყო, მაგრამ არ დავკომპლექსდი. უბრალოდ, ასაკი მომემატა ადრეულად და სულ ეს იყო **(იცინის)**. მარტივი გამოსავალი მოენახე, ნულზე გადავიპარე თმა და დღემდე ასე ვარ.



ჩემპიონობაც, აჭარის ტელევიზიაც, ზღვაც და მზეც დავთმე და გადმოვბარე დედაქალაქში

- არასდროს ვიფიქრია საკუთარი ბენდის ჩამოყალიბებაზე?

- როგორ არა. ძალიან მიყვარს ეს სფერო და დიდი სურვილი მაქვს, მუსიკალური ჯგუფი

ღღან და მამან
პონსკაპტოკიაში
სნაპოგდნენ, პაპაპ
შპაპენ და პაპიან. მს
ნიჭი, მეს პენსტიპაპ
რომ არ გაემყოფლა,
სისნპილი არ იქნებოდა?

ფი მყავდეს. ბათუმში, „გოგლაურა“ ერქვა გუნდს, სადაც ვუკრავდი და ვმღეროდი. მერე, თბილისში წამოვედი, ჯგუფის დანარჩენი წევრები კი „სითი ბენდში“ გადავიდნენ. ვხუმრობ ხოლმე, მამამ გუნდის წევრები მომპარა მეთქი **(იცინის)**. თუმცა, მომავალში მეც ფიქრობ მუსიკალური ჯგუფის შექმნას და იმედა, გამოვივა.

- თბილისში საკმაოდ პოპულარული გახდა - ყველა გცნობს და ელიმებათ შენს ზუმრობებზე. შეიძლება ითქვას, რომ გაგიმართლა?

- ძალიან სასიამოვნოა რომ გცნობენ. მანამდეც ვჩანდი ეკრანზე, მაგრამ „კომედი შოუსი“ მოხვედრამ რომ გამხადა პოპულარული, ეს ფაქტია. ქუჩაში მაჩერებენ, ფოტოებს იღებენ და მეუბნებიან, გიყურებთ, ჯიჯარი ხარო

(იცინის). მეც არ მბეზრდება და არც თავში მივარდება ყურადღება უცხო ადამიანებისგან. აბა, სერიოზული გადაცემა რომ მიმყავდა, არავინ მთხოვდა ფოტოს გადაღებას. ახლა კი ხუმრობა-ხუმრობაში, უფრო ცნობილი გავხდი **(იცინის)**. კომპლიმენტს და ყურადღება ყველას სიამოვნებს. უფრო ბავშვებს ვუყვარვარ, რადგან მათთვის შევექმენი „ჯუმბერ ტყაბლაძე“ - ანიმაციური კლიპების პაროდია, რომელსაც ბევრი ბავშვი დღესაც უყურებს და ხალისობს. კი ვფიქრობდი თავიდან, ჯუმბერები არ გამინახყენდნენ-მეთქი, მაგრამ პირიქით მოხდა. ჯუმბერ ტყაბლაძე, დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერნეტსივრცეში.

- ახლახან დაოჯახდი და როგორც ვიცი, შენი ბედიც „რუსთავი 2-ში“, შენამდე თავისი ფეხით მოვიდა. ხომ ასე იყო?

- დიას, ასეა. ჩემი რჩეული უჭკვიანესი, ფანტასტიკური, ულამაზესი და უთბილესი ნათია ჩემიაა, რომელიც ჩანერაზე გავიცანი. „გააცინე და მოიგეს“ პროექტში გამოდიოდა და დავინახე თუ არა, მომეჩინა, მოვიხიბლე. ნელ-ნელა დავემგობრდი და სიყვარულიც ასე ნელ-ნელა მოვიდა. თავად რომანტიკულია, მე - მეტ-ნაკლებად და ურთიერთობაში, მივხვდი, ეს ჩემი ბედისწერა იყო. კარგი იუმორის გრძობაც აქვს, მუსიკალური სმენაც, მიყვარს, ვუყვარვარ და მეტი რა მინდა? **(იცინის)** ახლა ზაფხულში ვგეგმავთ, ორიგინალურ ქორწილს ზღვისპირას.

- ამბობენ, ყველა კაცი ეჭვიანიყო. შენს შემთხვევაშიც ასეა?

- მე ზომიერად ეჭვიანი ვარ და უსამართლოდ, ვერ ვიჭვინებ და არც გამოვხატავ. ზოგადად, დაოჯახებამ ჩემში ყველაფერი შეცვალა, ხასიათიც კი. უფრო ლმობიერი და რომანტიკული გავხდი 26 წლის ასაკში **(იცინის)**. დარწმუნებული ვარ, მთელი ცხოვრება უბედნიერესი წვილი ვიქნებით.

- მუსიკალური ოჯახიდან ხარ. როცა ცოლი მოყავდა, არ დაინტერესდნენ, მისი მუსიკალური მონაცემებით?

- თქვენ წარმოიდგინეთ, არა. თუმცა, ნათია ძალიან კარგად მღერის და აბსოლუტური სმენა აქვს. ასე რომ, საგვიმართლა ცინცაძეებს რძალში **(იცინის)**. სახლშიც ხშირად ვმღერით დღემდე და ჩვენი სახლიდან სულ სიმღერის ხმა გადის. ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა ცხოვრებაში - ჩემი საყვარელი საქმე მაქვს, მოვიყვანე ფანტასტიკური ცოლი და სრულ იდილიაში ვცხოვრობ.

- „ნიჭიერში“ მამის ბენდის მოგებული პრიზი - ბინა ბათუმში, შემთხვევით, შენ ხომ არ გერგო, როგორც საჩუქარი ოჯახისგან ახალდაოჯახებულს?

- ეს პრიზი ათ კაცზე გაიყო, რადგან ბენდში ამდენი მონაწილეა და მე რა მერგება, რა ვიცი? თან, მენილევ ხომ მყავს? - ძმა, გამყოფი **(იცინის)**.



„ერთი ერთში“ ახალი წამყვანების და ახალი წამყვანების



16 აპრილს, ოთხშაბათს, ტელეკომპანია „ჯიდიდის“ ეთერში გაავრცელდა მეთორმეტე სეზონის მონაწილეების ვინაობა გასულ კვირას უკვე გახდა ცნობილი. მაყურებელს არცთუ პოზიტიური დამოკიდებულება ჰქონდა ჟიურის ზოგიერთ წევრის მიმართ, ამიტომ, მეორე სეზონზე მისი შემადგენლობა შეიცვალა. ჟიურის წევრებიდან მონაწილეებს ახალ სეზონზე კვლავ შეაფასებს ზარ რისი – ფრანგი ქორეოგრაფი, რომელსაც უამრავ პროექტზე უმუშავია ევროპის მასშტაბით. მას აქვს არა მხოლოდ სატელევიზიო პროექტებზე მუშაობის გამოცდილება, არამედ, უმუშავია როგორც მოცეკვავესა და ქორეოგრაფს ევროპულ კონცერტებზე ისეთ მეთორმეტე-ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან ბიონსე, მადონა



და სხვები. ჟიურის ახალი წევრია სისი სამი – ვოკალის პედაგოგი. სისი სამი გასული წლის ბრიტანული „ვოისისა“ და „X-ფაქტორის“ მუსიკის პედაგოგი იყო და უამრავ ვარსკვლავთან აქვს ნამუშევარი. ჟიურის ახალი წევრია, ასევე, მსახიობი და რეჟისორი ზაზა კოლეიშვილი, რომელიც შეაფასებს მონაწილეების არტისტულობასა და გარდასახვას. ამ სეზონზე პროექტში ოთხის ნაცვლად ჟიურის სამი ძირითადი წევრია, მეოთხე, მონაწილე წევრი კი ყოველ ლაივზე სხვადასხვა ვარსკვლავი იქნება. რაც შეეხება წამყვანებს, პროექტს ახალი წამყვანები ჰყავს, ყველასათვის საყვარელი მსახიობები – რუსუკა მაყაშვილი და კახა კინწურაშვილი. კახას აქამდე „ჯიდიდის“ ეთერში დილის გადაცემა მიჰყავდა. მოკლედ, აპრილიდან „ჯიდიდისზე“ ოთხშაბათობით დიდი მხიარულება იწყება.



7 წლის ანასტასიას კვალი გამოიყვანა „სრულყოფილი“

7 წლის ანასტასია კვალიდან ნამდვილი აღმოჩენა სახვითი ხელოვნების მოყვარულთათვის, ბავშვს ხელოვნებათმცოდნეები უკვე უწოდებენ გენიოსს. პატარა, ლამაზი გოგონა 4 წლიდან ხატავს, 7 წლის ასაკში კი უკვე მიიღო დიპლომი საუკეთესო პეიზაჟისთვის, „ოქროს პალიტრის“ კონკურსში. ანასტასია მუშაობს აკერელით, ზეთით, ფანქრით და ძალიან კარგად ძერწავს.



პატარა გოგონას პირველი პერსონალური გამოფენა „არტარეს“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნება 23 აპრილს, საღამოს 6 საათზე და 29 აპრილამდე გაგრძელდება.



„მის საქართველო – 2012“ – თამაზ შერაზის რიგს გასრულდა

„მის საქართველო“ თამაზ შედარა დედა გახდა. ქერა და ცისფერთვალეა გოგონას, რომელიც ქვეყანას 30 მარტს მოელონა მისი დაბადება. პატარა 3 კილო და 300 გრამი და 53 სანტიმეტრი სიგრძის დაიბადა. გოგონა თავს კარგად გრძობს. დედასთან ერთად უკვე სახლშია და მის მოვლას დედა და მამა ინაწილებენ. როგორც თამაზ ამბობს, მეუღლე, ერეკლე მანგოშვილი, შვილის გაზრდაში აქტიურ მონაწილეობას იღებს და ძალიან ეხმარება. თამაზამ თქვა, რომ მის მალე მონათლავენ და მას სამი ნათლია ეყოლება, მათ შორის ის მეან-გინეკოლოგი, ვინც თამაზს გვერდით იყო მის დაბადების წუთებში. მშობლები შვილის ფოტოს ვერ არ ასაჯაროებენ და ამბობენ, რომ, სოციალურ ქსელში ბავშვის სურათს მხოლოდ ნათლობის შემდეგ გამოაჩვენებენ.



1 078 მოძრაობა 40-ე იეროლოზის დღით



30 მარტს, ქალაქ დედოფლისწყაროში, კულტურისა და სპორტის ცენტრის სპორტულ დარბაზში, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენმა გოჩა კეკელიძემ მეოთხე მსოფლიო რეკორდი დაამყარა: ერთი საათის განმავლობაში მან ორივე ხელით 40-კილოგრამიანი გირი, არც მუტი, არც ნაკლები, 1 078-ჯერ ასწია. ეს ახალი რეკორდია ორი ხელით გირის აწევაში. ღონისძიება ჩატარდა კავკასიის მსოფლიო რეკორდების ფედერაციის მიერ, რომლის გენერალური მდივანია შოთა ქელდოშვილი. ფედერაციის დახმარებით უკვე ძალიან ბევრი მსოფლიო რეკორდი დამყარდა და მსოფლიო რეკორდების საზოგადოებამ კარგად გაიცნო ქართველი ტალანტები.

მოამზადა სალომი გვილენიაძე



ჰყავდა თუ არა შაჰ-აბასს პირველს ქართული ბებიი და რამდენიმე მოსახლენი მან ქართლის მეფე ლუარსაბ მეორე

1606 წელს, ქართლის მეფე – გიორგი მეთონის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი 14 წლის ვაჟი ლუარსაბი ავიდა. ლუარსაბ მეორე საკმაოდ სუსტი მმართველი იყო, თუმცა, როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, დემეტრე თავდადებულად მსგავსად, მანაც დიდი ნებისყოფა და სულის სიძლიერე გამოიჩინა. ამიტომაც, ჩვენმა ეკლესიამ სრულიად სამართლიანად შერაცხა იგი მმართველად. ჩვენს სტატიაში სწორედ ამ მონარქის შესახებ ვისაუბრებთ ისტორიკოს გოჩა საითიძის მასალებზე დაყრდნობით.

ლუარსაბ მეორის პირველი შთამბეჭდავი გამოჩენა ჩვენს ისტორიაში 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში ხდება, ისევე როგორც ცნობილი მხედართმთავრის, გიორგი სააკაძისა. მეჩვიდმეტე საუკუნის ისტორიაში ტაშისკარის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანია, რომელიც ქართველთა უდიდესი გამარჯვებით დასრულდა.

ლუარსაბ მეფეს ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძის და. ამ ქორწინების საფუძველი შეიქმნა 1611 წელს გიორგი სააკაძის მიერ გამართული დიდი ნადიმი, რომელზეც დიდმა მოურავმა მეფე დაბატოდა. გიორგიმ საკუთარი და დაუნიშნა ლუარსაბს მწვეთი, ანუ სუფრის მოსამსახურედ. ამ ქალბატონის სახელი არ არის ცნობილი. მეფეს შეჰყვარებია სააკაძის ულამაზესი და. ლუარსაბი ვერაფერი გადაარწმუნა, რომ აზნაურზე არ ექორწინა. მოგვიანებით, ლუარსაბ მეორეს ხშირად ჩასძახობდნენ: ამ ქორწინების შემდეგ გიორგი სააკაძე ისე განდიდდება, შეიძლება, მალე მეფობაც კი ნაგართვასო. ყველაზე დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ფარსადან ციციშვილი და მეფის აღმზრდელი – შადიმან ბარათაშვილი. მათ მოახერხეს და დაარწმუნეს ლუარსაბი, რომ სააკაძის დას უნდა გამოერბოდა, თვითონ გიორგი კი უნდა მიეკლა. 1612 წელს, მეფის დასტურით, გიორგი სააკაძე ნაკვისში, მეფეთა საზაფხულო სანადირო ადგილას, დაიბარეს მოსაკლავად.

გიორგი სააკაძე არ ეჭვობდა, მოკვლას რომ უპირებდნენ. მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ის რამდენიმე მხლებელთან ერთად გამოცხადდა. ცნობილია, რომ გიორგი სააკაძეს მეფის ვერაგული განზრახვის შესახებ ფარემთუხუცემმა, მისმა ერთგულმა დიდებულმა – ბააკა ხერხეულიძემ შეატყობინა. სააკაძემ იხელთა დრო და გაიქცა ირანში შაჰ-აბასთან. ოპერაციის გათქმისთვის ბააკა ხერხეულიძეს მეფის ბრძანებით ცხვირი მოაჭრეს. ამ ინციდენტის შემდეგ ლუარსაბ მეორე ცოლსაც გაეყვანა. ცნობილია, რომ მას სხვაზე აღარც უჭირვინია.

დაუბრუნდეთ პოლიტიკას. 1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის პირობების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ირანის საკუთრებას წარმოადგენდა, დასავლეთი კი – ოსმალეთისას. ზავის გაფორმების შემდეგ, შაჰ-აბასმა საქართველოსთვის მოიცავა და მისი გაყიზილბაშება გადაწყვიტა. შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფეები თავისთან დაიბარა. ისინი არ ეახლნენ, რაც მათი მხრიდან აჯანყებას ნიშნავდა. ირანის შაჰმა თეიმურაზ პირველს მიუღებო მოსთხოვა, რომელმაც თავი აღიიღო – ქეთევან დედოფალი და შვილები გაუგზავნა. 1614 წელს შაჰ-აბასი პირველად შემოესია საქართველოს. ლუარსაბმა და თეიმურაზმა ვერ გაბედეს მასთან მებრძოლება და ორივენი იმერეთში გადავიდნენ. შაჰმა მრავალჯერ შეუთვალა მათ: გადმოდი ქართლ-კახეთში, არაფერს დაგიპყვებო. ამის შემდეგ, შაჰმა ორივეს წერილები გაუგზავნა მებრძოლი ტექსტით, სადაც მხოლოდ სახელები იყო შეცვლილი, შენთან რა ხელი მაქვს, ლუარსაბი (კუდი კაციო და პირიქით. მას სურდა, შუღლი ჩამოეგდო თეიმურაზსა და ლუარსაბს შორის, მაგრამ მათ ეს



წერილები ერთმანეთს აჩვენეს და შაჰის ჩანაფიქრიც გამოაშკარავდა. მოგვიანებით, შაჰმა შადიმან ბარათაშვილი გაუგზავნა ლუარსაბს. დიდი ძალისხმევით შედეგად დაიყოლია მან ლუარსაბ მეორე, რომ გამოცხადებულიყო ქართლში, შაჰ-აბასთან. არსებობს ერთი ვერსია, რამაც გადააწყვეტინა ლუარსაბს ქართლში გადასვლა. მართალია, იმერეთის მეფე – გიორგი მესამეც ბაგრატიონი იყო, მაგრამ ქართლის მეფეები მიიჩნევდნენ, რომ ბაგრატიონთა მთავარი შტოს წარმომადგენლები სწორედ ისინი იყვნენ და ამის გამო ზემოდან უყურებდნენ იმერეთის მეფეებს. ერთ-ერთი ცნობით, გიორგის ლუარსაბის წინაშე ფეხი ფეხზე გადაუდოდა, რაც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელს პირად შეურაცხყოფედ მიუღია. ჩემი აზრით, ეს ვერსია ნაკლებ დასაჯერებელია. ფეიქრო, ლუარსაბი იმიტომ გამოცხადდა შაჰთან, რომ მას ქართლი არ აეოხრებინა.

ლუარსაბს ორი და ჰყავდა. ერთ-ერთ მათგანზე, ხორეშანზე, თეიმურაზ პირველმა იქორწინა, მეორე და კი, რომელიც წყაროებში უფრო ხშირად ლელა ბაგრატიონიშვილის სახელით გვხვდება, შაჰის ცოლი გახლდათ.

დიდი რისკი გასწია ლუარსაბმა, როდესაც შაჰთან, ანუ საკუთარ სიძესთან, ქართლში გადმოსვლა გაბედა. ცნობილია, რომ შაჰმა ბრწყინვალედ იცოდა ქართული ენა. მართალია, ბებია არ ჰყავდა ქართველი, როგორც ამბობენ ხოლ-

შაჰის ცოლს – ლელას, თავისი ძიძის ძიძის პიუზიბია: ლუარსაბ, ნუ ეხმარები პაბაბ, შაჰი ხმანჯიანი კანია და ყველაფერს გულში ჩაიჭობსო. რაზემ ლუარსაბს შაჰსუხია: რბობს არ უნდა ეხმარებო, შაჰი ჩემი შაჰი დაგპრეშავსო არ არისო

მე, მაგრამ ის ჰარამხანაში იზრდებოდა, მისი მამისა და ბაბუის ქართველი ცოლების გარემოცვაში. შაჰ-აბასი ძალზე ძლიერი დიპლომატი იყო. იგი გორში მიეგება ლუარსაბს. რამდენიმე დღით იქ ინადიმეს, რის შემდეგაც უთხრა: ვინაა იმერეთის და შემდეგ მე შენი გზით წახვალ, მე – ირანის გზას გაუვადებო. ჩამოიყვანა თბილისში, იქიდან ყარაის ველზე დაბატოდა სანადიროდ, შემდეგ ყარაბაღისკენაც ვინადიროო... ნადირობის დროს ლუარსაბს შეტი მოუნადიროა, შაჰთან შედარებით. ეს უკანასკნელი შურანი ყოფილა. როგორც ნესი, ტირანები შურანები არიან. მას არ შეუძენია და ბოლმა გულში ჩაუმარნავს. არსებობს, ვერსია, თითქოს შაჰის ცოლს – ლელას, თავისი ძიძისთვის მიუწერია: ლუარსაბ, ნუ ეჩვენები კარგად, შაჰი ხვანჯიანი კაცია და ყველაფერს გულში ჩაიდებსო. რაზეც

ლუარსაბს უპასუხია: როგორც არ უნდა ვჩვენებო, შაჰი ჩემი უკან დამბრუნებელი არ არისო.

ერთ-ერთი წყარო შაჰის მიერ მოწყობილ ასეთ ფანდსაც ყვება: მას ლუარსაბისთვის უჭურებო ებოძა ძვირფასი თვლებისგან დამზადებული ჯილა და უთხოვია, რომ ეს საჩუქარი მუდამ ეტარებინა. ლუარსაბიც ჯილას მუდამ თან ატარებდა. მაშინ შაჰს ლუარსაბის ერთ-ერთი მხლებლისთვის დაუვალებია ამ სამკაულის მოპარვა. როდესაც ლუარსაბი მეორე დღეს ჯილის გარეშე გამოცხადდა, შაჰი „მეწუხდა“: მე ეს ერთი რამე გთხოვე და ამასაც არ მისრულეო? ლუარსაბი გამოუტყდა – მომპარეს და მიუღი დღეა ვეძებო. შაჰი განრისხდა: ლუარსაბს კარგი დაცვა არ ჰყოლია და დღეიდან მე ვუბრუნებელიყო ჩემი საყვარელი ცოლისძმის დაცვასო. ასე ტყბილი ენით, ნელ-ნელა, აიყვანა შაჰმა ლუარსაბ მეორე საბატო ტყვეობაში. სწორედ ირანის გზაზე იწყება ლუარსაბის გმირების ამბავიც.

შაჰს მიანდა, რომ თუ მეფე გამაჰმადიანდებოდა, მას მისი ქვეშევრდომებიც მიბაძავდნენ. ასე უფრო გაიოლდებოდა მისი დადგენილი პოლიტიკის გატარება. ლუარსაბი მას მტკიცედ დაუდგა. შაჰმა ვერ დაუყვავა, მერე გაუწერა, მერე დაემუქრა სიკვდილით დაგსჯიო, მაგრამ არაფერმა გასტრა. ამიტომ, შაჰ-აბასმა ის გულაბის ციხეში გამოამწყვდია. ქართლის ტახტზე კი გამაჰმადიანებული ბაგრატიონი დასვა. მოუხედავად ამისა, ქართველები, სანამ ხედავდნენ ლუარსაბ მეფის სიმტკიცეს, მტერს არ ნებდებოდნენ. ლუარსაბის წამების მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო. როცა დარწმუნდა შაჰი, რომ მას ვერანაირად იძორჩილებდა, ადგა და მოაკვლევინა. ქართული წყაროები წერენ, შაჰმა ლუარსაბი ციხის მცველებს მშვილდის საბოლოო მოპარვითა. ევროპული წყაროების თანახმად, ლუარსაბის მკვლელობა სხვაგვარადა აღწერილი. საქმე ისაა, რომ ქართველი მოღვაწეები ლუარსაბის დატყვევების შემდეგ, ეტყობენ ხერხს, თუ როგორ გამოეხსნათ მეფე. ხან ოსმალეთს სთხოვდნენ დახმარებას, ხან რუსეთის მეფეს. ჯარიმი დახმარების იმედი უკონიათ, მაგრამ შუამდგომლობას კი ელოდნენ ქართველები და საქმეში რუსეთისგან, რომელსაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანთან. ფრანგი მოგზაური ფან შარდენი ასეთ ცნობას გვანდებს: ქართველებმა რუსებს ბევრჯერ სთხოვეს, რომ როდესაც ელჩს გაგზავნით, იქნებ ერთ პუნქტად ლუარსაბის დაბრუნების საკითხიც შეიტანათო. ისინი დასთანხმდნენ. ეტყუების თანახმად, სანამ შაჰთან აუდიენცია შედგებოდა, მანამ მისი მოხელეები არცხვდნენ, თუ რა საკითხებზე უნდა ესაუბრათ მხარეებს. შაჰს ლუარსაბის გათავისუფლება ხელს არ აძლევდა, მეორე მხრივ, ვერც რუსეთის მეფეს ეტყოდა უარს. ამიტომ, მან ასეთი გამოსავალი მოძებნა. სანამ აუდიენცია შედგებოდა, ლუარსაბი მოაკვლევინა. ნადირობი კი, აუდიენციის წინ, მოკითხა: ჩემი ლუარსაბი როგორ მყავსო? შემოვიდნენ დამწუხრებული კარისაკები და მოახსენეს: ლუარსაბ მეფე სათვინაოდ ნაფიყვანია, გადავადო ბაღე ტბორში, გადაყვა და დაიხრჩოო. როგორ გაბედეთო! – „განრისხდა“ შაჰი და მისი მცველების სიკვდილით დასჯა ბრძანა. ამის შემდეგ, აუდიენციაზე, როდესაც ლუარსაბის გათავისუფლების შესახებ ჩამოვარდა საუბარი, შაჰმა განაცხადა: ამ თხოვნაზე რუსეთის მეფეს უარს როგორ ვეტყვი, მაგრამ საქმე ისაა, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ჩემი საბატო სტუმარი თევზაობისას დაიხრჩოო.

ასეთი ლუარსაბ მეორის ცხოვრება-მოღვაწეობა, რომელმაც უკანასკნელი 8 წელი შაჰ-აბასის ტყვეობაში გაატარა. წმინდანად შერაცხული მეფის საფლავი, სამწუხაროდ, არ არის ცნობილი.

კაკა სალაღანი



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ქართველი კაცის ყოფიერებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ახლა ყოველწლიურად, როცა ტელევიზორში დიდ შაბათს თვალს ვადევნებთ მაცხოვრის საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლას, რასაც წინ მართლმადიდებელი არაბი კოპტების ყიფინი და საზვიამო ჯერძახილები უსწრებს, ეს ბევრს აოცებს, ბევრს აღზიანებს, ბევრისთვის კი ჩვეულებრივი, ამ დღისთვის აუცილებელი მოვლენაა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ტრადიციას ერთ-ერთ ძველ სვანურ რიტუალთან აქვს კავშირი. ისინი თითქოს ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ, იმავდროულად, განსხვავდება კიდევ. თუმცა, ამ ყველაფრის შესახებ უფრო დანვრილებით კომპოზიტორი ნოდარ მაჰმისაშვილი გვსაუბრება:

განასახიერებს თუ არა სუბსონი გარდამოსვლის წინ არაბი კოპტების მიერ შესრულებული რიტუალი ქართველთა მართლმადიდებლობას და რა საერთო ჰქონდათ მათთან უკველს სვანებს

– სანამ უშუალოდ ამ საკითხზე გვსაუბრებოდით, მივინჯებ ვითხრათ, რომ სამყაროში ძალიან საინტერესო კანონზომიერებებია და სხვათა შორის, ეს ძველი ეგვიპტეიდან, ძველი ინდოეთიდან მოდის. ისინი გადათვლიდნენ დაახლოებით ექვს თვეს და ექვსი თვის წილად მოდიოდა ძალიან საინტერესო მომენტები. ვინც სავსე მთვარის დროს ძალიან მგრძობიარე იყო, თავისებურ ფსიქოშეფოთებას განიცდიდა ექვსი თვის შემდეგ. უფრო მგრძობიარე ხდებოდა და მეტად შეიცნობდა იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა. ანუ, ვინც აპრილის პერიოდს განსაკუთრებულად განიცდიდა, უფრო მგრძობიარეები აღმოჩნდებიან ხოლმე სექტემბერში. სექტემბერში კი იწყება სხვა რიტუალი. ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვა სტრესს და გვეგონია, სტრესი ძალიან ცუდი რაღაცაა. სტრესი სწორედ იმის განონასწორებაა. როცა ადამიანმა რაღაც ტრავმა განიცადა, ცხოვრებაში უარყოფითი ემოციები დაუგროვდა და ამ დროს უნდა გათავისუფლდეს ამ ყველაფრისგან. ასე რომ, სავსე მთვარის რიტუალი, რომელიც მარტ-აპრილში იწყებოდა, მთელი ქართული აზროვნების ერთ-ერთ სპეციფიკურ თვისებას ქმნიდა და ამტკიცებდა.

– რატომ ჰქონდა ქართველებისთვის რიტუალ ცხრას განსაკუთრებული მნიშვნელობა?

– იოანე პეტრინს მუსიკაში ერთი ძალიან კარგი ტერმინი აქვს ნახმარი: „შეყოფლება“. ეს იყო ისეთივე მილიანობა, როგორც სამების მილიანობაა. სამებაში მამა, ძე და სუფიონშია ერთდროულად იბადება. ანუ, ეს შეყოფლება არის სამება, სამების რიტუალი კი იყო ცხრა. თუმცა ცხრა რიტუალი სხვა ენებზეც ჰქონდათ, მაგრამ ქართველების ცხრა სხვანაირი იყო და ძალიან საინტერესო. ცხრა გახლდათ ჩვენი ცენტრი და რადგან შეყოფლება იყო, ამიტომ მარადისობაში უნდა გადასულიყო. მარადისობაში კი მაშინ გადავიდოდა, თუ მუდამ წრეში მოვაქცევდით. მონა, ცხრა მოვაქციოთ ცენტრში – მაქსიმუმში და მინიმუმში რომ ავიდეთ, ცხრაჯერ ორი იქნება თვრამეტი, ხოლო ცხრაჯერ ცხრა – ოთხმოცდაერთი, 18 და 81 კი ერთმანეთის სიმეტრიულია. ასე გრძელდება მერცხე: ცხრაჯერ სამი არის 27, ხოლო მისი მარცხენა მხარე იქნება 72. ასე მივიღებთ მარადისობის წრეს და ეს მარადისობა იყო ცხრა რიტუალში ჩადებული.

როგორც ცნობილია, ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში პირველად მესამე საუკუნეში გადმოსულა. მეოთხე საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი და სასულიერო

მოღვაწე, ეგვიპტი კესარიელი გვამცნობს, რომ ქრისტეს საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი აღდგომის ტაძრის აშენებისთანავე გადმოედინებოდა. დღეს ამ ხილულ სასწაულს განსაკუთრებული ყრიაშუღი არაბი კოპტები აღნიშნავენ. მათი „ხმაურიანი“ ლოცვა-ვედრება, დღეს უჩვეულოდ გვეჩვენება, მაგრამ ის უახლოვდება უფლის რწმენის მიმართ უძველეს, ყველაზე არქაულ, ბიბლიურ დამოკიდებულებას. ასევე როკავდა და გალობდა მეფსალმუნე დავით ნინასწარმეტყველი ალთქმის კიდობნის ნინაშე. არაბებმა დღემდე შეინარჩუნეს ძველალთქმისეული ლოცვა-ღადადისი. ბრიტანეთის ბატონობის წლებში ინგლისელმა გუბერნატორმა სცადა, აეკრძალა ეს „ველური“ როკვა, მაგრამ ცეცხლი მანამ არ გადმოვიდა, სანამ იერუსალიმის პატრიარქის ბრძანებით, ტაძარში არაბი მართლმადიდებლები არ შევიდნენ და ლოცვა არ აღავლინეს.

მითი უბრალოდ გამოგონილი ამბავი კი არ არის, არამედ აზროვნების, ფსიქიკის, ადამიანის მოქმედების მთელი კომპლექსია, რომელსაც საფუძვლად თავად მითი უდევს. მესამე საკითხი კი არის საკულტო წარმოდგენები, რელიგია. ამ კატეგორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქრისტიანობა და ქრისტიანული წარმოდგენები. ყველაზე ადრეულ ხანაში ის მლოცველთა განმანათლებლური მოძრაობა გახლდათ და სწორედ ამ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პირველი არაბი ქრისტიანების, კოპტების რიტუალი იყო. ასეთივე განსაკუთრებული და საინტერესოა სვანების რიტუალიც. ერთმანეთს თუ შევადარებთ, საოცარ მსგავსებასავსავე დავინახავთ და განსხვავებასაც. ყველაზე მთავარი, რითაც ისინი ერთიანდებიან, არის რიტუალების უძველესი, პირვანდელი სახე, რომელიც ადრინდელ პერიოდში შეიძლებოდა ჰქონოდა ქრისტიანობას.

– რა საერთოა მათ შორის?

– ამგვარი რიტუალი სვანებსაც აქვთ, რომელიც ძალიან საინტერესოა: ვებერთელა სვანი ვაჟკაცები მიდიან ტაძარში, მაგრამ ისინი, არაბებისგან განსხვავებით, ფეხაკრეფით, ყოველგვარი ნივილ-კივილის გარეშე, მსუბუქედ შედიან იქ და გალობენ ძველ სვანურ, სარიტუალურ, ღვთის საგალობელს. როდესაც სვანები

ივალობენ, შემდეგ ხატისკენ იყურებიან და ზურგმეტყვევით, სათითაოდ გამოდიან ეკლესიიდან. შემდეგ თითოეული მათგანი ოდნავ შემობრუნდება და ჩვენ რომ ვუვლით ტაძარს მარცხნიდან მარჯვნივ, ამ მიმართულებით, უცებ საფერხულო რიტმში იწყებენ სვანურ ფერხულს. ერთმანეთს მიეხმებიან და სამჯერ გარშემო შემოუვლიან ტაძარს „მთვარის ფერხულით“. შემდეგ ეკლესიის წინ დგებიან და იწყებენ ცეკვა „შეჯიბოს“ – ანუ, ჩვეულებრივ ცხოვრებაში განმედილი შემოდინი. კოპტების შემთხვევაში ცოტა სხვანაირადაა საქმე. როდესაც აღდგომის წინ მაცხოვრის საფლავზე გარდამოდიან ცეცხლი, იმ დროს ტაძარში ყიფინით შედიან არაბი კოპტები. და როდესაც, ერთ ნელწინად ისინი არ შეუშვებს ეკლესიაში იმ წელს ცეცხლი არ გადმოვიდა. კოპტები იმ-იტომ არ შეუშვებს, რომ ფიქრობდნენ, თავისი რიტუალით კერპთაყვანისმცემლობის რიტუალს იმეორებდნენ. რომ დავაკვირდეთ კერპთაყვანისმცემლობის რიტუალს, დავინახავთ, რომ კოპტების რიტუალი მისგან პრინციპულად განსხვავდება. მსოფლიოში არავის უნახავს და არ გადაუღია რიტუალი, როცა ადამიანები კერპების თავყვანისმცემლობას მასთან კვილნივლით, ყიფინით მიდიან. ანუ, ეს კატეგორიულად გამოირჩევა კერპთაყვანისმცემლობის რიტუალთან მსგავსებასაც კი.

– ჩვენ, ადამიანებს, ფსიქიკაში გვაქვს გამჯდარი, რომ ეკლესია-სთან უწვიდა, კრძალით შენდა მივიდეთ და ალბათ, ამიტომაც გვიკვირს მართლმადიდებელი კოპტების ქცევა.

– ჩვენი ყოფიერება სავსეა ნივილ-კივილით, ცოდვებით და არაბი კოპტები სწორედ ამას ასახავენ – ასეთია ჩვენი ცხოვრება, ასეთები ვართ ჩვენო და მიდიან იქ, რათა შეიცვალონ, განიწმინდონ. როგორც კი ტაძარში შედიან, საოცრად წყნარდებიან და რიტუალს აგრძელებენ თითქმის მდუმარებით, უდიდესი თავყვანისცემით. ძველმა ლათინებმა ამ ფორმას „ლალოც“ კი უწოდეს. ასე რომ, არაბი კოპტები თავისებური „ლალოთი“ განმედილები ბრუნდებიან უკან. კოპტები ცხოვრებიდან მიდიდნენ ტაძარში და სვანები უკვე განმედილები უბრუნდებიან ცხოვრებას, რომ ის ხელმეორედ, ახლად დაიბადოს მათთან. ეს გასაოცრად ჰგავს მართლმადიდებლურ პირვერის გადანერას.

– რით ჰგავს?

– მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი ღირსებაა, რომ მასში სულისა და ხორცის საოცარი ჰარმონია ერთად არის განხილული. როდესაც ადამიანი ბევრს ფიქრობს, სწავლობს, აზროვნებს, ლოცულობს, მისი მთელი ფსიქოკონცენტრაცია შუბლთან ხდება. შესაბამისად, პირველი, რასაც პირვერის გადანერას ვაკეთებთ, სწორედ შუბლის არიდან იწყება,

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)



სოფო ბაღია: ეს წელი ჩემთვის ძალიან კარგად დაიწყო. ძალიან ბედნიერი ვარ და ეს მემჩნევა კიდევ. მიმამ საერთოდ შემიცვალა – ბედნიერება მაჩუქა, რაც ასე მაკლდა ცხოვრებაში.

- თუმცა, ვფიქრობ, ყოველთვის ბედნიერი ჩანდი. დავიჯერო ეს, მოჩვენებითი იყო?

- სწორია, ასე ჩანდა. არასდროს მიყვარდა პირად ცხოვრებაში სხვების ჩარევა და ამიტომაც, არ ვიმჩნევედი, არ ვამხელდი დარდს. ზოგადად, არც პირად თემებზე საუბარი მიყვარს, მაგრამ რადგან მკითხეთ, გიპასუხებთ. ბევრი მეუბნება, თვალბში ნაპერწკლები გაგიჩნდა, რაც მიმა შენ გვერდით გამოჩნდაო. დამიჯერეთ, მეც ვამჩნევ ამას და მიშაც და მეგობრებიც ხშირად აღნიშნავენ. არ გამიგოთ ისე, თითქოს ადრე ვთამაშობდი და ამით ვმალავდი პირად განცდებს. უბრალოდ, არ მინდოდა, ჩემი პირადი პრობლემების შესახებ სხვებს გაეგო.

მიშა მისხი: ძალიან დიდი აუიოტაჟი ატყდა საზოგადოებაში, როცა გაიგეს ჩვენი ურთიერთობის შესახებ. სიმაართლე ვითხრათ, მიკვირს. ყველა იმასახურებს სიყვარულსა და ბედნიერებას ცხოვრებაში და თუ ეს მოვა, მას ხელი რატომ უნდა ჰკრა? მართალია, თავიდან სოფო თავს იკავებდა, მაგრამ იმდენი ვიბრძოლე, დღეს ბედნიერია (იციან).

სოფო: მე, აბსოლუტურად მესმის, რატომაც ატყდა აუიოტაჟი ჩვენს ურთიერთობაზე.

- იქნებ, ჩვენც გაგვიბილო?

- საქმე ისაა, რომ ჩემი წარსული ცხოვრება, იმდენად დალაგებული ჩანდა უცხოთ თვალში, რომ ვერ წარმოიდგინეს, ყოფილ ქმართან განშორების შემდეგ, ასე მალე როგორ ვიპოვე ჩემი სიყვარული. აბა, გაიხსენეთ, სოფო ბედიანზე ჭორი გსმენიათ? თუნდაც კარგი? მართლა ვერ ვიხსენებ. ანუ, იმდენად სტაბილური ჩანდა ყოფილ ქმართან ჩემი თანაცხოვრება, ყველას გაუკვირდა, ასეთი სტაბილური ოჯახი რატომ, ან რის გამო, დაინგ-

ბოლო დროს, მომღერალი სოფო ბაღია შესამჩნევად შეიცვალა. თითქოს, უფრო გალამაზდა, გლალდა და თვითდაჯერებული გახდა. როგორც თავად ამბობს, ეს იმ სიყვარულის ბრალია, რომელიც მიშა მისხის სახით ჰყავს გვერდით. ფაქტია, მათ შესახებ აქტიურად წერენ, გადაცემებშიც ხშირად ინვევენ, უამრავი ჭორ-მართალიც გავრცელდა საზოგადოებაში. მაგრამ, მთავარია, რომ სოფოც და მისი რჩეულიც თავს კარგად გრძნობენ, სიყვარულის წუთებით ტკბებიან და ერთმანეთის გვერდით ატარებენ ყოველ წამს. ამბობენ, ორი ადამიანის ბუდი ზეცაში წყდებაო. ჰოდა, თუ ასე ვიმსჯელებთ, ის, რომ სოფო და მიშა დღეს ერთად არიან, ბედისწერას უნდა დავაბრალოთ.

რა შეხვალა სოფო ბაღიასა და მიშა მისხის სხოვრებაში ბიუჯეტ სიყვარულმა

რაო... და ნამოვიდა ათასი ჭორი. არავინ იცის, რა მოხდა და ყველა ლალატისკენ მიდის. დამიჯერეთ, ჩემს ყოფილ ქმარს ეჭვიანობის საბაბიც კი არ ჰქონია და ეს ნამდვილად არ იყო ჩვენი ოჯახის დანგრევის მიზეზი.

- მიშა, შენ ეჭვიანი ხარ?

მიშა: სხვათა შორის, ცოტა ეჭვიანი ვარ. თუმცა, გააჩნია რაზე (იციან). ღმერთმა დამიფაროს, იმაზე ვიეჭვიანო, საყვარელი ქალი მალალატობსო. უბრალოდ, ტელეფონი რომ რეკავს, ვინტერესდები: ვინ იყო, რა უნდოდა... ვუფროხილდები სოფოს, არ მინდა, ვინმემ შეურაცხყოფა მიყენოს.

სოფო: თორემ შენი ხელი მტერს მოხვდა (იციან).

მიშა: დამიჯერეთ, მსიამოვნებს, როცა სოფო მღერის და ის მოსწონთ, ტაშს უკრავენ, აქებენ. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. მაგრამ, ქუჩაში რომ ვინმემ უთხრას: ვაიმე, რა ქალი ხარ, რა მაგარი ხარო, მართლა შემომელახება და საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ. სოფო ის ადამიანია, რომელმაც ცხოვრება გამილამაზა, მომცა ის, რაც 29 წლის განმავლობაში მაკლდა. გამიღვივა გრძნობა, რომელიც ძალიან მჭირდებოდა და ვერ წარმომიდგენია, მის გარეშე, თუნდაც ერთი დღე გავძლო. მართლა ავადმყოფურად მიყვარს (იციან).

სოფო: მგონი, ეს ის დაავადებაა, რომელსაც არ უნდა უმკურნალო (იციან).

მიშა: მე ყველაფერს ვეცდები, სოფო იყოს ბედნიერი, სულ ასეთი ლამაზი და სიხარულით სავსე.

- იდეალურად დახატეთ თქვენი ურთიერთობა და დავიჯერო, არ კამათობთ ხოლმე?

- როგორ არა, ვკამათობთ. კამათი ყველა წყვილს შორის ხდება. ერთხელ სოფომ მითხრა: სულ ვნატრობდი, კაცს თავდავიწყებო

ყვარებული და ახლა შენ რომ გიყურებ, მეშინია, სიყვარულისგან ჭკუიდან არ გადახვიდე, ცოტა „გალაითეო“ (იციან).

სოფო: მიშას შეუიღვინებო პრიოდით უყვარს და ამიტომაც, ძალით მეკამათება, რომ ეს სიამოვნება არ მოიკლოს (იციან).

- ურთიერთობის დაკანონებას როდის გეგმავთ? სოფო, როდის გნახავთ თეთრ საქორწინო კაბაში?

- ჯერ შეყვარებულობის პერიოდით ვტკბებით და ალბათ, მალე დავაკანონებთ ჩვენს ურთიერთობას.

მიშა: მართალია, ვტკბებით რომანტიკული ურთიერთობით, სულ ერთად ვართ, მაგრამ ასე, ალბათ შემოდგომამდე გავაგრძელებთ. მერე კი, დაქორწინდებით და შექმნით კიდევ ერთ ქართულ ოჯახს. ახლა, ეს ეტაპი გვიხარია. შეყვარებულები ვართ და ვტკბებით ერთად ყოფნით. რაც შეეხება თეთრ კაბას, მას სოფო აუცილებლად ჩაიცვამს, რადგან ჩემთვის ეს პირველი ქორწინებაა. ქორწინი და გვერდით საყვარელი ადამიანი თეთრ კაბაში კი ყველა მამაკაცის ოცნებაა.

- მიშა, სოფოს ჰყავს 5 წლის შვილი, ნიკოლოზი. მასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

- სხვათა შორის, თავიდანვე კარგად მიმილო. სოფოს რომ მივაკითხე, ნიკოლოზი მოვიდა და კისერზე შემომეხვია. დღემდე ასე ვართ. რომ ვზივარ, მორბის, მეხუტება და მკოცნის. ასე რომ, მასთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. რომ დავექორწინდებით, მერე ერთ ბინაში ვიცხოვრობთ - მე, სოფო, ნიკოლოზი და ჩვენი მომავალი შვილები. ოჯახი ჩემთვის ყველაზე მთავარია და იმედი მაქვს, სულ ასეთი მშვიდი და იდილიური ურთიერთობა იქნება ჩვენს მომავალ ბინაში. მე ჩემს მეუღლეს და შვილების დედას ყოველთვის საკუთარ თავზე მალა დავაყენებ. ვიზრუნებ მათზე და ვეცდები ბედნიერები იყვნენ. ბევრი მეუბნება, თავიდან ყველა მამაკაცი ასე ამბობს, ყველა ვარდისფერ ფერებში ხატავს ცხოვრებას, მერე კი, სიყვარული წელ-წელა ხუნდებაო. მე მჯერა, რომ ჩემი და სოფოს სიყვარული დროთა განმავლობაში, კი არ გახუნდება, პირიქით. უფრო გაფერადდება. მე გიყურდი და ბედნიერი სიყვარული მაჩუქა სოფომ და ამისთვის, მისი მადლობელი ვიქნები მთელი დარჩენილი ცხოვრება.

სოფო: მიშას ძალიან უყვარს ბავშვები და უნდა ნახოთ, მათ როგორ ეფერება. ნიკოლოზს რომ ევეკითხები ყველაზე ძალიან ვინ გიყვარს-მეთქი, მპასუხობს: დედიკო, მამიკო, მიშა მესხი, ბებია და ასე ჩამოყვება. ასე რომ, მიშას ჩემი შვილის ცხოვრებაში მესამე ადგილი უკავია (იციან).

ონა ლათიჟიკა



მიშა: „ქუჩაში რომ ვინმემ სოფოს უთხრას: ვაიმე, რა ქალი ხარ, რა მაგარი ხარო, მართლა შემომელახება. ჩემს თავზე პასუხს არ ვაგებ“

ღამგნაპროტ ვ წლის ლიზი კაპელაშვილს შეიძინეს სინის ღამგნაპროტი!



3 წლის ლიზი ყველაშვილი ექიმებმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ღამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

„მამთი“, „პილინი“, „ჯეოსალი“: 0901 70 00 84.
„საქართველოს ბანკი“ GE40BG000000774324900.



ბოლო დროს სატელევიზიო სივრცეში მომრავლებულმა მუსიკალურმა კონკურსებმა, არაერთი ნიჭიერი ადამიანი გამოაჩინა და გააცნო საზოგადოებას. სოფო თინიკაშვილი ბავშვობიდან მღერის, თუმცა კონკურსებში მონაწილეობის მიღება, არასდროს უფიქრია. დღეს კი, ის „იქს-ფაქტორის“ ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილეა. სოფო, ანა ხანჩალიანი და, და მიჩინევი, რომ მას და მის დედამამიშვილებს მუსიკალურ გენეტიკაში ნამდვილად გაუმართლათ.

რას უყვალის ანა ხანჩალიანის ღის, სოფო თინიკაშვილის სწორკეობაში „იქს-ფაქტორის“ მოგება და ქიუჩის როლი ნიჭის უფასოების უიწონოა მას ყველაზე მეტად

სოფო თინიკაშვილი: ბავშვობიდან ვმღერი. მუსიკალური შვიდწლიანი რომ დავამთავრე, ჩავაბარე კონსერვატორიასთან არსებულ ათწლიან კლასს განხრით. შემდეგ მოსამზადებელ კურსზე გადავედი, ანუ ფაქტობრივად, კონსერვატორიის სტუდენტი გავხდი და გავიპარე, ანუ გავთხოვედი (იცინის). ამის გამო, კონსერვატორიაში ვეღარ გავაგრძელე სწავლა. არადა, პედაგოგები დიდ იმედებს აწყობდნენ ჩემზე. მეუბნებოდნენ, ამდენი შრომა როგორ ჩაყარე წყალშიო (იცინის). თავიდან, კლასიკურ ფანრში ვმეცადინებოდი, გათხოვების შემდეგ კი, ჯაზმა გამიტაცა. დღესაც მეუბნებიან, ოპერამ კარგი მომღერალი დაკარგა შენი სახითო. საბედნიეროდ, ჩემი მეუღლე იმდენად კარგი ადამიანი აღმოჩნდა, რომ გვერდით მიდგას და მისი წყალობით მუსიკალურ სფეროშიც საკმაოდ წარმატებული ვარ. ვალერი, თავიდანვე მუსიკოსია – ფორტეპიანოზეც და გიტარაზეც არაჩვეულებრივად უკრავს და მღერის. ძალიან ბევრი საერთო გვაქვს მუსიკალური თვალსაზრისით. ერთობლივი მუსიკალური რეპერტუარი შევქმენით და ბარში, ლუქში ვმღერით უკვე თორმეტი წელია. ჩვენი მსმენელიც გვაყვას და ხშირად მოდიან ჩვენი მოსამზადებელი ცნობილი ქართული შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები. მამჩინევი გიჟს შავდა, ჩემი შვილი ბარში როგორ უნდა მღეროდესო. მაგრამ, რომ მიხვდა, რა სერიოზულად ვუდგებოდი ამ საქმეს, დაწყნარდა (იცინის). სიმღერის ნიჭი, მშობლებისგან, გენეტიკურად დაგვყვა ოთხ დედამამიშვილს და ყველანი კარგად ვმღერით.

- სოფო, შენი და - ანა ხანჩალიანი, საზოგადოებამ სატელევიზიო, საკონკურსო შოუდან გაიცილა. დღეს ის სომხეთის „ფოისია“ თავად არასდროს ვიფიქრია, მსგავს კონკურსებში მონაწილეობაზე?

- სიმართლე გითხრა, არასდროს მიფიქრია, კონკურსებში მონაწილეობაზე. მე ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი, ვმღეროდი და არ მინდოდა სურვილი, ყოფილი, ფართი საზოგადოების წინაშე გამოვსულიყავი. არადა, ბევრი ცნობილი მომღერალი მეუბნებოდა, სცადე ბები კონკურსზეო, მაგრამ უარს ვამბობდი. ნოდიკო ტატიშვილი მეუბნებოდა: რატომ არ გადინარა კონკურსებზე, ხომ შეგიძლია, დაამტკიცო შენი ნიჭი დიდ სცენაზე და გახდე უფრო პოპულარული, რატომ ამბობ ამ სამიოვნებაზე უარსო. მე კი თავს ვიკავებდი. რაც შეეხება ჩემს დას, ძალიან მიხარია მისი წარმატებები. მას მე თავად ვურჩევდი, გასულიყო და ბები ეცადა კონკურსებზე. მიუხედავად იმისა, რომ მე ანაზე მეტი მუსიკალური გამოცდილება და სტაჟი მაქვს, მას საზოგადოება უფრო კარგად იცნობს და პოპულარულია. ერთი სიტყვით, ანა „ფოისია“ (იცინის). ერთ დღესაც გავიღვიძე და ჩემს ქმარს ვუთხარი: მე „იქს-ფაქტორის“ შესარჩევ ტურზე უნდა გავიდე-მეთქი. გაგიჟდა, რა ნაზე ასეთი ლამაზიო (იცინის). დაფუხვალე, არადა, მართლა ვნახე სიზმარში, რომ მივედი „რუსთავი 2“-ში, მინდოდა კონკურსზე გასვლა და იქ დიდი ბარიერები დამხვდა. რომ გავიღვიძე, ვიფიქრე, ეტყობა, ეს ერთგვარი ნიშანია და მე ეს ბარიერები ცხადში უნდა გადავლახო-მეთქი. ასეც მოვიქცე.

- რატომ არ მოუყვები ქმარს სიზმრად ნანახი?
- ჩემი ქმარიც და დედამთილიც ძალიან ეკლესიურები არიან, არ სჯერათ მსგავსი რამეებ-

ის და ვიფიქრე, დამცინებენ-მეთქი (იცინის). მოკლედ, ვალერიმ მკითხა, მიკვრის შენ რომ გადანიჭე კონკურსზე გასვლაო. არ უთქვამს უარი, ჩავიცივით, ავიღეთ გიტარა და წავედით შესარჩევ ტურზე. ვალერი უკრავდა, მე ცოცხლად ვმღეროდი და სამ დღეში დამირეკეს, მობრძნდითო. ვალერი ოპტიმისტიცაა, მე კი უფრო - პესიმისტი. მისი ოპტიმისტობა ძალიან მშველის და მამხნევებს. ახლა, ძირითადი, შესარჩევი ქასთინგიც გავიარე, ძალიან მოვეწონე ფიურის და ვფიქრობ, წინ საინტერესო კონკურსი მელის. ძალიან ემოციური ვარ და ეს ემოცია ისე მანებდა სცენაზე, მეშინია გული არ გამისკდეს (იცინის). სიმართლე რომ გითხრა, იმდენად ვადავწყვიტე „იქს-ფაქტორში“ მონაწილეობა, რომ მინდოდა, შემეგრნო დიდი სცენა, ფართი აუდიტორია და ის ემოცია, რაც ამ სივრცეს მოაქვს.

- მერე, შეიგრძენი ეს ემოცია ფიურის წინაშე რომ იდეცი?

- ძალიან დიდი დოზით (იცინის). არ მეგონა, თუ ინერვიულებდი, რადგან ბავშვობიდან ვმღერი და სხვები მისმენენ. მაგრამ, დიდი სცენა სულ სხვა რამეა. როგორც კი სცენაზე გამოვედი, სტეფანემ მკითხა, რას იმღერებო. რომ ვუთხარი ანეტა ფრანკლინის რეპერტუარიდან-მეთქი, პირდაპირ მომხალა, ბევრმა სცადა მისი რეპერტუარის შესრულება და უკვე შემაზიზნესო. ანუ სკეპტიკურად განვიყო. თუმცა, როგორც კი დავიწყე სიმღერა, ოთხივე ფიურის წევრის სახეზე აღფრთოვანება ამოვიკითხე. ისეთი დაბნეული ვიყავი, არც კი მახსოვს, რა მითხრეს სიმღერის დამთავრების შემდეგ.

- რომ გადახვიდე ტურიდან ტურში, დამარცხო საკმაოდ ნიჭიერი კონკურსანტები და მოიგო „იქს-ფაქტორი“, რა შეიცვლება ამით შენს ცხოვრებაში?

- ვერ გეტყვით. ალბათ, პოპულარული გავხდები და ზუსტად ისეთივე დავრჩები, როგორიც ახლა ვარ. აი, ხომ გეუბნებით, მე ბავშვობიდან ვმღერი და ქუჩაში რომ ჰქაიხით უბრალო გამველეს, ვინ არის სოფო თინიკაშვილი, ვერ

გიპასუხებთ. ანა ხანჩალიანის სცენაზე კი, ყველა თვალცრემლიანი პატარა გოგონა ახსენდება დიდ სცენაზე. ასე რომ, დავრწმუნდი, მომღერლისთვის პიარი, ტელევიზიით ხშირად გამოჩენა აუცილებელია. პრაქტიკა გავლილი მაქვს, ვფიქრობ კარგად ვმღერი და რატომაც არ უნდა ვცალო? (იცინის).

- თქვი, პესიმისტი ვარო. ზოგადად, მიხანდასახული თუ ხარ?

- ადრე არ ვიყავი, მაგრამ ახლა, 28 წლის ასაკში, მიხანდასახული გავხდი. ვიცი, რა მინდა და რისთვის უნდა ვიბრძოლო მუსიკაშიც და პირად ცხოვრებაშიც.

- შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, როგორც მიხვდი ოჯახია. არა?

- ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ჩემი ქმარია. მგონი, ის უფრო მეტად განიცდის სცენაზე რომ გამოვედი, თითები დაიკვიტა და ხმა დაკარგა, ისე ინერვიულა (იცინის). ანა უფრო მშვიდად მიუდგა ჩემს გამოსვლას. მეუბნებოდა, ძლიერი უნდა იყო და ფარხხალი არ დაყარო, ბევრ სირთულესთან მოგიხვევს გამკლავება და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო. გამოგიტყდებით და, მე ამ საკონკურსო განაცხადებისა და სირთულეებისთვის არ ვარ მზად, მაგრამ რაც უფრო ვარ განაცხადებში ხვდები ადამიანი, მით უფრო ძლიერდები და მიზნისთვის იბრძვი. კონკურსების უნდა გავუძლო და ვიბრძოლო, უკან დასახევი გზა აღარ მაქვს (იცინის). არ ვარ პრინციპული და კატეგორიული ადამიანიც, მაგრამ თუ საქმეს სჭირდება, ყველაფერს ვაკეთებ და კომუნიკაბელურობით დავძლე სირთულეებს. ანა თუ სომხეთის „ფოისია“ გახდებოდა, ვერ წარმოვიდგენდი და ასე ვერ წარმომიდგენია დღევანდელი გადასახედიდან ჩემი „იქს-ფაქტორში“ გამარჯვება. მეგობრები მეუბნებიან, ნუ ხარ პესიმისტი, იფიქრე გამარჯვებაზეო. მე კი ვფიქრობ, რაც იქნება, იქნება. სტეფანეს, თამთა გოლუაძისა და სოფო ტორიშვილის შეფასების არ



მამარჩემი გიჟს შავდა, ჩემი შვილი ბარში როგორ უნდა მღეროდესო, მაგრამ რომ მიხვდა, რა სერიოზულად ვუდგებოდი ამ საქმეს, დაწყნარდა

მეშინოდა, მაგრამ გიორგი გაბუნიასი, ძალიან მეშინოდა. მეუბნებოდნენ, მზად იყავი, შეიძლება, ისეთი რამე გითხრას, სულ მოგთხაროსო. ცოტა განვიცდიდი, ვნერვიულობდი, მთელი სხეული მიცახცახებდა, მაგრამ მის სახეზე ღიმილი რომ დავინახე, დავწყნარდი. სწორედ მისმა მიმიკამ დამამშვიდა სცენაზე (იცინის). მანამდე მართლა არ ვნერვიულობდი, მაგრამ როგორც კი ფიურის წინაშე დავდექი, პირი კამოდა და ვნერვიულდი. მაღლობა ღმერთს, გველავრება პირად ჩაიარა და იმედი, წინ უფრო სასიამოვნო დღეები მელის. სიმღერა ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მის გარეშე ერთი დღეც არ შემიძლია და ვფიქრობ, ჩემს სურვილს - ვიდგე დიდი სცენაზე, ავიხდენ.

რონა ლათიფიკა



ნიმო ხუციშვილის გახსენება

ჩემო საყვარელო ნინო, 14 აპრილი შენი ტკივილიანი დაბადების დღეა. გილოცავ, ჩემო შვილო. მე კი შენი ამქვეყნიდან უდროოდ წასვლით, მიღებულ დარდსა და ტკივილს ვებრძვი. გული მწყდება, ასე რომ დაიზარე. შენ ხომ ზედმინევენი კეთილშობილი, მზრუნველი, მოსყვარულე და შემნდობი იყავი. სამსახურში, სადაც 22 წელი კეთილსინდისიერად მუშაობდი, დაუმსახურებლად გაგნირეს. ყველაფერი ვცადა, რაც შეიძლება, ნაკლები გენერვიულა, მაგრამ ვერ შეეძლო. გაუსაძლის მდგომარეობაში დატოვე შეიძლება. სიხარულს მგვრის ის, რომ შენს ფუტეზე, კეთილ ფესვებზე აღმოცენებული სიცოცხლე, შენი მოსახელე, პატარა ანგელოზი იზრდება.

ჩემო ნინიკო, ალბათ, მიბრახდები, რომ შენს სახლში ვერ მივდივარ. გთხოვ, მაპატიო. რა ვქნა, ვერ ვეგუები იქ უმუნობას. ჩემო შვილო, ილოცე შენი შვილებისთვის. მე კი, ღმერთს ვთხოვ, სასუფეველში მიმყოფოს შენი სული. გკოცნი, მიყვარხარ, ძალიან მენატრები.

დედა



მტკნოლი აზრები

კონფუსი: კარგად მართულ ქვეყანაში სი-დუხჭირება სამარცხვინო, ხოლო ცუდად მართულ ქვეყანაში – სიმდიდრე.

პაპიპატი: დაუტოვეთ შვილებს განათლება ნაცვლად სიმდიდრისა, რადგან, განათლებული ადამიანის იმედები უკეთესია, ვიდრე უიმედოების სიმდიდრე.

ლიპიუსი: ვიშოქმელთ უფლებებით და არა ძალმომრეობით.

გამარჯაშვილი: სამყარო თან დიდია, თან კი შეზღუდული და პატარა; პატარაა იმ გაგებით, რომ ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და, ის, რაც სადაც, ათი ათასი კილომეტრის მოშორებით ხდება, ჩვენს ცხოვრებაში მონაწილეობს.

პიუპი: დიდ სამშორებებს აქვს თავისი სილამაზე – ის სიცოცხლეს აძლევს უცნობების ძმობას.

გაკონი: სამშორებია ითხოვს, რომ მას სიამოვნებებით უხდოდნენ.

პინდელბანდი: პარლამენტარიზმი – სახელმწიფო დილემანტიზმის ფორმაა.

გარდიაპი: სახელმწიფო იმისთვის კი არ არსებობს, რომ დედამინა სამოთხედ იქცეს, არამედ იმიტომ, რომ ის საბოლოოდ ჯოჯოხეთად არ გადაიქცეს.

ლაროშვილი: იგივე სიამაყე, რომელიც ასე ხშირად აღვივრავს შურს სხვების მიმართ, ხანდახან იმაშიც გვეხმარება, რომ ცოტათი მაინც მოვთოკოთ შური.

აკუტაბაძე: ხშირად ჩვენ იმით ვამაყობთ, რაც საერთოდ არ გავგანჩნია.

პირბარბორი: ადამიანთა უმეტესობა ისე გულმოდგინედ დასდევს სიამოვნებებს, რომ წინ უსწრებს მათ.

ჯონსონი: მრავალფეროვნება სიამოვნების ამოუწურავი წყაროა.

როსასი: არავინაა ისეთი ბებერი, რომ ერთი წელი კიდევ ვერ იცოცხლოს და არავინაა ისეთი ახალგაზრდა, რომ დღესვე არ მოკვდეს.

შპანგლარი: რელიგიების ძირითადი გრძნობებია არა სიძულვილი და სიყვარული, არამედ, შოში და სიყვარული.

პილაი: ვინც ცხოვრებით არ რისკავს, ის ვერასოდეს შეიძენს მას.

პენერ-შპანგლარი: ბევრს მიაჩნია, რომ მას კეთილი გული აქვს, სინამდვილეში კი ის სუსტი ნერვების პატრონია.

ლიხტენბერგი: ასწავლო გონებას და იყო გონიერი – სრულიად განსხვავებული რამაა.

ბალზაპი: ბრძოლის ველი, სადაც გონება იბრძვის, უფრო სამიძია, ვიდრე ბრძოლის ველი, სადაც იხოცებიან.

ოვილიუსი: ჩვენ ყოველთვის ის გვსურს, რაც აკრძალულია.

ბულბაკოვი: ვისაც უზომოდ ბევრი სურვილი აქვს, მას უზომოდ ცოტას გაკეთება შეუძლია.

ტოლსტოი: ეცადე, ყოველთვის მხიარული იყო; თუკი სიხარული მთავრდება, ძებნე, სად შეცდი.

პასკალი: ჭეშმარიტება ისეთი ფაქიზია, თუ ცოტას გადაუხვევ მას, ცდომილებაში აღმოჩნდები; მაგრამ ცდომილებაზე ცოტათი, თუ ცოტას ასცდები მას, ჭეშმარიტებაში აღმოჩნდები.

შაილი: გათხოვილი ქალის ერთგულებაზე უმაღლესი არა არის რა. ვერც ერთი ცოლიანი კაცი ვერ მიაღწევს ამ სიმაღლეს.

ლაბრუიერი: ზოგიერთ ქალს მეგობრებზე მეტად ფული უყვარს, ხოლო ფულზე მეტად – საყვარლები.

თუ გაპოიზნოვით

1. ძველ ჩინელთა ღვინის მფარველი ღმერთი ცზიუ სინი, ყოველთვის მსხვერპლს ითხოვდა. ლეგენდის მიხედვით, თუ მსხვერპლს არ მიუტანდნენ, ის პირიქით მოიქცეოდა. **რას გააკეთებდა?**

2. თუ თქვენ ლონდონში, ბეიკერ სთრითზე შერლოკ ჰოლმსის მუზეუმს ეწვევით და დიდი გამოძიებლის ნახვას მოინდომებთ, მუზეუმის თანამშრომელი გეტყვით, რომ ის მხოლოდ ახლა გავიდა და ამის დასამტკიცებლად ნივთსაც გიჩვენებთ. **რას?**

3. **დასახელეთ,** რას პასუხობს ინგლისურენოვანი „ვიკიპედია“ სიიდან: „ყველაზე ადრეული მმართველები“ კითხვაზე – „ჯორჯ პირველი“?

4. ნოიშვინშტაინის ციხესიმაგრე, წმიდა ოჯახის ტაძარი, ეიფელის კოშკი, სასტუმრო „ფრიდომშიფი“, ხელოვნური კუნძული – პალმა დუბაიში... **რა საერთო აქვთ მათ?**

5. კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სისხლის სამართლის საქმის გარჩევა, რომლის სასამართლოს ოქმიც შემორჩა, რამზეც მეცხრეს ზეობის დროს გაიმართა. ამ დანაშაულისთვის გასამართლდა, ასევე, 1967 წელს დაბადებული ლორა კროფტი... **რა დანაშაულისთვის?**

6. **დასახელეთ ის,** რომელიც მსოფლიოში თავდაპირველად დანებით გაიცნო, შემდეგ საათებით, ბოლოს ბანკებით.

7. მათ შორის იყვნენ მფრინავთა, პარაშუტისტთა, ფეხსანთთა, მეზღვაურთა ჯგუფები და გამოიყენებოდა, მტრის თვითმფრინავების, ტანკების, გემებისა და წყალქვეშა ხომალდების გასანადგურებლადაც კი. **დასახელეთ ისინი.**

8. როგორც ფრიდრიხ ენგელსი ამბობდა, დარვინის თეორია სატირაა მასზე, რადგან ის, უბრალოდ, ბრძოლაა გადარჩენისთვის და არც ცივილიზებული კონკურენციაა და არც კაცობრიობის რაიმე მიღწევა. **დასახელეთ, რა?**

9. აფრიკელი პასტორი 2006 წელს მდინარე კომოს ერთი ნაპირიდან მეორეზე ფეხით გავიდა. აღსანიშნავია, რომ ამ მანძილის გავლას კატერი 20 წუთს ანდომებს. ასე გახდა პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი მღვდელმსახური, რომელმაც ეს საოცრება ჩაიდინა და ამასთან სრულიად შეუსაბამო პრემიაც მიიღო. **რომელი პრემია?**

10. ჩვენ ისინი თერთკანიათა და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკებელი გვგონია. არადა, ასეთი წარმოდგენა კინემატოგრაფისტებმა მათზე გადაღებული ფილმებით შეგვიქმნეს. სინამდვილეში ამ პროფესიის წარმომადგენლები, ძირითადად, ესპანურ ენაზე ლაპარაკობდნენ, ყოველი მეშვიდე კი – აფრიკული წარმოშობის იყო. **დასახელეთ პროფესია.**

პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე

გაპოიზნილი ზეპიანების უკანასკნელი სიტყვები და პიიტაფიანი სოფლები

მოცარტი – მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე არ შემიძლია, დავწერო პოემა, მე პოეტი არ ვარ; მე არ შემიძლია, ჩემი განზრახვა გადმოვცე მხატვრულად, შუქ-ჩრდილებად, მე ფერმწერი არ ვარ; მე არ შემიძლია, ჩემი ფიქრები და გრძნობები გამოვხატო ვესტით და პანტომიმით, მე მოცეკვავე არ ვარ, მაგრამ, განვახორციელო ყოველივე ეს ბგერებით“.

ბახი – კომპოზიტორი. გარდაიცვალა სრულ სილატაკეში, საფლავის ქვა დაადგეს 100 წლისთავზე, შემდეგი წარწერით: „ბახი – კომპოზიტორი“.

სტანისლავსკი – დიდი რუსი რეჟისორი. სიკვდილის წინ ჩურჩულით თქვა: „გაუფრთხილდით მეიერჰოლდს!“

კლიპშტრა – ეგვიპტის დედოფალი, ყველაზე ცნობილი ქალი კაცობრიობის არსებობის ისტორიაში. მან ანდერძად დაიბარა: „დამასაფლავეთ ანტონიუსის გვერდით“.

ლენინი – გარდაიცვალა გონებადაზნელებული. ის მაგიდასა და სკამებს სთხოვდა ცოდვების მიტევებას.

პოლტარი – ყველაზე რადიკალური ათეისტი. მოწყალეობის და გადმოგვცემის, რომ საშინელი აღსასრული ჰქონდა: „მთელი ევროპის ფულის ფასადაც კი არ ვისურვებდი, მეყურებინა ურწმუნოს აღსასრულისთვის“.

ლიანა ფოსი – ცნობილი ამერიკელი ბუ-


ნებისმეტყველი. მან ცხოვრების დიდი ნაწილი მონადირე გორილების შესწავლას. ეპიტაფია საფლავზე: „ამიერიდან აღარავის ეყვარები, გორილა! განისვენე მშვიდად, ძვირფასო მეგობარო, მარადიულად დაცულო ამ მინაზე, რადგან შენ ხარ შენს საბოლოო სახლში“.



ნინა ნომერში გამოქვეყნებული **საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
1. **ლე7-d8!**
შეადგინა შირგილ სუხიტაშვილმა



– გველმა შეაცდინა ევა და ადამი, თუმცა, მერე ძალიან ინანა...



– რატომ?
– როდესაც ევამ შეჭამა აკრძალული ხილი, მაშინვე დაინახა გველი ქამარი, საფულე, ჩანთა...

კვდება მოხუცი ებრაელი.
– ჩემი ცოლი აქ არის? – ამოიკვნესა.
– აქ, ვარ, საყვარელო.
– ჩემი შვილები, რძლები?
– კი, მამი...
– შვილიშვილები, შვილთაშვილები?
– ყველანი აქ ვართ, ბაბუ...
– აბა, სამზარეულოში შუქი რა ჯანდაბად ანთია?

სამარშრუტო ტაქსიმ, რომელიც შემთხვევით „ფორმულა 1-ის“ ტრასაზე გადავიდა, იქ მიმდინარე შეჯიბრებაში გაიმარჯვა, თანაც, გზად ორი მგზავრის აყვანაც მოასწრო.

ფსიქოლოგთან გასაუბრებაზე ოპტიმისტ-ია:
– დაეუშვათ, თქვენ ბაბუა მოგიკვდათ.
– არა უშავს, მეორე ბაბუაც მყავს, ბებიე-ბიც...
– გასვენებაში გაგვიანდებათ.

- მანქანა და მისი ჯანი – სწრაფად ვივლი...
- თქვენ გემინით სიჩქარის.
- არაყს გადავკრაგ...
- გზაზე პატრული გადაგეყარათ...
- მოვილაპარაკებთ...
- ის ქალია...
- არაა პრობლემა, ერთი-ორი კომპლიმენტი, გავეცნობი და...
- ქალი ძალიან უშნოა...
- მე ხომ მთვრალი ვარ.

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი თვალწარმართულია.

- რა მოგივიდა?
- აი, მივიღე, კაცთმოყვარეობის გამო... გუშინ გოგონა ამომყავდა წყლიდან, ამ დროს ცოლი მოვიდა და... შედეგსაც ხედავ.
- რა საშინელებაა! კი მაგრამ, ამ გაზაფხულზე სად იყავით, მდინარეზე თუ ზღვაზე?
- არა, ჩვენს აბაზანაში...

ცოლი ეუბნება ქმარს:
– ბიგავებთან ვართ დაპატიჟებული, მი-დი საროჩკა გაითუთვე, თორემ, იტყვიან, ცოლი არაფერს უკეთებო...

– რას აკეთებს ქართველი პირველ ყოვლისა, როდესაც შუქი ქრება?
– მიირბენს ფანჯარასთან, რომ დაინახოს, კიდევ ვის გამოურთეს დენი...

დადგება ზაფხული და დაიწყება სისხლის-მღვრელი ბრძოლა: ვისაც ცხცელა და ვისაც უბერავს.

– ნუ ტირი, გოგონი, ულამაზო ქალები არ არსებობენ, ყველას აქვს თავისი ხიბლი... აბა, შეიმშრალე ცრემლები, ო, ეგრე... შემომხედ

და გაიღიმე... უჰ, შენი!...

ნუ ართულებთ... შავი კატა მხოლოდ იმი-



ტომ გადაგიჭრით ხოლმე გზას, რომ უბრალოდ, სადღაც მიდის...

გუშინ სამსახურში სამართლიანობას ვეძებდით...
დღეს სამსახურს ვეძებთ...

– აუ, ხომ გითხარით, მუშაობის დროს ნუ ეწვეით-მეთქი?
– და, ვინ მუშაობს, რო?!

– მანქანა მინდა... ქალისთვის რომელი უკეთესია?
– სარეცხის...

– ყველა კაცი იდიოტია!
– კი, საყვარელო, აბსოლუტურად ყველა კაცი.

– შენც!
– მე ყველაზე დიდი იდიოტი ვარ...
– აბა, რატომ გამოგყევი ცოლად და ამდენი წელი მენთან ვარ?
– აი, უკვე მივედით სწორ დასკვნამდე – ხომ ხედავ – ყველა ქალი იდიოტია...

ცნობილი ჯანმრთელობის ინჟინერის გამოხატულებები

1906 წელს პეტერბურგში ცნობილი მრეწველი და მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა ბანკეტი გაუმართა პირველი სახელმწიფო სათათბიროს – რუსეთის პირველი პარლამენტის ქართველ დეპუტატებს. მონაწილეთა შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე და ცნობილი სოციალ-დემოკრატიის ილიდორე რამიშვილი. ბანკეტის დამსწრე ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს: „ბოლოს დავით სარაჯიშვილი შამპანური ღვინით გაგვიმასპინძლდა. ავარდა „პრობკა“ და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანურით.

ილიდორე რამიშვილი არაჩვეულებრივად შეათამაშა სახე, უღვაშებში ჩაიციხა და მოსვა შამპანური ღვინო... დაცალა ჭიქა და სიცლით თქვა:

– ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანური. პირველად ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას

ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა, ასეთი ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ილიდორეს გულწრფელმა ორონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია, შამპანური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულაბდილად შენიშნა:

– სოციალ-დემოკრატის შამპანური გაუტკბილდა.“

აკაკი ერთხელ „ივერიის“ რედაქციაში შევიდა და მაგიდას მიუჯდა. ხელში ხელის მომწერელთა სია ჩაუვარდა. გადაშალა და სწორედ ისეთ გვარებს ნაანყდა, რომელიც „მ“-ით იწყებოდა – ძილამდე ჩასულა „ივერიის“ რედაქციაო.

ერთი ახალგაზრდა ქართველი კობტაობით პენსნეს ატარებდა და ხანდახან

შუბლზე იდებდა.

– ბატონო აკაკი, რა მიზეზია, რომ ის ყმანვილი შუბლზე იდებს ხოლმე სათვალეს და არა თვალზეო?!

– იმიტომ, რომ ჭკუით არის ბეცი და არა თვალბეციო! – მიუგო აკაკიმ.

ნიკო მუსხელიშვილისთვის უსაყვედურ-იათ:

– ძალიან ბევრ სიგარეტს ეწვეით, ბატონო ნიკო!

მეცნიერს პასუხის გაცემისას გაუღიქვია: „თუმცა მართლაც ბლომად ვიღებ ნიკოტინს,

ნიკოტინი ვერას აკლებს ნიკოს ტვინს.“





რა გამოსავალი იქონია ზარა ქაფიანიძემ „პარალელ“ გამოსასვლელად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლიონია ბერუცივის საქართველოში ჩამოხრახინება მუდამ ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა ხოლმე. 1971 წელს, მაისში საქართველოს სსრკ-ში გაერთიანების 50 წლის იუბილეზე ბრეჟნევის თბილისში ელიან.

არის ერთი მზადება. განსაკუთრებულად დიდი მეცადინეობაა „პარალელის“ ჩატარების მხრივ.

დაიგეგმა, რომ ქართველი მწერლები და მსახიობები ერთად უნდა გამოსულიყვნენ პარალელზე.

– თითო ბავშვი ყველას უნდა გყავდეთ ხელში ატაბებული ან კისერზე შემოსმული. ვისაც არ გყავთ – ისეხეთ ან ინათხოვრეთ – ბრეჟნევის უყვარს ბავშვები! – იყო ბრძანება ვერტიკალიდან.

ბევრმა ასე, სახელდახელოდ „ბალანა“ ვერ იმოვნა და დათქმულ დროს მარტო გამოცხადდა.

ყველაფერი რომ ნკვიზა და „ცამბა-რამბა“ უნდა დააქუხოს სამხედრო ორკესტრმა, ზურა ქაფიანიძეც მორთობდა – ვაჟკაცური რიხით, შემართებით და თავისი მომავალ-ობებით, ალალი სიცილ-ღიმინით.

– სად მიდიხართ, სადა, კაცო? უჩემოდ აპირებთ დაძვრას?! – გაიკვირვა მხიარულად. გაიკვირვა კაია.



www.Zaliko.com

– შენ ბავშვი არ მოიყვანე? – ეკითხებოდა პარალელის ორგანიზატორი.

ქაფიანიძე შეჩქვიფდა.

– რა ბავშვი?

– რა და... ბრეჟნევის ბავშვები უყვარსო, რომ იყო გამოცხადებული... შენ ქურში იჯექი?

– არ მამიყვანია ბოვშენი? – დამორცხვა ზურამ.

– აბა, სად არი.

– ესე იგი, არ მამიყვანია, – დაასკვნა რაჭულა და მოინყნა. მიხედ-მოხედდა... არსად „ხალასტო“ ბავშვი არაა. ყველა პატარას თავისი პატრონი ჰყავს.

მიხედ-მოხედდა ისევ. ნაცნობი მწერლები და მსახიობები კი არიან, მაგრამ ყველა თავისი „ნილი“ ბავშვი უჭირავს ხელში.

რა ქნას ახლა?

ჟურნალ „ნიანგში“ მუშაობდა უნიჭიერესი ოუმორისტი, ლექსების დიდოსტატი და ნამდვილი კაცური კაცი ვანო ცინცაძე.

ტანად დიდი არ გახლდათ. არც ისე პატარა, მაგრამ შედარებისა და სიტუაციაში გარკვევისთვის, აგისხნათ: აი, ისეთი, ზურა ქაფიანიძეს რომ ქვემოდან ზემოდ უყურებს, თავში არ დამეცესო – ისეთი.

ჰო, ჩემო ბატონო და ზურამაც ეს დაჩითა გამოუვალ სიტუაციაში.

– მორჩა, უბავშვოდ ვერ გაგიშვებთ! – კიდევ გაუმეორა პარალელის ორგანიზატორმა.

– ვანიჩკუნა, – გამოდი, ბოშო, ერთი წუთი გვერდზე, საქმე მაქ შენთან ფრიად მნიშვნელოვანი, – მორიდებით შეეხო მკლავზე ქაფიანიძე.

– ხინკალზე ხო არ მეპაიჯებ? – გაუხარდა ვანოს და უყოყნოდ გაჰყვა.

მოლაპარაკების მოწმეები აღნიშნულ ფაქტზე არ არსებობენ.

ისტორიას მხოლოდ სურათი ახსოვს: დაინყო პარალი და დაიდრა კოლონა.

– გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკას – ვაშა!

– ვაშა... ვაშაა!!! გუგუნებენ მშრომელთა მასები.

მსახიობ-მწერალთა კოპორტაც ფეხანყობილად დაიდრა და მიდიან მთავრობის სახლისკენ.

– ეჰ, ზურა, ზურა... ამბობს ერთი მსახიობი, – ემოვნა ერთი ბავშვი, რა იქნებოდა. აბა, რა ემხი აქვს პარალელ ზურა ქაფიანიძის გარეშე?!

– აბა, აბა! – თავის კანტურით ეთანხმება მეორე.

არაფერი შეგეშალოთ.

სულ უკანა რიგში გამოჩნდა ზურა ქაფიანიძე. კისერზე ეს ვანო შემოუსვამს. ვანოს ერთ ხელში გაბერილი, ვარდისფერი ბუშტი უჭირავს, მეორეში ალაში და პირში საწოვარა...

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – როხროხებს ქაფიანიძე და სხმარტალებს კისერზე შემომჯდარი ვანო ცინცაძე.

არა, ბიჭო და, ქაფიანიძე ჩაიჭრებოდა... ბრეჟნევი ზურასაც უყვარდა ისევე, როგორც დიდ ბელადს პატარა ქართველი ბავშვი.

მოამზადდით პარალელის მკვირვარებლებს

(73-ე გვერდიდან)

რაც ჩვენი აზრის, სულიერი არსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერტილია. თითქოს იქიდან ჩამოგვაქვს ენერჯია, რომელიც შემდეგ მზის ნსუ-ლთან მიგვაქვს, ანუ ჭიბთან, რაც ჩვენი ფიზიკური არსის ცენტრია. შემდეგ ეს ენერჯია გადმოგვაქვს მარჯვენა მხარეს, რაზეც ხშირად ამბობენ, აქ არაფერი არ არის, სიცარიელეაო. უფალი სიცარიელეს არ მოგვცემდა, ეს არის ჩვენი კოსმოდრომი, საიდანაც სხეულმა უნდა გაატაროს ყველა ის ცოდვა, რაც კი ჩვენმა აზრმა ჩაიდინა. შემდეგ უკვე ხელი გადმოდის მარცხენა მხარისკენ, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს გულთან – რომ გული ხელმეორედ ამბუშავს ჩვენი ახალი ყოფიერებისთვის. საოცარი რიტუალია და ეს ისევე იმ სვანებმა ამისხნეს.

– თუ ჩვენ ამ ორ რიტუალს ერთმანეთს შევადარებთ, დაინახავთ, რომ ერთმანეთის ინვერსიულობა: ანუ, კოპტები ცხოვრობდნენ მიდიან ხოლცხუზე, ხოლო სვანები ლოცვიდან მიდიან ცხოვრებაში.

– გარკვეულწილად, ეს ჩვენი სამყაროს მთლიანობაა. როდესაც ერი ასე ლოცულობს, მერე უკვე იოლი გასაგებია, ჩვენი ტაძრები თავისებურებით, ინდივიდუალობით რომ ხასიათდება. თითოეული ტაძარი ცოცხალი ადამიანივითაა, თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, მა-

ბანასხივებს თუ არა სხვისი გარემოსთვის ნინ არაბი კოპტების მიერ შესრულებული რიტუალი ქაქათაყვანისმთავრობას და რა საერთო ჰქონდათ მათთან უკველს სვანებს

გრამ მინც სხვადასხვანაირია. არის ტაძრები, რომლებიც იმავე წესითაა აგებული, როგორც ბიზანტიაში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. როგორც კი დაუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ იქაც ქართველმა თავისი ქართული, განსაკუთრებული თვისობრიობა შეიტანა, იმ-იტომ რომ, ეს თვისობრიობა ჩვენში, ქართველებშია; ცალკე სვანი არ არსებობს: ქართული, კახელი, ვანის და ასე შემდეგ – ერთი ჰარმონიაა. როდესაც ამბობენ, უმაღლესი რანგის ჰარმონიააო, ეს არის განსხვავებულობათა ჰარმონია. საქართველოს ბედნიერება სწორედ ისაა, რომ ის განსხვავებულობათა ჰარმონიაში ჯდება. როდესაც მუსიკაში სამფაზიანი სისტემა გავაკეთე, მქონდა ასეთი ექსპერიმენტები: ავიღე კონტრასტული და მსგავსი სიმღერები, შემდეგ ჩემს სისტემაში ჩავსვი და აღმოჩნდა, რომ კონტრასტულებს შორის უფრო მეტი სხვაობა იყო, ვიდრე მსგავსებს შორის. ეს ჰარმონია ჩვენ ყოველთვის გვექონდა და ამიტომ მინდა, გამოვყო სვანური ადრინდელი საგლობელი. წმიდა სამების ტაძრის ზარებს გარკვეულად საფუძველი ვუპოვე სვანურ რიტუალში – ეს იყო მთავრისა და მზის კულტების გაერთიანებული რიტუალი. როგორც ლაგდებიან და რა პროპორციითაც ასრულებენ რიტუალს, იმავე პროპორციებით სხვადასხვა ლითონის შენადნობი გავურეც ერთმანეთში და მივიღე ქართული ზარი. მაგრამ, არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ეს მხოლოდ სვანურია. როდესაც მუსიკას ვწერდი მერაბ კოკოჩაშვილის ფილოსოფიის „გზა“, იქ მთავრის სარიტუალო საგლობლები საქართველოს ყველა კუნთიდან ავიღე, ერთმანეთს დავადე და დავადე ყველას ის ერთიანი მუსიკა ჰგონია. არადა, სხვადასხვა კუნთის მუსიკაა გამთლიანებული თანამედროვე ტექნიკის დახმარებით. ასეთი ერთიანი და განსხვავებულები ვართ ქართველები. ასე რომ, ამ ორი რიტუალს თუ ერთმანეთს შევადარებთ, საოცარ მსგავსებასაც დავინახავთ და განსხვავებასაც. ყველაზე მთავარი კი, რაც მათ აერთიანებს, არის რიტუალების უძველესი, პირვანდელი სახე, რომელიც ადრინდელ პერიოდში შეიძლება ჰქონოდა ქრისტიანობას.

ნათია უბიანიძე



ახალგაზრდა მუსიკოსს, ბიზი ჭიპაშვილს, უკვე წლებია, ვანდარის ფსევდონიმით იცნობენ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს არჩევანი მან სტივ უანდერის დიდი სიყვარულის გამო გააკეთა. ბევრმა შეიძლება, ვერც იოცნებოს, მაგრამ, ჩვენ რეპონდენტს ნატვრა რეალობად ვეცა და ერთ მშვენიერ საღამოს მის დაკრულზე თვით სტივ უანდერმა იმღერა. ნიჭიერი პიანისტი ყოველთვის აქტიურად მუშაობს და საკუთარ პოტენციალს მაქსიმალურად ავლენს.

სად აქტიურდება ბიზი ვანდარი და აქვს თუ არა მას კავშირი სტივ უანდერთან

– გიგი ვანდერი რომ ყოველთვის აქტიურია, ეს ყველამ იცის და ამას უკვე შეეჩვივნენ კიდევ.

– აქტიური უფრო კლებებში, კაფეებში ვარ. მომწონს, რომ ჩვენთან პიანო საღამოები დამკვიდრდა. პლუს ამ ყველაფერს მეორე ალბომზე ვემუშაობ, სოლო ნაწარმოებებით, რომელიც მინდა, რომ მერე გაორკესტრდეს. იენისში ჩაინერება და თვის ბოლოს უკვე დავბეჭდავთ. მუსიკალურადაც ეს უფრო მომწონს, ვიდრე პირველი ალბომი – სილრემში წავიდა, რაც ძალიან კარგია.

– ზაფხული ნინ არის და გარდა ალბომისა, სხვა რა გეგმები გაქვს?

– გეგმავ ერთი-ორი სოლო საღამო გავაკეთო ბათუმში. ჯაზ-ფესტივალის ფარგლებშიც შეიძლება, დავუკრა.

– შემოთავაზება ხომ არ გაქვს, რომელიმე ქვეყანაში დაუკრა?

– ამ ეტაპზე ის სახსლეა, რომ 5 სიმღერა მაქვს დასაწერი, რომელიც სექტემბერში უნდა იყოს მზად. ბაქოელები იყვნენ ჩამოსული და დამიკვიეთეს. აქედან სამი მომღერალმა უნდა იმღეროს და ორი სარეკლამო რგოლისთვისაა.

– მოკლედ, სასიამოვნოდ მიდებულ-მოდებული ხარ მუსიკალური თვალსაზრისით.

– ეს ძალიან კარგია.

– შენი ფსევდონიმი სტივ ვანდერის სიყვარულიდან მომდინარეობს. მას რამდენიმე წლის წინ შეხვდი კიდევ. შემდეგ თუ გქონია მასთან კავშირი?

– ძირითადად, კონტაქტი მის მუსიკოსებთან მაქვს. თავად სტივთან კავშირი ძალიან ბევრს უნდა, მარტო მე არ ვარ ასეთი.

– თუმცა, მასთან ერთად გადაღებული ფოტოც არ აქვს ბევრს, შენგან განსხვავებით.

– და არც დაუკრავს.

– თან, სტივს ისე მოეწონა, როგორ უკრავდი მის ერთ-ერთ სიმღერას, შენი აკომპანიმენტი იმღერა კიდევ.

– ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩვენი შეს-

ვედრა მუსიკალურად შედგეს. ძალიან მინდა, ეს ასე მოხდეს. მას ძალიან ვაფასებ და მიყვარს. ბოლოს ვნახე წლინახევრის წინ სტამბულში. ველოდები, როგორც კი კონცერტი საქართველოსთან ახლოს გაიმართება, აუცილებლად გავემგზავრები და მას მოვუსმენ.

– ძალიან ბევრს გვინდა, რომ მართლა ვანდერია შენი ვარი.

– თვე-ნახევრის წინ, კლუბში საღამო უნდა გამართულიყო და რეკვიზიტებისთვის პირადობის ასლი მომთხოვეს. ვანდერის ნაცვლად, სხვა გვარი რომ ამოიკითხეს, შეცდომა ეგონათ. ვხუმრობ ხოლმე, სტივის ნათლული ვარმეთქი.

– ვანდერის ფსევდონიმი, როგორც მახსოვს, სტუდენტობის დროს შეარჩიე?

– ამერიკაში რომ

ვსწავლობდი, ჩემმა მეგობარმა გამიხსნა სოციალურ ქსელში გვერდი, მაშინ არც ვიცოდი, „ფეისბუქი“ რა იყო. გიგი ვანდერად დამარეგისტრირა და მას შემდეგ დარჩა და დარჩა.

– მართალია, მაშინ „ფეისბუქის“ შესახებ არაფერი იცოდი, მაგრამ გავიდა დრო და ამ სახელწოდების ტელეგრაფაციემის თანაშემწეანიც იყავი.

– გადაცემის ერთ-ერთ ბლოკში ახალი სახეები მოდიოდნენ სტუმრად, რომლებიც უკრავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ და ასე შემდეგ. პირველად მეც სწორედ სტუმრის სტატუსით მიმინვიეს. მერე დამირეკეს, მომღერალი მოგვეყავს სტუმრად და იქნებ დღესაც მოზრძანდეთ და დაუკრათო. მერე კი უკვე ყველა გადაცემაში ვიყავი და ასე ვთქვათ, ფონს ვუქმნიდი გადაცემას.

– ოჯახში მუსიკოსი კიდევ ვყავთ ვინმე, თუ პირველი ხარ?

– დეიდაჩემი არის მუსიკის სფეროში, ხელოვნებათმცოდნე იყო მუსიკალურ ათნლედში. სწორედ მან წამიყვანა 7 წლის ასაკში პედაგოგთან და ათნლედშიც ჩავაბარე. მოგვიანებით კი, სკოლიდანაც გადავედი და

11 წელი იქ დავამთავრე.

– ხარისხიანად რომ დაუკრა, ამას ძალიან ბევრი დროა სჭირდება. ბავშვობაში არასდროს დაუზარუნა მეცადინეობა?

– მართლა მიყვარდა, თორემ, ალბათ, დავანებებდი თავს. ისეთი ზარმაცი ვიყავი, ეზო და გართობა ყველაფერს მერჩინა. 13 წლის გიზი ამირეჯიბთან მიმიყვანა დეიდაჩემმა მოსმენაზე კონსერვატორიაში. ამის შემდეგ მართლა სერიოზულად დავინყე დაკვრა. დღეში 6-7 საათი ვუკრავდი, მანამდე კი, მაქსიმუმ, მხოლოდ ერთი საათი დამეკრა. მერე უკვე ბოსტონის კონსერვატორიაში იყო მისაღები გამოცდები და ასე შემდეგ. აღარც გაგჩერებულვარ.

– მეზობლები როგორ ეგუებოდნენ შენს ხანგრძლივ რეპეტიციებს სახლის პირობებში?

– კონფლიქტური სიტუაციები არ მქონია მეზობლებთან, უბრალოდ, უთქვამთ, რამდენი შეიძლება, „გუბები“ მაინც ააკარი ოთახში, ხმა რომ დაიხმოსო. ელიავაზე წავიდეთ, ჩვენ გიყიდით და გავაკრათო. ასეთი რაღაცეები კი ყოფილა.

– პირად ცხოვრებაში რა ხდება?

– სინყარ და სიმშვიდე. სახსლე რომ იყოს რამე, მაშინვე გეტყვით. ისედაც გაიგებდით, თბილისში ხომ იცი, არაფერი იმალება.

– ბევრი ქართველი იღებს მონაწილეობას უცხოეთში სხვადასხვა შოუში, რომლის ანალოგი საქართველოშიც არის. ხომ არ გქონია თავად ამის სურვილი?

– ვოკალისტი რომ ვიყო, აუცილებლად წავიდოდი და მონაწილეობას მივიღებდი. პიანისტებისა და კომპოზიტორებისთვის უფრო შიდა კონკურსებია, რომლებსაც არავინ აშუქებს. არ არის გაპაირებული, თან ძალიან ცოტაა.

– ცხოვრებაში დაბრკოლებას თუ შეუშინებია?

– ისეთი განათლება მაქვს, დაბრკოლების არ მემინია. იმხელა გამოცდილება მივიღე წლების განმავლობაში – იქნება ეს ჩვენი კონსერვატორია, ბოსტონის კონსერვატორია თუ ბერკლის, ზუსტად ვიცი, რა როგორ გავაკეთო.

– აუცილებლად უნდა აღმოჩნდე საჭირო ადგილას საჭირო დროს.

– თავისთავად. როგორც მუსიკოსს, მიმაჩნია, რომ გამართლება აუცილებელია.

– შიშობ, რომ ყველგან არ უნდა დაუკრა, ისევე როგორც ყველგან არ უნდა იმღერო. ჩემი აზრით, ეს მაინც იმ ადამიანების თავისმართლება და თვითდამშვიდებაა, რომლებსაც მსგავსი სამსახური არ აქვთ.

– ამერიკაში კონსერვატორიაშიც დამიკრავს ძალიან ბევრჯერ, ისევე როგორც თეატრებში და სხვადასხვა ადგილას ბანტიან ხალხთან. ვიცი, რა არის, როცა სიწუმეა და უკრავ, მაგრამ კაფეში შესული ადამიანი ვერ დაჯდება ჩუმად. ამერიკაში ნამყოფი ვარ ჯაზ-კლუბებში და ნამდვილად არ ყოფილა იქ იდეალური სიწუმე, ვინც არ უნდა უკრავდეს. როცა ჰქვია პიანო-ბარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს თავისუფლება უნდა მისცე. მუსიკა არ უნდა გადაფაროს, თორემ ილაპარაკოს, ამას არავინ უშლის. როცა ყოველდღე სადღაც უკრავ და საათ-ნახევარი არ ჩერდები, ეს ძალიან კარგია, რადგან სულ ფორმაში ხარ. ასე რომ, კლუბში დაკვრა ცუდი სულაც არ არის, პირიქით...

მარიკა ხიფურაძე



მომწონს, რომ ჩვენთან პიანო საღამოები დამკვიდრდა



83. 70

რის გამო მოემატა ასაკი
თინეიჯერობისას მივა
ცინცაქეს და რატომ
შეცვალა ხასიათი მას
ცოლის მოყვანის შემდეგ



83. 22

როგორ აღმოჩნდნენ ნიტა
ლომიკის ეპოპორების
სიაში აჩიკო სოლოღაშვილი,
დუტა სხირტლაქე, დოი და
სხვები და ვინ ანაზღაურებს
მას ყველაზე მეტად

რა შეცვალა სოფო ბედიასა და მიზა მესხის ცხოვრებაში ბიჭურმა სიყვარულმა

83. 74



თბილისი

საქართველო ბე...

ყოველკვირეული ჟურნალი • №15 (694) • 14-20 აპრილი

1,50 ლარი

www.tbilisebi.ge